საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№27 (70)
21 - 27 ივლისი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

სააკაშვილმა და ლუკაშენკომ ერთმანეთი იპოვეს 4

ორი მილიონი ლარი დარდუბა-ლასთვის 6

7 ნგრევაი საკვირველის მოლოდინში გარინდული დედაქალაქი

ვაჩუქოთ პრეზიდენტს ჩუსტები 9

10 წლეულს მტკვარში 26 ადამიანი გადახტა

ეჟოვივით უარყოფილი ბურჯანაძე და მელიტონ ქანთარიას დაბრუნება 11

როგორ „გამოტეხა“ სტალინმა ჰიტლერი 16

18 როგორ იწრთობოდა «ამერიკის ხმა»

დასავლეთის დაისი 22

# ავთანდილმა სააკაშვილს კონსტიტუცია შეუკერა

„ქართული ეთნოფსიქოლოგიიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩეს, რადგან ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც მიიჩნევს, რომ ერთი პიროვნება აუცილებლად უნდა იყოს თამადა“
(ავთანდილ დემეტრაშვილი)

ყურადღებით გაეცანით საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის საბოლოო ვარიანტს და დარწმუნდებით, რომ ამ კონსტიტუციის მიღების შემდეგ ეს „დელიკატესი“ საქართველოს პოლიტიკურ მენიუში მუდმივად საპატიო ადგილს დაიკავებს და კიდევ არაერთხელ მოგვიწევს მისი „მირთმევა“, ვის — ნებით, ვის — ძალით.




5

## ვიზიტები «ვეიმარის სამკუთხედიდან»

2

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კუშნერიადა

**საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — ბერნარ კუშნერის ამასწინანდელი ვიზიტი საქართველოში იმაზე უფრო გამორჩეული და საგულისხმო აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით. უკვე შევეგუეთ, რომ მაღალჩინოსან ამერიკელთა სტუმრობებს აღარანაირი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. ან კი რატომ უნდა მივაქციოთ, როცა საქართველოსა და მის თვითმარქვია პრეზიდენტს „დემოკრატიის შუქურად“ გვიცხადებენ და გაოცებული უმანკო სახით გვეუბნებიან, რომ თურმე „საქართველოს არ აქვს საფუძველი, დასავლეთს ზურგი შეაქციოს“. და ამის შემდეგ კიდევ უკვირთ, რატომ იმატა საქართველოში ანტიამერიკულმა განწყობამ.**



აი, საფრანგეთის დიპლომატიის მეთაურის ვიზიტი კი იმდენად ახლოს იყო რეალობასთან, რომ შეხვედრის შემდგომ, პრესკონფერენციაზე სააკაშვილი ისეთი დაძმარებული გამოჩნდა, გეგონებოდა, დოქტორმა დოტმა მორიგ მასაჟსა თუ სიამოვნებაზე უარი უთხრაო.

თავდაპირველად, მიშარასტული მედიის მიერ ატაცებულ ტერმინთან — „ოკუპაციასთან“ დაკავშირებით — აქაოდა, ობამამ და კლინტონმა სიტყვა „ოკუპაცია“ ახსენეს და ხვალ დილით ისღა გვაქვს მოსაფიქრებელი, ჯერ ცხინვალში შევიდეთ თუ სოხუმშიო.

**„ტერმინ „ოკუპაციის“ გამოყენება პრობლემას არ წარმოადგენს,** — ღირსეული ქვეყნის ღირსეული წარმომადგენლისთვის შესაფერი ღირსების შეგრძნებით განაცხადა საფრანგეთის მთავარმა დიპლომატმა, — **მაგრამ ეს პრობლემას ვერანაირად ვერ მოაგვარებს. ჩვენ, უკვე ათეული წლებია, ამ ტერმინს პალესტინასთან მიმართებაში ვიყენებთ, მაგრამ ტერმინი ტერმინად რჩება, პრობლემა კი — პრობლემად“.**

გაიგონეთ, მიშარასტებო?

ამის გაგონება იყო და მიშიაკურმა ტელემედიამ „ოკუპაციასთან“ დაკავშირებით ჭყლოპინი სასწრაფოდ შეწყვიტა. თუმცა ამ ტერმინის ხსენება-არხსენება რომ მეათეხარისხოვანი საკითხია, ამას მიშიაკებიც კი ხვდებიან, ნორმალურ ხალხზე რომ აღარაფერი ვთქვათ. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, კუშნერმა საქართველოში დემოკრატიის არარსებობაზე რომ გაამახვილა ყურადღება და რუსეთთან საუბარში ტონალობის შეცვლისკენ რომ მოგვიწოდა.

**„ქართველები დემოკრატიით უნდა დაკავდეთ. მე არ შემიძლია თავს მოგახვიოთ დემოკრატია, ამისკენ თავად უნდა იაროთ. აუცილებელია საქართველოში დაცული იყოს ადამიანის უფლებები, არჩევანის თავისუფლება; სიტყვისა და მედიის თავისუფლების პრობლემა უნდა მოგვარდეს. გარდა ამისა, თქვენს ქვეყანაში ოპოზიციის ელემენტარული უფლებები მაინც უნდა იყოს დაცული“,** — განაცხადა კუშნერმა.

ესეც თქვენ „დემოკრატიის შუქურა“...

ესე იგი, საქართველოში არც დემოკრატიაა (და როგორც კუშნერი სამართლიანად ამბობს, არც დიდი ლტოლვა გვაქვს დემოკრატიისკენ, მაინცდამაინც), არც ადამიანის უფლებებია დაცული, არც არჩევანის თავისუფლება და არც ოპოზიციისა. აბა, რას უგალობდა ჰილარი კლინტონი?

რას იზამ. საფრანგეთი მაინც ხვდება, რა დღეშია საქართველო და რა ცუდია, რომ ეს ბედკრული ქვეყანა ამერიკის პროტექტორატის ქვეშაა და არა — ბასტილიის ამღები ხალხისა.

ამ ვიზიტით საფრანგეთმა (სხვათაშორის, ეს ის ქვეყანაა, რომელმაც აგვისტოს ომის დროს ამერიკაზე გაცილებით მეტი გააკეთა თბილისისკენ მომავალი რუსული ტანკების შესაჩერებლად) კიდევ ერთხელ უკვე ღია ტექსტით და საკმაოდ მკვახედაც გვითხრა, რომ რუსეთთან ლანძღვა-გინების ენით საუბარი დაუშვებელია და ისევ ჩვენთვისაა უკეთესი, თუ შეურაცხმყოფელი რიტორიკიდან ნორმალურ საუბარზე გადავალთ. **„თაფლით გაცილებით მეტ ბუზს მოკლავთ, ვიდრე ძმრით“, — განაცხადა ბერნარ კუშნერმა.** ძნელი სათქმელია, შესაძლოა, კუშნერი სწორედ იმ ძმარს გულისხმობდა, რომელიც ამ სიტყვების მოსმენისას მიხეილ სააკაშვილს სდიოდა ცხვირიდან.

**სალვადორ დვალი**

# სააკაშვილის სამხრეთკავკასიური დეჟავიუ და ვიზიტები «ვეიმარის სამკუთხედიდან»

**18 ივლისს ბათუმს ერთდღიანი ვიზიტით ეწვია აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი. თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილს უყვარს, სტუმრებს „თვალები დაუბნელოს“ ავლაბრის რეზიდენციით და, ევროპელებისგან განსხვავებით, აზიელები ძალიან აფასებენ სიმდიდრესა და ფუფუნებას და, ჰილარი კლინტონისგან განსხვავებით, არც კითხვებს დასვამდნენ თანხების წარმომავლობის შესახებ, ამიტომ ბათუმის არჩევა შეიძლება ცოტა მოულოდნელი იყო. თუმცა პასუხი შეიძლება ზედაპირზე იყოს — ბათუმში ყველგან თურქული ისმის და იქაურ სასტუმროებს თურქები აშენებენ, თანაც ის აეროპორტი, სადაც ალიევის თვითმფრინავი დაეშვა, თურქეთის შიდა განრიგშია და მხოლოდ სახელადაა ჩვენი!**



მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არ არის. ამ დღეებში გავრცელდა სენსაციური ცნობა, რომ სომხეთში ტარდება ნატოს წვრთნები და მასში, ძირითადად, თურქი სამხედროები მიიღებენ მონაწილეობას. ამის გამო კი თურქეთი საზღვარს ხსნის, რომელიც სომხების მიერ ყარაბაღის ოკუპაციის გამო ჩაკეტეს. ხოლო საზღვრის აქეთა მხარეს რუსი მესაზღვრეები დგანან და ნატოს ტექნიკის მოძრაობას „თავის“ ტერიტორიაზე მშვიდად უყურებენ.

შეუძლებელია, ეს არ აღელვებდეს ალიევს. გარდა ამისა, არსებული, მაგრამ უმოქმედო რკინიგზა ამერიკელების მოთხოვნით პირდაპირ დაუკავშირდებოდა ერაყს და სამხედრო ტვირთებსა და პერსონალს გადაიყვანდა იქ. **სწორედ ამიტომ ახდენს ამერიკა კატეგორიულ ზეწოლას თურქეთზე, რომ რკინიგზაზე მოძრაობა აღდგეს. რუსებისთვისაც მისაღებია ეს, ვინაიდან მათი სამხედრო ბაზა, რომელიც გიუმრიშია (ყოფილი ლენინაკანი) ყარსისა და ერზრუმის გავლით ამ რკინიგზით დაუკავშირდებოდა შავ ზღვას ანალოგიური ტვირთებისა და პერსონალის გადასაყვანად, საიდანაც პირდაპირ სევასტოპოლში გადავიდოდნენ.**

ამიტომაც სააკაშვილმა ბევრი ილაპარაკა ყარსი-ახალქალაქის მშენებარე რკინიგზაზე, რომელიც ამის კონკურენტი პროექტია. აზერბაიჯანისთვის კი ძალიან მტკივნეულია სომხეთის ნატოსთვის გახსნა, რაც ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პერსპექტივას ნულამდე დაიყვანს.

**სააკაშვილი თავის ჩვეულ ფორმაში იყო და ისეთი გრანდიოზული გლობალური გეგმები წარადგინა, მაგალითად, ჩინეთის დაკავშირება ლონდონთან, რომ ოსტაპ ბენდერი შურით მოკვდებოდა.** აი, ალიევი კი ჩუმად იდგა და ყველაფერ ამას ფილოსოფიური გამომეტყველებით უსმენდა. საბოლოოდ შეთანხმდენ, ჩვენ ვიყოთ „სატრანზიტო დერეფანი“; აი, ისეთი, ალბათ, აეროპორტის ტერმინალებს რომ აკავშირებს. ოღონდ იმ დერეფნებში ხალხი არ ცხოვრობს, მხოლოდ უპასპორტო დევნილები სხედან ხოლმე იატაკზე...

**მაგრამ ყველაზე სენსაციური სააკაშვილის განცხადება იყო ქართულ-აზერბაიჯანული კონფედერაციის შექმნაზე, რაზეც ალიევს თავისი მოსაზრება არ გამოუთქვამს. ასეთი იდეა ოცი წლის წინათ ტრიალებდა ჰაერში საბჭოთა კავშირის დაშლისას, მაგრამ შემდეგ დავიწყებას მიეცა. ამ ცოტა ხნის წინათ ევროპიდან კვლავ ააღორძინეს ჩვენს რეგიონში არსებული კონფლიქტების გადაჭრის ეს გულუბრყვილო იდეა, ოღონდ, მათი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ექვს თანაბარსუბიექტიანი კონფედერაცია, ე.ი. აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და ყარაბაღი იღებდნენ იგივე სტატუსს, რასაც, ვთქვათ, საქართველო! შვეიცარიისგან განსხვავებით, სადაც ოთხი სახელმწიფო ენაა, ჩვენ გვექნებოდა ექვსი სახელმწიფო ენა და ა.შ. თან ჩვენ ერთხელ უკვე გავიარეთ ეს 1918 წელს, მთელი ერთი თვის განმავლობაში ვერაფერზე რომ ვერ შევთანხმდით, სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდით. ასე რომ, ჩვენგან „კავკასიის შვეიცარია“ (როგორც მაშინ უწოდებდნენ) ვერც მაშინ შედგა და ეს ფაქტიურად აფხაზეთის, ოსეთისა და ყარაბაღის ცნობა იქნებოდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“!**

რახან ნატო ვახსენეთ, ამ დღეებში დიდი სენსაცია იყო გერმანიის საგარეო საქმეთა საბჭოს დირექტორის — **ალექსანდრე რარის განცხადება, რომ გერმანიაში უნდათ რუსეთი ნატოში გაწევრდეს, რითაც მომავალში ყოველგვარი კონფრონტაციები და დაპირისპირები გამოირიცხება.** როგორც ჩანს, ამითაა გამოწვეული პუტინისა და მედვედევის რიტორიკის მოულოდნელი შერბილება. მაგრამ ორი დღის წინათ უფრო შორს წავიდა იტალიური გაზეთი; სტატიაში „რუსეთი და ნატო: ანგარებიანი ქორწინება“ ის ხუთ მიზეზს ასახელებს, თუ რატომ არის აუცილებელი რუსეთის ნატოში შესვლა. მაგრამ ჩვენც „დაგვამშვიდეს“, რომ, **თუ საქართველოს უნდა ნატოში გაწევრება, დაელოდოს იქ რუსეთის შესვლას და მერე პრობლემა არ ექნებათო. გაუგებარია, რა ბედი ელის ამ იდეას, მაგრამ ჯერ კიდევ 1952 წელს სტალინმა სურვილი გამოთქვა, ნატოში გაწევრების შესახებ, მაგრამ უარი მიიღო.**

ევროპის პოლიტიკაში ახალი ტერმინი გაჩნდა — „ვეიმარის სამკუთხედი“, რომელშიც საფრანგეთის, გერმანიისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები შედიან. აქედან ორი მათგანი სწორედ წინა კვირაში სტუმრობდა საქართველოს. ამიტომ, ალბათ, მესამესაც — გიდო ვესტერველესაც უნდა ველოდოთ, რომელიც ამჟამად ლავროვის სტუმარია. თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს სამივე აქ ჩამოსვლამდე ჯერ პარიზში შეხვდნენ ლავროვს და სპეცმესიჯი ჩამოუტანეს სააკაშვილს.

რაც შეეხება ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ (ევროკომისარ) კეტრინ ეშტონის ვიზიტს, სააკაშვილმა და ქართულმა ელექტრონულმა მედიამ ძალიან ოპტიმისტური ინტერპრეტაცია გაუკეთა მას; მაგალითად, ორ წელიწადში უვიზო რეჟიმის შესახებ და ა.შ. აი, რას წერს ფრანგული **„Le Monde“** 2 ივნისის ნომერში, სათაურით **„ევროკავშირი ინტერესს კარგავს „აღმოსავლეთის პარტნიორობისადმი“:**

## „კავკასიის ამ შორეულ ქვეყნებს, რომლებიც რუსეთის საზღვრებთანაა, ევროკავშირში გაწევრების არავითარი პერსპექტივა არ აქვთ“!

სხვათაშორის, კუშნერმაც თბილისში თავის პრესკონფერეციაზე საკმაოდ მკაცრი ტონითა და არადიპლომატიურად ასეთი რამ თქვა: **„ევროკავშირში არ მიგიღებთ, თუ თუნდაც ერთი ადამიანის უფლებებს დაარღვევთ!“.** შეძლებს კი სააკაშვილი თავისი ნულოვანი ტოლერანტობის ალაგმვას? მაშ, რატომ ატყუებენ ხალხს ასე სისტემატიურად? ბევრი ხომ იჯერებს ამ ტყუილებს? ზევით ციტირებულ სტატიაში არის ასეთი ფრაზაც: **„ობამას მარტო სომხეთი აინტერესებს“.** როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

აი, სააკაშვილი კი ბელორუსის ტელევიზიისადმი მიცემილ ინტერვიუში ასეთ ფრაზას ამბობს: **„ევროპელები მედიდურად გვიყურებენ“** (ეს კუშნერის ვიზიტის მეორე დღეს იყო), თუმცა მან (მიშამ) ჩვენი ევროპელობა ჩვენი ღვინის სმის სიყვარულით „დაასაბუთა“ და იქვე დაამშვიდა ევროპა **„ჩვენი ნუ გეშინიათო!!!“.**

საერთოდ ეს ინტერვიუ ძალიან ლირიულად წავიდა, თუმცა ეჭვი გამოითქვა, რომ, ალბათ, ცენზურის გავლენით ბელორუსის ტელევიზიამ ამოჭრა ანტირუსული რიტორიკა. სამაგიეროდ,

**სააკაშვილმა ყველა გაამხიარულა თავისი განცხადებით, რომ მას ძალიან უყვარს და ზეპირად იცის პუშკინის, ლერმონტოვის, ბროდსკისა და ესენინის პოეზია. თუ ეს ასეა, რატომ ქართველ ბავშვებს არ ასწავლიან მათ? და კიდევ ძალიან სასიამოვნო იყო მოსასმენად, რომ თურმე სააკაშვილს უყვარს ქალაქში დაცვის გარეშე სიარული (!!!), არ უყვარს ჭამა-სმა და ა.შ. მოკლედ, ასეთ პრეზიდენტს, ალბათ, ბელორუსებიც ინატრებდნენ და წაიყვანონ, თუ უნდათ.**

მედვედევმა ამ ინტერვიუს მეორე დღეს განაცხადა, რომ რუსეთი წლის ბოლომდე გაწევრდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ბელორუსი მისთვის „ბალასტია“ (ადრე ისინი ერთად აპირებდნენ იქ შესვლას). სააკაშვილმა კი ამ საკითხთან დაკავშირებით მეოთხედ თუ მეხუთედ შეცვალა თავისი პოზიცია. ის სახელისუფლო „ექსპერტები“ კი, რომლებიც სულ გვიმტკიცებდნენ, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არ უნდა შევუშვათო, და ბელორუსს „ფერად რევოლუციას“ ჰპირდებოდნენ, ახლა ჩუმად არიან.

**რამაზ კლიმიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ჰამლეტ ჭიპაშვილი: არსებობს საფრთხე, რომ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა ევროპამაც აღიაროს და ამერიკამაც

## ჩვენს გასაკეთებელს კლინტონები და კუშნერები ვერ გააკეთებენ

**საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — ბერნარდ კუშნერის საქართველოში ვიზიტისა და ზოგადად ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ გვესაუბრება ექსპერტი ჰამლეტ ჭიპაშვილი.**






**— ბატონო ჰამლეტ, გასულ კვირას „ევროპის სახლში“ დიპლომატებთან გამართულ შეხვედრაზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბერნარდ კუშნერისგან ერთობ საინტერესო განცხადებები მოვისმინეთ. მან თქვა, რომ რუსეთის მიმართ ტერმინ „ოკუპაციის“ გამოყენება, რომელიც მის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე შარდენის ქუჩებში მოსეირნე ჰილარი კლინტონს „შთაეგონა“, საქართველოს პრობლემებს ვერ მოუგვარებს. თქვენი აზრით, რა იგულისხმებოდა ამ განცხადებაში?**

— უპირველესად, ვიტყვი იმას, რომ კუშნერი, ამ შემთხვევაში, გაცილებით უფრო დიპლომატიურად მოიქცა, ვიდრე — ჰილარი კლინტონი. მეტიც, ეს უკანასკნელი, იმის მიუხედავად, რომ იგი პრეზიდენტობის კანდიდატიც იყო, საბოლოოდ მაინც ვერ ჩამოყალიბდა სერიოზულ დიპლომატად, რაშიც თბილისში ვიზიტით ყოფნისას მის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმაც დაგვარწმუნა...

**მისგან განსხვავებით, კუშნერმა ბევრად უფრო მოქნილად, მოხერხებულად აუარა გვერდი ევროპელ დიპლომატთათვის იმ მეტად საჩოთირო თემას, რასაც რუსეთის მიმართ ტერმინ „ოკუპაციის“ გამოყენება ჰქვია. ამით მან კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მათსა და თეთრი სახლის მესვეურთა შორის სერიოზული უთანხმოებაა, რადგან, ამერიკისგან განსხვავებით ევროპელები, როგორც ჩანს, არ მიიჩნევენ, რომ რუსეთი ოკუპანტია.**

მეორე, რაც ასევე შეიძლება ნაგულისხმევი ყოფილიყო იგივე კუშნერის განცხადებაში, ის არის, რომ ამ ტერმინის — **ოკუპაციის** ჯიუტად აჩემება ჩვენი პოლიტიკოსების მხრიდან (რაც დღესდღეობით სახეზე გვაქვს) ყველა დონეზე და ყველა ასპარეზზე დიპლომატიური თვალსაზრისით ჩვენთვისვეა წამგებიანი, ვინაიდან ეს არათუ პრობლემებს ვერ მოგვიგვარებს, არამედ ამით კიდევ უფრო ღრმა პოლიტიკურ ჩიხში შევა ჩვენი ქვეყანა და ერთი-ორად გაგვირთულდება ის მდგომარეობა, რომელშიც ახლა ვიმყოფებით. ეს გარდაუვალია და ამიტომაც მოგვიწოდა, პირდაპირ თუ ირიბად, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაც, სიტყვა **ოკუპაცია** დაივიწყეთ და თქვენი პრობლემების მოსაგვარებლად სხვა გამოსავალი ეძებეთო, თუმცა ნათქვამია: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“...

**— სხვათაშორის, კუშნერმა ისიც გვითხრა, ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ რუსეთთან დიალოგი აუცილებლად უნდა დაიწყოთო...**

— დავიწყოთ ერთია, მაგრამ მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად მოხერხდება ეს ამ ხელისუფლების პირობებში. ჩვენ ვხედავთ, რომ სააკაშვილს ეს არ შეუძლია და დიდად არცაა ამით დაინტერესებული, რამეთუ მისთვის დასავლელ პოლიტიკოსთა თითოსაათიანი ვიზიტებიც სავსებით საკმარისია, თავი ბედნიერად რომ იგრძნოს...

**ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და, მე ვიტყოდი, დამაიმედებელი იყო პირადად სააკაშვილისთვის ჰილარი კლინტონის ვიზიტი, ვინაიდან სხვა არავითარი მიზანი მის საქართველოში ჩამოსვლას არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ამით ვაშინგტონმა კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა პიროვნულად სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური კურსისადმი, ოღონდ ეს არის არა პირდაპირი და ღია მხარდაჭერა, არამედ, ასე ვთქვათ, ერთგვარი ორმაგი თამაში იგივე ამერიკის მხრიდან რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკის პარალელურად.**

გარდა ამისა, ამ ვიზიტმა ჩვენ, საზოგადოება, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ამერიკას სრულიად არ აინტერესებს საქართველოს შიდა პროცესები, ანუ რამდენად სწრაფად ვითარდება აქ დემოკრატია, რამდენად სწორად მართავს სააკაშვილი ქვეყანას, რა პირობებში ამყოფებს იგი მოსახლეობას და, რაც ყველაზე მთავარია, არის თუ არა მისი მმართველობა დიქტატურისკენ გადახრილი.

**ერთადერთი ინტერესი, რაც ვაშინგტონს ჩვენი ქვეყნის მიმართ გააჩნია, ის არის, რომ მას აქ უნდა ჰყავდეს მის ნებისმიერ, თუნდაც ჩვენთვის დამღუპველ, პოლიტიკურ მითითებათა უსიტყვოდ შემსრულებელი ხელისუფლება. სააკაშვილი ამ ფუნქციას ჯერჯერობით „ბრწყინვალედ“ ასრულებს და, შესაბამისად, იგი, როგორც გითხარით, სარგებლობს კიდეც თეთრი სახლის მესვეურთა უპირობო მხარდაჭერით...**

სწორედ ამ ინტერესიდან გამომდინარე იყო ის ხოტბა, რაც ჰილარი კლინტონმა ჩვენს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, კერძოდ კი სააკაშვილს შეასხა.

**— ესე იგი, გამოდის, რომ ამ ხელისუფლებას ყველა პრობლემა მოხსნილი აქვს, თუ მას ვაშინგტონი უპირობო მხარდაჭერას უცხადებს.**

— შიდა პოლიტიკურ ასპარეზზე ნამდვილად ასეა და ამას ვხედავთ კიდეც თუნდაც იმ ათასგზის გაყალბებული არჩევნების სახით, რომელსაც ამერიკა, როგორც წესი, ყოველთვის აღიარებს ხოლმე დემოკრატიულად, მაგრამ სხვა საკითხია საგარეო პოლიტიკა.

**დღეს საქართველო, ფაქტობრივად, მოქცეულია საერთაშორისო იზოლაციაში, რაც განპირობებულია სწორედ იმ არასწორი, არაადეკვატური საგარეო კურსით, რომელსაც ეს ხელისუფლება, კვლავ ვიმეორებ, ვაშინგტონის წაქეზებით ახორციელებს.** ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რაც დასაწყისში მოგახსენეთ — სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა თეთრი სახლის მითითებები ზედმიწევნით შეასრულოს, სამაგიეროდ კი იგივე თეთრი სახლისგან იღებს ხელისუფლებაში ყოფნის ხელშეუხებლობის გარანტიას, რაც მისთვის — სააკაშვილისთვის — ყველაზე და ყველაფერზე მნიშვნელოვანია.

**— თუ დღეს საქართველო, როგორც ექსპერტთა დიდი ნაწილი და ოპოზიციის წარმომადგენლები ხშირად აცხადებენ, საერთაშორისო იზოლაციაშია მოქცეული, როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ორი გავლენიანი პოლიტიკოსი ეწვია ვიზიტით?**

— ესეც იმ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც ამერიკა ჩვენ მიმართ ატარებს და რომლის მიზანიც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სააკაშვილის უპირობო მხარდაჭერაა. ვაშინგტონმა, უბრალოდ, ყველაფერი გააკეთა, რათა მისი მოკავშირე ევროპულ სახელმწიფოთა ყურადღება მიპყრობილიყო საქართველოსთან ურთიერთობის გააქტიურებისკენ. სწორედ ამის შედეგია ის ვიზიტები და, ასე ვთქვათ, დიპლომატთა ვარსკვლავთცვენა, რაც ამ დღეებში ვიხილეთ — ჩამოვიდნენ: საფრანგეთის, პოლონეთის, ლუქსემბურგისა და ევროსაბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრები, რომელთა განცხადებებშიც, სიმართლე გითხრათ, მე პირადად საინტერესო და მნიშვნელოვანი ვერაფერი მოვისმინე...

**— გასაგებია, მაგრამ, გარდა იმისა, რაც თქვენ აღნიშნეთ, კიდევ რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს ამერიკას ჩვენ მიმართ ევროპის ქვეყნების გააქტიურებაში?**

— ვფიქრობ, ვაშინგტონის დირექტივა მის მოკავშირე სახელმწიფოთა მიმართ, ასეთია — მოსინჯეთ საქართველოს ხელისუფლებასთან მისი რუსეთთან დალაპარაკების შესაძლებლობა... თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკა ამ საკითხს ერთობ პესიმისტურად უყურებს, ანუ მან ძალიან კარგად იცის, რომ კრემლი სააკაშვილს არასოდეს დაელაპარაკება, რასაც მედვედევიცა და პუტინიც თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აცხადებენ ხოლმე...

**— ცოტა არ იყოს, გაუგებარია, თუ ამერიკა დარწმუნებულია, რომ ჩვენსა და რუსეთს შორის ამ ხელისუფლების პირობებში მოლაპარაკება ვერ შედგება; მაშ, რატომ იჩენს ამხელა ძალისხმევას ამ პრობლემის მოსაგვარებლად?**

— საქმე ისაა, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაიჭრას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი. ამისთვის კი, პირველ რიგში, საჭიროა, საბოლოოდ გაირკვეს, რა შანსები არსებობს ჩვენსა და ამ რეგიონებს შორის მოლაპარაკებათა დასაწყებად.

**ვფიქრობ, ევროპელ ლიდერთა გახშირებული ვიზიტებიც საქართველოში სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ ეს პროცესი მაქსიმალურად დაჩქარდეს, რათა საბოლოოდ, თუ აღმოჩნდება, რომ აფხაზებსა და ოსებს ჩვენთან დიალოგი არ სურთ, მათ სათქმელი ჰქონდეთ, — რა ვქნათ, ყველანაირად ვეცადეთ, მაგრამ ამ ხალხს თქვენთან ცხოვრება არ უნდათო. ეს უკვე ცალსახად მიგვანიშნებს კოსოვოს პრეცენდენტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს საფრთხე, ადრე თუ გვიან სოხუმი და ცხინვალი ევროპამაც აღიაროს და ამერიკამაც.**

**— კი, მაგრამ „თეთრი სახლი“ ხაზგასმით აცხადებდა და დღესაც აცხადებს, აფხაზეთსა და ოსეთთან მიმართებაში კოსოვოს პრეცენდენტის გამოყენება შეუძლებელიაო...**

— აცხადებს ერთია, მაგრამ ობიექტურად რომ შევხედოთ, არავითარი განსხვავება ამ რეგიონებს შორის არ არის. პირიქით, გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ეს შემთხვევები ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — რა გარანტია გვაქვს, რომ ჩვენთან მიმართებაშიც იგივე ფორმულას არ გამოიყენებენ, რაც სერბეთთან იქნა დაშვებული? მით უფრო, რომ აფხაზეთიც და ოსეთიც უკვე აღიარა ოთხმა სუვერენულმა სახელმწიფომ, რაც, დამეთანხმებით, ძალიან ბევრს ნიშნავს...

**— ანუ საბოლოოდ მაინც იქამდე მივდივართ, რომ ჩვენი რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება ამერიკის „დამსახურებაა“...**

— რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი უბედურება, ამერიკის „დამსახურებით“, წაქეზებითა და წაყრუებით ჩვენ დავიწყეთ 2008 წლის აგვისტოს ომიც, რამაც, შეიძლება ითქვას, განმგმირავი ლახვარი ჩასცა ჩვენს განვითარებას აბსოლუტურად ყველა თვალსაზრისითა და მიმართულებით.

**— კი მაგრამ, რაში სჭირდებოდა ამერიკას ეს ომი?**

— უბრალოდ, ეს იყო პროვოკაცია რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც, ამერიკის გათვლით, უნდა გადაზრდილიყო მრავალწლიან სამხედრო დაპირისპირებაში. ეს ყველაფერი მიზნად ისახავდა მუდმივ დაძაბულობას, დესტაბილიზაციას მთლიანად კავკასიის რეგიონში, რასაც უნდა შეერყია რუსეთის პრესტიჟი საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. ჩვენდა საბედნიეროდ, ეს პროვოკაცია რუსეთმა დასაწყისშივე ჩაახშო, თორემ, ომი რომ დიდხანს გაგრძელებულიყო, დღეს უკვე დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე კი არ ვიფიქრებდით, არამედ — ფიზიკურ გადარჩენაზე...

**— დავუბრუნდეთ ისევ კუშნერის განცხადებებს. ვიზიტის დასასრულს მან მოგვიწოდა, ქართველები დემოკრატიით უნდა დაკავდეთო. როგორ გავიგოთ ეს განცხადება, სხვა ყველაფერს შევეშვათ და სიზმარშიც სიტყვა დემოკრატიას უნდა ვაბოდებდეთ თუ ქალაქის რომელიმე ცენტრალურ მოედანზე ძეგლი დავუდგათ კაცობრიობის ამ უდიდეს მონაპოვარს?**

— ეს ძალიან საგულისხმო და საყურადღებო განცხადება იყო იმ თვალსაზრისით, რომ ამით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ფაქტობრივად, მიგვანიშნა, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, დიდ პოლიტიკასა და პოლიტიკურ პროცესებში ადგილი არ არისო.

გარდა ამისა, ვფიქრობ, ამ განცხადების ადრესატი ჩვენი საზოგადოებაც იყო, ანუ კუშნერმა, პირდაპირ თუ ირიბად, მოგვიწოდა, შიდაპოლიტიკური პრობლემები ცივილიზებულად მოაგვარეთ, მაგრამ ისიც იცოდეთ, რომ, სანამ არჩევნების დროს კომბოსტოზე, სტაფილოსა და ორ ტომარა პურის ფქვილზე იყიდებით, ამას ვერასოდეს ვერ შეძლებთო...

ერთი სიტყვით, ბევრი რამ შეიძლება ყოფილიყო ამ განცხადებაში ნაგულისხმევი, მაგრამ მთავარი სათქმელი აბსოლუტურად გასაგებია — საქართველო, ძირითადად, ორიენტირებული უნდა იყოს შიდა პროცესებზე და არა ისეთ გლობალურ საკითხებზე, რომელთაც ჩვენი „ყოვლისშემძლე“ ხელისუფლება ეჭიდება ხოლმე...

**— ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ არავინ არაფერს ამბობს გამოსავალზე. ყველა გვეუბნება, რომ რაღაც არ ვარგა, რაღაც გამოსასწორებელია; რეალურად კი სახეზე გვაქვს ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც არაფრისდიდებით არ იცვლება.**

— გამოსავალი, თეორიულად, ძალზე მარტივია — დღეს საქართველო რა პოლიტიკასაც ატარებს, ჩვენთვის დამღუპველია და, სანამ ეს არ შეიცვლება, ვერც ერთ პრობლემას ვერ გადავჭრით, ვერც რუსეთთან მოვაგვარებთ ურთიერთობას და ვერც აფხაზებთან და ოსებთან.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენს გასაკეთებელს კლინტონები და კუშნერები ვერ გააკეთებენ, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული და, თუ სწორად მოვიქცევით, ვფიქრობ, ჯერ კიდევ შეიძლება საქართველოს გადარჩენა, გამოყვანა იმ კრიზისული მდგომარეობიდან, რომელშიც ვიმყოფებით...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «მდგრადი განვითარების» ვერონიკები

**ამოისუნქა, როგორც იქნა, საქართველომ, მოიხსნა ორივე ჰემისფეროს დაძაბულობა, თავის ტვინის ხვეულებში ფიქრთა ზეგამტარობით გამოწვეული. მოდუნდა და მოეშვა: გავიგეთ, როგორც იქნა, გავიგეთ თვით ვერონიკა ქობალიას ბაგეთაგან ჟურნალისტებისთვის ნაუწყები, რას ნიშნავს „მდგრადი განვითარება“, რაც იმ სამინისტროს სახელშია ჩაგვირისტებული, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა მიართვა — მართე და იბატონეო.**



„მდგრადი“ ყოფილა „ძალიან კარგი“, ხოლო ორივე ერთად არის „ძალიან კარგი და მდგრადი“ გეგმა, რომელიც, აზრამასი არ იყოს, ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ სახელიც დარქმეული აქვს — საპრივატიზაციო — და შეფასებულიც არის — „ძალიან კარგი და მდგრადია“.

**პასუხი შეკითხვაზე — როგორ შეიძლება „მდგრადი“ იყოს ის, რაც ჯერ კიდევ შესადგენია, რაც მინისტრ ვერონიკას „ახლად დანიშნულ მოადგილე დავით გიორგაძესთან ერთად მზადდება“, ორგვარია.**

პირველი: სახარე ხბოს სასკორავში ეტყობაო.

მეორე: ამათი პიარმეთოდების პრიმიტიულობა, რომელიც მასობრივ გონებაჩლუნგობაზეა გათვლილი, ერთჯერად ეფექტზე, იხმარე ქაღალდის ხელსახოცი და გადააგდე — იმ წამს ხომ გამოგადგა!

აი, როგორც 7 მილიონად გაყიდული ყოფილი „ლეჩკომისიის“ შენობა: 7 მილიონი ეფექტია, მაგრამ როგორ და რანაირად წაადგება ქვეყნის ეკონომიკას, მინისტრმაც ისე იცის, როგორც მისმა „ახლადდანიშნულმა მოადგილემ“.

**ისეთი ერთჯერადი ეფექტია, როგორიც საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ კუშნერისთვის მოწყობილ ფეიერვერკს ჰქონდა.**

**ფრანგი დიპლომატი, როგორც გვითხრეს, „საქართველოში ჩამოვიდა საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად“ (?!).**

**იმდენი ჭრელა-ჭრულა მაშხალა ისროლეს 14 ივლისის ღამის ცაში, თითქოს ბასტილიის ციხე ხელმეორედ იყო დასანგრევი.**

**კუშნერმა ასწია ბოკალი მადლობის ნიშნად — შამპანურის შხეფები, რასაც მეორე დღეს სტუმრის არც თუ სასიამოვნო დარიგება მოჰყვა სიტყვა „ოკუპანტებთან“ დაკავშირებით: ერთი სიტყვა ვერ მოგიგვარებთო პრობლემას.**

**ეფექტიც აქ დამთავრდა.**

თუ რამეა „მდგრადი“ საქართველოში, გაუგებარი კადრების „მდგრადი“ ცვალებადობაა მინისტრების პოსტებზე, გააზნაურებულ მდაბიოთათვის ქვეყნის მართვის უფლების მიცემა, მაკარ ტყუილკოტრიაშვილის ოცნების ახდენა — გაკნეინება პირმშვენიერი ქეთოსი.

მიდი, ხანუმ, განაგრძე! ოღონდ ჩუმად, არვინ გაგვიგოს!.. რაღა ჩუმად, იცინის მთელი ქვეყანა, მინუს „უმრავლესობა“, პურის მცხობლის ოჯახზე აქცენტირებული ახირებულობის გამო.

**გასულ კვირას გავრცელებული ინფორმაციით, ვერა ქობალიას სისხლისმიერი დაი ნინა აჭარის ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელად ინიშნება. სააგენტოს სახელმწიფო დააფინანსებს. თუ პრეზიდენტი სრულიად საქართველოს ტურბიუროს ხელმძღვანელობას ითავსებს, ნინას ადგილი პრეზიდენტობას უთანაბრდება აჭარის მასშტაბით.**

რა მოხდა ასეთი ზებუნებრივი?

ზუსტ მეცნიერებათა გამორჩეული კადრების სამჭედლო საბჭოთა დუბნასა და ამერიკის სილიკონის ველის კვლევითი ლაბორატორიების ერთ კვადრატულ მეტრზე იმდენი უნიკუმები არ გამოუზრდიათ, რამდენიც საქართველოდან კანადაში ემიგრირებული ერთი ინდმეწარმის ოჯახს.

**ორი კონკია ზღაპრისთვისაც მეტისმეტია.**

**მაგრამ, როცა „ზღაპარს სინამდვილედ ვაქცევთ“, ასეთი მოულოდნელობები, ეტყობა, ნორმაა.**

ჩვენ კი გვიკვირს, როგორ შეიძლება იყოს „ძალიან კარგი და მდგრადი“ ის, რაც მხოლოდ მზადდება.

თუნდაც — გეგმა...

**არმაზ სანებლიძე**

# სააკაშვილმა და ლუკაშენკომ ერთმანეთი იპოვეს

**„მე ვეუბნებოდი პუტინს: ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ, მე, შესაძლოა, საქართველოს ბოლო ან ბოლოსწინა ლიდერი ვარ, რომელსაც დაუსრულებლად შეუძლია თქვენთვის პუშკინის, ლერმონტოვის, ბროდსკისა და ესენინის ციტირება; მიყვარს თქვენი კულტურა, პოეზია, ლიტერატურა, საერთოდ თქვენი ხალხი; თაობები შეიცვლება და, გაუცხოების გამო, ახალი ხელმძღვანელობა საერთოდ აზრზე არ იქნება, რა არის რუსეთი და სად მდებარეობს ის“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ინტერვიუში ბელორუსის ტელევიზიასთან. ისე, ამქვეყნად პოეტური კრებულების გარდა, არსებობს ისტორიის სახელმძღვანელოები, რომლებიც ერთხმად ღაღადებენ, რომ, თუ ვინმე ივიწყებს, რა არის რუსეთი და სად მდებარეობს ის, ამას აუცილებლად შეახსენებენ ან დელიკატურად, ან კიდევ...**
**ეს რეალობაა, რომელსაც წარსულში ვერავინ გაექცა და, ალბათ, მომავალშიც ვერავინ აუვლის გვერდს.**




## ის არ წერს ლექსებს, ლექსი თვითონ წერს

ინტერვიუს დროს, სააკაშვილის ზურგს უკან, ბუხარზე, ბელორუსული წარმოების ალკოჰოლური სასმელის სუვენირის მაგვარი ყუთი იდო. ალბათ, ჟურნალისტმა ჩამოუტანა. მათ, ვინც ინტერვიუს ყურადღებით უსმენდა, შესაძლოა, მოეჩვენა კიდეც, რომ ბოთლი ყუთში აღარ დევს და ის დანიშნულებისამებრ მოიხმარეს; დიალოგის აუტანელ სიმსუბუქეს იოლად შეეძლო ეჭვიანი დამკვირვებელი ასეთ დასკვნამდე მიეყვანა.

**მიხეილ სააკაშვილი: „ბელორუსის თემასთან დაკავშირებით ყველაზე დიდ ევროპულ გაზეთში სტატიის გამოქვეყნებას ვგეგმავ. გაჩუმებას არ ვაპირებ. იმ ხალხს, ვინც დღე და ღამ ისტერიულად ცდილობს საქართველოში სიტუაციის დაძაბვას, არაფერი გამოუვა. იგივე ხალხი დაბეჯითებით ცდილობს, რომ მინსკში დიქტატორული რეჟიმი შეინარჩუნოს“.**

ნუ აღელდებით, ეს გასული კვირის ინტერვიუ არ არის, ეს 2006 წლის მარტია, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება ცდილობდა, ხელი ბელორუსში „ფერადი რევოლუციისთვის“ შეეწყო. მაშინ თბილისიდან მინსკში ისეთივე „დესანტის“ გაგზავნას ცდილობდა, როგორსაც წელს — უკრაინაში. მაშინაც ვრცელდებოდა სატელეფონო ჩანაწერები, სადაც მამაკაცის ხმა, რომელიც ერთობ ჰგავდა გივი ვასილიჩ თარგამაძის ხმას, გოროზად იმუქრებოდა, ოღონდ არა დონეცკის დამხობით, არამედ ოპოზიციის კანდიდატ ალექსანდრე მილინკევიჩთან ანგარიშსწორებით. **„ბელორუსი ჩვენი ახირება არ არის,** — ამბობდა მაშინ მიხეილ სააკაშვილი, — **ეს ფუნდამენტური საკითხია. დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკითხი ხალხის საბოლოო გათავისუფლებით და ევროპის გამთლიანებით დამთავრდება“.** თუმცა ბელორუსში „ფერადი რევოლუციონერები“, მათივე ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, „გაფარჩაკდნენ“ და, სხვათაშორის, იმ მომენტიდან მუდამ „ჩარეცხილ“ მდგომარეობაში იმყოფებიან. სიტყვამ მოიტანა, და ის ფილოლოგი, რომელიც მომავალში სააკაშვილის დროინდელ სახელისუფლო ჟარგონს აღწერს, როგორც ეს ვიქტორ კლემპერერმა „მესამე რაიხთან“ დაკავშირებით გააკეთა, მომავალ თაობებს ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს; წიგნის სათაური შეიძლება (სიტყვაზე) „ჩასარეცხი ფარჩაკობა“ იყოს.

2006 წლის შემდეგ არც ისე ბევრმა წყალმა ჩაიარა, თუმცა ბევრი რამ ნამდვილად შეიცვალა. **„როდესაც მხარდაჭერა აუცილებელი იყო, ბელორუსი ყოველთვის გვიჭერდა მხარს“,** — ამბობდა მიხეილ სააკაშვილი, ვრცლად აღწერდა, როგორ იზიდავს ბელორუსი ქართველებს, რა კომფორტულია ფრენა მინსკის გავლით და ისე ტკბილად იღიმოდა, თითქოს ინტერვიუს წინ ორი კილო რაჰათ-ლუქუმი მიირთვა. **საუბრის მთავარ თემად რუსეთთან ურთიერთობები იქცა; დიმიტრი მედვედევთან, რომელსაც სააკაშვილმა უწოდა „Великий лидер великого государства“ და ვლადიმერ პუტინთან, რომელთანაც თურმე პოეზიით გაჯერებული რთული (სინამდვილეში, ნაჯახივით მარტივი) წიაღსვლების გამოყენებით საუბრობდა.**

იმედია, იქვე ნახსენებ „დაუსრულებელ ციტირებამდე“ საქმე არ მისულა; სააკაშვილის სხაპასხუპი ხომ სიტყვების დაბოლოებების ჩაყლაპვას გულისხმობს, რაც, ლექსის წაკითხვის შემთხვევაში, ალბათ, აუტანელი იქნებოდა. ავიღოთ რომელიმე, თუნდაც იოსებ ბროდსკის ციტატა და წარმოვიდგინოთ, როგორ გაიჟღერებდა ის სააკაშვილის შესრულებით:

„Конечно, эрцгерцог-монстр! Но как следует разобраться

— Нельзя не признать за ним некоторых заслуг...

„Рабы обсуждают господ. Господа обсуждают рабство. Какой-то порочный круг!“

„Нет, спасательный круг!“

თუმცა ჩვენ გაცილებით პროზაული საკითხები გვაინტერესებს. მაგალითად, თუ **რატომ დათბა ასე ურთიერთობები ერცჰერცოგსა და...** (აქ შეიძლება უაღრესად ორაზროვანი ხუმრობა გამოგვივიდეს; ისტორიკოსები უკვე მიხვდნენ. ასე რომ, კითხვა სხვაგვარად ჩამოვაყალიბოთ). **რამ გამოიწვია მოულოდნელი სიამტკბილობა სააკაშვილისა და ლუკაშენკოს ურთიერთობებში? ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ რებუსი, ერთი შეხედვით, მარტივი ჩანს.**

## მოკლული პაიკი, გაჭრილი კარტი

**სააკაშვილს კრემლთან უაღრესად რთული ურთიერთობა აქვს. ამ ბოლო დროს მოსკოვს ლუკაშენკოც (მერამდენედ?) დაუპირისპირდა. ამ გარემოებებიდან, რასაკვირველია, შესაძლებელია თბილისსა და მინსკს შორის დაახლოების ფორმულის გამოყვანა, თუმცა ის, ალბათ, მეტისმეტად ზედაპირული იქნება, რადგან ამ ორ შემთხვევაში დაპირისპირების არსი სხვადასხვაგვარია.**

ბელორუსი რუსეთის გეოპოლიტიკური მოკავშირეა, გლობალური მასშტაბის ნებისმიერ პრინციპულ საკითხზე ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიან; ხოლო მათი მუდმივი კინკლაობა უმეტესად ეხება იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომელსაც ბელორუსი რუსეთთან პარტნიორობით ნახულობს. **მას შემდეგ, რაც მოსკოვის სატრანზიტო პროექტები** (უპირველესად, „ჩრდილოეთის ნაკადი“, რომელიც შეამცირებს ბელორუსის როლს რუსული ენერგომატარებლების ტრანზიტში) **გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ლუკაშენკო შეშფოთდა, რადგან არა მხოლოდ ამონაგებს დაკარგავს, არამედ მნიშვნელოვან ბერკეტსაც, რომელიც კრემლის პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენის შესაძლებლობას აძლევდა.** მიუხედავად იმისა, რომ ორმხრივი ურთიერთობები გართულდა, ეს პრობლემები გადაულახავი არ ჩანს; ადრე მხარეები მსგავს სიტუაციებში შეთანხმების მიღწევას ასე თუ ისე ახერხებდნენ.

**სააკაშვილის შემთხვევაში, საქმე სხვაგვარადაა: კრემლი მას გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის (ანგლო-საქსური სამყარო) წარმომადგენლად განიხილავს. სააკაშვილი არც არასოდეს მალავდა, რომ მისი საბოლოო მიზანი საქართველოს ნატოში გაწევრებაა (ამასთანავე, რუსეთის გვერდის ავლით ენერგო-მატარებლების ტრანზიტის უზრუნველყოფა). ეს კი სულ სხვა დატვირთვის მქონე დაპირისპირებაა (პირდაპირი მტრობა მოსკოვის გადასახედიდან), ვიდრე ლუკაშენკოსთან ვაჭრობა. ალიანსი, რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირესა და მოწინააღმდეგეს შორის საკმაოდ არაბუნებრივად ჩანს, ხოლო ის, რომ ბელორუსის ლიდერი კრემლის ერთგულ მოკავშირედ რჩება, საკმაოდ ნათლად ყირგიზეთის მოვლენების დროს გამოჩნდა.**

მოსკოვმა და მინსკმა გაითამაშეს კლასიკური სქემა, რომელსაც ოკეანის გაღმა „კარგი და ცუდი პოლიციელი“ ჰქვია, ხოლო გამოღმა „Подкидной дурак“-ს უწოდებენ ხოლმე. ხსენებული „დურაკის“ როლში ყურმანბეკ ბაკიევი მოგვევლინა. როგორც გახსოვთ, როდესაც ის ჩამოაგდეს, კრემლმა სწრაფად დაამყარა კონტაქტი ბიშკეკის ახალ მმართველებთან, ხოლო ლუკაშენკომ, პირიქით, დაიწყო ვრცელი მსჯელობა „კანონიერად არჩეულ პრეზიდენტზე“, მომხდარს ერთმნიშვნელოვნად ‚სახელმწიფო გადატრიალება უწოდა და სამშობლოდან გამოქცეულ ბაკიევს თავშესაფარი მისცა. ეს პირველი ეტაპი იყო.

**ჩვენ არ ვიცით, რა დაპირებებს იღებდა ბაკიევი მინსკში, ვინ და რისთვის ხვდებოდა მას, თუმცა მისმა ემისრებმა** ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**◀ მალევე დაიწყეს მუშაობა ყირგიზეთის სამხრეთით სიტუაციის არევაზე, რომლის საბოლოო მიზანი (მათთვის) ძველი რეჟიმის რესტავრაცია იყო. ამავე დროს, ყირიგიზეთის ახალი ხელისუფლება იმ, რომელიც დასაწყისში მოსკოვის მიმართ უაღრესად ლოიალური ჩანდა, „მრავალვექტორულობის“ (ორ სკამზე ჯდომის, ორი სალაროდან ფულის მიღების) ილუზიას წაეპოტინა. შესაბამისად, თამაშის მეორე ეტაპიც დაიწყო.**

უცაბედად, სრულიად შემთხვევით, მოულოდნელად (კიდევ რა სიტყვები დავამატოთ ზრდილობის გულისთვის) ყირგიზეთის სამხრეთით დაიწყო არეულობა ეთნიკურ ნიადაგზე, რომლის მიღმა მინსკში მჯდომი ბაკიევის აგენტები მოიაზრებოდნენ. ყირგიზეთის ახალმა მმართველობამ, როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ მათ მალე სარზე ჩამოაცვამდნენ (პირდაპირი მნიშვნელობით); როზა ოტუნბაევა რეკავდა კრემლში და ჯარების შემოყვანას ითხოვდა. ამავე დროს, ალექსანდრე ლუკაშენკომ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ქვეყნებს („ოდკბ“) გააცნო ბაკიევის წერილი, რომლითაც ის მოუწოდებდა, ყირგიზეთში ამ ორგანიზაციის ჯარები შეეყვანათ და ამ იდეას მხარი თვითონაც დაუჭირა.

**ყოველივე ამის შემყურე ვაშინგტონი დუმდა როგორც ინდიელი ბელადი ფილმიდან „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, რადგან რუსეთს მოვლენათა წარმართვის რამდენიმე სცენარი ჰქონდა და მისი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება ამ სიტუაციაში პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანდა. გამორიცხული არც ისაა, რომ ორ ზესახელმწიფოს შორის არსებობდა შეთანხმება, რომელიც ყირგიზეთში აშშ-ის აქტიურ ჩარევას გამორიცხავდა.**

ამ პროცესების დროს ბაკიევი მინსკში ბელორუსის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა (ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალია), ამასთანავე, მას ჰქონდა იმედი (ვინ აგულიანებდა?), რომ მისი ხელისუფლება „ოდკბ“-ს კონტინგენტის ხიშტებზე (ან აჯანყებულთა სარებზე) დაყრდნობით აუცილებლად აღდგება. ამ ორმა ფაქტორმა მისი მხრიდან დამატებითი მკვეთრი ნაბიჯების შესაძლებლობა გამორიცხა. ამ პერსპექტივამ, როგორც ჩანს, იმდენად დათრგუნა ბიშკეკში მსხდომი მოღვაწეები, რომ ისინი მზად იყვნენ, ხელი ყველაფერზე მოეწერათ.

**ბოლო ნაბიჯი ერთობლივ ოპერაციაში რუსეთის კიდევ ერთმა მოკავშირემ ყაზახეთმა გადადგა: ასტანადან გაისმა გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ, თუ ყირგიზული დომხალი გაგრძელდება, ყირგიზეთში ყაზახეთისა და უზბეკეთის ჯარები შევლენ და ქვეყანას პასუხისმგებლობის ზონებად დაყოფენ. შედეგი: კრემლის კონტროლი ყირგიზეთზე განმტკიცდა, თანაც ეს ჯარების გაგზავნის გარეშე მოხერხდა.**

ბაკიევი მინსკში, „სათადარიგოთა სკამზე“ დარჩა და კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ყირგიზეთის ახალი მმართველებისთვის „დამოკლეს მახვილის“ როლს შეასრულებს. ერთ-ერთი მთავარი როლი ამ ოპერაციაში „კარგმა (ან ცუდმა, რაკურსს გააჩნია) პოლიციელმა“ ალექსანდრე ლუკაშენკომ შეასრულა.

**საინტერესოა, რა გათვლებიდან გამოდის საქართველოს ხელისუფლება, როდესაც ლუკაშენკოსთან დაახლოებაზე მიდის? იმედია, თბილისში არავის ჰგონია, რომ მოსკოვისა და მინსკის წინააღმდეგობაზე თამაშს შეძლებს; ეს სულ სხვა თამაშია, რომლის წესები სააკაშვილის ხელისუფლებამ, უბრალოდ, არ იცის.** ისე, ურიგო არ იქნებოდა, დასაწყისისთვის კონსულტაცია ყირგიზ მეგობრებთან გაევლოთ (მომდევნო ფრაზა იკითხება ყირგიზული აქცენტით: მოგატყუებთ „Батька“, თან ვერც მიხვდებით, ისე...).

## ან ფერს იცვლის, ან – ზნესაო

**მეგობრობა იანუკოვიჩთან, აჰმადინეჯადთან, ლუკაშენკოსთან (ყოველ შემთხვევაში, სწრაფვა ამ მიმართულებით)... აი, კიდევ ეს გამონათქვამი: „Великий лидер великого государства“. მე თქვენ, უბრალოდ, ვერ გცნობთ, ერცჰერცოგო!** სად არის თქვენი პრინციპები, თქვენი, ასე ვთქვათ, იდეალები... თუ გულისხმიერმა ბერნარ კუშნერმა ჟიულ ვერნის სახელობის გლობუსი გაჩუქათ და მისი დათვალიერების პროცესში მიხვდით, რომელ კონტინენტზე ცხოვრობთ და ვინ არის თქვენი მეზობელი? თუმცა ამ თემის გავრცობა, ალბათ, არ ღირს, რადგან ჩვენს ქვეყანაში წაქცეულებს, პოლიციელების გარდა, არავინ ურტყამს.

**ის, რომ რუსეთთან ურთიერთობები დასალაგებელია, სააკაშვილს ყველამ უთხრა: ბერნარ კუშნერმაც, ჰილარი კლინტონმაც. ამის აუცილებლობა, ალბათ, ესმის მასაჟისტ გოგონასაც კი, მეტსახელად „დოქტორი დოტის“** (ჯანდაცვის მინისტრად ხომ არ დაგვენიშნა? დღევანდელი საკადრო პოლიტიკა, რამდენადაც მესმის, ასეთი გადაწყვეტილების შესაძლებლობას უშვებს. შეუხედავი გოგო ნამდვილად არ არის და, სავარაუდოდ, კარგი მენეჯერიც იქნება). **სააკაშვილის ხელისუფლებამ, ერთი შეხედვით, ეს რჩევები ყურად იღო;** გაჩნდა ინფორმაცია რიგი სტრატეგიული ობიექტების გაყიდვის შესახებ, რომელიც, რუსების გარდა, ძნელად წარმოსადგენია, ვინმემ იყიდოს, გაკეთდა განცხადებები, „მოლაპარაკებაზე წინაპირობების გარეშე“, დაიწყო გზების გაკაფვა რუსეთის მოკავშირეებთან, ლუკაშენკოსთან და იანუკოვიჩთან და ა.შ. თუმცა, სავარაუდოდ, ეს ქაოტური მოძრაობები ვერ შექმნის მყარ ნიადაგს რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად, რადგან მისთვის პრიორიტეტული სულ სხვა რამაა:

**ვიდრე საქართველო უარს არ იტყვის ნატოში გაწევრებაზე და შემდეგ ამას საკანონმდებლო დონეზე არ დააფიქსირებს, როგორც ეს ახლახან უკრაინამ გააკეთა, კონფორნტაცია, სავარაუდოდ, გაგრძელდება. მეტიც, კრემლი გამოიყენებს ყველა საშუალებას იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლება (ეს თუ მომავალი) ამ გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნოს.**

როგორც ჩანს, მხოლოდ „ნატოს პრობლემის“ მოხსნის შემდეგ შესაძლებელი გახდება საუბარი ყოვლისმომცველ ნორმალიზაციაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების საკითხსაც მოიცავს.

**დიმიტრი მონიავა**

# ავთანდილმა სააკაშვილს კონსტიტუცია შეუკერა




**ეს „კონსტიტუციის თერძი“ ავთანდილი ის კუტურიე ავთანდილი არ გეგონოთ. ეს დემეტრაშვილია, ის — ცქვიტინიძე. ეს კონსტიტუციებს კერავს, ის... ისიც კერავს, რა, ამასთან შედარებით ღლაპია და ისეთი რა უნდა შეკეროს, ცნობილ ბატონ ავთანდილს გაეტოლოს. 1995 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი, შემდგომ უკვე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობისას, ისეთი დუმილით ხვდებოდა მისი მდივნობით მიღებული კონსტიტუციის ჭრა-კერვას, რომ აღარავის გაჰკვირვებია კონფორმიზმის ამგვარი გამოვლინება და მანაც თავდაჯერებით მოარგო ახალი კონსტიტუცია მიხეილ სააკაშვილს. ამ უკანასკნელმაც კარგად უწყოდა „კონსტიტუციის თერძის“ კონფორმისტობის ამბავი და დიდი ფიქრი არ დასჭირვებია, ისე ჩააბარა სახელმწიფო მაკრატელი. შედეგიც მივიღეთ — როგორც ძიძიგური იტყოდა, უზარ-მაზაარი!**

ავთანდილ დემეტრაშვილის მხოლოდ ერთი ფრაზაა საკმარისი მთელი ამ „კონსტიტუციური ფარსის“ გამოსამჟღავნებლად. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის მოდელი ძალიან უახლოვდება კლასიკურ, ევროპულ საპარლამენტო მოდელს, თუმცა ნაციონალური ელემენტებიც არ დავიწყებიათ. მაგალითად, ასეთი „ნაციონალური ელემენტი“ ყოფილა... არა, სააკაშვილი არა, ეგ ნაციონალური არ არის, აი, მოუსმინეთ:

**„ქართული ეთნოფსიქოლოგიიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩეს, რადგან ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც მიიჩნევს, რომ ერთი პიროვნება აუცილებლად უნდა იყოს თამადა“,** — ამბობს დემეტრაშვილი.

გვაშაყირებს! ალბათ, პრეზიდენტისგან გადაედო. ის ხომ სულ გვეღადავება და ახლა ამანაც დაიწყო.

რა თამადა, რის მერიქიფე... **მაშ, როგორც თქვენ იტყვით, მასპინძელი ვინღაა „ამ ოჯახში“? აა, გასაგებია, მასპინძელი იქნება პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ექნება უდიდესი ძალაუფლება და თვითონ გადაწყვეტს, ვინ „ითამადებს“ მის „ოჯახში“. სწორედ ამ მასპინძლის „საკუთრების მოწმობას“ უმზადებენ ახლანდელ თამადა სააკაშვილს.** როგორც ჩანს, მისი თამადობით მოიხიბლნენ და 2013 წლიდან გვეყოლება „მასპინძელი მხიარული“, თუმცა „თამადობისასაც“ დიდად გვამხიარულებდა თავისი მახვილსიტყვაობით, ცეკვა-თამაშით, სრიალით, პლაჟის ფრენბურთითა და, რა ვიცი, რით აღარ!..

**ესენი ხუმრობენ, ამ ქვეყანას კი, სააკაშვილისგან განსხვავებით, საქმე სულაც არ აქვს სამხიარულოდ.**

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით აღტაცებულ პოლიტიკურ სპექტრს ორიოდ წელიწადში პირი ღია დარჩება სააკაშვილის წყალობის მოლოდინში. ასე მოხდა მისი აღზევების გარიჟრაჟზეც. **ცვლილებები, რომელიც ასეთივე „ტაშ-ტაშ-ტაშ-ტარამ-ტარამ მრავალჟამიერით“ მიიღეს 2004 წელს და რომლის განხილვის მოსურნე რამდენიმე კონსტიტუციონალისტის მცირედ წამოკნავლებას მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის — ზურაბ ჟვანიას მკვახე პასუხი მოჰყვა, „ამ თემაზე ყბედობას არ ვაპირებთო“, პრეზიდენტ სააკაშვილის ერთპიროვნულ მმართველობას მყარი საფუძველი შეუქმნა და ავტორიტარული რეჟიმის ფორმირებას დაუდო სათავე.**

**პოლიტსპექტრი გაისუსა, სულ რაღაც ერთ წელიწადში კი უკვე პრემიერ-მინისტრი ჟვანიაც დადუმდა... სამუდამოდ.**

მაშინ ვარდის სურნელით გაჟღენთილ ქვეყანაში რევოლუციური ეიფორია სუფევდა და რეფორმების ლოზუნგებით მოსულ ხელისუფლებას სრული კარტბლანში ჰქონდა. ახლა სხვა ვითარებაა და „ყბედობას“ არ გვიშლიან, თუმცა იმდენად დახვეწილად მოქმედებენ, შესაძლოა, დაგვაჯერონ კიდეც, რომ მხოლოდ ქვეყანაზე ზრუნვა აიძულებთ მათთვის საბედისწერო ნაბიჯის გადადგმას.

**თვით ნაცხელისუფლების წარმომადგენლებმაც კარგად იციან, რომ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით მხოლოდ პირადად სააკაშვილის სამუდამო ხელისუფლებას ეყრება საფუძველი მის ასევე პირად უსაფრთხოებასთან ერთად.** ამ შემთხვევაში, ჰააგის პერსპექტივას ვგულისხმობ და არა მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომისა და ტალიავინის დასკვნის, არამედ მისივე არაერთგზის აღიარების გამოც, როცა რამდენიმე წლის შემდეგ განაცხადა, რომ 2004 წელს სვანეთში აფრასიძეების საცხოვრებელი სახლის განადგურების ბრძანება პირადად გასცა. ამ დროს სახლში, ძებნილი აფრასიძეების გარდა, ქალებსა და ბავშვებსაც ეძინათ...

თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს ჩვენი წერილის მთავარი თემა არ არის და საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის საბოლოო ვარიანტს დავუბრუნდეთ, რომელიც თურმე ვენეციის კომისიამაც მოიწონა, ევროპის საბჭომაც და გერმანიაში გამართულმა საერთაშორისო კონფერენციამაც.

**სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია თითქოს სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ საქართველოს პირობებში ამის განხორციელება რომ შეუძლებელია, ამას პრეზიდენტის კომენტარიც ადასტურებს. თითქოს მას არც უნდა სცოდნოდა, საბოლოოდ რაზე შეჯერდებოდნენ კომისიის წევრები, მაგრამ სააკაშვილმა კონსტიტუციის პროექტი მანამდე მოიწონა, ვიდრე კომისია კენჭისყრას გამართავდა და 44 ხმით 3-ის წინააღმდეგ მხარს დაუჭერდა.**

მიხეილ სააკაშვილს სურს, დაგვარწმუნოს, რომ მან „ევროპული კონსტიტუციის“ მიღება ჯერ კიდევ 2004 წელს გადაწყვიტა, როდესაც ქვეყნის ძირითად კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. **ამ ცვლილებების შესახებ, რომელიც „აზიური კონსტიტუციის“ კლასიკურ მაგალითად გამოდგება, ზემოთ უკვე ვთქვი, თუმცა პრეზიდენტი მაშინ თვითონ იყო მისთვის მონარქის უფლებების მინიჭების ინიციატორი, ხოლო როგორ აისახა აბსოლუტური ძალაუფლება მის პრეზიდენტობასა და ქვეყანაზე, ბოლო წლებში განვითარებული მოვლენებიც ადასტურებს.** ამიტომაც გასაკვირი არ იყო, რომ ეს ცვლილებები ადგილობრივმა თუ საერთაშორისო ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც პრეზიდენტის ინსტიტუტის გაძლიერება და ძალთა ბალანსის დარღვევა სახელისუფლო შტოებს შორის. სინამდვილეში ეს მხოლოდ ბალანსის დარღვევა კი არა, ხელისუფლების უზურპაცია იყო და 2003 წელს ვადაგასული პარლამენტისთვის ამ „კონსტიტუციური ტვირთის“ წამოკიდებაც მიზანმიმართულად მოხდა.

**როგორ გინდა, ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებაში დაარწმუნო ადამიანი, რომელიც დღემდე თვლის, რომ 2004 წლის ცვლილებებით „არა პრეზიდენტი, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლება გაძლიერდა, რადგან შემოვიდა პრემიერის ინსტიტუტი“. სააკაშვილის ეს სიტყვები, რბილად რომ ვთქვათ, საზოგადოების მასხრად აგდებაა.**

გასდის და, რაკი შინაგანად მზაობაც ხელს არ უშლის, არც ამჯერად „გვამადლის“ წინმსწრებ კომენტარს:

**„მე მაშინვე ვთქვი, რომ რამდენიმე წელიწადში ჩვენ გადავალთ ევროპული ტიპის კონსტიტუციაზე. ეს განვაცხადე საჯაროდაც, ეს ვუთხარი ვენეციის კომისიის წარმომადგენლებს, ევროსაბჭოს კომისიას, რომელიც კონსტიტუციებზე მუშაობს, და მინდა, გითხრათ, რომ სპეციალურად არ შევსულვარ არსებით განხილვაში არც კომისიის თავმჯდომარესთან, არც წევრებთან. მინდოდა, რომ, რასაც ისინი დადებდნენ, ის ყოფილიყო განხილვის საგანი“,** — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

**„მეგონა, ამ არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პარტიები გაიზარდნენ. აცხადებენ, 2008 წელს არჩეული პარლამენტი არ არის უფლებამოსილი კონსტიტუციური ცვლილებები დაამტკიცოსო. რატომ არ არის უფლებამოსილი? — ხმების რა რაოდენობაც აიღო 2008-ში, იმაზე მეტი აიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბოლო არჩევნებში“,** — ასეთია პრეზიდენტის პოზიცია.

ვისაც ამ კომენტარის შემდეგ თუნდაც იოტისოდენა ეჭვი მაინც დარჩა, რომ ეს კაცი პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგ მემუარების წერას და შთამომავლობისთვის თავისი „სამშვიდობო გამოცდილების“ გაზიარებას აპირებს, მისთვის მრჩევლად ვერ გამოვდგები, რადგან კლინიკურ შემთხვევებში კონსულტაციის გაწევა სულ სხვა პროფესიის ადამიანების საქმეა.

ხოლო ვინც ძალიან განიცდით, რომ ასეთი დიდი გამოცდილებისა და ავტორიტეტის სააკაშვილი, შესაძლოა, უმუშევარი დარჩეს, ყურადღებით გაეცანით საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის საბოლოო ვარიანტს და დარწმუნდებით, რომ ამ კონსტიტუციის მიღების შემდეგ ეს „დელიკატესი“ საქართველოს პოლიტიკურ მენიუში მუდმივად საპატიო ადგილს დაიკავებს და კიდევ არაერთხელ მოგვიწევს მისი „მირთმევა“, ვის — ნებით, ვის — ძალით.

**მიხეილ წერეთელი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



საავტორო სვეტი

# ჩვენისთანა ბედნიერი

**რეიტინგებისთვის თვალი, დიდი ხანია, არ გადაგვივლია და, ალბათ, დროა, გავიგოთ, სად და რა ადგილი დავიკავეთ. დავიწყოთ იმით, რომ უაღრესად უბედურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ყოველ შემთხვევაში, „Gallup"-ის კვლევა ამაზე მიუთითებს. ჩვენთან ბედნიერად თავს გამოკითხულთა მხოლოდ 10% თვლის, შესაბამისად, საქართველო 155 სახელმწიფოთა შორის 115-ე პოზიციას იკავებს, უფრო სწორად მას ავღანეთთან ინაწილებს.**

სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, ფრიად უბედურად გამოვიყურებით: ბელორუსში ბედნიერად თავს გამოკითხულთა 29% მიიჩნევს, რუსეთსა და უკრაინაში 21%; ყველას რა ჩამოთვლის, უბრალოდ, აღვნიშნოთ, რომ ამ ჯგუფში ბოლო ადგილზე ვართ. გლობალური მასშტაბით პირველ ათეულში სკანდინავიური ქვეყნები ჭარბობენ, უკანასკნელში კი აფრიკულები; მათთან კი, ზოგადი უბედურების გარდა, საერთო, როგორც ჩანს, ბევრი სხვა რამ გვაქვს, რასაც შემდგომი რეიტინგი ცხადყოფს.

**„დიდი ქალაქების რეიტინგში", რომელსაც ამერიკული კონსალტინგური კომპანია „Mercer"-ი ყოველწლიურად ადგენს, თბილისი ცხრილის ფსკერზე, ბოლო ხუთეულში მოხვდა.** ამ რეიტინგის შედგენისას გათვალისწინებული იყო ისეთი ფაქტორები, როგორიცაა დანაშაულის დონე, პოლიტიკური სტაბილურობა, სამედიცინო დახმარების ხარისხი, რამდენად მოსახერხებელია სატრანსპორტო სისტემა, რამდენად კარგია კაფეები და რესტორნები, როგორია პირადი თავისუფლების ხარისხი და ა.შ. (სულ 39 მახასიათებელი). მეგობრებო, გამაგრდით, **თბილისზე უარესი მდგომარეობა, ამ რეიტინგის თანახმად, სულ ოთხ ქალაქშია: ხარტუმი** (სუდანი), **ნჯამენა** (ჩადი), **ბანგი** (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა) **და ბაღდადი** (ერაყი თუ ის, რაც მისგან დარჩა).

**აქ შეიძლება ხელისუფლების რომელიმე აღგზნებული მომხრე გამოხტეს და იმის მტკიცება დაიწყოს, რომ „Mercer"-ი (მერკელიც) „გაზპრომმა" იყიდა მხოლოდ იმისთვის, რომ სააკაშვილის ხელისუფლება გათათხოს და მრავლისმნახველი „Gallup"-იც ზედ მიაყოლა. ნუ შევეკამათებით, აზრი არ აქვს, უბრალოდ, ავიღოთ გაეროს კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით, ამ ორგანიზაციის თანამშრომლებს რთულ საცხოვრებელ პირობებში მუშაობისთვის ხელფასზე დანამატები ერიცხებათ; სულ ხუთი კატეგორიაა „A"-დან „E"-მდე. გასულ კვირას აზერბაიჯანის მედია კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ბაქო „A" კატეგორიაში შეიყვანეს. „გაეროს შეფასების გაუმჯობესება ბაქოში ცხოვრების დონის სწრაფ ზრდას უკავშირდება" („Abc.az"). „რაც შეეხება ქალაქებს აზერბაიჯანის მეზობელ ქვეყნებში „A" კატეგორიას მიეკუთვნებიან ანკარა, სტამბოლი, მოსკოვი; „C"-ს — თეირანი და ერევანი; „D"-ს — აშხაბადი და თბილისი („Trend.az"). ვერაფერს ვიტყვით, პროგრესი სახეზეა, ჩვენ უკან ჩამოვიტოვეთ „E" კატეგორიის ქალაქები, როგორიცაა ქაბული (ავღანეთი), პეშავარი (პაკისტანი), ჰარარე (ზიმბაბვე) და მოგადიშო (სომალი; ეს ქალაქი მაღალმხატვრულადაა ნაჩვენები ფილმში „Black Hawk Down", რომელიც მოგვითხრობს ამერიკელი სამხედროების თავგანწირულ ბრძოლაზე ურიცხვ მტერთან და საკუთარი სარდლობის ჭარბ იდიოტიზმზე).**

რაღა დავამატოთ, **„Vision of Humanity"-ის „მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების რეიტინგში" 149 სახელმწიფოს შორის 142-ე ადგილს ვიკავებთ;** აქ პირველ სამეულში ახალი ზელანდია, ისლანდია და იაპონია (არადა, რა დრო იყო...) მოხვდნენ. **„Fund for Peace"-ის „არშემდგარ სახელმწიფოთა რეიტინგში" ყველაზე პრობლემურ „წითელ ზონაში" ვართ.** ამ რეიტინგში ისეთმა „შემდგარმა სახელმწიფოებმა" გვაჯობეს, როგორიცაა ტაჯიკეთი, რუანდა და პაპუა ახალი გვინეა. **კორუფცია იმავე დონეზე შენარჩუნდა, რაც „ვარდების რევოლუციამდე" („Freedom House"-ის მონაცემები).** მოკლედ, სახალისო და საამაყო ნამდვილად არაფერია.

პრინციპში, იმის გააზრებისთვის, რომ საქართველო ღარიბი და დაქცეული ქვეყანაა, რომლის მდგომარეობა უარესდება, რეიტინგები დიდად საჭირო, ალბათ, არც არის, ქუჩაში გასვლაც საკმარისია. თუმცა ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც გულწრფელად სჯერათ, რომ პროგრესულ სახელმწიფოში ცხოვრობენ და მსოფლიოში (მინიმუმ ევროპაში) ყველაზე მაგარი აეროპორტები (სასტუმროები, სტადიონები, კოსმოდრომები) და სამოქალაქო თავისუფლებები აქვთ. რა თქმა უნდა, ნებისმიერი პიროვნება შეიძლება პროპაგანდის წნეხქვეშ მოექცეს და სიცრუის ტყვეობაში აღმოჩნდეს, თუმცა ეს, ნარკოტიკული თრობის მაგვარი მდგომარეობა, დიდხანს, ცხადია, ვერ გაგრძელდება. გამოფხიზლება კი, როგორც ჩანს, ძალიან მძიმე და მტკივნეული იქნება, თუმცა ალტერნატივა მას, უბრალოდ, არ აქვს.

**დიმიტრი მონიავა**

# ორი მილიონი ლარი დარდუბალასთვის

**გაზეთმა „ბათუმელებმა" ფრიად საინტერესო მამხილებელი ინფორმაცია მოიპოვა და გაავრცელა: ჟურნალისტური გამოძიებით დაადგინა, რომ ევროვიზიის მომღერალთა კონკურსში საქართველოს წარგზავნილის მონაწილეობა „საზოგადოებრივ მაუწყებელს" 2 მილიონ 69 ათას 473 ლარი დაუჯდა, რაც 20 694 გაჭირვებული ადამიანის ერთი თვის პენსიას უდრის.**



გაქსუებული ვაჭრის გულუხვობაა.

დაგვიმარცხებია სიღარიბე და ეგ არის! ერბოში ვცურავთ, როგორც კობაიძეებში გამომცხვარი ხლოვანა. ვირტუალური.

შეიწმინდეთ ნიკაპზე ჩამოღვენთილი ერბო! ეგეც — ვირტუალური.

რეალური „ბათუმელების" მონათხრობი ფინანსური დარდუბალაა, უბედურება და ვაი-ვაგლახი...

**წლევანდელ პირველ აპრილს „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" დამატებით სამი მილიონი ლარი მოსთხოვა მთავრობას „შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის".**

ითხოვდე და მოგეცესო. მიართვეს ხუთ დღეში სამი მილიონი.

წლის დასაწყისშიც მოითხოვა და მიეცა 17 მილიონი ევროვიზიის, ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ტრანსლირებისთვის, სატელიტის მომსახურებისთვის და სხვა ხარჯების დასაფარად.

„ბათუმელები" ირწმუნება, რომ „შეუფერხებელი ფუნქციონირება" არაფერ შუაშია, რადგან დამატებით მიღებული 3 მილიონი ლარის „გაპრავებისთვის" არის გამოყენებული ეს ისტერიკული — „გვიშველეთ!"

საიას იურისტი **თამარ გურჩიანის** განმარტებით, **ტერმინი „შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის" სამართლებრივ განმარტებაში არ არსებობს.** ასეთ ტერმინებს მხოლოდ საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის განკარგულებებში ვაწყდებით. **ეს არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება დაფინანსების რეალური მიზნების შესანიღბად, რათა დაფინანსების რეალური მიზეზი არავისთვის იყოს გასაგები, ხოლო შემდგომ ამ თანხის ხარჯვის მაკონტროლებელი მექანიზმი აღარ არსებობდეს".**

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან გახელაძემ,** ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ „შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის" თვალის ახვევის ვირეშმაკული ვარიანტია, ოღონდ კეთილხმოვანი განმარტება მოუძებნა — ფორმალური ტერმინი. მისი განცხადებით, **სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფისთვის მთავრობა დაკონკრეტებას არ ითხოვს. „მივწერეთ მთავრობას, რომ გვჭირდება დამატებითი თანხა ფუნქციონირებისთვის. თანხების მიზნობრიობა კი შემდეგ ბორდმა განსაზღვრა".**

ვითომ ბორდელები იმას არ ამოსძახებდნენ, რაც სამი მილიონის მისაღებად ჩასძახეს?!

ამოსძახეს და გაყვეს ყულფში თავი, რადგან „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" მიიღო ფული, მისცეს და რატომ უნდა გაეშვა ხელიდან?! პრემიერ-მინისტრის განკარგულება №425 (რომლითაც ფული გამოიყო), იურისტების მტკიცებით, „არანაირ სამართლებრივ შეფასებას არ ექვემდებარება". ხოლო როცა **გიორგი ჭანტურიამ**, სამაუწყებლოს გენერალურმა დირექტორმა ბორდს — სამეურვეო საბჭოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის დახარჯვაზე ნებართვა სთხოვა, ამ უკანასკნელმა — მიდი და ხარჯეო, ანუ გადაუხადე თურქულ კომპანიას, რამდენსაც ითხოვს, რომელიც სოფო ნიჟარაძის პოპულარიზაციაზე იმუშავებსო.

**ჩაიარა ამ დროს ძველმა ფინანსისტმა და თქვა, რომ ასე მიცემულ ფულში და კიდევ ასფალტში დიდი ფული ტყდებაო. ყოველ შემთხვევაში, კარგი მასალაა „დარდუბალასთვის", რომელსაც დიდი შემოქმედებითი გატაცებით აკეთებდა წინა ხელისუფლების დროს ტელევიზიის დღევანდელი გენდირექტორი.**

**დღეს რატომ თქვა უარი ტელესატირაზე? დღევანდელ პრეზიდენტზე რატომ არ აკეთებს „დარდუბალას" სერიალს?**

იმიტომ, რომ — გაბედავს და კარგი დახლიც დაუდგება: ვინც დანიშნა, ის მოაცილებს.

უწინ არ ეშინოდა.

მისი გაბედულება „ახალი მატროსოვის" თავგანწირვასავით იყო, გადაფარებასავით ამბრაზურაზე, როცა იცი, რომ იქიდან არავინ აპირებს სროლას.

„დარდუბალელთაგან" დღეს ზოგი ბავშვებს ასწავლის ხატვას (კეთილშობილური საქმეა), ზოგი მთავრობას ფულს ართმევს ტელევიზიის „შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის" (რაც არანაკლებ კეთილშობილურია).

აგებენ სასამართლო პროცესს საფრანგეთში სატელიტის მფლობელ „ეუტელსატთან", რაც უზარმაზარი ფული ჯდება; სხვა სატელიტურ კომპანიებთან აფორმებენ ახალ ხელშეკრულებებს, რაშიც არანაკლები ეხარჯებათ.

საქართველოს ბიუჯეტი ხომ ზღაპრული ქისაა, რამდენსაც ამოიღებ, იმდენითვე ივსება.

ან — უფრო მეტით.

„ბათუმელები" კი დასხდნენ, დაითვალეს და დაწერეს:

**„საზოგადოებრივ მაუწყებელს" თავის ვებგვერდზე განთავსებული აქვს პირველი კვარტლის ანგარიში. ამ ანგარიშში ფინანსური (თუნდაც შესაძლო) პრობლემების შესახებ არაფერი წერია. დოკუმენტის მიხედვით, რომელიც აპრილითაა დათარიღებული, „საზოგადოებრივ მაუწყებელს" წლის დასაწყისში ტექნიკური ხარჯებისთვის 7 მილიონი ლარი (ამაში შედის სატელიტის მომსახურების ხარჯიც), ხოლო პროდიუსინგის ხარჯებისთვის 7 303 245 ლარი აქვს (ევროვიზია და მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლაცია) მიღებული.**

## 2009 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შარშან 33 297 727 ლარი გახარჯა. აქედან დაახლოებით 26,5 მილიონი სახელმწიფომ მისცა. წლეულს ქვეყნის ბიუჯეტიდან 25 მილიონი ლარი უბოძეს.

ჯერჯერობით ასეა.

ჯერჯერობით, რადგან არავინ იცის, როდის და რისთვის გამოჩნდება ახალი სოფო ნიჟარაძე (ამ ნიჭიერ მომღერალთან სადავო ვის რა უნდა ჰქონდეს!) და გიორგი ჭანტურია დამატებით ორ მილიონ ლარს არ მოითხოვს „შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის".

ან — „დარდუბალას" ახალი სერიალის გადასაღებად.

რა იცი, ეშმაკს არ ძინავს!

**ანზორ ბალაძე**


ამ სცენაზე გამოსვლა ორ მილიონ ლარზე მეტი დაჯდა

# ნგრევაი საკვირველის მოლოდინში გარინდული დედაქალაქი

**დავით IV აღმაშენებლის მეთაურობით, 1121 წლის 12 აგვისტოს თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ დიდგორის ველზე ქართველებმა გმირულად დაამარცხეს მტერი. წლების შემდეგ ისტორიამ ამ ბრძოლას „ძლევაი საკვირველი“ უწოდა. 889 წლისთავზე ქართველებს კიდევ ერთი „ხელჩართული“ ბრძოლა ელოდებათ, ოღონდ ამჯერად არა მომხდურ მტერთან, არამედ — თბილისის მერიასთან, რადგან 19 ივლისიდან მერია „ნგრევაი საკვირველს“ მოგვიწყობს დედაქალაქში. სულ რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ მერია 19 ივლისიდან კორპუსებზე უკანონო მიშენებების მონგრევას იწყებს. კანონმორჩილ მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ მერიას და მათ უფასოდ მოუნგრევენ „მერცხლის ბუდეებს“. ხოლო ვინც ასე არ მოიქცევა, 19-ის შემდეგ 10000-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, საქმე გადაეცემა სასამართლოს. თუ 3 თვეში პრობლემა კვლავ არ მოგვარდება, ჯარიმა გასამმაგდება, ხოლო ობიექტი დემონტაჟს დაექვემდებარება.**



## როცა მინაშენს მოანგრევენ, ბინის მნიშვნელოვანი ნაწილი თავიდან გახდება გასარემონტებელი. აქვს თუ არა მოსახლეობას ამის შესაძლებლობა, მერიას არ აინტერესებს





აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ 2007 წლის შემდეგ მიშენებული ფართები დაინგრევა. 2007 წლამდე ვისაც აქვს მიშენებული, იმათ ხომ სულ კანონისა და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებით აქვთ მიშენებული... თუ მერია ქალაქის იერ-სახეზე ზრუნავს, მაშინ ყველა სახის მიშენება უნდა მოინგრეს. ისიც საინტერესოა, როგორ უნდა დაადგინოს მერიამ, ფართი 2007 წლამდეა მიშენებული თუ მერე? ცემენტის ნახევარდაშლის ანალიზით?

**ყველამ კარგად ვიცით, ახლა რატომ „ამოქოქეს“ ეს ინიციატივა. ოღონდ ბიუჯეტი შეავსონ და, რასაც უნდა, იმას გამოაცხადებენ უკანონოდ. დაგაწერენ გადასახადს, მიდი და უმტკიცე მერე, რომ მართალი ხარ.**

ეს ჩვენი პრინციპული მერი არჩევნებამდე რომ იყო გასუსული და დამტკბარი, რა, ეგონათ, მუდამ ასე იქნებოდა? რაღაც არ მახსოვს, ჩვენს მერს წინასაარჩევნო პროგრამაში ნგრევა-ლეწვაზე ეთქვას რაიმე. არც საჯარო გამოსვლებში ძრავდა კრინტს. პირდაპირ საუბრის ერთი ადგილი არ ჰქონდა და გვაბურანებდა. ახლა ყველა არჩევნები უკან მოიტოვეს და გამოგვიცხადეს, დროა „სიმახინჯისგან განთავისუფლებისო“. ნეტავ, იმათ გულსა და გონებაში ჩამახედა, ვინც უგულავას მისცა ხმა. ჰოდა, ახლა ეგ „კანონიერად“ არჩეული კანონიერად შეუდგა ნგრევას.

კარგი დრო კი შეარჩია მერიამ თავისი „ბრწყინვალე იდეის“ განსახორციელებლად. ამ გაგანია დასვენების სეზონზე ერთკვირიანი ვადის მიცემა და მერე ეგრევე 10000-იანი ჯარიმა მშვენიერია, არა?! ბევრმა შეიძლება ვერც გაიგოს მერიის ამ „გადასარევი“ ინიციატივის შესახებ და კურორტიდან დაბრუნებულს სურპრიზად დახვდეს 10000-იანი ჯარიმის ქვითარი.

**მინაშენი, ფაქტობრივად, ბინის ნაწილია, ჩვეულებრივ გარემონტებულ-შეღებილი. როცა მინაშენს მოანგრევენ, ბინის მნიშვნელოვანი ნაწილი თავიდან გახდება გასარემონტებელი. აქვს თუ არა მოსახლეობას ამის შესაძლებლობა, მერიას არ აინტერესებს.**

ბევრი ჩააწყობს და შერჩება; ვინც ვერ მოახერხებს, ის გაიწირება. ქალაქის იერ-სახეს კი არაფერი ეშველება. რამდენიმე ასეული ოჯახი საშინელ ზარალს ნახავს, რომელიც წელში გაწყვეტს. საინტერესოა, სხვა პრობლემები არაა ამ ქალაქში, მაინცდამაინც ხალხის გამწარებით რომ იწყებენ? ჯერ გარაჟებიო, ახლა ლოჯიებიო, სხვა არაფერია გასაკეთებელი? მე მგონი, ამ მთავრობაში სხედან და ფიქრობენ, ხალხი როგორ გაამწარონ.

შესაძლოა, დღეს დარბეულ ადამიანებს კარ-მიდამო კანონის დარღვევით აქვთ აშენებული, მაგრამ ხელისუფლებამ უკანონობას უკანონობითვე, მით უფრო, ძალადობით არ უნდა უპასუხოს. დღეს ჩვენ, პრაქტიკულად, გვყავს მოძალადე და მატყუარა ხელისუფლება, რომელიც ერთი ხელით ვითომდა დემოკრატიულ კანონმდებლობას ქმნის, ხოლო მეორეთი — საკუთარ მოსახლეობას ტირანივით ექცევა.

**ამათთან ურთიერთობა და დიალოგის გამართვა ძალიან რთულია. შეიძლება დღეს ამ ხელისუფლებამ მოგცეს რაღაცის აშენების უფლება, შემდეგ რამდენიმე წელიწადში, თუ ხელისუფლება შეიცვალა, შეიძლება ისევ საფრთხის წინაშე დავდგეთ — უკანონოდ გამოგვიცხადონ წვალებით აშენებული საცხოვრებელი და მოგვინგრიონ.**

**კობა დავითაშვილი, „ხალხის პარტია“:**

— სიმართლე გითხრათ, ამის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ თუ ეს სიმართლეა, მიმაჩნია, რომ ეს არასწორი ნაბიჯია. ჯერ ერთი, უნდა შემოწმდეს ეს მიშენებები. თუ საფრთხეს წარმოადგენს და მშენებლობის ნორმები დარღვეულია, მაშინ შეიძლება მოანგრიონ. მაგრამ, თუ საფრთხეს არ წარმოადგენს მოსახლეობისთვის, მათი მონგრევა გაუმართლებელია.

**დავით საგანელიძე, „ახალი მემარჯვენეები“:**

— ამ დღეებში ჩვენ გვქონდა მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრა, ვისაუბრეთ მიშენებებზე, ლოჯიებსა და გარაჟებზე, თუ ისინი არასახიფათოა, მათი დაკანონება მომხდარიყო. მაგრამ თუ მიშენება სახიფათოა გამვლელებისთვის, მეზობლებისთვის და თუნდაც ბინაში მცხოვრებლებისთვის, უნდა მოინგრეს ან მეპატრონეს უნდა მისცენ მისი გამაგრების საშუალება. მაგრამ თუ იმაზეა საუბარი, რომ მაინცდამაინც 2005 წელს აშენებულია უსაფრთხო და არ უნდა დაინგრეს, ხოლო 2007 წლის შემდეგ მიშენებული მაინცდამაინც მოსანგრევი, აბსოლუტურად არ დავეთანხმები. ამ ხელისუფლებას, სამწუხაროდ, ბევრი ასეთი ზერელე გადაწყვეტილება აქვს მიღებული და ესეც კიდევ ერთი გაუაზრებელი, უსაფუძვლო და არასწორი გადაწყვეტილება იქნება.

**ზურაბ ტყემალაძე, „მრეწველები“:**

— ყველამ უნდა დავიცვათ კანონი, მაგრამ „რაც შენია, შენია“ და უნდა დაუკანონდეს მოსახლეობას. ამ გადაწყვეტილების შესახებ ზუსტად არ ვიცი. ხალხს რაც ნაწვალები აქვს და ძლივს მიშენებული, ის არ უნდა დაუნგრიონ და ცხოვრების პირობები კიდევ უფრო არ უნდა გაუუარესონ.

**თინა ხიდაშელი, „რესპუბლიკელები“:**

— რამდენიმე მოქალაქემ მომმართა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე ვცდილობ, გავარკვიო დეტალები. ორი კვირის წინათ მივწერე მერიას და ამ დრომდე ველოდები პასუხს. როდესაც გავარკვევთ საქმის ვითარებას, სათანადოდ ვიმოქმედებთ. არ დავუშვებთ, მოსახლეობას უსაფუძვლოდ დაუნგრიონ საცხოვრებლები.

**თეო ტაბატაძე**

ჩვენში



# წყალწაღებულნი

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შემდეგ „კაბრიოლეტის“ „საპატიო“ წოდება საქართველოს პარლამენტმა მოიპოვა – ახლა უკვე იქაც წყალი ჩადის. მაგრამ, თუ აეროპორტში წყლის ჩასვლა და სახურავის აქეთ-იქეთ „სეირნობა“, პირველ რიგში, ქვეყნის იმიჯს ურტყამდა, საპარლამენტო წვიმამ სიმბოლური დატვირთვაც შეიძინა.**

საქართველოს ამჟამინდელ კასტრირებულ საკანონმდებლო ორგანოსა და მასში „მოღვაწე“ ადამიანებს აქამდეც ხომ წყალწაღებულებს უწოდებდნენ, გასულ კვირას „ჟუჟუნას“ სტუმრობის შემდეგ კი ამ მეტსახელმა გაამართლა კიდეც. საინფორმაციო სააგენტოებს არც ის გამოჰპარვიათ, პარლამენტის სხდომათა დარბაზში უმეტესად „ოპოზიციონერ“ დეპუტატებს რომ აწვიმდათ. ისე, საინტერესოა, ეს წვიმა თვითონ „საპარლამენტო ოპოზიციამ“ ხომ არ მოიყვანა იმის შესახსენებლად, პარლამენტში ოპოზიცია არსებობსო?!

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პანკისის ხეობაში ვაჰაბიტებმა ტრადიციული ისლამის მიმდევრებს სალოცავი სახლი დაუნგრიეს

**„ პანკისის ხეობის სოფელ ბირკიანში ვაჰაბიტებმა ტრადიციული ისლამის მიმდევრებს სალოცავი სახლი დაუნგრიეს. მის ადგილზე ვაჰაბიტები მეჩეთს აშენებენ“, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.**



„ვაჰაბიტები მოვიდნენ და გვითხრეს, ძველ მეჩეთში ვეღარ ვეტევით, ახალი მეჩეთის აშენება გვინდა და ეს ადგილი შევარჩიეთო. ჩვენ მათ უარი ვუთხარით, რის შემდეგაც კონფლიქტი მოხდა. ფიზიკური დაპირისპირების შედეგად ვაჰაბიტებმა გვაჯობეს და სალოცავი დაგვინგრიეს. იმ ადგილზე ამჟამად მეჩეთს აშენებენ“, — აცხადებენ ბირკიანში მცხოვრები ტრადიციული ისლამის მიმდევრები.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის — ჯარაფ ხანგოშვილის განცხადებით, მას აქვს ინფორმაცია, რომ ბირკიანში ვაჰაბიტებსა და ტრადიციული ისლამის მიმდევრებს შორის კონფლიქტი მართლაც მოხდა, რის შემდეგაც ვაჰაბიტებმა სალოცავი დაიკავეს და იქ მეჩეთის აშენება დაიწყეს.

# მერიას მიწების უკანონოდ გასხვისებაში ადანაშაულებენ

**თბილისში, აბანოთუბანში, გრიშაშვილის ქუჩაზე მცხოვრები ხუთი ოჯახი მათი სახლების მოსაზღვრე იმ ნაკვეთების დაბრუნებას ითხოვს, რომლებიც თბილისის მერიამ მოქალაქე სარქისოვას გადაუფორმა.**

როგორც დღეს გრიშაშვილის ქუჩაზე გამართულ ბრიფინგზე ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, 700 კვ.მ. ფართობი თბილისის მერიამ აგვისტოს ომის დროს გადაუფორმა ვინმე სარქისოვას, რომელმაც შემდეგ აღნიშნული ფართი ვინმე ირაკლი აბესაძეს გადაუფორმა. ძაგანიას ინფორმაციით, ირაკლი აბესაძე თბილისის მერიის მიწის ლეგალიზაციის კომისიის თავმჯდომარის — ირაკლი აბესაძის ბიძაშვილია.

**„აგვისტოს ომის დროს,**



**მაშინ, როდესაც ჩვენი ბიჭები სისხლს ღვრიდნენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, უგულავა მერიის გამოყენებით ასხვისებდა სხვის ქონებას, ვინაიდან მის გარეშე ქალაქის ცენტრში არაფერი არ ხდება“,** — განაცხადა ძაგანიამ.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ერთ-ერთი სახლის მესაკუთრემ მამუკა დარისპანაშვილმა აღნიშნა, მათ 2009 წლის გაზაფხულზე საკრებულოს განცხადებით მიმართეს, რომ აღნიშნული ფაქტი შეესწავლათ. „მათგან მივიღეთ პასუხი, რომ რაღაც შეცდომაა და გამოვასწორებთო, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. რის შემდეგაც ავიყვანეთ ადვოკატი და 2009 წლის ზაფხულში საჩივარი მერიაში შევიტანეთ, თუმცა მერია დღესაც გვეუბნება, რომ ისინი ვალდებულნი არ არიან, მოგვაწოდონ ჩვენ რაიმე ინფორმაცია“, — აღნიშნა დარისპანაშვილმა.

**გრიშაშვილის ქუჩაზე მცხოვრები 5 ოჯახის ადვოკატ ნანა გიორგიშვილის განცხადებით, ისინი აღნიშნულ 700 კვ.მ. ტერიტორიას თვითონ უვლიდნენ და პროექტის „რაც შენია — შენია“ ფარგლებში ფართი მერიას მათთვის უნდა დაეკანონებინა და არა — ვინმე სარქისოვასთვის.**

# შესაძლოა, შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს

**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერის — ირაკლი მელაშვილის განცხადებით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ მომზადებული საქართველოს კონსტიტუციის ახალი პროექტი არის იმის ნათელი დადასტურება, თუ როგორ არ უნდა იქცეოდნენ პროფესიონალები.**

საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ, ავთანდილ დემეტრაშვილმა „კარგად დაიჭირა, თუ რა სურდა პრეზიდენტს“. დემეტრაშვილის ლოიალური და შემგუებლური პოზიცია ახალი არ არის და იგი ასეთივე დამოკიდებულებით 90-იან წლებში შექმნილი საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დროსაც გამოირჩეოდა.

მელაშვილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მყოფ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს ხელისუფლებასთან უნისონში მყოფ პირებს უწოდებს.

ირაკლი მელაშვილის განცხადებით, კონსტიტუციის დაჩქარებული წესით მიღება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უშუალო მოთხოვნაა.

**„თუკი შემოდგომაზე მიხეილ სააკაშვილმა დაინახა, რომ პოლიტიკური პროცესი პოლიტიკურმა ოპოზიციამ გაახურა, დანიშნავს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. საამისოდ მას სჭირდება სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც ახალი კონსტიტუციური ნორმებიდან გამომდინარეობს. მისი დაჩქარებული წესით მიღებაც სწორედ ამას ემსახურება. ამასთან, მიხეილ სააკაშვილი ახალ მოდელს მთლიანად საკუთარ თავზე ირგებს, მაგრამ ქართულ საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ ამ ქვეყანაში, ნებიმიერი ცვლილება მიხეილ სააკაშვილს ხელს არ უშლის, დარჩეს ხელისუფლებაში. ჩვენთვის ამის კარგი მაგალითია რუსეთი, ხოლო გამოსავალი საარჩევნო გარემოს შეცვლაა“,** – განაცხადა ირაკლი მელაშვილმა



„ეროვნული ფორმის“ შეფასებით, ახალი კონსტიტუციური ცვლილებები იმითაც არის ნაკლოვანი, რომ კომისიამ ყურადღება არ დაუთმო ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტს და ის ისეთივე უფუნქციო სტატუსით დატოვა, როგორიც დღესაა.

# დავით გამყრელიძე ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას ითხოვს



**„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერ დავით გამყრელიძის განცხადებით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ დამტკიცებული კონსტიტუციის ახალი პროექტი ქვეყანაში უმრავლესობის დიქტატურის გაძლიერებასა და ერთპარტიული სისტემის გახანგრძლივებას ემსახურება.**

გამყრელიძის თქმით, საჭიროა, კონსტიტუციის ახალ პროექტს საერთო სახალხო განხილვისთვის 6 თვე დაეთმოს, ხოლო ცვლილებები ძალაში 2012 წელს, პარლამენტის არჩევის შემდეგ შევიდეს. აგვისტოს თვეში კონსტიტუციის ახალი რედაქციის საერთო სახალხო განხილვისთვის გამოტანა ფარსია, რადგან მოცემული პერიოდი საზოგადოებრივად არააქტიურია.

ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრემიერის ინსტიტუტს აძლიერებს, რადგან პრემიერის თანამდებობის დაკავებას შემდგომში თავად აპირებს.

მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ მოდელში ჩაიწეროს მუხლი, რომ მოქმედ პრეზიდენტს ეკრძალებოდეს მისი უფლებამოსილების ამოწურვის შემდგომ რომელიმე პოლიტიკური თანამდებობის დაკავება, პრაქტიკაში არ არსებობს და გაუმართლებელია. მიხეილ სააკაშვილი ნებისმიერი პოზიციიდან შეეცდება, ძალაუფლება განახორციელოს.

დავით გამყრელიძის შეფასებით, საჭიროა, ოპოზიციურ სპექტრში საარჩევნო გარემოს სრულყოფასთან დაკავშირებით კონსენსუსი შედგეს. **„საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის ოპოზიცია უნდა დაჯდეს ხელისუფლებასთან დიალოგისთვის, რადგან ცალმხრივად შედეგს ოპოზიცია ვერ მიაღწევს. სხვა მხრივ, ვერც პოლიტიკური კრიზისის განმუხტვა მოხდება. თუმცა ამ პროცესის პარალელურად ქვეყანაში არ უნდა ხდებოდეს კონსტიტუციის დაჩქარებული წესით მიღება, რომელიც ერთი პარტიის სურვილითაა ნაკარნახევი.**

**საარჩევნო გარემოს შეცვლისთვის ოპოზიციაში აქტიური მოლაპარაკებებია დაწყებული და შედეგი შემოდგომისთვის უნდა დაიდოს. ჩვენი პარტია ისევ წინააღმდეგია ხელისუფლებები რევოლუციური გზით შეიცვალოს. თუმცა, თუ ამომრჩეველს ექნება მკაფიო მოთხოვნა ხელისუფლების შეცვლისთვის, ასეთი ცვლილებები განხორციელდება“,** — განაცხადა დავით გამყრელიძემ.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა კომენტარი გააკეთა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სიკორსკის შეფასებებზეც, რომლის თანახმადაც, გიორგი თარგამაძისა და ირაკლი ალასანიას პოლიტიკური პარტიები მინისტრმა საქართველოში მომავალ ხელისუფლებად დაინახა.

დავით გამყრელიძის თქმით, ევროპელი მინისტრის შეფასებაში გასაკვირი არაფერია, თუმცა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებაში საგულისხმო სულ სხვა ფაქტორია — დემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლებაში ყოველთვის მოდის ოპოზიცია, ხოლო ხელისუფლება ხდება ოპოზიცია. **„ეს არის სწორედაც დემოკრატიული ბალანსი“,** — განაცხადა დავით გამყრელიძემ გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ მედიაკლუბში ახლახან გამართულ შეხვედრაზე.

# ტესტირება თუ საყოველთაო შემცირება?

**„თელავის საგადასახადო სამსახურიდან ტესტირების საფუძველზე 68 თანამშრომელი გაათავისუფლეს“, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან. ტესტირება სულ 140 თანამშრომელმა გაიარა.**

„მისი მიზანი იყო იმის გარკვევა, რამდენად შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს თანამშრომლების ცოდნის დონე და კვალიფიკაცია. ტესტირება თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლო აკადემიის ბაზაზე საგადასადახო განხრით ჩატარდა. ტესტი 100 შეკითხვას მოიცავდა და გამსვლელი ქულა 75 იყო. ტესტირება თანამშრომლების დიდმა ნაწილმა ვერ ჩააბარა“, — განაცხადა საგადასახადო ინსპექციის მთავარმა სპეციალისტმა ირა აჭარაძემ. მისივე თქმით, **საგადასახადო ინსპექცია ზოგიერთ ვაკანტური ადგილზე კონკურსის გამოცხადებას უახლოეს დღეებში გეგმავს.**

# ვაჩუქოთ პრეზიდენტს ჩუსტები

**ნანუკა ჟორჟოლიანის ფანტაზიებსა და შესაძლებლობებს რომ საზღვარი არ აქვს, რამდენჯერმე „დავრწმუნდით“, მაგრამ საზოგადოება, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, თუ გადაცემის სეზონის დასასრულს შოუში თვით ბატონ პრეზიდენტს, მის უდიდებულესობა მიხეილ სააკაშვილს მოიწვევდა.**
**აქამდე სააკაშვილი არც ერთ შოუში არ ყოფილა, საინტერესოა, რატომ დააფასა მაინცდამაინც ნანუკას გადაცემა. სულ მესმოდა, რომ კოდუების საქმე ცუდად არისო.**
**ხომ არ გააბათილა მოარული ხმები ამ ინტერვიუმ? არა მგონია, სააკაშვილი დათანხმებოდა ნანუკას ინტერვიუზე, კოდუები შერისხულები რომ ყოფილიყვნენ. ნანუკას ნამდვილად ეკუთვნის საზოგადოებისგან ერთი დიდი მადლობა, იმდენი „საინტერესო ამბები“ გავიგეთ მისი გადაცემიდან პრეზიდენტზე.**



მიშას ფლოსტების, ტრუსებისა და ხალათის შესახებ გაიგებთ ჩემს შოუშიო, რომ დააანონსა ნანუკამ, მეც მოკვდავი ვარ და დამაინტერესა. ჰოდა, მოუთმენლად ველოდებოდი 14 ივლისის საღამოს.

ასეთი პიარი მიშასთვის არჩევნების დროსაც არ გაუკეთებიათ. ან ეს კითხვები რამ შთააგონა წამყვანს, წარმოდგენა არ მაქვს, ხალხის დეკორაცია რესტორანში. თითქოს კაციშვილმა არ იცოდა, რომ მიშა მოდიოდა. მერე მიშას შენიშვნა, ისეთი ცივილიზებულები არიან, აღარც მამჩნევენო. სიზმრები აფხაზეთზე... უნივერსიტეტის მოგონებები, ყველაზე კარგად რომ სწავლობდა და მსოფლიოში ყველაზე მაგრები რომ ვართ. დამეთანხმებით, ალბათ, რომ ეს ექსკლუზიური ინფორმაცია ნამდვილად არ იყო, რადგან ამის შესახებ პრეზიდენტისგან არა ერთხელ გვსმენია.

რა გაიგო მაყურებელმა თავის პრეზიდენტზე ახალი? ალბათ, ის, რომ გვიან მიდის სახლში და იძინებს (პირდაპირ იძინებს), თავად ყიდულობს ტანსაცმელს. გადაცემაშიც თავისი ახალშეძენილი იასამნისფერი პერანგით იყო მისული; ისიც, რომ მთელი ბავშვობა გასაშლელ „ლეჟანკაზე“ ეძინა. პაწია ოთხოთახიანში რომ გაიზარდა პეკინზე (მომეწონა „პატარა ოთხოთახიანი“). რომ **პრეზიდენტი ხელფასით ცხოვრობს, რომ დედამისი შვიდ თანამდებობაზე მის პრეზიდენტობამდეც იყო და ძმაც სულ მიშასგან დამოუკიდებლად ბიზნესმენობს.**

**პრეზიდენტმა, ასევე, ისაუბრა 4-მილიარდიან ეგვიპტურ ინვესტიციაზე; მომავალში დუბაისა და ნიცაზე შავზღვისპირეთში (ანუ ბათუმზე); რომ ანაკლია მალე სან ტროპედ გადაიქცევა; აშენებულ გზებზე, ხიდებზე; მთელ მსოფლიოში „საუკეთესო“ დევნილთა ბანაკებზე წეროვანში და ასობით მილიონ „მაძღარ ქართველზე“. თქვენ გძინავთ, მეგობრებო! ეს რეალობაა.**

მშვენიერი სცენარი იყო. ვითომ ხალხი საუზმობდა რესტორანში და ამ დროს ნანუკა და მიშა მუსაიფობდნენ. მიშამ ლიპტონის მწვანე ჩაი მოითხოვა მხოლოდ და ორი ჭიქა ჩაი ისე დალია, არც ოფიციანტს და არც მას გახსენებია ჭიქიდან ჩაის ფერის ამოღება. ამდენი მშიერი ქართველის წინ ჭამა ვერ იკადრა, ხაჭაპური მიართვეს მარტო, ისიც არ შეუკვეთია. რესტორნის ხელმძღვანელობამ, ეს ჩვენს სახელზე მიირთვით, ბატონო პრეზიდენტოო. **ჩანგალი რომ დაუვარდა ნანუკას და პრეზიდენტმა — გათხოვება იცისო, ეს რა შუაში იყო? ვითომ არ იცის პრეზიდენტმა, ნანუკა გათხოვილი რომაა?** თვითონ მიშა ძალიან შეწუხებული იყო ნანუკას უმადობით, თავისი ხელით გადაუღო ხაჭაპური და მზრუნველად ჰკითხა, რატომ არ ჭამო.



**როდესაც პრეზიდენტმა ტელეფონი ამოიღო, ნანუკას გაუკვირდა, ასეთი „ბანძი“ მობილურით რატომ დადიხართო...**

**ყველაფერი ჰკითხა ნანუკამ პრეზიდენტს. მარტო იმით არ დაინტერესებულა, ტუალეტში თუ დადის ბატონი პრეზიდენტი. ჩუსტები არ აქვს, საფულე არ აქვს, აბაზანიდან რომ გამოდის, სველი ფეხებით დატანტალებს... არ არსებობს ადამიანი, ასეთი ელემენტარულად აუცილებელი პირადი ნივთები რომ არ ჰქონდეს.**

სახლში, ტუფლებით ზის ტელევიზორთან და აბაზანაში ნასკებით დადის? ვინც ელოდებოდა, რომ მიშას მილიონიანი ჩუსტები ექნებოდა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. საერთოდ არ აქვს ჩუსტები. **როგორც თვითონ ახსნა, „სახლში რომ მოდის, იხდის ყველაფერს და იძინებს და დილით იცვამს ყველაფერს და მიდის“!** ამით, ალბათ, იმისთვის უნდოდა ხაზი გაესვა, რომ იმის დროც არ მაქვს, სახლში ჩუსტებით ვიაროო, დაღლილი მივდივარ და ეგრევე ვიძინებო. **თქვენ კი, ჩვეულებრივო მოკვდავებო, თქვენც იხდით და იძინებთ, მაგრამ ჩუსტები მაინც გაქვთ! იგრძენით განსხვავება?!**

ჟორჟოლიანმა ჰკითხა, ფული თუ გიდევთ ჯიბეშიო და, კიო — წაიღო ხელი უკანა ჯიბისკენ და ამოიღო. საფულე არ ჰქონია ჩვენს პრეზიდენტს და მგონი არც ის იცოდა, რამდენლარიანი კუპიურები ედო ჯიბეში.

**ყველაზე ძალიან ის მომეწონა, როდესაც დედაზე და სოხუმის ხშირ-ხშირად დასიზმრებაზე საუბრობდა პრეზიდენტი, თან ინტერვიუს ლირიკულ-ცრემლიანი მელოდია ედო ფონად. აფხაზეთში ორჯერ ვარ გავლით ნამყოფიო — ელიტარული ოჯახიდან კი არ ვარ, ბოსლევში ვისვენებდიო.**

**როგორც ბევრი მეფე-მმართველი, ეგეც საცოდავი ყოფილა. თავად აღიარა, რომ მეგობრები არ ჰყავს. ისე, დიდია ხანია, ვამჩნევ, „ნაცმოძრაობის“ ელიტამაც არ იცის, მეგობრობა რა ხილია.**

დავითაშვილ-სააკაშვილ-ოქრუაშვილ-ნოღაიდელმა ერთმანეთს ბავშვები დაუნათლეს, ძმობა შეჰფიცეს და მერე რაღაც პოლიტიკური ძვალი რომ ვერ გაიყვეს, ერთმანეთი უმოწყალოდ ათრიეს. ისე, პრინციპში დიქტატორებს არ ჰყავთ, როგორც წესი, ძმაკაცები, თორემ დემოკრატ ლიდერებს, იცოცხლე.

**ყველაზე ხშირად ვის ეკონტაქტებით ტელეფონითო, ჟორჟოლიანმა ჰკითხა და, როდესაც პრეზიდენტმა ტელეფონი ამოიღო, ნანუკას გაუკვირდა, ასეთი „ბანძი“ მობილურით რატომ დადიხართო, ბლექბერი ან აიფონი რატომ არ გაქვთო. ალბათ, უნდოდა, პრეზიდენტს ეპასუხა, მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რად მინდა მილიონიანი მობილურიო, მაგრამ მიშამ, ბლექბერიც მაქვს და აიფონიც, უბრალოდ, ამაზე კარგად ვკრეფ მესიჯებსო.**

გამაოცა ბატონი მიხეილის მობილური ტელეფონის მეშვეობით მიღებულმა მესიჯებმა. როგორ ფიქრობთ, რამდენად მისაღებია, როდესაც პრეზიდენტი პირადად ხელმძღვანელობს მშენებლობებს და გეგმავს ფესტივალის პროგრამებს?

**ერთი კითხვა მაწუხებს ძალიან: პრეზიდენტს ქუთაისში (ან ნებისმიერ სხვა ქალაქში) პალმების არსებობა-არარსებობის გარდა სხვა საფიქრალი და საქმე არ აქვს? ან რატომ აქვს ყველა მშენებლობა პირად მონიტორინგზე აყვანილი? ისიც მაინტერესებს, რომელი ქვეყნის პრეზიდენტი ათანხმებს პირადად არქიტექტორთან შუშის ფერს? პრარაბია ჩვენი პრეზიდენტი თუ არქიტექტორი?**

ისიც ერთობ ნიშანდობლივია, როცა ვარშალომიძეზე ბრძანა: „ჩემზე კარგად...“ შემდეგ შეყოვნდა ერთხანს და განაგრძო „ჩემნაირად სწავლობდა კიევშიო“. და ბებიაზე რომ თქვა, ჩემზე ბევრი ენა იცისო. ძალიან არაგულწრფელი იყო რესპოდენტი. ნანუკას ჩაუვარდა კოვზი ნაცარში.

გადაცემას, უფრო სწორად კი მიშასთან ინტერვიუს, უკეთესს ველოდი, მაგრამ ბატონ პრეზიდენტს ერთი „კარგი“ (თავისთვის) თვისება აქვს, რაც უნდა ჰკითხო, წავა, წამოვა და ბოლოს მაინც იმ თემასთან მივა, რაზეც თვითონ სურს საუბარი (რაღაცით ჰგავს ლეიბორისტებს). პრეზიდენტობამდე საუკეთესო რესპოდენტი იყო. პრეზიდენტობამდე რა მოგახსენოთ, მაგრამ დღესდღეობით, რბილად რომ ვთქვათ, ნამდვილად არ გამოირჩევა არაფრით. ამიტომ ჩემი მოლოდინის არგამართლებაში ნანუკას ნაკლებად ვადანაშაულებ.



**მიშამ იფიქრა, თუ პირველი არ ვიქნები გადაცემაში, ბოლო მაინც ვიყო და შემდეგი სეზონიდან პირველიო. ამიტომ უნდა ვიყოთ მთელი ზაფხული იმის მოლოდინში, რა სიურპრიზი მოუმზადა მიშამ სანდრას. კითხვაზე, როდის იყო პრეზიდენტი ყველაზე მეტად შეყვარებული, პასუხი საიდუმლოდ დატოვა ნანუკამ, ახალ სეზონამდე.**

სერიალს გეგმავენ, ალბათ, ახალი სეზონისთვის. როდის უყვარდა პრეზიდენტს; როდის იყო ყველაზე ბედნიერი; როდის ატკინეს გული; რა თქვა, როცა პირველი თოვლი ნახა; პრეზიდენტის ალტაცების წუთები; პრეზიდენტი და შინაური ცხოველები; პრეზიდენტი და ჩვეულებრივი ადამიანები... თითო გადაცემა მიეძღვნება თითო თემის განხილვას. ამ ყველაფრის შესახებ კი ნანუკა მომავალ სეზონში მოგვიყვება.

**ლილი მიროტაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ოქტომბერში ნანგრევებთან ჩაგივლიათ?

## 2008 წლის ომის შედეგად ლტოლვილი მოსახლეობა ხელისუფლებამ 2010 წლის ივლისში კვლავ ლტოლვილებად აქცია

**როგორია საქართველოში დევნილების მდგომარეობა, რომელთა რაოდენობაც 277 ათასს აღწევს, არაერთხელ გიამბეთ. ასევე, ვწერდით, როგორ იხეირეს ხელისუფლებამ და მათ მიერ ლობირებულმა ფირმებმა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გადმორიცხული მილიარდებით და როგორი საცხოვრებელი პირობები აქვთ ლტოლვილებს.**
**იმ პირებს, რომლებსაც ხელისუფლებამ ახალი საცხოვრებელი დასახლებები შეუქმნა, თუ სახლები თავზე არ დაენგრათ, გამოსახლება არ ემუქრებათ, თუმცა მათ, ვინც დროებით იყვნენ შესახლებულები სხვადასხვა ადგილას, დღეს ხელისუფლება კვლავ დევნილებად აქცევს.**
**ასეთი ფაქტი დაფიქსირდა ამ დრეებში თბილისში, ათონელის ქუჩაზე.**

პატრულის თანამშრომლებმა ათონელის ქ. №9-ში, პოლიციის ყოფილ შენობაში მცხოვრები დევნილები (20-მდე ოჯახი), დილის ექვს საათზე გამოასახლეს. აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული კოდორისა და გალის რაიონის მკვიდრნი 2008 წლის აგვისტოდან ოჯახებით თვითნებურად დასახლდნენ ამ შენობაში, ახლა კი სამართალდამცავებმა ძალის გამოყენებით გამოიყვანეს და ზუგდიდის რაიონის, სოფელ ოქტომბრის გზას გაუყენეს. მათ ალტერნატიულ ფართს სოფელ ოქტომბერში დაჰპირდნენ.

გამოსახლებისას იქ იმყოფებოდნენ ოპოზიციის წარმომადგენლებიც. მათი განცხადებით, ვერც მათ აიძულეს სამართალდამცავები დევნილებს ჰუმანურად მოპყრობოდნენ. არადა, წინასაარჩევნოდ გიგი უგულავა მათ დაჰპირდა, რომ თბილისში დასახლებულ დევნილებს თბილისელებად აქცევდა და ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს შეუქმნიდა. თუმცა ახლა უგულავა უკვე მერია და დაპირებებიც, ცხადია, დაპირებებებად დარჩა. ადამიანები, რომლებმაც ერთხელ უკვე დაკარგეს საკუთარი სახლი, კიდევ ერთხელ გახდნენ ლტოლვილები, ამჯერად ისინი ხელისუფლებამ აყარა და ზუგდიდის გზას გაუყენა.

**შესაძლოა, ვინმეს აწუხებდეს აზრი, რომ დევნილები იქ უნდა დასახლდნენ, სადაც ქვეყნის ხელისუფლება ადგილს მიუჩენს, მაგრამ ერთი ქალაქიდან მეორეში გადასახლება იმ ადამიანებზე,**



**რომელმაც მთელი ქონება დაკარგეს, სამსახურებისა და, შესაბამისად, შემოსავლის გარეშე დარჩნენ და ახლა ცხოვრების, სარჩო-საბადებლის ახალი წყარო იპოვეს, კვლავ უნდა გადასახლდნენ, მძიმედ აისახება.**

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, ერთ დროს სტიქაროსანი კობა სუბელიანი ბოლო დროს ერთ-ერთი რუხი კარდინალი გახდა. სუბელიანი იმდენად გაზულუქდა, რომ პრეზიდენტის კრიტიკის ობიექტიც გახდა. **საა-კაშვილამდე სუბელიანის სამინისტროს არაერთი არასამთავრობო და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია აკრიტიკებდა, მათ შორის იყო სახალხო დამცველიც, რომელმაც ყოველწლიურ ანგარიშშიც კი აღნიშნა, რომ კობა სუბელიანი სახალხო დამცველის წერილებზე პასუხის გაცემით თავს არ იწუხებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამას მას კანონი ავალდებულებს.**

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან პრეტენზიები აქვს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და „საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოსაც", რადგან სპეციალური ანგარიშის მომზადებისას, რომელსაც ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ლტოლვილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისა და კოტეჯური ტიპის დასახლებებისთვის დახარჯული თანხების კანონიერებასა და მიზნობრიობას იკვლევდნენ, სუბელიანი მათ საჭირო ინფორმაციას არ აწვდიდა. ამ ანგარიშის გაცნობისას ნათელი ხდება, რატომ მალავს ინფორმაციას ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, მაგრამ ამით სამართალდამცავი უწყებები დღემდე არ დაინტერესებულან.

მას შემდეგ, რაც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ბიუჯეტი გაეზარდა და ამ სამინისტროს ყულაბაში საკმაოდ სოლიდური თანხა დაგროვდა, იგი ოქრუაშვილისდროინდელ თავდაცვის სამინისტოს დაემსგავსა.

**იმ თანხების ხარჯვას, რომელიც საჯარო უნდა იყოს და რომლის მიზანმიმართული ხარჯვაც, 300 ათასი ლტოლვილის არსებობის შემთხვევაში, განსაკუთრებულად მკაცრად უნდა ხდებოდეს, სუბელიანმა ლამის გრიფი „საიდუმლო" დაადოს.**

ქართველი ლტოლვილებისთვის ადამიანური საცხოვრებელი პირობების შექმნაზე საქართველოზე მეტად სხვა სახელმწიფოები ზრუნავენ და ამისთვის მილიონობით დოლარი გამოიყოფა, თუმცა მათი მდგომარეობა რომ არ უმჯობესდება და ქართველ ლტოლვილებს გაუსაძლის პირობებში უხდებათ ცხოვრება, ფაქტია და ამის მაგალითად ათონელის ქუჩიდან პოლიციის ძალით გასახლებული დევნილებიც გამოდგებიან, რომლებიც სახლებიდან იმ დაპირებით გამოიყვანეს, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერში ალტერნატიულ საცხოვრებელს მისცემდნენ, მაგრამ, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, იქ მათ ამორტიზებული და საცხოვრებლად უვარგისი შენობა დახვდათ.

# სოციალური პირობები და უპერსპექტივობის განცდა ადამიანებს თვითმკვლელობისკენ უბიძგებს



**ცოტა ხნის წინათ ცნობილმა ჟურნალმა „Forbes"-მა უცხოური ორგანიზაცია „Gallup"-ის მიერ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვა გამოაქვეყნა, რომლის მონაცემებით აღმოჩნდა, რომ ყველაზე ბედნიერი დანიის მოსახლეობაა.**

## წლეულს სამაშველო სამსახურმა მტკვარში გადახტომის 26 შემთხვევა დააფიქსირა

პირველ ხუთეულში ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდები მოხვდნენ. დანიაში მოსახლეობის 82% გრძნობს თავს ბედნიერად, 17%-ს პრობლემები აქვს, ხოლო უბედურად თავს მხოლოდ 1% მიიჩნევს. ფინეთში 82%-ია ბედნიერი, 23%-ს პრობლემები აქვს, ხოლო უბედური ამ ქვეყნის მოსახლეობის 25%-ია.

**ამ გამოკითხვაში ბედნიერების ინდექსით საქართველო 115 ადგილზეა. ჩვენზე წინ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან არიან რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთიც კი. როგორც აღმოჩნდა, საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 10%-ია ბედნიერი, 56%-ს პრობლემები აქვს, ხოლო 35% უბედურია.**

სტატისტიკა უცნობია, მაგრამ, ალბათ, არც ერთ ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდებით, თვითმკვლელობის მაჩვენებელი ისეთი მაღალი არ არის, როგორც ჩვენთან.

**თბილისის სამაშველო სამსახურის ცნობით, წლეულს 26 ადამიანმა სცადა თვითმკვლელობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ სამაშველო სამსახურის ინფორმაციაა, თვითმკვლელობით სიცოცხლეს კი ადამიანები არამარტო მტკვარში გადახტომითა და არამარტო თბილისში ასრულებენ. ბოლო პერიოდში თითქმის ყველა საინფორმაციო გამოშვება იწყება თემით, რომ მაშველები მტკვარში გადამხტარ პიროვნებას ეძებენ.**

2 დღის წინათ მეტეხის ხიდთან მაშველებმა მტკვარში დამხრჩვალი დაახლოებით 65 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს, რომელიც მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიიდან გადახტა მდინარეში; თვითმხილველთა ინფორმაციით, მტკვარში 20 წლამდე ასაკის მამაკაცი, ახალგაზრდებთან კამათის შემდეგ, მეტეხის ხიდიდან გადაეშვა. ათი წუთის განმავლობაში იგი დახმარების საშუალებას არავის აძლევდა, შემდეგ კი ღრმად შეცურა და გაუჩინარდა. ამ დღეებში მაშველებმა მტკვარში 29 წლის საგიფა ამაროვის ცხედარი იპოვეს,





იგი მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიიდან მტკვარში რამდენიმე დღის წინათ გადახტა. გარდაცვლილის ახლობლები მკვლელობას გამორიცხავენ, სავარაუდოდ, ამაროვმა თავი მოიკლა. დილის 4 საათზე ბარათაშვილის ხიდიდან 65 წლის მამაკაცი გადახტა, სამაშველო ჯგუფმა იგი წყლიდან რამდენიმე წუთში ამოიყვანა, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა...




ბოლო წლებში თვითმკვლელობათა გახშირებას ფსიქოლოგები მძიმე სოციალური პირობებით, სასოწარკვეთისა და უპერსპექტივობის განცდით ხსნიან.

**ქვეყანაში სიტუაცია დღითიდღე უარესდება, ადამიანებს თვითრეალიზაციის საშუალება არ ეძლევათ, დიდია უპერსპექტივობის განცდა, რაც ცხოვრების აზრის დაკარგვასა და უიმედობას განაპირობებს.**

ფსიქოლოგების აზრით, ადამიანი თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას მაშინ იღებს, როდესაც სულიერად გამუდმებით დაუკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, როდესაც თვითრეალიზაციის შანსი და პერსპექტივა აღარ აქვს.

დღეს ჩვენს საზოგადოებას ეს პრობლემა განსაკუთრებულად აწუხებს. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში სუიციდის მიზეზად საზოგადოების დეზინტეგრაციას ასახელებენ.

**თვითმკვლელობების რიცხვის ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს საბანკო პოლიტიკაც. თვითმკვლელობის მიზეზი არაერთ შემთხვევაში სწორედ საბანკო ვალები და ბანკებში ჩადებული სახლებიდან ოჯახების გამოსახლება გახდა. ასევე ქვეყანაში არსებობს უსამართლობის მწვავე განცდა.**

ფსიქოლოგების აზრით, ასეთი მდგომარეობის ფონზე, სავარაუდოა, თვითმკვლელობების კიდევ უფრო გახშირება.

ძლიერი სტრესის, უსამართლობის, სოციალური სიდუხჭირისა და პოლიტიკური წნეხის ფონზე იქმნება აჯანყებებისა და რევოლუციების საშიშროება, რაც საა-კაშვილის წისქვილზე ნამდვილად არ უნდა ასხამდეს წყალს.

გვერდი მოამზადა **სოფო გელაშვილმა**

# ეჟოვივით უარყოფილი ნინო ბურჯანაძე და მელიტონ ქანთარიას დაბრუნება




ახალი მემორიალის ესკიზი პოკლონაია გორაზე

**ვიწყებ ციტატით „საქართველო და მსოფლიოს“ 26-ე ნომერში გამოქვეყნებული დიმიტრი მონიავას პუბლიცისტური რეპლიკიდან „ცხოვრება ნეტარი მიხეილისა“: „პირდაპირ ვიკითხავ: მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ბიოგრაფია წაკითხული თუ გაქვთ?.. მსგავსი რამ ქართულ ისტორიას, ლიტერატურასა და ფსიქიატრიას არ ახსოვს. ტექსტის სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია მდიდარ მასალას იძლევა მსჯელობისთვის თემაზე „უვიცი ცალკალოშიანები ხელისუფლებაში“...**

იძლევა, როგორ არ იძლევა! განსაკუთრებით, უახლესი ისტორიის სასურველ თარგზე გამოჭრის, უცილობელი ფაქტების იგნორირების, შეგნებულად ამოგდების მეთოდის შემოქმედებითად გამოყენების თვალსაზრისით, რაც 1937 წლის შემდეგ ასე ოპერატიულად ვერავინ შეძლო.

ამათია პრიორიტეტი. მოირგეს ისტორია.

**„2003 წელს გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად, — წერია აღნიშნულ „ჰაგიოგრაფიულ“ ნაწარმოებში, — მიხეილ სააკაშვილი და პარლამენტის აწ უკვე გარდაცვლილი წევრი ზურაბ ჟვანია გაერთიანდნენ არჩევნების შედეგების გასაბათილებლად და საზოგადოებას პროტესტისკენ მოუწოდეს, რაც „ვარდების რევოლუციის“ საწყისი გახდა“.**

ნინო ბურჯანაძე რა იქნა, მაშინდელი „ტრიუმვირატის“ მესამე წევრი?

ააფრინეს ალალი...

განვაგრძოთ ჟამთა აღმწერელის ციტირება: **„რევოლუციამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც პარლამენტის კარებისკენ სააკაშვილი მშვიდობიანად (!) მიუძღოდა მამაც მეოცნებე ადამიანთა (!) რჩეულ ჯგუფს“.**

ნაკლებად რჩეულები, ალბათ, გარეთ იდგნენ...

მიუძღოდა და განწირულის ხმით ყვიროდა: „გადადექი! გადადექი!“. მამაცი და მეოცნებე ადამიანების რჩეული ჯგუფის წევრები კი მშვიდობიანად დახტოდნენ სკამებიდან მაგიდებზე, მაგიდებიდან სკამებზე და ასევე მშვიდობიანად ამტვრევდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ ან ფეხებში გაებლანდებოდათ.

**არ წერს ამას „ნეტარი მიხეილის“ ბიოგრაფი. არც იმას აღნიშნავს, როგორი პათეტიკით გამოაცხადებს იგი: „პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე!“ და ეს უკანასკნელი როგორ საზეიმოდ გაეშურება პრეზიდიუმისკენ, სადაც სააკაშვილს უკვე გამოცლილი აქვს გაცივებული ჩაი შევარდნაძისეული ჭიქიდან...**

სტალინს ჩაუსაფრდნენ, ძეგლი მოურღვიეს გორის ცენტრში. ტოტალიტარიზმისგან გამიჯვნის საჩვენებელი ღონისძიება ჩაგვიტარეს, თვითონ კი იქ დარჩნენ — შორეულ 1937 წელიწადში.

**როცა სტალინმა შინაგან საქმეთა სისხლისმსმელი პარანოიკი ეჟოვი მოიცილა, ჩამოაქვეითეს, დააპატიმრეს, გაასამართლეს და დახვრიტეს, ოფიციოზმა ყველა გავრცელებული ფოტოსურათიდან ამოაგდო ეჟოვი, უპირველესად კი, იმ ფოტოებიდან, სადაც იგი სტალინის გვერდით იყო გადაღებული.**

**ერთი მაინც განსაკუთრებით ცნობილი ფოტო იყო: სტალინი თანმხლებ პირებთან ერთად ვოლგა-დონის არხის მშენებლობას ათვალიერებს. დაფიქსირებული ფაქტი დარჩა, ეჟოვი გაქრა.**

**აქაც ასეა: პარლამენტში „მშვიდი“ შევარდნის „კულმინაცია“ დატოვეს, ბურჯანაძე ეჟოვივით აართქლეს.**



**არ ჩასდგომოდა კრიჭაში სააკაშვილს, არ გადასულიყო ოპოზიციაში და ექნებოდა პატივი, წარმოდგენილიყო „ვარდების რევოლუციის“ ფორმულაში „ორს პლიუს ერთი“**





...რაც არ არი, არ არიო.

თუმცა არის განსხვავება, თანაც — მნიშვნელოვანი.

პირველი პრინციპული განსხვავება ეპოქებშია, სახელმწიფო წყობასა და დროის მანძილში — ოთხმოც წელიწადზე მეტია, რაც გინდა, თქვი.

მეორე განსხვავება პრინციპებშია, მსოფლმხედველობაში, მსოფლაღქმაში, თუ გნებავთ.

მესამე — კონკრეტულ პიროვნებებში. ეჟოვი ჯალათია, ყელამდე სისხლშია, მისი სურათის ამოღებას, გამართლება თუ არა, ახსნა მაინც მოეძებნება.

**ნინო ბურჯანაძის სახსენებელი სააკაშვილის ბიოგრაფიაში რომ მოსპეს, ვის გაუკვირდა? არ ჩასდგომოდა კრიჭაში სააკაშვილს, არ გადასულიყო ოპოზიციაში და ექნებოდა პატივი, წარმოდგენილიყო „ვარდების რევოლუციის“ ფორმულაში „ორს პლიუს ერთი“, სახელმწიფო გადატრიალების ტრიუმვირატში, უპირობოდ მოიხსენიებდნენ „რევოლუციის კულმინაციის“ ჟამს „მამაც და მეოცნებე ადამიანთა რჩეული ჯგუფის“ წევრთა შორის.**

**ბურჯანაძე კი არა, ქვეყნის ისტორიული ეტაპების ამოშანთვას შეუდგნენ „ახალი რეფორმატორები“ ხალხის მეხსიერებიდან.**

სამამულო ომში დაცემული ქართველი გმირების მემორიალის აფეთქება ქუთაისში. მასშტაბური ვანდალიზმი. ცოდვიანი. დედა-შვილი რომ შეიწირა სააკაშვილის გულის მოსაგებად გააქტიურებული ბარბაროსების ქვეშევრდომლურმა სულსწრაფობამ და აღტკინებამ.

**ჩვენ ვაფეთქებთ ქართულ ძეგლებს, მოსკოვში აგებენ სანაცვლო მემორიალს. ცნობილი ფაქტია.**

**ახლახან კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ საუკეთესო პროექტის გამოსავლენად რუსეთში გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა მოქანდაკეების — სალავატ შჩერბაკოვისა და ანდრეი კოვალჩუკის, არქიტექტორ ვასილი პერფიროვის ნამუშევარმა „რაიხსტაგზე დროშის აღმართვა“.**

**საინტერესოა, რომ ამ პროექტს ინტერნეტში 22-მა ათასმა ადამიანმა დაუჭირა მხარი.**

**ძეგლს, რომლის ასაგებად თანხებს აგროვებს ფონდი „ისტორიული მემკვიდრეობა“, წლის ბოლოს საზეიმოდ გახსნიან.**

ავტორების ჩანაფიქრით, მონუმენტის უმაღლეს წერტილზე დგას ლეგენდარული მეომრების — ეგოროვისა და ქანთარიას სკულპტურები, მათი, ვინაც გამარჯვების დროშა აღმართეს რაიხსტაგის თავზე. ოდნავ ქვემოთ — სხვა ჯარისკაცები არიან, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს. კომპოზიციის ფონი კედელია, რომელიც ქუთაისში აფეთქებული მემორიალის სილუეტითაა წარმოდგენილი.

საზეიმოდ გახსნის ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ მელიტონ ქანთარიასა და მიხეილ ეგოროვის მემკვიდრეთა მიწვევა მოსკოვში.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ხელისუფალნი უარს ათქმევინებენ ქანთარიას მემკვიდრეებს ამ მიწვევაზე...

ჩვენს ჯინაზე გადადგეს რუსეთში ეს ნაბიჯი? პოლიტიკური მოსაზრებით?

ვინ უარყოფს, რომ ასეა?

მაგრამ ისიც ხომ უეჭველია, რომ ჩვენ მივეცით საბაბი მორალური უპირატესობის მოსაპოვებლად. საკუთარი წარსულის მაგინებელთა სამარცხვინო სიაში ჩვენი უჯიშო თავგამოდებით ჩავდექით.

**არმაზ სანებლიძე**





იყო და არა იყო რა: გააქრეს ეჟოვი ფოტოსურათიდან

**P.S.ამასობაში უკრაინის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ დიდი სამამულო ომის ეროვნული მუზეუმიდან მოაცილებენ ექსპოზიციას, რომელიც ომის პერიოდში ფაშისტების მხარეს მებრძოლი უკრაინელი ნაციონალისტების — ბანდერელების საპატივცემულოდ იყო მოწყობილი.**

გსურთ, გაგვიზიარით თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მეთევზის დღე

**არაერთხელ გვისაუბრია ქართულ ჟურნალისტიკაში არსებული, რბილად რომ ვთქვათ, სავალალო მდგომარეობის შესახებ. ჯერ იყო და ნათია ლაზაშვილმა გაგვიზიარა მოსაზრება „რუსთავი 2"-ის ეთერიდან — „ოსკარების" ცერემონიალით კინოლოგები ძალიან კმაყოფილი დარჩებიანო, პირველმა არხმა „ქრისტეს კვარცი" აღმოაჩინა, „იმედი" ინგა გრიგოლიას საშუალებით მატვეი განაპოლსკის უტევდა კულაშის ორლობეში ნასწავლი რუსულით... პრობლემის გამოსწორების ნიშანწყალი კი კვლავინდებურად არ ჩანს.**

გასულ კვირას — პეტრეპავლობის მეორე დღეს — მართლმადიდებელმა სამყარომ 12 მოციქულის ხსენების დღე აღნიშნა. საღამოს 5 საათიან „მოამბეში" პირველმა არხმა ამ თემას სიუჟეტი მიუძღვნა და პირდაპირი ჩართვაც განახორციელა ტაძრიდან. კორესპონდენტმა ღლაპმა (ზრდასრული ხომ ტელევიზიაში აღარ დატოვეს არავინ) დღემდე არნახული და არგაგონილი თეოლოგიური აღმოჩენა გააკეთა და თავდაყირა დააყენა ლამის მთელი ბიბლია — **მაცხოვრის უკლებლივ ყველა მოსწავლე და მოციქული პროფესიით მეთევზე იყო და ამიტომ დღეს მეთევზის დღე აღინიშნებაო.** კიდევ კარგი, გვერდით გარემოს დაცვის სამინისტროს რომელიმე წარმომადგენელი არ დაიყენა და ხელში ანკესი ან ბადე არ დაიკავა.

მოდი და ისაუბრე ამის შემდეგ მაღალ მატერიებზე, განათლებაზე, კომპეტენციაზე, პროფესიონალიზმზე... საზოგადოება ხომ უკვე გაუნათლებლებად და განათლებულებად კი არა, ნორმალურებად და არც თუ მთლად ნორმალურებად იყოფა. განათლებაა საჭირო იმისთვის, რომ არ დააბრეხვო: **ოზურგეთში ტყვიამფრქვევი განაიარაღეს და ბოროტმოქმედები აუზის ტიპის ავტომანქანით მიიმალნენო**? ან ის – ქალი-წამყვანი რომ ხარ, **გარეგნობით ნატაშა როსტოვას რომ შეგადარებენ და პასუხად რომ იკითხავ – ეგ რომელ არხზე მუშაობსო?**

როცა მთელი ტელემედია არველაძეების, წამალაშვილების, ჭანტურიების, კიწმარიშვილებისა და აქუბარდია-ჯანგირაშვილების ხელშია, არანაირი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ახლო მომავალში ქართულ ტელეჟურნალისტიკაში გაჩნდება მოთხოვნილება მოაზროვნე ჟურნალისტებზე, დაფასდება ინტელექტი და განათლება, ვიხილავთ გემოვნებით მომზადებულ გადაცემებსა თუ სიუჟეტებს, გადაცემის წამყვანებს ფუფალასავით არ ეცმევათ... მაგრამ ვინც ამ არველაძე-წამალაშვილებს თანამდებობებზე ნიშნავს და სატელევიზიო სფეროს აბარებს, ის თვითონაა სამკურნალო და ნორმალურს ვის დანიშნავს?

**ეს ყოველთვის ასე იყო, სხვათაშორის. უკვე რამდენი წელია, ქართული ტელეეთერი ძუძუმწოვრებმა დაიპყრეს (თუ დააპყრობინეს) და შედეგად თინეიჯერული ტელემედიაც მივიღეთ. უცხოეთის ნებისმიერ ქვეყანაში ტელევიზიაში სამუშაოდ მისული ადამიანი წლების მანძილზე ჯერ სტაჟიორად, შემდეგ კორესპონდენტად, რედაქტორად თუ არ ამუშავეს, ვინ გააკარებს მას ეკრანს? ჩვენთან კი პირიქითაა, პირდაპირ წამყვანად სვავენ და მერე გვიკვირს, რატომ წამოროშა სისულელეო.**

არავინაა დაინტერესებული ამ სფეროში პროფესიონალიზმის დონის ამაღლებით კი არა, გაჩენითაც კი. როდესაც სახელმწიფოს მაგვარში ტელევიზია მხოლოდ იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ დატვირთვას ატარებს, იქ გემოვნებიანი და მოაზროვნე თანამშრომლები, პრაქტიკულად, არ სჭირდებათ.

**სალვადორ დვალი**



# ნამდვილად ვართ მართლმადიდებელნი?

**„ჩვენთან არს ღმერთი!" — მიესალმა კათოლიკოს-პატრიარქი 1988 წელს თსუ-ის სააქტო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას. დარბაზი დაინგრა ტაშით. მაშინ ვიფიქრე: თუ მართლაც ასე გვწამს ღმერთის, მაშინ ყველა დაბრკოლებას გადავლახავთ და გამარჯვებაც ახლოსაა-მეთქი. თურმე სადა ხარ! მაშ, ასე: ვართ თუ არა ნამდვილად მართლმადიდებელნი?**



ქართველობა კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც ახერხებდა საეკლესიო წესების დაცვასა და გულის სიღრმეში რწმენის შენარჩუნებას. უფრო სწორად, იმის შენარჩუნებას, რაც რწმენა გვეგონა. აღდგომაზე ეკლესიებში ტევა არ იყო, მიუხედავად „ვიდეო, ვიდეოში" საუკეთესო ფილმების გაშვებისა, „ეს ესტრადაა"-თი დასავლური პოპ-მუსიკის საუკეთესო წარმომადგენლების მოსმენისა და ხილვის უიშვიათესი შესაძლებლობისა და ეკლესია-მონასტრებთან კომკავშირული აქტივის გაძლიერებული მობილიზებისა... ტაძრები სავსე იყო ხალხით.

**კომუნისტური რეჟიმის რღვევის დაწყებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „რწმენამ" ჩვენში იხუვლა, ვითარცა შადრევანმა ავლაბრის მეტროს წინ. იყო კი ეს ნამდვილი რწმენა? რა დაგიმალოთ და ცოტა ეჭვი შემიტანია.**

„არ განიკითხო", — გვასწავლის ერთ-ერთი მთავარი ქრისტიანული პოსტულატი. ამ თვალსაზრისით, ალბათ, ვცოდავ, მაგრამ, თუ მე ვარ ერთადერთი ცოდვილი, ავშენებულვართ და ეგ არის.

ადამიანებმა მასობრივად იწყეს ეკლესიაში სიარული. რომელიმე ტაძრისა თუ კონკრეტული მოძღვრის მრევლობა უკვე პრესტიჟული ამბავი გახდა. ხშირად გაიგონებთ: „ჩემმა მამაომ (მოძღვარმა) მითხრა...", „ჩემს მამაოს დავურეკე...", მოძღვარი „სვეტსკი" ცხოვრების ისეთივე აუცილებელი ატრიბუტი გახდა, როგორიც (მომიტევეთ შედარებისთვის) მობილური ტელეფონი თუ ზაფხულში ზღვაზე დასვენებაა.

და რაც ყველაზე პარადოქსულია, საქმის ჩაწყობა დაიწყეს... ღმერთთან. **ეკლესია-მონასტრების მშენებლობა ქურდებმა და სხვა ათასი ჯურის მამაძაღლებმა დაიწყეს.** ისე არ გამიგოთ, თითქოს ეს ცუდი საქმე იყოს და, თუ ადამიანს „შავი" წარსული ჰქონდა, ამის გამო ვინმემ მას ხელი უნდა ჰკრას და ახლოს არ გაიკაროს. ოღონდ კი ყველა მძარცველმა თუ სხვა ჯურის ავაზაკმა გააცნობიეროს, რას აკეთებდა და ეკლესიისკენ იბრუნოს პირი და აუგი მათზე ვის უნდა დასცდეს, მაგრამ იბრუნეს კი პირი ღმერთისკენ? თუ, უბრალოდ, შიში გაუჩნდათ, რომ „იქ" მოეკითხებათ? **ეკლესიები ააშენეს, მაგრამ რეალურად ადამიანთათვის სიკეთის კეთება დაიწყეს?**

მე თეოლოგი ნამდვილად არ გახლავართ და ვერც იმას დავიჩემებ, ყველაზე კარგად მე ვიცი, რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ პიროვნებაში დადებითმა აჯობოს უარყოფითს. მაგრამ ჩემი აზრი კი ნამდვილად გამაჩნია — **ეკლესიის აგება, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ, როცა დიდი ფულის პატრონი ხარ, იქნებ ჯერ ერთი-ორი ადამიანი მოგეძებნა, ვისაც ავადმყოფობისგან ან შიმშილისგან შვილი უკვდება და უფულობის გამო მის გადარჩენას ვერ ახერხებს? ადამიანს რომ დაეხმარები, შვილს თუ ოჯახის სხვა წევრს სიკვდილისგან გადაურჩენ, ამაზე დიდი მადლი რა უნდა იყოს?!**

კერპი არ შეიქმნაო, გვასწავლის ერთ-ერთი მთავარი მცნება. ჩვენ კი სამი პრეზიდენტიდან ორი სწორედაც რომ კერპად გავიხადეთ, გავაფეტიშეთ და თაყვანი ვეცით. რომელიმე პოლიტიკოსის მიმართ სიმპათია თუ გაგვიჩნდა, ის აუცილებლად უნდა შევიყვაროთ, მიტინგებზე მისი სახელი უნდა ვიყვიროთ რაც შეიძლება ხმამაღლა და ემოციურად, მის მინუსებზე თვალი უნდა დავხუჭოთ და ყველას უნდა ვუმტკიცოთ, როგორი კარგია ჩვენი რჩეული.

და 1989 წლის 9 აპრილი? 10000-მდე ადამიანი ეკლესიისგან ზურგით დგას, ერის სულიერი მამის — კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებას არაფრად აგდებს და მკრეხელობით პასუხობს — „ფიცი გვაქვს მიცემულიო"... ვაი შენს პატრონს, ამის დამძახებელო, ვისთვის გაქვს ფიცი მიცემული? ფიცის მიცემა საერთოდ ხომ ცოდვად ითვლება, ამასაც რომ თავი დავანებოთ, მართლმადიდებლად და მორწმუნედ რომ მიგაჩნია თავი, უწმინდესის სიტყვას არად აგდებ, არ უსმენ და ვიღაც ამება ირაკლი წერეთელს პატაკის სახით „მამაო ჩვენოს" აბარებ? და ამის მერე ვართ მართლმადიდებელი ერი?

**დაიდოს ყველამ გულზე ხელი — რაც დღეს ჩვენს ეკლესიებში ხალხი დადის, როგორც ჩვენი ეკლესია-მონასტრები და მთელი მიმდებარე ტერიტორიებია ხალხით გადავსებული ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საეკლესიო დღესასწაულის დღეს — ამდენი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი რომ ცხოვრობდეს დღეს საქართველოში, ამდენი ადამიანი რომ იყოს მოწოდებული მართლმადიდებლობის დედააზრის შესასრულებლად, ანუ სიკეთის საკეთებლად, ასეთ დღეში იქნებოდა დღეს ჩვენი ქვეყანა? ასე იქნებოდა ჩვენში გავრცელებული და ფეხმოკიდებული შური, ბოღმა, ღალატი, აგრესია, ძალადობა?**

ქელეხი ღრეობად და საზოგადოებაში თავმოწონების საშუალებად გადავაქციეთ, მიცვალებულს სასაფლაოზევე ძეგლებს ვუდგამთ და ფანჩატურებს და, რა ვიცი, რას აღარ ვუკეთებთ, გარდაცვლილს საფლავში ფულსა და ძვირფას ნივთებს ვატანთ — გზაში გამოადგებაო, დავმარხავთ — რაღაც არ მოგვეწონება — ისევ ამოვთხრით და შუა გზაზე დავაგდებთ...

და ბოლოს, იმის დასამტკიცებლად, რომ ნამდვილად მართლმადიდებლები ვართ და ამაში ეჭვი არავინ არ უნდა შეიტანოს, შევქმენით... „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი", ანუ სხვა მშობლები არამართლმადიდებლები ვართ? და როგორ დაიცვა ამ „კავშირმა" მართლმადიდებლობა? იმით, რომ ცემა-ტყეპა ატეხა, ვიღაც ფსიქიკურად (შესაძლოა, არა მხოლოდ) იმპოტენტი დეისაძე პოპულარული გახადა და „წიგნის" ორი ტირაჟი სრული ანშლაგით გაუყიდა? როდის აქეთ ნიშნავს მართლმადიდებლობა სრულ უტვინობას?

**სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის „მორწმუნეობა", „ეკლესიურობა" და „მრევლობა" სრულიად ბანალური ფარისევლობა და „პაკაზუხობაა" და მეტი არაფერი. ეკლესიურობა კარგია, მაგრამ, თუ გულში სიკეთე არ გიდევს, თუ საკუთარ თავს და საქციელს უმკაცრესად არ აფასებ და სხვას ზემოდან უყურებ, ეკლესიაში რამდენიც უნდა იარო და რიტუალები დაიცვა, ფარისეველი ხარ და არა მართლმადიდებელი.**

ბუნებრივია, უპირველესად, მართლმადიდებელმა ეკლესიამ და საპატრიარქომ უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ქართველობა რეალურად მოუბრუნდეს მართლმადიდებლობას და არა ისე, როგორც ეს დღეს ხდება. აქ კი, მართლაც, სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით. **საპატრიარქოსა და ეკლესიაში ბევრი რამ, ეჭვგარეშეა, კარგად ვერ არის, ამის უთქმელობა სირაქლემას პოზაში ყოფნას ნიშნავს და კარგს არაფერს მოიტანს, მაგრამ მე, მადლობა ღმერთს, თეა თუთბერიძე არ ვარ და ვხვდები, რომ ეკლესიის კრიტიკა ჩემი, როგორც საერო პირის, მხრიდან გაუმართლებელია და არც შესაბამისი კომპეტენცია გამაჩნია. მადლობა ღმერთს, გვყავს პატრიარქი, რომელსაც, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მთელი მსოფლიო პატივს სცემს; მთელი მსოფლიო, გარდა საქართველოს ამჟამინდელი ურჯულო ხელისუფლებისა.** როდესაც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ჩინოსანი – შინაგან საქმეთა მინისტრი – პატრიარქის ერთ-ერთ მთავარ ინიციატივას – მონარქიის აღდგენას „პრიმაკოვის პროექტად" ნათლავს, ხალხი კი ამას მშვიდად ხვდება, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ქვეყანა სერიოზულადაა ავად.

**ბუნებრივია, ძალადობაზე აგებული ხელისუფლება ვერ ეგუება იმას, რომ პატრიარქსა და ეკლესიას ნდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ ამ ქვეყანაში. ამიტომ ამღვრევენ წყალს ეკლესიაში. ამიტომ ბლოკავენ და აჩუმათებენ პატრიარქის ყველა ინიციატივას; ამიტომ ემართება ისტერიკა სააკაშვილს, როგორ თუ პატრიარქმა თუნდაც ერთი სოფელი დააბრუნა საქართველოს კონტროლქვეშო და ისეთი გამოთქმებით აიგდო რუსეთი, ამერიკა რომ ვერ გაუბედავდა ყველაზე პატარა და სუსტ ქვეყანასაც კი. შედეგი? — ორ საათში უკან შემობრუნებული რუსები და საქართველოდან ისევ მოწყვეტილი პერევი.**

მაგრამ ვერანაირი ხელისუფლება ვერ დაასუსტებს ვერც მართლმადიდებლობასა და ვერც ეკლესიას, თუკი ჩვენ, ქართველები, ვიპოვით საკუთარ თავში აზროვნების უნარსა და სიკეთის კეთების მზაობას; თუ გავაცნობიერებთ, რომ მხოლოდ ეკლესიაში სიარული მართლმადიდებლობას არ ნიშნავს; რომ ამისთვის, უპირველესად, სიკეთის კეთება და სხვა ადამიანის გაჭირვების გულთან მიტანა და სხვათა თანადგომაა საჭირო. გულში სიკეთისა და სათნოების მქონე ადამიანებსა და ერს კი უზნეო ხელისუფლება ვერ ეყოლება.

**არჩილ ჩხარტიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვისი სიცოცხლე შეიწირა ბიძინა გიორგობიანის საქმემ?

**ხმაურიანი საქმე, რომელშიც სატყეო დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა ბიძინა გიორგობიანმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან ხეტყით უკანონო ვაჭრობაში ქვეყნის ხელისუფლების მაღალჩინოსნები დაადანაშაულა, კვლავ აქტუალურია. სასამართლო პროცესი, რომელიც კონტროლის პალატის ყოფილი მაღალჩინოსნის — ნუგზარ ნაჭყებიას საქმეზე უნდა გაიმართოს სექტემბრის ბოლოსაა დანიშნული. შეგახსენებთ, რომ ნაჭყებია განსასჯელის ამპლუაში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც მან უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელი გიორგობიანის წინააღმდეგ შეთითხნილ სარევიზიო აქტზე ხელმოწერის იძულებაში ამხილა. პარადოქსია, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სამართალდამცავებს აღნიშნული საკითხი შეესწავლათ, ნაჭყებია პროკურორზე ზეწოლაში დაადანაშაულეს, მაგრამ 2005 წლიდან დღემდე მისი საქმე თაროზე იყო შემოდებული. რატომ განახლდა პროცესი, ვისი სიცოცხლე შეეწირა ხეტყით უკანონო ვაჭობის საქმეს და რა რეაგირება მოჰყვა აღნიშნულ საკითხზე პრეზიდენტთან ნაჭყებიას შეხვედრას — ამაზე ნუგზარ ნაჭყებია გვესაუბრება.**

## «დოკუმენტები ადასტურებს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან, ხეტყით უკანონო ვაჭრობაში საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ»





**— ბატონო ნუგზარ, რატომ გდევნიან?**

— ძირს საკაშვილის კრიმინალური ბანდა საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობით! დიდი ხანია, ამას ხმამაღლა ვამბობ და შეიძლება ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ ხელისუფლებას ჩემი მოშორება სურს.

ეს ხელისუფლება 2004 წელს და უფრო ადრეც (შევარდნაძის პერიოდში) ვაჭრობდა ხეტყით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან. 2004 წლის 20 აგვისტოს ეს უკანონო ვაჭრობა სატყეო დეპარტამენტის მაშინდელმა უფროსმა ბიძინა გიორგობიანმა შეაჩერა, რის გამოც კრიმინალურმა ბანდამ, სააკაშვილის ხელმძღვანელობით, მოინდომა გიორგობიანის მოშორება და ამაში ჩემი, როგორც კონტროლის პალატის ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსის მოადგილის გამოყენება გადაწყვიტა. მე არ გავურიგდი ამ ხელისუფლებას, არ მოვაწერე ხელი ამ საშინელებას, რის გამოც ჩემზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თითიდან გამოწოვილი საბაბით.

**ყალბი აქტის შესახებ, რომელიც მომზადდა კონტროლის პალატაში გიორგობიანის წინააღმდეგ, 2005 წლის 19 აპრილს ვაცნობე საქართველოს იმდროისთვის კანონიერ, ამჟამად კი თვითმარქვია პრეზიდენტს. ასევე ორი მოხსენებითი ბარათი გავუგზავნე ჩემს ხელმძღვანელობას, ვაცნობებდი, რომ კონტროლის პალატაში არასწორი აქტი დაიწერა და ვითხოვდი მის გასწორებას. 2005 წლის 27 აპრილს შევხვდი გენერალური პროკურატურის პროკურორ დავით კორძაიას და ჩავაყენე საქმის კურსში.**

კორძაიამ 23 დღის შემდეგ დაწერა მოხსენებითი ბარათი გენერალური პროკურატურის პროკურორის სახელზე, რაც გახდა ჩემთვის ბრალდების წაყენების საფუძველი, თითქოს მე ზეწოლას ვახდენდი პროკურორზე. დამკითხეს მხოლოდ ერთხელ. საქმე გადაეგზავნა სასამართლოს, მაგრამ სასამართლო პროცესი არ ჩატარებულა. მალე მას ხანდაზმულობის ვადა გასდიოდა, რაც ავტომატურად ნიშნავდა ჩემს გამართლებას, მაგრამ ამჯერად მოულოდნელად ამოატივტივეს თაროზე შემოდებული საქმე, რომელიც 30 მოსამართლეს მაინც გადაეწერა, და 1 ივლისს საქალაქო სასამართლოში დანიშნეს პროცესი. მე შევცვალე ადვოკატი, ამიტომაც ეს პროცესი სექტემბრის ბოლოსთვის გადაიდო, რიცხვი ჩემთვის ცნობილი არ არის. არ ვიცი, მიშასგან მოდის ეს ბრძანება თუ მოსამართლის თანაშემწის დონეზე გადაწყდა, მაგრამ ფაქტია, რომ პროცესი დანიშნეს.

ვფიქრობ, ეს არის პოლიტიკური პროცესი, რომელშიც მთელი სახელმწიფო მანქანა ჩაერთო ჯერ გიორგობიანის, ახლა უკვე ჩემ წინააღმდეგ. უნდათ, დააშინონ ის ჩინოვნიკები (მეც ჩინოვნიკებს ვეკუთვნი), რომლებმაც, შესაძლოა, არ შეასრულონ უკანონო ბრძანება. ამისთვის უნდათ ჩემი სამაგალითოდ დასჯა.

**— კონკრეტულად რას გედავებათ გამოძიება?**

— გამოძიება უკვე დასრულებულია. მე მხოლოდ ერთხელ ვიყავი დაკითხვაზე, მკითხეს, შევხვდი თუ არა კორძაიას; დავადასტურე, რომ შევხვდი და ვესაუბრე, რომ აქტი იყო არასწორად დაწერილი და ვკითხე მასზეც ხომ არ ახდენდნენ ზეწოლას ე.წ. ОДР-ები, რომლებიც ყველა წარმოებაში არიან მიმაგრებული და კურატორობენ ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობას. იმაში დამდეს ბრალი, რომ ვესაუბრე კორძაიას, პირდაპირ წერია საბრალდებო დასკვნაში: ესაუბრა გენერალური პროკურატურის პროკურორ კორძაიასო. თურმე სიმართლის თქმა და საქმის კურსში ჩაყენება დანაშაულად ითვლება.

**— პრეზიდენტთან შეხვედრა როგორ მოახერხეთ?**

— პრეზიდენტთან შეხვედრა მაშინაც რთული იყო. იმ დღეს იგი ხსნიდა მორიგ მაღაზიას გლდანში. მივედი და დავდექი ისეთ ადგილას, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შეხვედრა. მე ვიცნობ პრეზიდენტს, ვანო მერაბიშვილსაც, ამ ხელისუფლების თითქმის ყველა მაღალჩინოსანს. როცა შემოვიდა პრეზიდენტი და წამოვიდა ჩემკენ, მივესალმეთ ერთმანეთს და ვუთხარი, თუ რა ხდებოდა კონტროლის პალატაში. ვკითხე, გიორგობიანის ამბები ხომ გახსოვთ-მეთქი? მახსოვსო, ჰოდა, მიაქციეთ ყურადღება-მეთქი და წერილი გადავეცი. მას შემდეგ პრეზიდენტი აღარ მინახავს. ერთი თვის შემდეგ დაბარებული ვიყავი გურამ აბსნაძესთან, მივუტანე დამატებითი მასალები. დამპირდა, რომ ყველაფერს მოახსენებდა პრეზიდენტს, მაგრამ მას შემდეგ აბსნაძეც აღარ მინახავს; სად გაქრა, არ ვიცი.

### ნუგზარ ნაჭყებია:
### ჩემი გაჩუმება მხოლოდ სიკვდილით შეიძლება. მე არ გავიყიდები და არ გავჩუმდები არაფრის ფასად!

**— თქვენ ასახელებდით შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებს, რომლებიც ხეტყის უკანონო გატანაში მონაწილეობდნენ. ვისი ინტერესები იდო ამ საქმეში?**

— ჩემთან მოდიოდა კონტროლის პალატიდან ლაფანაშვილი, ის ჯერ შეფარვით მეუბნებოდა, მერე უკვე მაძალებდა, დავთანხმებოდი, რომ გიორგობიანი არის ყაჩაღი, მან უამრავი ფული მოპარა სახელმწიფოს, არის დასაჭერი და მთხოვდა, აქტის დაწერაში დავხმარებოდი. შევისწავლე ეს საქმე, საჭირო იყო კომპლექსური შემოწმება, რომელიც დავგეგმეთ 2005 წლის ზაფხულში.

**მაგრამ უშიშროება აჩქარდა, მათ სასწრაფოდ უნდოდათ გიორგობიანის მოშორება და მომიტანეს დათა ახალაიას ხელმოწერილი წერილი, რომ სასწრაფოდ შემოწმებულიყო ახალქალაქის სატყეო მეურნეობა. ეს იყო არაკანონიერი მოთხოვნა, რადგან კონტროლის პალატისთვის შემოწმების მოთხოვნის უფლება, კანონით, იმ დროისთვის ჰქონდა მხოლოდ პრეზიდენტსა და პარლამენტს, მაგრამ ეს რევიზია მაინც ჩატარდა და დაიწერა არასწორი აქტი. კონტროლის პალატამ შეამოწმა საქართველოს სატყეო დეპარტამენტი და დადასტურდა ე. წ. სამხრეთ ოსეთთან უკანონო ვაჭრობა. ამას ადასტურებს დოკუმენტები, რომლებიც გიორგობიანმა წარადგინა თავის სასამართლო პროცესზე, თუმცა ის სასამართლომ არ გაითვალისწინა. დოკუმენტები ადასტურებდა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან, ხეტყით უკანონო ვაჭრობაში საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ და ამას წლების განმავლობაში კურატორობდა უშიშროება.**

**— ანუ უშუალოდ მერაბიშვილზეა საუბარი?**

— მერაბიშვილამდეც იყო ვაჭრობა და მერაბიშვილის დროსაც გაგრძელდა, მაგრამ გიორგობიანმა ეს თავისი წერილით შეაჩერა. გიორგობიანმა სასამართლოზე წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომ, როცა იგი ავსტრიაში იმყოფებოდა, სატყეო დეპარტამენტში მიიტანეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის წერილი, რის საფუძველზეც სატყეო მეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა ბურდულმა გასცა ასი ცალი მკაცრი აღრიცხვის ბლანკი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაზე; რამდენიმე დღეში ავსტრიიდან დაბრუნდა გიორგობიანი და ეს წიგნები უკან გამოითხოვა. სწორედ ამან გამოიწვია გიორგობიანის მიმართ ამ ხელისუფლების აგრესია.

**მტკიცებულებად, რომ უშიშროების სამსახურის თანამშრომლები მაძალებდნენ გიორგობიანის დასაჭერი აქტის დაწერა დამევალებინა ჩემი თანამშრომლებისთვის, მაქვს ОДР პაპაშვილთან საუბრის ჩანაწერი, რომელშიც ვეკითხები გოგიტა პაპაშვილს, რა გინდოდათ გიორგობიანთან-მეთქი. ის მპასუხობს: მე ვარ ოფიცერი, რასაც დამავალებენ, იმას ვაკეთებო. კითხვაზე, ახალაია საქმის კურსშია თუ არა მეთქი, მპასუხობს: ახალაიაც საქმის კურსშია და ვანო მერაბიშვილიცო.**

2006 წელს ამას სამთავრობო საათზეც საკმაოდ დიდი ხმაური მოჰყვა. მაშინ მერაბიშვილმა განაცხადა: მე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან ხეტყით არ ვვაჭრობდიო, თუმცა ფაქტი ჯიუტია.

**— თუკი პრეზიდენტი არ მფარველობს ამ ჯგუფს ან მისთვის არ იყო ცნობილი ამ ვაჭრობის შესახებ, თქვენთან შეხვედრის შემდეგ რეაგირება უნდა მოეხდინა ამ საკითხზე...**

— დიახ, მეც ვფიქრობდი, რომ პრეზიდენტი არ იყო საქმის კურსში და მეგონა, გამოასწორებდა ამ სიტუაციას, მაგრამ, წერილი რომ გადავეცი, ერთ თვეში ლამის მეც დამიჭირეს.

**— სხვათაშორის, საკვირველია, რომ თქვენ ამდენ ხანს არ დაგაპატიმრეს.**

— რატომ უნდა ვიყო პატიმრობაში? ახლა მე ვარ განსასჯელი, თორემ მოვა დრო და ესენი იქნებიან ამ საქმეზე განსასჯელები. ჩემი გაჩუმება მხოლოდ სიკვდილით შეიძლება. მე არ გავიყიდები და არ გავჩუმდები არაფრის ფასად. სიმართლისთვის ვიბრძოდი მაშინაც, როცა ვმუშაობდი, და ვიბრძვი ახლაც.

**— ამ ხელისუფლების მეთოდი ასეთია, ვინც ხელს უშლის, იზოლაციაში აქცევენ. ხორციელდება თუ არა რაიმე სახის ზეწოლა თქვენზე?**

— **(ხუმრობს)** არა, სულ მეკითხებიან ნუგზარ ხომ არაფერი გიჭირს ან რამე ხომ არ გჭირდებაო. ჯერ ცოცხალი ვარ. უშიშარი ადამიანი ვარ და საკმაოდ ჭკვიანიც საიმისოდ, რომ გავიგო, მობილურსა და სახლის ტელეფონზე მისმენენ თუ არა; ვიცი, რომ ყოველთვის ვილაც დამყვება. ერთ-ერთი პიროვნება 2006-დან 2007 წლამდე დამყვებოდა, მერე სამსახურიდან გაათავისუფლეს და ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიაში ვნახე, რომ დამინახა, გაეხარდა, მითხრა, რამდენი გდიეო... მიჩვეული ვარ ამას. **სასამართლო პროცესზე გამოვაქვეყნებ მნიშვნელოვან საკითხებს, ამიტომ ჟურნალისტებს ვთხოვ, დაესწრონ პროცესს. ძალიან ბევრი სიახლე იქნება პროცესზე, ხელისუფლებას სურს ამ საქმის მიფუჩეჩება, მაგრამ ამის საშუალებას არ მივცემ.** თუ არ დააკმაყოფილებენ ჩემს შუამდგომლობას, არ გავჩერდები, ჩივილს გავაგრძელებ ამ უსამართლო სასამართლოშიც, რათა ყველა ინსტანცია გავიარო და შემდეგ მივმართავ სტრასბურგის სასამართლოს. გიორგობიანისა და ჩემი საქმის გამოყოფა შეუძლებელია. მან უკვე მიმართა სტრასბურგის სასამართლოს.

**— პრინციპში, თქვენ ხართ ერთ-ერთი ძირითადი მოწმე მის საქმეზე.**

— დიახ, ერთადერთი, რომელიც დარჩა საქართველოში. ამ საქმეს შეეწირა ერთი ადამიანის სიცოცხლე, ორი გაქცეულია თუ წასულია, არ ვიცი. გიორგობიანის საქმეზე მოწმე იყო ახალქალაქის სატყეო მეურნეობის დირექტორი სეროპიანი. იგი დააპატიმრეს, ორჯერ ჰქონდა გადატანილი ინფარქტი, ერთი თვე დილეგში გამოამწყვდიეს და მაინც ვერანაირი ჩვენება ვერ გამოსძალეს. ვერ ვიტყვი, რომ მოკლეს, მაგრამ ნერვიულობამ იმოქმედა, ალბათ; ფაქტია, რომ ახალგაზრდა კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# «სტუმარ – მასპინძელი»...

2010 წლის ივლისი. საქართველო. პაპანაქება სიცხე... მიუხედავად ამისა, ამ თვეს მკვდარ პოლიტიკურ სეზონს ნამდვილად ვერ ვუწოდებ — 2008 წლის აგვისტოს შემდეგ არნახულად ბევრი სტუმარი გვეწვია: აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **კლინტონი** და მისი თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საქმეებში **გორდონი**, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი უსაფრთხოების პოლიტიკასა და საგარეო საქმეებში **ეშტონი,** ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი **იაგლანდი** და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლები საქართველოს საკითხებში — **იანსენი** და **ისლამი,** საფრანგეთის, მაკედონიისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები — **კუშნერი, მილოშოვსკი** და **სიკორსკი**, უკრაინის ვიცე-პრემიერი **ტიგიპკო** და აზერბაიჯანის პრეზიდენტი **ალიევი**... ამას დაემატა პრეზიდენტ **სააკაშვილის** „დამმობილება“ ბელორუსის პრეზიდენტ **ლუკაშენკოსთან**.

მაინც რა მოხდა?! **ნუთუ, როგორც დღე-ღამის განმავლობაში 25 საათი ირწმუნება საქართველოს პროსამთავრობო ტელევიზია, მთელმა მსოფლიომ კვლავ პირი ქნა საქართველოს ხელისუფლებისკენ, ზურგი კი რუსეთს შეაქცია?! ნუთუ პიარზე — დასავლეთის ლობისტებზე, ჟურნალისტებზე, კონსულტანტებზე, პროდასავლელ რუს „უფლებათა დამცველ-ექსპერტ-პუბლიცისტებზე“ დახარჯულმა მილიონობით დოლარმა მსოფლიო თანამეგობრობას აზრი შეაცვლევინა პრეზიდენტ სააკაშვილზე, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ კეთროვანივით ერიდებოდა?!**

ნუთუ ათასგვარმა შოუმ, გასართობმა ცენტრებმა, ინვესტორთა ეფექტურმა ახალმშენებლობებმა (ძირითადად, მსოფლიოში ცნობილი ბრენდების სასტუმროებმა აჭარაში) ასეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მრავლისმნახველ უცხოელ ექსპერტებზე?!

დასაწყისისათვის შევთანხმდეთ, რომ ვიზიტების სერია (მომხდარი ფაქტი, რომელსაც ვერ უგულებელყოფ!) და მათი თანმიმდევრობა შემთხვევითი როდია. **მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ვიზიტორს თავისი კონკრეტული მიზანი ჰქონდა, ამ ვიზიტების სერიაში არსებობს მთავარი „რგოლი, რომელსაც, თუ გამოსწევ, მთელი „ჯაჭვი“ მოჰყვება“. და ასეთი „რგოლი“ ჰილარი კლინტონის — იმ ქვეყნის სახელმწიფო მდივნის აღმოსავლეთევროპული ტურნეა, რომელსაც მთელი მსოფლიოს დაქვემდებარების ამბიცია აქვს!**

(ამ ამბიციის — მთელ მსოფლიოზე ბატონობის, „დემოკრატიის ეტალონის“ როლის, მსოფლიო ნავთობის საკონტროლო პაკეტის“ ხელში ჩაგდების ოცნების უგულებელყოფისა და იმის აღიარების შემთხვევაში, რომ ბევრი საგარეო საფრთხე დღევანდელ მსოფლიოში მის მიერვეა გამოგონილი, ამერიკა, უბრალოდ, შტატებად დაიშლება! ხოლო ურთიერთობების „გადატვირთვამ“ რუსეთთან, როგორც იძულებითმა ტაქტიკამ, აშშ პოსტსაბჭოთა სივრცეში გამორკვევის აუცილებლობის წინაშე დააყენა, რათა გადაარჩინოს ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლება; კერძოდ, მოახდინოს თავისი აქტივების „ინვენტარიზება“ ყირგიზეთში, უკრაინასა და სამხრეთ კავკასიაში, მაშინ, როცა პრობლემები აქვს ერაყში, პაკისტანში, ავღანეთსა და მოსალოდნელი — ირანში).

**„Здравствуйте, гости! Ай, не надо, ай, бросьте...“** — საყვარელი მომღერლის (სააკაშვილის სეხნიის) შლაგერი თავისთავად გამახსენდა, როცა თბილისში დასავლელმა „რევიზორებმა“ ძველი მოტივები „წაიმღერეს“: ***„რუსეთმა უნდა შეასრულოს მედვედევ-სარკოზის შეთანხმება და გაიყვანოს ჯარები“, „ჩვენ გავაგრძელებთ ზეწოლას რუსეთზე, რათა მან ოკუპირებული ტერიტორიები დატოვოს“, „ჩვენ კვლავაც მხარს დავუჭერთ დემოკრატიულ რეფორმებს საქართველოში“, „აუცილებელია, წამოიწყოთ დიალოგი რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან“...***

თუ ძვირფასმა სტუმრებმა კიდეც „ჭამეს“ მათთვის შეთავაზებული „ყველი“ (კონცერტებისა და ფოიერვერკების ფონზე), საქართველოს მოსახლეობა „უფასო ყველს“ უკვე აღარ „ჭამს“: **უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია** (ვის, ვის და ბატონ **კუშნერს**, როგორც ჭეშმარიტ ფრანგსა და, მაშასადამე, ყველის მცოდნეს, ეს ჩინებულად უნდა ესმოდეს)! მორიგი დასავლური ტრანში კვლავ საქართველოს მოქმედი ხელისუფლებისა პიარ-ლობირებასა და გამდიდრებაზე დაიხარჯება ან იმთავითვე მისთვის იქნება გამიზნული, როგორც ის 4 მლნ დოლარი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ აშშ-მა გადმორიცხა **„საქართველოს პარლამენტის გასაძლიერებლად**“(?!).

*(არ ვიცი, მანდ რისი გამყარებაა საჭირო, ალბათ, შესასვლელი კარის, რათა ხალხი უნებლიეთ, როგორც 2003 წლის ნოემბერში მიხეილი და მისი რაზმი, შიგნით არ შეიჭრეს, მაგრამ „განმტკიცების“ პროგრამას აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და **საერთაშორისო საქმეების ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)** განახორციელებს!...* დიახ, დიახ, **„ამერიკელი ქართველი“ მაკეინი და მისი აქაური მუდმივი წარმომადგენელი** (შეთავსებით საქართველოს განათლების მინისტრი) **დიმიტრი შაშკინი,** რომელმაც ახლახან განაცხადა, რომ **„ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობისა და ძმობის მითი ბოლოსდაბოლოს გაქარწყლდა!“** ეგებ, გვეკითხა გულუბრყვილო დიმკასთვის: **მისი კომპეტენტური აზრით, რომელი მითი გაქარწყლდება კიდევ — ქართველ-სომეხი თუ ქართველ-აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის?! უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, ეს 4 მილიონი მთლიანად საქართველოს სოფლის მეურნეობის — ჩვენთვის ერთადერთი ისტორიულ-პერსპექტიული დარგის განვითარებას მოხმარებოდა?!**).

**ამიტომ ყველაფერი, რისი დეკლარირებაც დასავლელმა სტუმრებმა თბილისში მოახდინეს, ბლეფია. რუსეთი უკან არ წაიღებს თავის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ, არ გაიყვანს თავის ჯარებს და არც საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან გამართავს დიალოგს!**







## აშშ საბოლოოდ დაკარგავს კავკასიას, კასპიისპირეთის «გასაღებსა» და პლაცდარმს ავღანური და სავარაუდო ირანული კამპანიებისთვის!

ისმის კითხვა: **მაშ, რატომ „ჭიკჭიკებენ“ ამაზე ეგზომ მაღალჩინოსანი და თითქოსდა სერიოზული პოლიტიკოსები?!**

პასუხი: **იმიტომ, რომ ისინი პოლიტიკოსები არიან და ეს მათი სამუშაოა!**

მარტივად ავხსნი: საქმე ისაა, რომ **პოლიტიკური მეთოდები** ერთობ მრავალფეროვანია, ისინი უშუალო კონტაქტებსაც გულისხმობს — დიპლომატთა მოლაპარაკებებს, „დახურულ კარს მიღმა“ სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრებს, რასაც შეიძლება პირობითად **პირდაპირი მეთოდები** ვუწოდოთ, და ე.წ. **ირიბი მეთოდები** — მესამე ქვეყნების მეშვეობით ორმხრივი ზემოქმედება, მათზე თავიანთი გავლენის გაძლიერება, რათა მოლაპარაკებების მაგიდასთან ხელში მეტი „კოზირი“ ექნეთ: ჰოდა, **ამ ბატონებს მიუფურთხებიათ საქართველოსთვის, საქართველო დღეს მარტოოდენ რუსეთზე ზემოქმედების ინსტრუმენტი, ანუ ირიბი პოლიტიკური მეთოდია. აშშ და ევროპა, საქართველოს მეშვეობით, დიპლომატიურად ეუბნებიან რუსეთს იმას, რასაც პირში ვერ უბედავენ; უწოდებენ ოკუპანტსა და აგრესორს, კიცხავენ დემოკრატიის დაბალი დონის, ავტორიტარიზმის, ადამიანთა უფლებების შელახვის, მედიის ცენზურის გამო, შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რომ არ შეახსენონ კომუნისტური წარსული, ჯალათი სტალინი და საბჭოთა ფსიქოლოგია!**

**და მიხეილ სააკაშვილს ეს ყველაფერი ჩინებულად ესმის! ესმის, მაგრამ შეგნებულად განაგრძობს მისთვის გამიზნული როლის შესრულებას — მას ხომ სხვა გამოსავალი არ აქვს, ეს მისი ბოლო შანსია, პუტინის დანაპირებ არასახარბიელო პერსპექტივას გადაურჩეს და 2013 წელს პრემიერ-მინისტრიც გახდეს...**

**და ამ შანსს სხვა, უკეთესი არჩევანის არარსებობის პირობებში, აშშ სთავაზობს მას იმ პირობით, რომ მეტად აღარ შეუქმნის მათ პრობლემებს, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში მოიმოქმედა...**

**„ან ჩემთან, ან — არანაირად!“** — უცხადებს მიშა რუსეთს მას შემდეგ, რაც მისი ემისარი-შუამდგომლები მოსკოვიდან „პირში ჩალაგამოვლებულები“ დაბრუნდნენ... ეს შეინიშნება იმ გასაოცარი მეტამორფოზით, უცებ რომ დაემართა გაყუჩებულ **ნოღაიდელს**, რომელმაც:

— რუსეთის მისამართით აშშ-ის სახელმწიფო მდივნის შეურაცხმყოფელი გამოხდომის კომენტირებისას წამოროშა, რომ **ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს პუტინისა და კლინტონის განცხადებებს შორის (?!);**

— მის პარტიაში მეორე კაცმა (შევარდნაძისა და სააკაშვილის კანცელარიის ყოფილმა უფროსმა) **მამრაძემ,** რომელიც ახალ ტელეარხ რეალ ტვ-ზე (რომელსაც არცთუ უსაფუძვლოდ, შსს-ს ტელეარხს უწოდებენ), **პირდაპირ ეთერში ბაგაფშს სეპარატისტების ლიდერი უწოდა და პატივი არ სცა იმ აფხაზი ხალხის არჩევანს, რომელთანაც პირდაპირი კონტაქტების დამყარებას გვპირდებიან;**

— ტელეწამყვანის შეკითხვის პასუხად დაადასტურა, რომ მოსკოვში ბოლო სტუმრობისას, **ნოღაიდელმა იქ დასვა კითხვა:** ***რატომაა, რომ პუტინი ახლა ალაპარაკდა მესამე მხარის ჩარევის დაუშვებლობაზე, ხოლო მთელი ამ წლების განმავლობაში რუსეთი უხეშად ერეოდა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში?!***

— ათეულობით წლის მანძილზე სახელმწიფო სამსახურში მყოფმა მამრაძემ, რომელმაც საერთაშორისო სამართლის ელემენტარული დებულებები ვერ დაისწავლა, იმავე ინტერვიუში განაცხადა, რომ **ნიკარაგუის, ვენესუელისა და ნაურუს მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება არასერიოზულია;**

— ცრუობს, რომ, **თუ პრეზიდენტი სააკაშვილი ახლა მართებულ ნაბიჯს გადადგამს, ყველაფერი მოგვარდება** (იგულისხმება რუსეთ-საქართველოს დარღვეული ურთიერთობები), რაც კარდინალურად ეწინააღმდეგება რუსეთის ხელისუფლების არაერთგზის განცხადებულ ოფიციალურ პოზიციას;

— აღიარებს, რომ **გასული წლის დეკემბერში საქართველოს ხელისუფლების მიერ აშშ-ს ადმინისტრაციასთან ხელმოწერილი თანამშრომლობის** (აშშ-სა და საქართველოს) **ქარტია სრულად ემთხვევა მათი პარტიის პროგრამას**(?!);

— აცხადებს, რომ **ნოღაიდელის მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან დააცხრო რუსეთის ხელისუფლების დიდი აგრესია საქართველოსადმი, რითაც კლინტონის კვალდაკვალ, რუსეთს, პრაქტიკულად, აგრესორად აღიარებს;**

— ირწმუნება, **რომ ნოღაიდელმა საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა მოახდინა და რომ სიტუაციის გაუმჯობესება მისი დაუცხრომელი გარჯის შედეგია, რითაც საქართველოს მოქმედ ხელისუფლებასთან მალულ თანამშრომლობას აღიარებს;**

— ***„კუშნერს უნდა ვუმადლოდეთ, რომ 2008 წლის აგვისტოში ჩვენი ქვეყანა განადგურებისგან იხსნა!“*** — პათოსით წამოიძახა მამრაძემ, საიდანაც უნდა დავასკვნათ, რომ **რუსეთი საქართველოს განადგურებას აპირებდა.**

*„ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რით აიხსნება აზერბაიჯანის პრეზიდენტისა და უკრაინის ვიცე-პრემიერის მოულოდნელი ვიზიტები და „ბატკოსთან“ დამმობილება?!“* — იკითხავს, ალბათ, მკითხველი.

პასუხის გაცემას ბოლო კითხვიდან დავიწყებ: **ლუკაშენკოს** მოტივები დიდად არაფრით განსხვავ- ►

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ დება ამერიკელი და ახალევროპელი ლიდერების მოტივებისგან (მაგალითად, ლიტვისა), **რომლებიც ცდილობენ, საქართველოს მეშვეობით რაც შეიძლება მტკივნეულად „უჩხვლიტონ" რუსეთს და ამისგან პოლიტიკური ანდა სავსებით მატერიალური დივიდენდები მიიღონ**. ლუკაშენკოს გამუდმებული სპეკულაციები, რომელმაც რუსეთს ასობით მილიონი დოლარის კრედიტები გამოსტყუა წესიერად მოქცევის დაპირების სანაცვლოდ (მაგრამ ვალდებულებები არ შეასრულა!), უთუოდ ისევე სავალალოდ დასრულდება, როგორც **„გადამგდები" ბაკიევის** შემთხვევაში, ლუკაშენკოსთან რომ ჰპოვა თავშესაფარი! **ნამდვილი პოლიტიკა და სახელმწიფო ინტერესები შეუთავსებელია ავანტიურიზმსა და პოლიტიკურ პროსტიტუციათან.** ამ მეთოდის უკანასკნელი მეტრი — თანამედროვეობის სახელგანთქმული **„დამბალანსებელი" შევარდნაძე,** რომელიც რუსეთსა და დასავლეთს შორის ბალანსირებდა, თავადაც იქცა ამ სახიფათო და უპერსპექტივო მეთოდის მსხვერპლად. მაგრამ, ზემოხსენებულთაგან განსხვავებით, სამშობლოში უსაფრთხოებისა და მშვიდი სიბერის გარანტიებით უზრუნველყო საკუთარი თავი...

**ტიგიპკო?** არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია, არ დავიჯეროთ, რომ საქართველოში მას ეკონომიკური რეფორმები, კორუფციასთან ბრძოლის გამოცდილება და რეფორმირებული სამართალდამცავი სტრუქტურები აინტერესებდა (რაშიც სააკაშვილის უპირობო დამსახურებებს აღიარებენ მისი ყველაზე სასტიკი მოწინააღმდეგენიც კრემლში!). დავძენ, რომ ტიგიპკო ფინანსისტი და მსხვილი ბიზნესმენია, ხოლო უცხოელ ბიზნეს-ინვესტორთათვის დღეს საქართველოში, უნდა ვაღიაროთ, რომ ზეშელავათიანი კლიმატია. **ვფიქრობ, რომ საქართველოსთან უფრო მეტად აქტიურ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ორიოდე სიტყვა ქალბატონმა კლინტონმაც შეგვაწია ამიერკავკასიამდე უკრაინაში სტუმრობისას.**

დასასრულ, **პრეზიდენტი ალიევი...** უპირველესად, აღვნიშნავ, რომ მისი ვიზიტი, უმეტეს ზემოჩამოთვლილთა მსგავსად, „ექსპრომტი" იყო: ეს რომ წინასწარ სცოდნოდათ, ჩვენი ხელისუფლება მედიის საშუალებით დღე და ღამ ამაზე ილაპარაკებდა თავისი პოპულარობის დასადასტურებლად. შემდგომ, **კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მის ვიზიტთან აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, ასევე, უშუალო კავშირი ჰქონდა.**

განვმარტავ: საიდუმლო არაა, რომ კლინტონის აღმოსავლეთევროპული ტურნეს დროს მოლაპარაკებები სომხეთთან და აზერბაიჯანთან არცთუ მარტივი იყო და ყარაბაღის საკითხში (სომხეთ-აზერბაიჯანის დაზავების საკითხში, რასაც სომხეთ-თურქეთის ურთიერთობებში „დათბობა" და სომხეთ-თურქეთის საზღვრის სავარაუდო გახსნა მოჰყვებოდა) **არავითარი „გარღვევა" არ მომხდარა. უფრო მეტიც, ჰილარი თვალნათლივ დარწმუნდა, რამდენად ფაქიზია აღმოსავლეთის საკითხი! იმდენად ფაქიზი, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება „გადაიზარდოს" ახალ ომში — ყარაბაღში, რასაც ტერორის აფეთქება მოჰყვა ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში (სადაც შეიძლება ჩრილოკავკასიურმა ბანდფორმირებებმა გადაინაცვლონ), პროვოკაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.** რით დასრულდება ახალი კავკასიური ომი, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ბაზები — გიუმრიში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ხოლო 58-ე არმია ჩრდილოეთ კავკასიაში დგას, იოლი განსაჭვრეტია:

**აშშ საბოლოოდ დაკარგავს კავკასიას, კასპიისპირეთის „გასაღებსა" და პლაცდარმს ავღანური და სავარაუდო ირანული კამპანიებისთვის!**

„საქართველო ჩვენი პარტნიორია, ხოლო სომხეთი ჯიუტობს... რა ვიღონოთ? აზერბაიჯანს მომგებიანი გარიგება უნდა შევთავაზოთ; იმაზე გაცილებით მომგებიანი, ვიდრე რუსეთი სთავაზობს, რომელიც მისგან მთელი გაზის შესყიდვას ივალდებულებს „აწ და მარადის დაუკუნითი უკუნისამდე", რაზეც ალიევს უარის თქმა გაუჭირდება!

**და მაქსიმალურად მივაბათ აზერბაიჯანი საქართველოს, მასთან ისედაც დაკავშირებულს სტრატეგიული მილსადენებით, რომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანას, სამხედრო მოქმედებათა შემთხვევაში, ჩვენ, აშშ ვიტვირთებთ! და კიდევ, დავაჩქარებთ ბაქო-ახალქალაქი-ერზრუმის რკინიგზის მშენებლობას, რის შემდეგაც სომხეთი ვერსად გაიქცევა: ერთადერთი საავტომობილო და სარკინიგზო არტერია, რომელიც მას რუსეთთან აკავშირებს, ისევე, როგორც „ჩრდილოეთ-სამხრეთის" გაზსადენის მონაკვეთი, ჩვენ მიერ კონტროლირებად საქართველოს ტერიტორიაზე გადის, ხოლო ირანზე გასასვლელი ისედაც დაიკეტება, როგორც კი იქ სამხედრო მოქმედებებს დავიწყებთ!"** — გადაწყვიტა სახელმწიფო მდივანმა.

**ამან შესანიშნავი საშუალება მისცა სპარსი დიდებულივით ვერაგ სააკაშვილს** (ინტრიგის ოსტატისა და „დამბალანსებელი" შევარდნაძის ნიჭიერ მოწაფეს), **ლუკაშენკოსა და ალიევი, ყველა ზემოჩამოთვლილ ვიზიტორთან ერთად, „გამოეჭირა" და რუსეთის ჯიბრზე თავის მოკავშირეებად, მეგობრებად და ძმებადაც კი გამოეცხადებინა!**

აი, რით აიხსნება, პატივცემულო მკითხველო, წინა თვეში საქართველოში მოულოდნელი ვიზიტების კასკადი, რომელიც, ვფიქრობ, კვლავაც გაგრძელდება: **ბევრს ჯერ კიდევ აინტერესებს „დათვის" გაღიზიანება მუშთა დოლარების მადლიერი, ზომაზე მეტად სტუმართმოყვარე და გულღია ქართველების ხელით, რათა მისი რეაქცია შეამოწმოს! ვფიქრობ, ყველას ახსოვს, რით დასრულდა ასეთი ექსპერიმენტი 2 წლის წინათ: შერცხვენილი ხელისუფლების წარმომადგენელთა ექსპერიმენტებით, რომლებმაც თავიანთი ოჯახებითურთ საქართველოს საზღვრებისკენ გაქუსლეს, ხუთდღიან ძმათამკვლელ ომში დაღუპული ახალგაზრდებით, ათობით ათასი უბედური ლტოლვილითა და ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვით...**

# გლდანის საპყრობილეში მძიმე პირობებია

**„გლდანის №8 საპყრობილეში პატიმრებს საკვების შეძენის საშუალება არ აქვთ. ცხელა საკნებში. იურისტები პატიმრების ცუდ პირობებზე მიუთითებენ", — აცნობეს „მედიანიუსს" არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან".**



მათივე ინფორმაციით, გლდანის № 8 საპყრობილე ექსპლუატაციაში 2007 წლის ბოლოს შევიდა. საპყრობილე თანამედროვე სტანდარტების დაცვით არის აშენებული. მაგრამ პირობები არც თუ ისე სტანდარტულია.

„რამდენ პატიმართანაც შევედი, ყველამ მითხრა, რომ თანხა აქვთ ბარათზე, მაგრამ საკვების ყიდვას ვერ ახერხებენ. მაღაზიაში თითქმის არ არის ხილი, ბოსტნეული. არის ვადაგასული საკვები და ისეთი რაღაცები, რასაც ვერ ჭამენ. ასევე, პრობლემაა ამ საკვების მიწოდება. პატიმრები თავიანთ ბარათებს უფლებამოსილ პირებს ატანენ. ეს ადამიანები, როცა მოესურვებათ, მაშინ მიდიან, ხან სულ არ მიდიან, ხან რიგებია და ხელცარიელი ბრუნდებიან", – ამბობს „ადამიანის უფლებათა ცენტრის" იურისტი ეკა ქობესაშვილი. მისივე თქმით, ბევრ პატიმარს ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, ამიტომ მათთვის ნორმალური კვება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

ციხეში კიდევ ერთი პრობლემა სიცხე და უჰაერობაა. პატიმრებს ვენტილატორის შეძენის უფლება კი აქვთ, მაგრამ ციხის ადმინისტრაცია ამბობს, რომ ჯერ არ შეუტანიათ ისინი გასაყიდად და პატიმრებიც ვერ ახერხებენ შეძენას.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი თეა სუხიშვილი იურისტის მონაყოლს აბსურდულს უწოდებს. მისი თქმით, გლდანის № 8 საპყრობილეს ერთ-ერთი საუკეთესო მაღაზია აქვს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, ადვოკატი მიხეილ ღონღაძე გლდანის № 8 საპყრობილეში ბოლოს ერთი კვირის წინ იყო. ის ადასტურებს, რომ ციხეში ცხელა, საკნებში სუნთქვა ჭირს, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ საკვებთან დაკავშირებულ პრობლემებზე პატიმრებს მისთვის არაფერი უთქვამთ.

გლდანის საპყრობილეში პატიმართა უფლებების დარღვევებზე ერთი თვის წინათ არასამთავრობო ორგანიზაციებმა სპეციალური მიმართვა გაავრცელეს. ისინი აცხადებდნენ, რომ: „გლდანის საპყრობილე, ფაქტობრივად, საწამებელი დაწესებულებაა. საპყრობილეში ყველა პატიმარი პირველივე დღიდან განიცდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. პატიმრებისადმი ზედამხედველთა დამოკიდებულება იმდენად არაადამიანურია, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ფიზიკური შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით, ერთსაათიან გასეირნებაზეც უარს აცხადებენ. პატიმრები საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფებიან, საღამოს 7 საათიდან ზედამხედველები მათ შუქს უქრობენ, ხოლო საუბრის ხმაზე საკნებში უვარდებიან და უმოწყალოდ სცემენ. ხშირია პატიმრებისთვის მკერდიდან ჯვრის აგლეჯის შემთხვევებიც".

# ლარიანი შაქარი საქართველოში 2 ლარად იყიდება

**ქართულ ბაზარზე შაქარი ისევ გაძვირდა. ამჟამად ფასი 15–20 თეთრითაა მომატებული და, შესაძლოა, ეს ტენდენცია გაგრძელდეს, იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო ბაზრებზე სტაბილური ვითარებაა.**

გაზეთ „რეზონანსის" დასკვნით, ქართულ ბაზარზე შაქრის ფასი საერთაშორისო ბაზრების არაადეკვატურია: 16 ივლისის მონაცემებით, ლონდონის ბირჟაზე ერთი ტონა ნედლი შაქრის ფასი 380 დოლარია, რაც ეროვნულ ვალუტაზე გაანგარიშებით 704 ლარს შეადგენს. თეთრი შაქარი მსოფლიოში ტონაზე 1050 ლარი ღირს. აქედან გამომდინარე, ერთი კილოგრამი ნედლი შაქრის საბირჟო ღირებულება 0,7 ლარს შეადგენს, ხოლო თეთრი შაქრისა — 1,05 ლარს.

ფასების დინამიკა ცხადყოფს, რომ მაღალი ფასისთვის რეალური საფუძველი არ არსებობს. იმპორტიორები პროდუქციის გაძვირების მიზეზად ლარის გაუფასურებასაც ასახელებენ. ამ დროისთვის თბილისში კილოგრამი შაქარი 1,7-2,0 ლარი ღირს.

# მიხეილ სააკაშვილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახურვით იმუქრება

**ყვარლის ტბის ტურისტულ კომპლექსში გამართულ მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გააკრიტიკა.**



მისი განცხადებით, სახელმწიფო არ არის ხორცკომბინატი, რომ მკვდარი ხორცი შეინახოს, პირიქით — მათ ცოცხალი კადრები სჭირდებათ, რომლებიც საქმეს გააკეთებენ. პრეზიდენტს ურჩევნია, სახელმწიფო მოხელემ მას შენიშვნა მისცეს და საქმის წარმატებით გასაკეთებლად ინციატივა გამოიჩინოს, ვიდრე კვერი დაუკრას და შემდეგ სულ იმის ახსნაში იყოს, თუ რატომ ვერ გაკეთდა ესა თუ ის საქმე.

სააკაშვილმა სხდომაზე ევროპაში ქართული ნაძვისხეების წარმატებით გაყიდვაზე ისაუბრა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გააკრიტიკა, რადგან ქართული ნაძვისხის თესლით ნერგები ევროპელებს გამოჰყავთ, ნაცვლად იმისა, რომ საქართველო აწარმოებდეს და შემდეგ მის ექსპორტს ეწეოდეს. პრეზიდენტის თქმით, მას სულ არ სჭირდება ისეთი სამინისტრო, რომელიც ასეთ ელემენტარულ საქმეს ვერ ართმევს თავს და ურჩევნია, საერთოდ დახუროს. მანვე განაცხადა, რომ მუქარის შესრულებაც შეუძლია. ამიტომ სოფლის მეურნეობის მინიტრს ბაკურ კვეზერელს ურჩია, მისი მითითება გაითვალისწინოს.

მიხეილ სააკაშვილმა სხდომაზე ეკონომიკის მინისტრის ახალი მოადგილე არჩილ კეკელიაც შეაქო და მის უცხოურ განათლებასა და ლონდონში მუშაობის გამოცდილებას გაუსვა ხაზი. ეკონომიკისა მინისტრის ყოფილ მოადგილე გრიგოლ გობეჯიშვილს კი დაუპირისპირდა. პრეზიდენტმა მას „გაქსუებული, გათავხედებული, თავგასული" მოხელე უწოდა. პრეზიდენტის უკმაყოფილება ერთ-ერთი მეწარმის მიერ მიმდინარე წლის თებერვალში ეკონომიკის სამინისტროსადმი მიწერილ წერილზე არასათანადო რეაგირებამ გამოიწვია, სადაც ბიზნესმენი ფოთში 3 000-მდე კვადრატული მიწის ფართობის შესყიდვას ითხოვდა.

სააკაშვილის ინფორმაციით, მას ხსენებული მიწის ნაკვეთი 9 მილიონი ლარის ინვესტიციის განსახორციელებლად, კერძოდ დიდი მაცივრის შესაქმნელად უნდოდა, რომლის მეშვეობითაც საზღვარგარეთ ქართული პროდუქტის ექსპორტირება მოხდებოდა. წერილი მაშინდელი მინისტრის — ზურაბ პოლოლიკაშვილის სახელზე დაიწერა. მეწარმე სამინისტროსგან აღნიშნული საკითხის დაჩქარებულ განხილვას ითხოვდა, რადგან საქმე სერიოზულ ინვესტიციას ეხებოდა. თუმცა მას 3 თვის დაგვიანებით სწორედ გრიგოლ გობეჯიშვილმა უპასუხა და ბიზნესმენი ბათუმის მერიაში გადაამისამართა.

სააკაშვილის განცხადებით, **„გრიგოლ გობეჯიშვილი, ალბათ, კარგ ბიჭად, კარგ მსმელად და კარგ მჭამელად მიიჩნევა. დადის ქელეხებში, ნათლავს ბავშვებს. სინამდვილეში ის არის გაქსუებული, გათავხედებული, თავგასული მოხელე, რაც ქვეყნის მთავარი პრობლემაა. აი, ვინ არცხვენს საქართველოს",** — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. მისი აზრით, ასეთი ადამიანების მთავარი ფუნქცია არის „ნაცრის ქექვა და ერთ ადგილას მახათის გაყრა". თანამდებობებზე სწორედ მსგავსი პირების ყოფნის გამოა შექმნილი პრობლემები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და სხვა უწყებებში.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# როგორ «გამოტეხა»

**ანტისტალინური მაკულატურის ყალბი და ნასყიდი ავტორების ვალპურგიის ღამის ფონზე ამ ბოლო დროს თვალშისაცემად იმატა იოსებ სტალინის მოღვაწეობის გარკვეული ეტაპების მეცნიერული კეთილსინდისიერებით გამოკვლეული ნაშრომების რაოდენობამ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ხრუშჩოვის ანტისტალინური გესლიანი პროპაგანდის რეალურად დაძლევის პერსპექტივის მუხტის მატარებელია. ობიექტური მასალების რიგს შეემატა სულ ახლახან — 2010 წლის 21 ივნისს „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებული სერგეი ბრეზკუნის ანალიტიკური სტატია „საიმედო წყარო“.**



## პასუხისმგებელია, მაგრამ მისი ბრალი არ არის

**ერთ-ერთი „ბრალდება“, რომელიც სტალინის წინააღმდეგ აამუშავეს ნიკიტას პრიმიტიულმა აგიტატორებმა, სამამულო ომის დაწყებას ეხებოდა, კერძოდ, თითქოს სტალინმა ყურად არ იღო ინფორმატორთა გაფრთხილება, რომ გერმანელები საბჭოთა კავშირს 22 ივნისს თავს დაესხმოდნენ.**

სწორი პასუხის გაცემა, მართლა ასე იყო, თუ სხვაგვარად, საბჭოთა პერიოდში შეუძლებელი იყო.

ამის ერთ-ერთი მიზეზი, რაოდენ უცნაურადაც შეიძლება მოგეჩვენოთ, თვით იოსებ ბესარიონის ძე იყო. სტალინს ხელს არ აძლევდა, საჯაროდ ემხილებინა საბჭოთა გენერალიტეტის დანაშაულებრივი მოქმედება (არცთუ იშვიათად — დანაშაულებრივი უმოქმედობა). ომის დროს ამის განცხადება ნიშნავდა უმაღლესი ოფიცრობის ავტორიტეტის დაცემას ჯარისკაცთა მასებში, რაც არმიის დემორალიზებას გამოიწვევდა. ხოლო 1945 წლის მაისის შემდეგ მწარე სიმართლის თქმა წარუშლელ ლაქად დაედებოდა გამარჯვებული არმიის სახელსა და ხატებას.

ხრუშჩოვმა ისარგებლა ასეთი სიტუაციით და ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად და გავლენის გასაძლიერებლად განტევების ვაცად სტალინი წარუდგინა მიმნდობ საბჭოთა საზოგადოებას.

გამოცდილი მეთოდია წინამორბედის ძვლებზე საკუთარი კარიერის აგება.

ჩვენი საზოგადოებისთვის დამატებითი არგუმენტების წარდგენა არ არის საჭირო, რადგან მიხეილ სააკაშვილის მაგალითი თვალწინ აქვს.

დაგმე და იბატონე!

**სერგეი ბრეზკუნი არ იბრალებს, რომ მისი წერილი არის უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტება და სტატიის შესავალ ნაწილში პირდაპირ წერს, რომ 1941 წლის საბედისწერო ივნისის სრული სურათი ჯერ კიდევ არ გვაქვს. „არ აქვთ დასავლეთშიც, სადაც სიმართლეს ხშირად მიჩქმალავენ და ამახინჯებენ უპირატესად პოლიტიკური მიზეზებისა გამო“.**

მაშ, სტალინის ბრალია?

ამ შეკითხვას შეიძლება დადებითად ვუპასუხოთ, იმდენად, რამდენადაც ქვეყნის მეთაური პასუხისმგებელია ყველაფერზე, რაც შეიძლება მოხდეს სახელმწიფოში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს. მაგრამ არსებობს ასეთი დებულება **„პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე“**. აქედან გამომდინარე: **სტალინი პასუხისმგებელია ტრაგიკული ივნისის გამო, მაგრამ მისი ბრალი არ არის.**

მაშ, ვისი ბრალია?

წერილი, რომელსაც წარმოგიდგენთ, არის მცდელობა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისა, დოკუმენტებზე დაყრდნობით.

დოკუმენტები, როგორც უტყუარი არგუმენტი.

მილიონობით ადამიანი, — წერს ავტორი, — დარწმუნებულია, რომ „1941 წლის მარცხის მიზეზი თითქოს სტალინის სიბეცეა, რომელსაც არ სჯეროდა, ომი კარს რომ იყო მომდგარი. გამოდის, რომ ხედავდა ყველა, ამ „სულელისა და პარანოიკის“ გარდა. სტალინი თითქოს ამუხრუჭებდა გენერალიტეტს, არად აგდებდა ზორგეს დაზვერვით მონაცემებს, სამაგიეროდ სჯეროდა „პროვოკატორ ბერიასი, რომელიც აცხადებდა, რომ ომი არ იქნებოდა და ბანაკების მტვრად აქცევდა ყველას, ვინც სხვაგვარად ფიქრობდა“.

## „ДУРОЧКА“ დოკუმენტები

**„Дурочка“ ქართულად შტერ ქალს ნიშნავს. პროფესიულ ჟარგონზე — სულელურ ინფორმაციას, რომელიც სიმართლის ნასახს არ შეიცავს, შტერი ქალის მონაჭორივითაა.**

**ასეთი „დუროჩკაა“ გავრცელებული ინფორმაცია ზორგეს ცნობილი დეპეშა, რომლითაც მან 1941 წლის 15 ივნისს ომის დაწყების თარიღი აცნობა ცენტრს — „თავდასხმა მოსალოდნელია ფართე ფრონტით 22 ივნისის ადრიანი დილით“.**

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „ზორგეს დეპეშის“ ტექსტი კონსტრუქციით მკვეთრად განსხვავდება რეალური შიფროგრამებისგან. პროფესიონალები დარწმუნებულები არიან, რომ არც ერთი პასუხისმგებელი ხელმძღვანელი არ განახორციელებს რაიმე სერიოზულ ღონისძიებას, რაგინდ სანდო ინფორმატორის მიერ გამოგზავნილი იყოს, მსგავსი შეტყობინების საფუძველზე.

მეორე. ზორგე ადრეც აგზავნიდა „ზუსტ“ თარიღებს, რომლებიც არ დადასტურებულა.

და მესამე, რაც უმთავრესია: ზორგეს მსგავსი რამ არასოდეს არავისთვის არ შეუტყობინებია!

მაშ, საიდან გაჩნდა ეს „დუროჩკა“?

2001 წლის 16 ივნისს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურმა ბეჭდურმა ორგანომ, გაზეთმა „კრასნაია ზვეზდამ“ გამოაქვეყნა ომის დაწყების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი „მრგვალი მაგიდის“ მასალები; მათ შორის, საგარეო დაზვერვის სამსახურის პოლკოვნიკის — კარპოვის აღიარება:

**„სამწუხაროდ, ეს არის ყალბი დოკუმენტი, რომელიც ხრუშჩოვის დროს გაჩნდა. ასეთ „დუროჩკებს“ მარტივად ავრცელებენ: ზორგეს შესახებ პუბლიკაციების რომელიღაც ავტორმა მეტი დამაჯერებლობისთვის მოიგონა ეს რადიოგრამები, სხვებმა კი, მისი დამოწმებით, აიტაცეს და აგორდა სიცრუე გუბერნიაში... შემდეგ დაუმატეს ფსიქოლოგიზმი, გამოიგონეს შურისმაძიებელი სტალინი“...**

ამას ლაპარაკობს პროფესიონალი, რომელიც საქმის კურსშია, და არა წიკვინა „ექსპერტი“ გოგოები ქართული ტელეარხებიდან, რომლებიც ხმის იოგების დაწყვეტამდე ცდილობდნენ „ბოროტმოქმედი“ სტალინის ძეგლის დემონტაჟის გამართლებას.

„დუროჩკებს“ ამათაც უწოდებენ, მაგრამ ჩვენ სხვა „დუროჩკებზე“ ვლაპარაკობთ.

კიდევ ერთი ცნობილი „დუროჩკა“, თითქოს ბერიას მიერ ვიზირებული:

**„ბოლო დროს ბევრი თანამშრომელი წამოეგება ხოლმე თავხედურ პროვოკაციებს და თესავს პანიკას. საიდუმლო თანამშრომლები „იასტრები“, „კარმენი“, „ალმასი“, „ვერნი“** (რომლებიც ბუნებაში არასოდეს არსებულან. — ს.ბ.) **სისტემატური დეზინფორმირებისთვის, როგორც იმ პროვოკატორების ხელისშემწყობნი, ვისაც ჩვენი და გერმანიის წაკიდება სურთ, ვაქციოთ ბანაკების მტვრად. დანარჩენები მკაცრად გავაფრთხილოთ. ლ. ბერია. 1941 წლის 21 ივნისი“.**

ბერია ყოფილა ყველა უბედურების თავიდათავი.

აი, კიდევ ერთი, ვითომ ციტატა ვითომ ბერიას მოხსენებითი ბარათიდან სტალინს იმავე 1941 წლის 21 ივნისით დათარიღებული:

**„კვლავ დაბეჯითებით მოვითხოვ** (ვითომ ბერია თავს უფლებას მისცემდა, ასეთი კატეგორიული ტონით მიემართა სტალინისთვის! — ს.ბ.) **ბერლინში ჩვენი ელჩის, დეკანოზოვის გამოწვევასა და დასჯას. იგი კვლავ მბომბავს „დეზათი“** (დეზინფორმაციით. — ა.ს.) **სსრკ-ზე თავდასხმის ვითომდა მზადების შესახებ. მან მაცნობა, რომ ეს „თავდასხმა“ დაიწყება ხვალ. რადიოთი იგივე გადმოგვცა გენერალ-მაიორმა ტუპიკოვმა, სამხედრო ატაშემ ბერლინში. ეს ჩლუნგი გენერალი ამტკიცებს, რომ ვერმახტის არმიების სამი დაჯგუფება შეუტევს მოსკოვს, ლენინგრადსა და კიევს... მაგრამ მე და ჩემს ხალხს, იოსებ ბესარიონის ძევ, მტკიცედ გვახსოვს თქვენი ბრძნული წინასწარგანზრახულობა: 1941 წელს ჰიტლერი თავს არ დაგვესხმება!..“**

მრავალი წელია, ამ სტრიქონებს უპირველეს არგუმენტად წარმოგვიდგენენ მედროვე ისტორიკოსები, დასადასტურებლად იმისა, რომ „ომის დაწყება მხედველობიდან გამორჩა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაზვერვას შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ბერიას მითითებათა მიზეზით“.

აბსურდი და მონაჩმახია!

**1941 წლის 3 თებერვლიდან 1941 წლის 20 ივლისამდე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გაყოფილი იყო ორ სახალხო კომისარიატად: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატად, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბერია და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატად, რომელსაც სათავეში მერკულოვი ედგა. სავსებით ნათელია, რომ ამ პერიოდში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სტრუქტურაში, ანუ ბერიას გამგებლობაში არ იყო საგარეო დაზვერვა.**

მაშასადამე, სისულელეა, დააბრალო ამ ადამიანს ისეთი რამ, რაც მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდა. ეს დღესაა შესაძლებელი, რომ თბილისის მერმა შეთავსებით სარდლის როლი მოირგოს 2008 წლის აგვისტოს 5-დღიან ომში. საბჭოთა წყობილების დროს ასეთი თავნებობა წარმოუდგენელი იყო. ერთადერთი სიახლე, რომელიც სამამულო ომის დროს სამოქალაქო (მაღალი რანგის) პირების საარმიო სტრუქტურებში ჩართვის თვალსაზრისით შემოიღეს, სამხედრო საბჭოს წევრობა იყო — ოფიციალურად, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით.

მაგრამ ასეთ „ნიუანსებზე“ დღევანდელ საზოგადოებაში ბევრს წარმოდგენაც არ აქვს. ამიტომ არ იქნება ზედმეტი მათთვის იმის შეხსენება, რომ სახალხო კომისარიატების დაყოფამ ბერიას ცხოვრება არ გაუიოლა, რადგან იმავე 1941 წლის 3 თებერვლის დადგენილებით, იგი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ (სტალინის მოადგილედ) დანიშნეს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზეც დატოვეს.

არავითარი შეღავათი!

## შემოგდებული „წყარო“

ბერიას მოხსენებით ბარათს, ნებისმიერი ჩვენი მკითხველი მიხვდება, საერთო არაფერი აქვს სამსახურებრივ დოკუმენტთან, ზედაპირულადაც კი. იმ ეპოქის საქმიან ქაღალდებს თავისი, აბსოლუტურად ჩამოყალიბებული ლექსიკა — სიტყვათა მარაგი ჰქონდა. წინადადებების წყობაც კი ერთიან წესს ემორჩილებოდა. სტილურ თავისებურებაზეა ლაპარაკი.

აქედან გამომდინარე, პროფესიული ჟარგონის — „დეზას“ (დეზინფორმაციის ნაცვლად) ხმარება სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე დოკუმენტში, პირდაპირი სამხილია მისი სიყალბის დასამტკიცებლად. ესე იგი, „ბერიას მოხსენებითი ბარათი“ ისეთივე „დუროჩკაა“, ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ.

სავსებით სამართლიანად შენიშნავს პუბლიკაციის ავტორი სერგეი ბრეზკუნი, ბერია აზრადაც ვერ გაივლებდა ასეთი ტონალობის მქონე დოკუმენტის გაგზავნას სტალინისთვის.

ვერც გაბედავდა.

თანაც ლავრენტი პავლოვიჩი არც ისე უგემოვნო იყო, რომ სტალინისთვის გაგზავნილ დოკუმენტში ასეთი დაბალი დონის ზმა, კალამბური გამოეყენებინა „Тупой генерал Туриков“.

ამ პრიმიტიული „დუროჩკის“ მიხედვით ელჩი დეკანოზოვი ზეფხიზელი დამოკიდებულებითაა გამორჩეული ომის დაწყების საკითხთან დაკავშირებით. სინამდვილეში კი იგი იზიარებდა თავისი ძველი კოლეგის, სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის დაზვერვის რეზიდენტის — ამაიაკ ქობულოვის პოზიციას, რომელიც რეალურ სიტუაციაზე იყო დაფუძნებული.

საქმე ისაა, რომ გერმანელებმა აბაკუმოვს დეზინფორმირების მიზნით შეუგდეს აგენტი-ორეული ბერლინსკი, რომელიც სახელმწიფო უშიშროების შესაბამის სამმართველოში „ლიცეისტის“ კოდური სახელით იყო დაფიქსირებული. ასე რომ, გერმანელების სწრაფი თავდასხმის შესახებ „დეზებით“ დეკანოზოვი მოსკოვს ვერ „დაბომბავდა“, რადგან აგენტ „ლიცეისტის“ დეზინფორმაციას უტყუარად მიიჩნევდა. „ლიცეისტი“ აბსოლუტურად საწინააღმდეგოს ირწმუნებოდა, რათა საბჭოთა დაზვერვის, მაშასადამე, ქვეყნის ხელმძღვანელობის ყურადღება მოედუნებინა და „ბარბაროსას“ გეგმის განხორციელება მართლაც მოულოდნელად დაწყებულიყო.

**სტალინმა ეს „დეზა“ გაშიფრა და მერკულოვს ასე შეუფასა მისი გერმანული წყაროს სანდოობა (უპრიანი იქნება მისი რეზოლუციის დედნის ენაზე მიწოდება ჩვენი მკითხველისთვის):**

**„Т-щу Меркулову. Можете послать ваш „источник“ из штаба герм. авиации к е...матери. то не „источник“, а дезинформатор. И.Ст.“ (Сборник документов о Смерте, 1939-1946 гг. Москва, МФД, Материк, 2006 г.).**

სტალინის ამ რეზოლუციას ხშირად იმოწმებენ მისი სიბეცის დასადასტურებლად, მაგრამ ელემენტარული დაკვირვებაა საჭირო იმის გასარკვევად, რომ მერკულოვის სპეციალურ მოხსენებით ბარათში ორი პატაკია წარმოდგენილი. მათგან მხოლოდ ერთი შეაფასა სტალინმა ასე ნეგატიურად. მან განასხვავა ინფორმატორები ერთმანეთისგან და უნდობლობა მათგან ერთს — „სტარშინას“ (შულც-ბოიზენს) ლუფტვაფეს შტაბიდან გამოუცხადა, და არა მეორეს — „კორსიკანეცს“ (ხარნაკს), რომელიც გერმანიის მეურნეობის სამინისტროში იყო ჩანერგილი. სტალინს ასეთი გრადაციის სრული უფლება ჰქონდა, რადგან „სტარშინას“ პატაკი ელემენტარული სისულელე იყო.

## როცა ბრძანებებს არ ასრულებენ

**1940 წლის 27 დეკემბერს თავდაცვის ახალმა სახალხო კომისარმა, მარშალმა ტიმოშენკომ, რომელმაც მარშალი ვოროშილოვი შეცვალა, გამოსცა ბრძანება №0367:**

**„თავდაცვის სახალხო კომისრის 1939 წ. №0145 ბრძანების თანახმად, უნდა შენიღბულიყო ყველა მშენებარე ოპერატიული აეროდრომი. წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარ სამმართველოს ეს ღონისძიებები უნდა განეხორციელებინა არა მხოლოდ ოპერატიულად, არამედ ▶**

# სტალინმა ჰიტლერი


ადოლფ ჰიტლერი იბარებს ესესელთა აღლუმს


მოლოტოვი და სტალინი ოფიციალურ მიღებაზე

**◀ სამხედრო-საჰაერო ძალების მთელ სააეროდრომო ქსელში. მაგრამ არც ერთმა სამხედრო ოლქმა ამ ბრძანებას სათანადო ყურადღება არ მიაქცია და არ შეასრულა...“**

არ შესრულდა არც სახალხო კომისრის — ვოროშილოვის 1939 წლის №0145 ბრძანება, რაშიც მთავარი ბრალი მიუძღვით სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალ-ინსპექტორს, წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწეს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ იაკობ სმუშკევიჩსა და სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი სამმართველოს უფროსს, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეს, საბჭოთა კავშირის გმირს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ პავლე რიჩაგოვს: ომის დაწყებისთანავე გერმანული არმიების წარმატებული შეტევა ბევრად განაპირობა იმან, რომ საბჭოთა სამხედრო აეროდრომები პირველსავე დღეებში დაბომბეს და მთლიანად გაანადგურეს იქ ბაზირებულ თვითმფრინავებთან ერთად.

ომამდელი სამხედრო-საჰაერო ძალების ორივე ეს ხელმძღვანელი ომის შემდეგ დახვრიტეს.

იყო სამართლიანი ასეთი გადაწყვეტილება?

ერთი საინტერესო დეტალი გაიხსენა აეროდრომებთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მარშალმა მერეცკოვმა. 1941 წლის 15 ივნისს, ომის დაწყების კვირაძალს (მერეცკოვი მაშინ სახალხო კომისრის მოადგილედ მუშაობდა საბრძოლო მომზადების დარგში) დასავლეთის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქში იმყოფებოდა და საავიაციო ნაწილში სწავლებას აკვირდებოდა. უცებ, გაგანია სწავლების პროცესში, აეროდრომზე დაეშვა გერმანული თვითმფრინავი:

„ყველაფერი, რაც აეროდრომზე ხდებოდა, ეკიპაჟის თვალთვალის საგანი გახდა.

საკუთარ თვალებს არ დავუჯერე და შეკითხვით მივმართე ოლქის სარდალს დ. გ. პავლოვს. მან მიპასუხა, რომ სსრკ სამოქალაქო ავიაციის უფროსის განკარგულებით, ნებადართულია ამ სამხედრო აეროდრომზე გერანული სამოქალაქო თვითმფრინავების დაშვება. ამან აღმაშფოთა. ვუბრძანე, მოემზადებინათ დეპეშა ი. ბ. სტალინის სახელზე სამოქალაქო ავიაციის უფროსის არასწორი მოქმედების შესახებ, და მაგრად გამოვლანძღე პავლოვი იმის გამო, რომ მან ასეთი განკარგულების შესახებ არ აცნობა თავდაცვის სახალხო კომისარს. შემდეგ მივმართე ოლქის ავიაციის უფროს ი. ი. კოპეცს:

— რა ხდება თქვენთან? ომი რომ დაიწყოს და ოლქის ავიაცია მოწინააღმდეგის დარტყმას თუ არ გადაურჩა, რა უნდა გააკეთოთ მაშინ?

კოპეცმა სავსებით მშვიდად მიპასუხა: — მაშინ თავს მოვიკლავ...“

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ 32 წლის კოპეცმა თავი მოიკლა. მისი უფროსი პავლოვი მოგვიანებით დახვრიტეს.

იყო სამართლიანი ასეთი განაჩენი?

**ინფორმაციის მრავალ წყაროზე დაყრდნობით, სტალინმა უკვე ივნისის დასაწყისისთვის იცოდა, რომ ომი ძალიან მალე დაიწყებოდა. და ეს თვით ჰიტლერმა „აცნობა“ საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს. სამხედრო ისტორიაში უნიკალური შემთხვევაა, როცა ერთი სახელმწიფოს მეთაურმა ომის გასაჩაღებლად გამზადებული მეორე სახელმწიფოს მეთაური „ჭეშმარიტების მომენტის“ წინაშე დააყენა.**

გაუგონარი ამბავია!

სტალინს მოსდის პატაკები მოახლოებული ომის შესახებ მერკულოვის უწყების საზღვარგარეთული რეზიდენტურებიდან, გენშტაბის UHE-ს არალეგალებისგან, სამხედრო ატაშეებისგან. მაგრამ ამ ტალღას ყოველთვის თან სდევს ეჭვი, რომ შეტყობინებათა ასეთი მასობრივი ნაკადი შეიძლება იყოს დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ ორგანიზებული პროვოკაცია, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დაპირისპირებაში ფაშისტებისგან თავიანთი გადარჩენის ერთადერთ გზასა და საშუალებას ხედავენ.

მაგრამ, ამასთანავე, მოქმედებს სასაზღვრო ჯარების ბერიას მიერ შექმნილი დაზვერვა, რომლის ინფორმაცია ყურადსაღები და აუცილებლად გასათვალისწინებელია. აქედან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ომი კარსაა მომდგარი.

მაგრამ მასაც სჭირდება შემოწმება.

„იდეალური ვარიანტია, — ირონიულად შენიშნავს სერგეი ბრეზკუნი, — **თვით ჰიტლერს შეეკითხო მის ნამდვილ განზრახულობათა შესახებ, რადგან ფიურერს საკუთარი გარემოცვისთვის მოულოდნელად არაერთხელ შეუცვლია თავისივე ბრძანებების შესრულების ვადები. მაგალითად, დასავლეთის ფრონტზე 1940 წელს შეტევის დაწყების ვადები ჰიტლერმა 20-ჯერ შეცვალა.**

**1941 წლის 18 ივნისს სტალინი მიმართავს ჰიტლერს ერთობლივი კონსულტაციების საწარმოებლად მოლოტოვის ბერლინში სასწრაფოდ მივლინების შესახებ. ეს ჰიპოთეზა კი არ არის, ფაქტია, რომელიც თავის დღიურში აქვს აღნიშნული რაიხის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროს ფრანც გალდერს...“**


ჩერჩილი, რუზველტი და სტალინი იალტის კონფერენციაზე

სსრკ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გამომცემლობის მიერ 1968-1971 წლებში გამოცემულ პირველწყაროთა კრებულის მე-2 ტომის 579-ე გვერდზე 1941 წლის 20 ივნისს გაკეთებულ სხვა ჩანაწერებთან ერთად ვკითხულობთ: „18.06-ში მოლოტოვს ფიურერთან დალაპარაკება სურდა“.

სურდა, მაგრამ რატომღაც ვერ დაელაპარაკა.

**„და ამ წინადადებამ,** — ასკვნის ავტორი, — **რომელიც უტყუარად აფიქსირებს სტალინის შეთავაზებას ჰიტლერისათვის ბერლინში მოლოტოვის სასწრაფო ვიზიტის შესახებ, მთლიანად შეატრიალა ომისწინა ბოლო დღეების სრული სურათი.**

**სრულად!**

**მაგრამ ამაო შრომაა, ამ ფაქტის ძებნა ომის ნებისმიერ ოფიციალურ ისტორიაში. რადგან ეს ფაქტი სრულად აცამტვერებს ჩვენთან და დასავლეთში დამკვიდრებულ სქემას“.**

მივყვეთ ავტორისეული ვერსიის ლოგიკას. სტალინმა ჰიტლერს მოლოტოვთან შეხვედრა შესთავაზა. ჰიტლერმა უარი თქვა არაუგვიანეს 18 ივნისისა. სტალინის მოადგილეს ჰიტლერი ვერაფრით ვერ შეხვდებოდა.

სტალინისთვის დღესავით გაცხადდა, რომ ეს ომის დაწყებას ნიშნავდა.

ამიტომ იყო, რომ მან დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს 18 ივნისის საღამოსი) თავდაცვის სახალხო კომისარიატს შესაბამისი განკარგულებები მისცა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობის, ანუ ბერიას გაფრთხილება საჭირო არ იყო, რადგან მათ თვითონ გააფრთხილეს სტალინი.

საბჭოთა დაზვერვამ ომის დაწყების ბუკვალურად წინა დღეს კიდევ ერთი სენსაციური ინფორმაცია მოიპოვა. ამას ადასტურებს სტალინისთვის, მოლოტოვისთვის და ბერიასთვის 1941 წლის 21 ივნისს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის — მერკულოვის მიერ გაგზავნილი ბარათი, რომელსაც თან ერთვოდა ორი უცხოელი დიპლომატის საუბრის გაშიფრული ტექსტი.

მოსკოვში აკრედიტებული ეს ორი დიპლომატი 20 ივნისს შეშფოთებულები საუბრობენ:

**„— როდის ჩამოვიდა თქვენი გენერალ-ლეიტენანტი?..**

**— გუშინ. იგი შეხვდა ტიმოშენკოსა და ჟუკოვს...**

**— თქვენ მასთან ერთად იყავით?**

**— ვიყავი მასთან ერთად...**

**— მაგრამ არაფერი შეგეკითხათ? ტიკოშენკომ იცოდა, რომ თქვენი გენერლისგან შესაფერის პასუხს ვერ მიიღებდა... აქ კი ყველა შეწუხებულია — ომი, ომი.**

**— დიახ, დიახ. რუსებმა გაიგეს...“**

რუსებმა მართლაც გაიგეს.

**„და დროზე გაიგეს იმიტომ, რომ უამრავი დიდი და უმნიშვნელო მზვერავების ძალისხმევა, რაც ბოლო თვეებში ხორციელდებოდა, დააგვირგვინა სტალინის პირადმა ზონდაჟმა. ეს იყო უმაღლესი დონის დაზვერვის კლასი!“**

## დირექტივა, რომელიც გააქრეს

**როგორც კი დარწმუნდა სტალინი, რომ ომი გარდაუვალი იყო, გერმანელთა თავდასხმამდე სამი დღით ადრე გამოსცა ბრძანება საომარი მზადყოფნის შესახებ. 1941 წლის 21 ივნისს, როგორც ჩანს, სტალინმა მეორე დირექტივის სანქცია გასცა, რადგან სრულიად დარწმუნებული იყო, რომ პირველი შესრულდა.**

პირველი დირექტივა, უნდა ვივარაუდოთ, გაცემული იყო დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა არ მიიღო მოლოტოვი, ანუ ომის დაწყებამდე 4 დღით ადრე. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ეს დირექტივა გაანადგურეს ხრუშჩოვის ზეობის პირველსავე წლებში.

გააქრეს დირექტივა — ხომ უნდა „დაემტკიცებინათ“, რომ ომის ტრაგიკული დასაწყისი სტალინის კისერზე იყო, მაგრამ უკანასკნელი 3 დღის დეტალები დაბეჯითებით ადასტურებს, რომ ასეთი დირექტივა არსებობდა. მაგალითად, ადმირალი კუზნეცოვი თავის მემუარებში „წინა დღით“ წერს:

**„...საკდესის 14 ივნისის ცნობა განსაკუთრებით ალოგიკურად ჟღერს დღეს, როცა ვიცით, როგორი რეაგირება ჰქონდა ჰიტლერს ამ ცნობაზე. 17 ივნისს, ანუ ზუსტად სამი დღის შემდეგ, მან გასცა ბრძანება, 22 ივნისის განთიადზე დაეწყოთ „ბარბაროსას“ გეგმის განხორციელება. ფლოტებიდან მიღებული ცნობები გვარწმუნებს, რომ სწორედ ამ საბედისწერო რიცხვიდან — 17 ივნისიდან გაიზარდა გერმანელების აქტივობა ზღვაზე“.**

მაგრამ ყველაფერი სწორედ რომ ლოგიკურია!

თუ საკდესის 1941 წლის 14 ივნისის ცნობა იყო ზონდაჟი (იგი მართლაც ასეთი იყო), შემდეგ განხორციელდა სტალინური ზონდაჟის მეორე ფრაზა მოლოტოვის სასწრაფო ვიზიტის შესახებ ბერლინში, ჰიტლერს, მას შემდეგ, რაც უარი თქვა სტალინის წარგზავნილთან შეხვედრაზე, დაუყოვნებლივ უნდა გაეცა ბრძანება „ბარბაროსას“ დაწყების თაობაზე.

არც ისე სულელი იყო ჰიტლერი, ამგვარად რომ არ მოქცეულიყო. რაიხის ჯარები გამზადებულია და ელოდება ბრძანებას, სტალინი კი ამ დროს ფიურერს „ჭეშმარიტების მომენტის“ წინაშე აყენებს და ფიურერი მიხვდა: მოლოტოვთან შეხვედრაზე უარის თქმის შემდეგ სტალინი აუცილებლად განახორციელებდა სასწრაფო ღონისძიებებს საზღვრისპირა სამხედრო ოლქებში. ეს კი ნიშნავდა, რომ მოულოდნელობის ფაქტორი აღარ იარსებებდა.

და ჰიტლერმა გასცა ბრძანება.

მგონი, ნათელი უნდა იყოს, რომ 1941 წლის 18 ივნისის შემდეგ სტალინს აღარ სჭირდებოდა დამატებითი ინფორმაცია ომის დაწყების თარიღის დასადგენად — სტალინის უნებური „ინფორმატორი“ თავად ჰიტლერი აღმოჩნდა.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# როგორ იწრთობოდა

**დღეს გთავაზობთ ნოდარ ჯინის — ჯინჯიხაშვილის — ქართველი იუდეველის წიგნის „ჩემი თვითმკვლელობის ისტორია“ რამდენიმე თავის თარგმანის საგაზეთო ვარიანტს. ნოდარ ჯინჯიხაშვილი თბილისელი იყო, ფეთხაინის უბნიდან. უაღრესად ნიჭიერი, ორიგინალურად, ხშირ შემთხვევაში, პარადოქსულად, მაგრამ ყოველთვის საინტერესოდ მოაზროვნე შემოქმედი, სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა. განსაკუთრებულია მისი წერის მანერა, სრულიად გამორჩეული, ნატიფი. ყველაფერმა ამან, პლიუს შემოქმედის შეუპოვრობამ და გაბედულებამ აღამაღლა იგი პროზის, პუბლიცისტიკის, საერთოდ ჟურნალისტიკის დიდოსტატობამდე. ნაწყვეტები, რომელსაც გთავაზობთ, რადიოსადგურ „ამერიკის ხმაში“ მისი თანამშრომლობის გარკვეულ პერიოდს ეხება. ავტორმა ხელისგულზე დაგვიდო საინტერესო სიტუაციებით დახუნძლული შიდა სამზარეულო, რომელიც შორიდან მაცქერალს ჟურნალისტიკის ედემის ბაღად წარმოუდგენია, რომელშიც ანგელოზის ფრთიანი რეპორტიორები დაფარფატებენ და ცის მანანას ობიექტური სკებისთვის აგროვებენ. ექსპოზიცია: სამშობლოსკენ გეზაღებული ავტორი თვითმფრინავში ზის. ტრანსკონტინენტური რეისის ლაინერი თანდათან ივსება მგზავრებით, რომელთა შორის მისი ნაცნობი ადამიანებიც არიან — თავიანთი ისტორიებითა და ნოდარ ჯინჯიხაშვილთან დაკავშირებული ურთიერთობებით.**



ნოდარ ჯინი

და, რომ ზრდილობის წესების საწინააღმდეგოდ, საბჭოთა წყალქვეშა ნავებმა დაიწყეს ამერიკის კონტინენტის დაბომბვა ბირთვული რაკეტებით. ორიგინალში კი ლაპარაკი იყო წყალქვეშა ნავების ოკეანის წყლებში გაშვებაზე. მეორე დღეს ეს საერთაშორისო მაუწყებელი სილიბერტის კაბინეტში გამოიძახეს, სადაც ფეხის წვერებზე შევიდა, იქიდან კი მტკიცე ნაბიჯით გამოვიდა. კოლეგებთან დამშვიდობებისა და მეღვინეობაში დაბრუნების ნაცვლად, რაც მოსალოდნელი იყო, მან თანამშრომლები სპეციალურ ასისტენტთან ნიშნობაზე მიიწვია.

ვალერიან სანგულიამ, რომელიც მარჯვენა მხრიდან მემეზობლებოდა, ბანკეტზე მოუსვლელობა იმით ახსნა, რომ ნაცხადა, რომ პომარის „ამერიკის ხმაში“ მოსვლის შემდეგ რადიოფიცირებული საქართველოს საქმეები ცუდად წავა, შემდეგ — უარესად. ასეც მოხდა, თუმცა პომარს, ისევე, როგორც დემინგს საქართველო ფეხებზე ეკიდა. იწყება ომი თავისუფლად მოაზროვნეთა წინააღმდეგ.

ისინი მე მენდნენ როგორც რედაქტორს, „ხმას“ კი მხოლოდ შემსრულებელი რეკრუტები სჭირდებოდა.

ისინი მიიჩნევდნენ, რომ მეც მათ რიგებში ვიბრძოდი და ერთ თვეში დაამთავრეს თავიანთი სამსახურის წმენდა. ამ ერთ თვეში სანგულიას ანტირუსულმა პამფლეტებმა, რომლებსაც იგი საავადმყოფოს პალატაში თხზავდა, ისე ააფრთოვანა პომარი, რომ მე რაიმეს გაგების უნარი დავკარგე. მაგ-

## ჩემი თვითმკვლელობის ისტორია

### „ამერიკის ხმის“ ქრონიკები

იგი უკანალით ვიცანი. ყველანი სახით წინ მოაბიჯებდნენ, ის კი უკან-უკან იხევდა და წელში მოხრილი მოაგორებდა ბორბლებზე შედგმულ კოლოფს. უკანალი ადვილად ვიცანი, რადგან მეჩვენებოდა, რომ იგი შედგენილი იყო არა ორი, როგორც ყველა ქვეყანაშია მიღებული, არამედ მრავალი ფომფლო გუნდისგან. მას ეს სრულებით არ ადარდებდა, იცვამდა მოკლე პიჯაკს და თავს უფლებას აძლევდა, გაეძრო და ეცეკვა კიდეც დაუნდობელი ებრაელი მასხარების წინაშე.

გერდ ფონ დემინგი იუდოფობი და ცინიკოსი გახლდათ, მაგრამ თვისებათა მხოლოდ ეს კომბინაცია ვერ უზრუნველყოფდა მის წარმატებას მიუნჰენშიც კი, საიდანაც ვაშინგტონს ეწვია. გადამწყვეტი როლი მის კარიერაში ითამაშა უფრო იშვიათმა თვისებამ — მონუმენტურმა უნიჭობამ... დემინგი უნიჭობით გამოირჩა იმის წყალობით, რომ არასოდეს დაკმაყოფილებულა წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებულით, მთელი ცხოვრების განმავლობაში განავითარებდა მას და მონუმენტურად სრულყო, 47 წელს რომ მიაღწია, მაშინ.

**გერდს თავისი კარიერა წარუმატებლად მიაჩნდა: მთელი ცხოვრების მანძილზე საიდუმლო სამსახურის აგენტობისთვის ემზადებოდა, მაგრამ ხელი შეუშალა მოუცილებელმა ღიმილმა, რომელიც გათვლილი იყო საიმისოდ, რათა მისი პატრონი არსებულზე უფრო სულელად წარმოეჩინა. იძულებული გახდა, მისულიყო რადიომაუწყებლობაში: თავიდან „თავისუფლების“ რუსული სექციის უფროსის თანამდებობაზე, შემდეგ — „ამერიკის ხმის“ განყოფილების უფროსად.**

ჩვენი გზები სწორედ ამ განყოფილებაში გადაიკვეთა, სადაც ორივე სქესის რადიომა-



ვაშინგტონი. კონგრესის სასახლე

უწყებლებს ერთმანეთისადმი ზოოლოგიური ზიზღი აერთიანებდა. ინდივიდუალურის გარდა ეთნიკურსაც ნერგავდნენ. თითოეულ „თავისუფლებისმოყვარე“ ხალხს ეზიზღებოდა დანარჩენი, ყველას ერთად სძაგდა რუსები, რომლებიც ებრაელებზე გულს იოხებდნენ.

ხალხები ერთმანეთთან ინგლისურად ურთიერთობდნენ, რაც ყველას ტანჯვად ჰქონდა გადაქცეული, რადგან ამ ენას ცნობილ თავისუფლებისმოყვარე ტარზანზე ოდნავ უკეთესად თუ ფლობდნენ.

მაუწყებლებს ყველაზე მეტად ადუღაბებდა ინტელექტუალური სიღატაკე: იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჭკვიანად შეიძლებოდა ჩაგეთვალათ ის, ვინც სხვების არასრულფასოვნებას ამჩნევდა.

რჩეულებს ესმოდათ, რომ თავიანთ ნაკლულობას ხელმძღვანელობის სულგრძელობას უნდა უმადლოდნენ, რომლებიც სრულფასოვან ადამიანებს უფრთხოდნენ, რადგან ისინი ამოუცნობ ინდივიდუმებად მიაჩნდათ.

იმათ კი, ვისი ამოცნობაც ადვილი იყო, პრემიალურებით აჯილდოებდნენ და საპატიო დაფაზე გამოფენდნენ ხოლმე.

სწორედ ამ დაფაზე ვიხილე პირველად ჩემი ოფისელი მეზობლები. ახალი ამბების მთარგმნელის მაგიდის მარცხენა მხარეს იჯდა თბილისიდან ახლახან გამოქცეული გოგი თოფურიძე, ღიპიანი მეღვინე, რომელსაც სიარულის უნიკალური მანერა ჰქონდა გამომუშავებული არა მხოლოდ უფროსების დასახად, არამედ მათი ასისტენტის — მარია სილიბერტთან მისაახლოებლადაც. ამ ქალს სხვებისგან გამოსარჩევად „სპეციალური“ ასისტენტი ერქვა. დერეფნის ბოლოს თვალს რომ მოჰკრავდა, ფეხის წვერებზე აიწეოდა, მიუახლოვდებოდა თუ არა, ფეხსაცმლის ერთ ქუსლს მეორეს მიარტყამდა, გაწითლდებოდა და ხუჭუჭა თავს მკერდზე ჩამოიგდებდა. ამ ოპერაციის მიზანი იყო ასისტენტი ქალის დარწმუნება, რომ ფხვიერი ფორმების, ჭუჭყით მოვარაღებული ფრჩხილებისა და ქონიანი კანის მიუხედავად, იგი მასზე გონების წამრთმევი ეროტიკულობით მოქმედებდა.

**დროდადრო სილიბერტი მიანიშნებდა, რომ უკეთესი იქნებოდა, ხუჭუჭა თავი მის მკერდზე დამხობილიყო. ლოგიკურად განსჯიდა ქალი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს კიდული მკერდი ჩვეულ ზონაში კი არ იყო განლაგებული, არამედ — ჭიპთან, კაცის ხუჭუჭა თავი მისადმი წაყენებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა მხოლოდ იმით, რომ ჩვეულებრივ ზონაში მდებარეობდა — კისერს იყო გამობმული. სამაგიეროდ ხმა ჰქონდა არაჩვეულებრივი — მჭექარე ბანი, სოფლის თამადის ხმა, რომელსაც მიკროფონი არ სჭირდებოდა, რისი წყალობითაც მის მიერ განცხადებული ახალი ამბები სადღეგრძელოსავით საზეიმოდ ჟღერდა. და ისევე, როგორც სადღეგრძელოების უმეტესობა, უაზრო იყო, რადგან ენას, საიდანაც თარგმნიდა, იმ დოზით ფლობდა, რის შესაძლებლობასაც ტურისტის სასაუბრო აძლევდა. იმ შემთხვევაში კი, როცა განცხადებას რაიმე აზრი ჰქონდა, იგი ორიგინალს არ შეესაბამებოდა.**

ერთხელ განსხვავება სკანდალური აღმოჩნდა, როცა თოფურიძემ ეთერში განაცხაიქ სომეხი და რუსი კოლეგებიც იყვნენ მიწვეულები, ხოლო ალკოჰოლი პატრიოტულ გრძნობებს ადუნებს. საქართველოს სიყვარულს იგი არა მხოლოდ რუსული და სომხური სისხლის დაღვრის სურვილში ავლენდა, არამედ ნაკლებად გასაგებ აღიარებაშიც, რომ ბედნიერი იქნებოდა, თუ სამშობლო მიწის სადიდებლად თვითმფრინავიდან უპარაშუტოდ გადმოხტებოდა.

ბედნიერი ვიქნებოდი მეც, რადგან თოფურიძისგან განსხვავებით, რომელიც ინგლისურს ვერ ფლობდა, სანგულიას, ვინაც სამშობლო ნახევარი საუკუნის წინათ უსწავლელმა მიატოვა, დავიწყებული ჰქონდა ქართული, და მე, ვითარცა რედაქტორი, იძულებული ვიყავი, თავიდან გადამეწერა მისი თავხედური თარგმანები, სადაც მის მიერ სასწრაფოდ გამოგონილი სიტყვების უმრავლესობა ინგლისური ფესვების ქართულ სუფიქსებთან ნაჯვარ გაუგებრობას წარმოადგენდა.

სანგულიას ეს სწყინდა.

ყველაზე ძლიერი დარტყმა მის თავმოყვარეობას მელოტმა წვეროსანმა და სათვალეებიანმა მარკ პომარმა მიაყენა, რომელიც რუსი მონარქისტების ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, „ამერიკის ხმაში“ მიუნჰენის „თავისუფლებიდან“ მოვიდა, სადაც დემინგის მოადგილედ მუშაობდა. ვაშინგტონში ჩამოსული მარკი ერთ-ერთი უფროსთაგანი გახდა. ცდილობდა, მიებაძა მათთვის და არა — რუსი მონარქებისთვის: ხელქვეითების წინაშე თავის მემკვიდრეობით ჭკუანაკლულობას უჯიშო დემოკრატიული ღიმილით კი არ ფარავდა, არამედ ქედმაღლური გამომეტყველებითა და უსალმობით.

სანგულია მას, ჩვეულებრივ, სამჯერ ესალმებოდა, პასუხის ღირსი კი ერთი თვის შემდეგ გახდა: პომარმა წვეტიანი წითელი წვერი ასწია და განუმარტა: შენი სუნიანი საქართველო მხოლოდ მაშინაა მზიანი, როცა რუსი განმანათლებლები სტუმრობენ. შეურაცხყოფილმა თავმოყვარეობამ ვალერიანს კუჭის წყლული გაუმიზეზა, მაგრამ საავადმყოფოში დაწოლამდე გარამ, როცა ვალერიანის პორტრეტი დაფის ყველაზე უფრო საპატიო კუთხეში გადააადგილეს, ჩემს გაოგნებას წერილობითი პროტესტის ფორმა მივეცი და პომარს გადავეცი. ამ უკანასკნელმა, დემინგის თანდასწრებით, მხარზე ხელი მომითათუნა და წამჩურჩულა, რომ, მართალია, თვითონაც ეზიზღება გერმანელები რუსოფობიის გამო, მაგრამ მიესალმება ხანდაზმულ სანგულიას ერთგულებას მოძმე საბჭოთა ხალხებს შორის მტრობის გაღვივების წმინდათაწმინდა საქმისადმი.

### სოლჟენიცინის დიდი ტყუილი

საკუთარ ყურებს დავუჯერე მხოლოდ ცინიზმის მთელი მარაგის მობილიზების შემდეგ... მაგრამ, ცხოვრებისადმი ზიზღის ნაცვლად, სხვა გრძნობა დამეუფლა — მომატყუეს...

მაგრამ უკვე მესამე დღეს დაიწყო სკანდალი, რომელმაც მოულოდნელი მისამართი მიკარნახა. ამჯერად სკანდალი ხმაურიანი გამოდგა.

**გარემოცვისთვის რუსეთის დამღუპველი გავლენის შესახებ საავადმყოფოდან სანგულიას მორიგი პამფლეტის მიღებიდან მესამე დღეს, მარკ პომარს ვერმონტიდან გამოუგზავნეს კიდევ ერთი ნაწარმოები: იქ მცხოვრებმა ალექსანდრე სოლჟენიცინმა ფირზე ჩაწერა თავისი რომანის „საპროგრამო“ ნაწყვეტი — რუსეთის დაღუპვის ისტორია.**

**ამ ნაწყვეტმა გამაოგნა. განსაცვიფრებელი იყო სოლჟენიცინის პოზიცია, რომლითაც ბანალურის — ებრაელების ბრალია! — გარდა, უარყოფდა საყოველთაოდ ცნობილს: დღევანდელ უბედურებათა ყვავ-ყორნები 1917-ის ოქტომბერში რუსეთში „ავრორას“ ზათქმა კი არ აშალა, არამედ ჩუმმა გასროლამ პისტოლეტიდან.**

ეს მოხდა 1914 წლის აგვისტოში კიევში, სადაც ვიზიტად ჩავიდა რუსეთის მინისტრი სტოლიპინი, ფრთიან ცხენზე ამხედრებული ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «ამერიკის ხმა»



რონალდ რეიგანი ხშირად მიმართავდა საერთაშორისო აუდიტორიას „ამერიკის ხმის" მეშვეობით



რადიო „ამერიკის ხმის" სტუდია ვაშინგტონში

◀ წარმოსადეგი არქანგელოზი. მიზანი — რუსეთის ნათელ მომავალში სასწრაფოდ შეყვანა. იმის გამო, რომ ეს ამოცანა იოლი არ არის, სტოლიპინი საღამოსკენ დაიღალა და დასასვენებლად ოპერის თეატრში წავიდა. იმავე თეატრში აღმოჩნდა მახინჯი პატარა ურია მორდკო. მინისტრისგან განსხვავებით, მორდკო უკრაინელ ვოკალისტებს კი არ უსმენდა, არამედ ყურად იღებდა სისხლისმსმელ წინაპართა სამათასწლოვან ძახილს, ამიტომ დააძრო პისტოლეტი და ესროლა პირდაპირ ნათელ მომავალს. მინისტრთან ერთად იატაკს დაენარცხა რუსეთისა და მასთან ერთად მთელი კაცობრიობის გადარჩენის უკანასკნელი იმედი.

**მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და კაცობრიობის ისტორია მხოლოდ დუმილს იმსახურებს, მე მაინც ავბობოქრდი: როგორ შეიძლება ამის ჭეშმარიტ ქრონიკად გასაღება! ჯერ ერთი, რუსეთის არავითარი მინისტრი არ ყოფილა კაცობრიობის უკანასკნელი იმედი; მეორეც, მორდკო არ იყო არანაირი ბაღლინჯოსებრი ებრაელი, არამედ მონათლული ქრისტიანი გახლდათ, — დმიტრი ბოგროვი...**

განა ასე შეიძლება? შეიძლება, მიპასუხეს დემინგმა და პომარმა. სოლჟენიცინი ამერიკაში თავისუფლებისთვის ჩამოვიდა, ამერიკაში კი თავისუფალი ადამიანი, ვისაც სურს, იმას მიაფურთხებს! შევეპასუხე, რომ სახალხო კითხვისთვის შეიძლებოდა მისი რომანიდან რომელიმე, უფრო მართალი ნაწილის ამორჩევა, რადგან არათავისუფალი რუსეთის ხალხებმა ის, რის გადაცემასაც გეგმავენ, შეიძლება აღიქვან როგორც მოწოდება სამშობლოს გასათავისუფლებლად ებრაელთა „პოგრომის" (დარბევის) მოსაწყობად.

**დემინგმა დამაბრალა არათავისუფალი რუსეთის ხალხთა მიხვედრილობის გადაჭარბებული შეფასება და გამშორდა სიარულის ისეთი მანერით, რომელიც ფეხსაცმლის ყაირათიანი ექსპლუატაციის ჩვეულებით ჰქონდა გამომუშავებული.**

— გაგვშორდა! — ჩაიხითხითა პომარმა, — ნამდვილი ქრისტიანია; როცა სახეში გარტყმა ემუქრება, იგი იმ წამს მიუშვერს სხვისას — ჩემსას! მაგრამ მე პირდაპირ გეტყვი: თუ შენს ებრაელებს იქ ცემას დაუწყებენ, კარგია, რადგან ისინი იქედან თავისუფლებისკენ გამოიქცევიან, რითაც გაათავისუფლებენ არათავისუფალ რუსეთს! თავისგან გაათავისუფლებენ! იფიქრე ამაზე!

დავიწყე ფიქრი, მაგრამ ომახიანმა ბანმა შემაწყვეტინა:

— მარკ! სწრაფად! ტელეფონთან: ნატაშაა!

— ცოლია! — გაფითრდა მარკი და გავარდა.

ბანის პატრონი დიდი შავკანიანი ზანგის დედალი გახლდათ პოლონური სახელით ვანდა.

— ვანდა, — ვკითხე, — ვინ არის ნატაშა?

— საზიზღარი ვინმეა! — ამიხსნა მან.

— ესე იგი, მარკის ცოლია?

— პირიქით, — სოლჟენიცინის... დღეს ვიწყებთ მკვლელობაზე იმ რომანის გადაცემას. წინასიტყვაობითაა უკმაყოფილო და ცვლის ფრაზებს. მტანჯავს: ასო-ასო მიკარნახებს რუსულ სიტყვებს. სოლჟენიცინი წერს, რომ კომუნისტებისა და ურიების ბრალია ყველაფერი...

ერთი საათის შემდეგ „გველის წიწილის" შესახებ გადაცემის წინასიტყვაობაში, რომელმაც სიცოცხლეს გამოასალმა „რაინდი", „ამერიკის ხმამ" არათავისუფალი რუსეთის ხალხებს აუწყა, რომ უახლოესი თვეების განმავლობაში მათ მოასმენინებენ სკრუპულოზურ დოკუმენტურ ისტორიას, რომელსაც მოუთხრობს დიდი ჟამთაალმწერელი.

## შკან – ფეთხაინისკენ!

...დიდმოხელეებთან საჩივლელად ყოველდღე შესული ნახევარტონებით ვოპერირებდი. მაგრამ მალე თავშეკავება გაუსაძლისი გახდა: სხეულისა არ იყოს, თავშეკავება სულისა ძნელია ფრიად და მეც ავფეთქდი ბოლოსდაბოლოს.

— ეს როგორ?! — მრისხანედ ვურტყამდი მუშტებს მაგიდებს, — როგორ ბედავენ ისინი — „ამერიკის ხმაში"? მთელი ამერიკის სახელით! როგორ აძლევთ ამის უფლებას?! რატომ არ ეუბნებით „არას"? არა ანტისემიტიზმსა და რასიზმს! და საერთოდ! თავისუფლება! და კიდევ — თანასწორობა! და ამასთან — ძმობა! ისინი პასუხად თავს მიქნევდნენ: აუცილებლად ვეტყვით. და, ეტყობა, ეუბნებოდნენ, რადგან დემინგმა და პომარმა მოსალმება შემიწყვიტეს, კოლეგები თავს მარიდებდნენ და აქებ-ადიდებდნენ სოლჟენიცინის გენიოსობას პლიუს მატკინის შესავლის სიზუსტეს...

**...ერთ მშვენიერ დღეს მირეკავს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" თანამშრომელი ქალი და შემითანხმდება შეხვედრაზე ორი დღის შემდეგ, რათა „უფრო მეტი შევიტყო მთავრობაზე თქვენი ჩივილის შესახებ".**

**მეორე დილასვე გამომიძახეს უიკთან — ЮСИА-ს ხელმძღვანელ ჩინოვნიკთან, რომელსაც ყოვლისშემძლე მეგობარი და მფარველი ჰყავდა — აშშ პრეზიდენტი და რომელსაც მხოლოდ სამი რამის ეშინოდა: ცოლის, საბჭოთა კავშირისა და „ვაშინგტონ პოსტის".**

უიკი პირველად ვნახე. სახე იმდენად წაწვეტებული და უსიცოცხლო აღმოაჩნდა, ხოლო ციცქნა სხეული, რომელსაც ეს სახე ედგა, იმდენად დაძაბული, რომ აუცილებლად გაგახსენდებოდა ვირთხა.

„გამარჯობის" ნაცვლად უიკმა მითხრა, რომ ზამთრის მიუხედავად, დღეს ცხელა. მაგრამ საშუალება არ მომცა, იმავე საკითხზე გამომეთქვა ჩემი აზრი და სტენოგრაფისტ ქალს განუცხადა, რომ გადაიფიქრა თვალთმაქცობა:

— საკმარისია ამინდზე საუბარი! — და მომიბრუნდა, — სხვა რამეა საინტერესო, რაზე აიქაფე პირი და რაზე უნდა ელაპარაკო ამანდას?

— ვინ არის ამანდა? — ვერ მივხვდი.

უიკი შეტოკდა და გამიბრაზდა:

— ამანდა ის ქალბატონია, რომელსაც ხვალ ხვდები. ნაგასაკი. „ვაშინგტონ პოსტი". გაგახსენდა?

— ამანდა ჰქვია? მე მარტოგვარი დავიხსომე — ტრაგიკული. სახელი არ უთქვამს: მე ვარო მის ნაგასაკი.

— დავუშვათ! — დაუშვა დირექტორმა, — დავუშვათ, როგორც ძველები ამბობდნენ! მაშ, რას ეტყვი მის ნაგასაკის?

დავფიქრდი და გადავწყვიტე, მეთქვა სიმართლე.

— სიმართლეს ვეტყვი, — დავუზუსტე, — ჩემს საჩივარს გადავცემ.

— მიდი! — გასწორდა სავარძელში, — გადმოალაგე!

მეც კარგად მოვეწყე. ჩავეჭიდე ჩემს შიგნით გომბეშოს დიდ ლოდს, ღრმად ჩავისუნთქე და ირონიის გარეშე დავიწყე: „როგორც ძველები ამბობდნენ"...

ძველები ჩემი სიტყვის დამთავრების შემდეგ მანაც ახსენა. სანამ ვლაპარაკობდი, სტენოგრაფისტი ქალი ვანდა სკამზე წრიალებდა და აშკარად მიბღვერდა. უიკი კი არც ერთხელ არ შეტოკებულა, არც ერთხელ თვალი არ მოუცილებია თავისი ჭორფლიანი ხელებისთვის, რომლებიც გადაჯვარედინებული მაგიდაზე ელაგა...

**მისი სახის გამომეტყველებისთვის თვალის მიდევნება უსარგებლო იყო, რადგან გამომეტყველება არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა. ვერც სხეულის მდგომარეობით გაარკვევდი რამეს; ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს სავარძელში გიგანტური ვირთხის მუმია განისვენებდა. ყველაზე მეტად კი ის მაღიზიანებდა, რომ ვერ ვიგებდი, პირველად ისმენდა ამ საჩივარს თუ არა. ყოველი შემთხვევისთვის ყველაფერი მოვუყევი, ისიც ვუთხარი, რომ სოლჟენიცინის პროზის კითხვა ან შესაწყვეტია, ან წარვუდგინოთ მკითხველებს არა როგორც ისტორიული ქრონიკა, არამედ როგორც გამოგონილი ნაწარმოები...**


„ამერიკის ხმის" პრესოფისი 2006 წელს

ჩივილს რომ მოვრჩი, უიკმა წარმოთქვა:

— მარხულობა თუ გიცდია? ძველთაგან ვიღაცამ თქვა, თუ ადამიანს საქმე არ აქვს, სასარგებლო იქნება, თუ იმარხულებსო.

— მეც არ ვიცი, ვინ თქვა, მაგრამ მარხულობა საშიშია... საშიშია სინდისისთვის. მშიერი კუჭი აღიზიანებს. ამიტომ მარხულობა მაშინ, როცა სიმართლის თქმა გინდა, სისულელეა. ასე ამბობდნენ ესკულაპები, რა თქმა უნდა, ძველები.

— სიმართლის თქმა შეუძლია ნებისმიერ იდიოტს, — განაცხადა უიკმა, — როგორც ერთი ძველი ამბობდა, და მხოლოდ ბრძენი ახდის ლამაზი ტყუილით არსობის ფარდას, მით უფრო, როგორც იმავე ძველმა თქვა, შეიძლება სხვამაც, — ამ ქვეყნად არც სიმართლეა, არც ტყუილი.

ისტორიული მომენტის შეგრძნება დამეუფლა: პრეზიდენტის მეგობარი არ თაკილობს, ფეთხაინის მკვიდრთან საუბარს ადამიანის ბუნების ზოგად პრინციპებზე. და რახან ჩვენი საუბარი იწერება, საღამოს, კომპოტის დალევისას გაეცნობა მას ბელადიც.

— ბატონო დირექტორო, — ვთქვი და წელში გავსწორდი, — მე ჯერ მოქალაქე არ ვარ, მაგრამ პატრიოტი უკვე გახლავართ! და თქვენ, ალბათ, ძალიან გსურთ, იცოდეთ, რატომ ჩამოვედი. ხომ ასეა?

— არა, — თქვა უიკმა, — სულაც არ მინდა.

არ დავიჯერე, რადგან ამ შემთხვევაში შეკითხვას აზრი ეკარგებოდა, არადა, პასუხი გამზადებული მქონდა:

— ამერიკელი გავხდი იმიტომ, რომ ჭეშმარიტებას ჩვენი პრეზიდენტების ბაგენი ღაღადებენ.

ერთ-ერთი მათგანი, თქვენი შენიშვნა რომ მოესმინა, თითქოს სიმართლეს ლაპარაკობენ მხოლოდ იდიოტები, ბრძენნი კი ცრუობენ, უპასუხებდა ასე: მე თქვენ პატივს გცემთ, ბატონო უიკ, მაგრამ მუდმივად ტყუილის თქმა შეუძლებელია!

გარკვეული დროის განმავლობაში შეიძლება ყველა მოატყუო, მუდმივად — ვიღაც ერთი, მაგრამ ყველას და ყოველთვის ვერ მოატყუებ...

**ბატონო დირექტორო! მე მაინც მართალი ვარ. შემეკითხებით რატომ? იმიტომ, რომ, როგორც ძველები ამბობდნენ, მხიარული კაცი ყოველთვის მართალია! ჩემს საჩივარს თქვენ ნაბოდვარი უწოდეთ, მაგრამ მე მზად ვარ, სიცოცხლე გავწირო მისთვის. კვლავ შემეკითხებით — როგორ? ფეხზე დამდგარი და სიცილით. მზად ვარ ამ ცხოვრებიდან იმედით სავსე წავიდე! შემეკითხებით — რატომ? იმიტომ, რომ, როგორც ერთმა ძველმა თქვა, თუ ადამიანი სიცილით კვდება, — ეს შესაშური ბედის დასაწყისია!**

უიკი გაბოროტდა:

— აშკარაა, რომ ძალიან მალე ტვინის ჭყლეტა მოგიწევს — თანაც წარუმატებლად — შენი ბრალდების გასაბათილებლად... მხედველობაში მაქვს ისეთი ცოდვა, რომლის ჩასადენად ტვინი არ გეყოფა! მოქალაქე არ გახდები, რადგან ასეთი ცოდვისთვის ქვეყნიდან კისრისტეხით აგდებენ. ეს კი საწყენად დაგრჩება, რადგან უკვე პატრიოტი ხარ!

**შემდეგ მან დახედა საათს, კორპუსით სტენოგრაფისტი ქალისკენ შებრუნდა და კიდევ ერთი წინადადება უკარნახა:**

**— სათქმელი მეტი არაფერი მაქვს, — და გამომიწოდა ხელი. სიმივით გაჭიმული ეს კიდური დირექტორს ძალიან დაბლა, მაგიდის ზედაპირთან ახლოს ეჭირა. ეს ერთი. და, მეორე, მისი სიმოკლის გამო — ძალიან ახლოს საკუთარ სხეულთან.**

**მე შემოვუარე მაგიდას და მარცხენა ხელის მტევანში მოვიქციე მისი, ბავშვივით პატარა ხელი და სამჯერ შევბერტყე...**

აღშფოთებისგან აკანკალებულმა ხმამ გამაცილა:

— გაეთრიე!

„ამერიკის ხმიდან" გაგდებით საქმე არ დამთავრებულა. დედაქალაქიდან ნიუ იორკში გადავბარგდი და კარსერვისში მოვეწყვე.

**პირველი თვე შესანიშნავი იყო. შემდეგ მოვიწყინე... ერთხელ მგზავრის შუა ქუჩაში ჩამოსმა მომინდა; ნიუ იორკის ცათამბჯენებთან დამშვიდობება და მოძრაობის საწინააღმდეგოდ ფეთხაინისკენ გავარდნა, სადაც აღარავინ დამრჩა, შეიძლება, მხოლოდ სახლი გადარჩა, სადაც გავიზარდე და სასაფლაოზე — წინაპართა საფლავები.**

თარგმნა
**არმაზ სანებლიძე**

# რუსეთის ჯარის მართვის სისტემა შეიცვალა



**პრეზიდენტმა მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის თანახმად, რუსეთში 6 სამხედრო ოლქის ნაცვლად ოთხი გაერთიანებული სტრატეგიული სარდლობა (შემდგომ გსს) შეიქმნება.** გსს „დასავლეთი“ შეიქმნება მოსკოვისა და ლენინგრადის სამხედრო ოლქების ბაზაზე, მის დაქვემდებარებაში შევა ჩრდილოეთისა და ბალტიის ფლოტები; შტაბი სანკტ-პეტერბურგში განთავსდება. გსს „სამხრეთი“ შეიქმნება ჩრდილოეთ კავკასიის ოლქის ბაზებზე და შავი ზღვის ფლოტს დაიქვემდებარებს; შტაბი როსტოვში. ვოლგისპირეთ-ურალისა და ციმბირის (ნაწილობრივ) ოლქების ბაზაზე შეიქმნება გსს „ცენტრი“ შტაბით ეკატერინბურგში. ციმბირის ოლქის აღმოსავლეთ ნაწილისა და შორეული აღმოსავლეთის ოლქის ბაზაზე შეიქმნება გსს „აღმოსავლეთი“ შტაბით ხაბაროვსკში; მას წყნარი ოკეანის ფლოტი დაექვემდებარება.

# ტერმინატორს ვერავინ გაექცევა



**სამხეთ კორეის საზღვარს ჩრდილოეთ კორეასთან საბრძოლო რობოტები დაიცავენ. მოვალეობების შესრულებას უკვე ორი რობოტი შეუდგა. მათი ფუნქცია საზღვრის დამრღვევების დაფიქსირება და მათთვის ცეცხლის გახსნაა.** თუ ეს ორი ნიმუში გამოცდას წარმატებით ჩააბარებს, სამხრეთ-კორეელი სამხედროები ასეულობით ასეთ რობოტს შეიძენენ. ჯერჯერობით თითოეული რობოტის მოქმედებას თვალს ოპერატორი ადევნებს და გადაწყვეტილებას ცეცხლის გახსნის შესახებ სწორედ ის იღებს. თუმცა პროგრამის მომდევნო ეტაპზე ეს კონტროლი, სავარაუდოდ, მოიხსნება. „Samsung“-ის წარმოების თითოეული რობოტის ღირებულება 330 ათასი დოლარია.

# „Су-24“-ს წერტილოვანი დარტყმებისთვის ამზადებენ



**რუსეთის ყველა საბრძოლო თვითმფრინავი დამიზნება-ნავიგაციის ახალი სისტემით აღიჭურვება. გენერალური შტაბის უფროსის — ნიკოლაი მაკაროვის თქმით, ეს ორ-სამ წელიწადში მოხდება, რის შემდეგაც საჰაერო ძალები „უარს იტყვიან ბომბებით დიდი ფართობების დაფარვაზე“.** საფრონტო ბომბდამშენ „Су-24М2“-ზე დამონტაჟებული ახალი სისტემა გასულ კვირას დასრულებულ სწავლებებზე — „Восток-2010“-ზე გამოსცადეს. სულ რუსეთის საჰაერო ძალებში სამასამდე (სხვადასხვა მოდიფიკაციის) „Су-24“-ია; 60-მდე — საზღვაო ძალების ავიაციაშია. ამ თვითმფრინავების მოდერნიზაციით პროგრამა არ შემოიფარგლება, ახალი დამიზნების სისტემა შექმნილია, აგრეთვე, ბომბდამშენებისთვის, როგორიცაა „Ту-22М3“ და „Ту-160“.

# ახლა მტვერი არ მოსწონთ



**ამერიკული ჯარების წარუმატებლობას ავღანეთში, როგორც ჩანს, ახალი გამართლება მოუძებნეს.** პენტაგონის მკვლევარები პორტლენდში ჩატარებულ სამედიცინო კონფერენციაზე წარსდგნენ მოხსენებით, რომელშიც ნათქვამია, რომ ავღანური მტვერი მანგანუმს შეიცავს. „ამ მტვერმა შეიძლება ჩვენს ჯარისკაცებზე ნეირო-ტოქსიკური ეფექტი მოახდინოს. — წერს „Military Times“, — ამ ნივთიერებამ შეიძლება პარკინსონის დაავადების მსგავსი სიმპტომები გამოიწვიოს“.

# საწვავს მაინც დაზოგავენ

**„ბოინგმა“ წარმოადგინა ახალი უპილოტო საფრენი აპარატი „Phantom Eye“ წყალბადის ძრავით. მწარმოებლის განცხადებით, ახალი საფრენი აპარატი 20 ათასამდე მეტრის სიმაღლეზე 4 დღის განმავლობაში ავტონომიურ ფრენას შეძლებს.** სიჩქარე დაახლოებით 277 კმ/სთ იქნება. „Phantom Eye“-ს ორი ოთხცილინდრიანი ძრავა აქვს (150 ცხენის ძალა თითოეულს). საფრენ აპარატს შეუძლია 204 კილოგრამამდე სასარგებლო ტვირთის გადატანა. წყალბადზე მომუშავე „Phantom Eye“-ის პირველი გაფრენა 2011 წლის დასაწყისში შედგება.

# ქვეყნის რეზერვი თუ მიშას რეზერვი?

**ახალი კანონპროექტი „სარეზერვო სამხედრო სამსახურის შესახებ“ საზოგადოების ყურადღების ცენტში მოექცა. რის მიღწევა სურს ხელისუფლებას? როგორ რეზერვს მივიღებთ ამ ცვლილებების შედეგად?**



ალბათ, ძნელია უახლოეს ისტორიაში ისეთი მაგალითის მოძებნა, როდესაც პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი მმართველი ძალის წიაღში დაბადებული ინიციატივის წინააღმდეგ წავიდა. მაგრამ ამჯერად იგი „კანონპროექტის გარკვეულ მუხლებს დისკრიმინაციულად თვლის და აქ აღნიშნულ ნორმას ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევს“. საუბარია კანონპროექტის იმ პრინციპზე, რომლის თანახმადაც რეზერვგავლილ პირს უპირატესობა მიენიჭება საჯარო სამსახურში დანიშვნისას ან გათავისუფლებისას. ხათუნა გოგორიშვილის აზრით, ამის ნორმად დაწესება დაუშვებელია. ფორმალური თვალსაზრისით, გოგორიშვილის არგუმენტაცია საკმაოდ მყარი ჩანს, მაგრამ საინტერესოა, რამ უბიძგა მას ლამის დისიდენტური პოზიციის დაკავებისკენ.

**ახალი კანონპროექტის თანახმად, რეზერვი 40 წლამდე მამაკაცებისთვის სავალდებულო ხდება.**

**მარტივი არითმეტიკული გათვლა გვიჩვენებს, რომ ყველას გაწვევა და მომზადება ფიზიკურად ვერ მოხერხდება. საქართველოში ერთი ასაკის მამაკაცთა რაოდენობა 25-30 ათასია, შესაბამისად, საუბარი ასეულობით ათას პოტენციურ რეზერვისტს ეხება. საერთო რაოდენობას სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარი მოქალაქეებიც რომ გამოვაკლოთ, ჯამი მაინც ნახევარ მილიონს „მიუკაკუნებს“.**

**ცხადია, ამ რაოდენობის ადამიანების გაწვრთნას, ნებისმიერ შემთხვევაში, წლები კი არა, ათწლეულები დასჭირდება, მათთვის შესაბამისი რაოდენობის ოფიცერთა მომზადებასა და ახალი ნაწილების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას თავი რომც დავანებოთ. გამოდის, რომ საწყის ეტაპზე მაინც, გაწვევა მხოლოდ ნაწილობრივი, შესაბამისად, შერჩევითი იქნება. აქ კი შეიძლება ძალიან სერიოზული კითხვები გაჩნდეს: რა კრიტერიუმით შეირჩევა ეს ხალხი? თუ ერთი მიდის რეზერვში, მეორემ რა დააშავა (და პირიქით)?**

ახალი კანონპროექტი, გამონაკლისებს თითქმის არ უშვებს; გაწვევა, პრაქტიკულად, ყველა კატეგორიის ადამიანს შეეხება — იქნება ეს ემიგრანტი, სოფლის ექიმი, პედაგოგი, მეტროპოლიტენის თანამშრომელი თუ სხვ. **მართალია, ხელისუფლების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ რეზერვში ყოფნის 45-დღიან პერიოდში (და შემდგომი შეკრებების დროს) ამ ადამიანებს სამუშაო ადგილი და ხელფასი შეუნარჩუნდებათ, მაგრამ ცხოვრება, ალბათ, მაინც ცოტა სხვაგვარად არის მოწყობილი, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებს ჰგონიათ.** წარმოვიდგინოთ ემიგრანტი, რომელიც სადმე კანადაში ან საბერძნეთში მუშაობს და გულწრფელად ვუპასუხოთ კითხვას: რომელი დამქირავებელი შეუნარჩუნებს მას სამუშაო ად- ▶

# ვიეტნამის ომი ფალსიფიკაციით დაიწყო

**გასულ კვირას აშშ-ის სენატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტმა გამოაქვეყნა ვიეტნამის ომისდროინდელი დახურული სხდომების ოქმები, რომლებიც აქამდე გასაიდუმლოებული იყო. „დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ სენატორები მკაფიოდ გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ პენტაგონმა და თეთრმა სახლმა ტონკინის ყურეში 1964 წელს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ისინი შეცდომაში შეიყვანეს“, — წერს „N“-ი.**

რა მოხდა მაშინ ვიეტნამის ნაპირებთან? სახელწოდება „ინციდენტი ტონკინის ყურეში“ ორ ეპიზოდს აერთიანებს, რომელთაგან უკანასკნელი ვიეტნამში შეერთებული შტატების ფართომასშტაბიანი ინტერვენციის საბაბი გახდა. იმ მომენტისთვის ცხადი იყო, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამის მიერ მხარდაჭერილი პარტიზანები იმარჯვებენ ბრძოლაში სამხრეთ ვიეტნამის სამთავრობო ძალებთან და საიგონის რეჟიმის შენარჩუნებისთვის ამერიკული დახმარება იარაღით და სამხედრო მრჩევლებით საკმარისი არ გამოდგა.

**I ეპიზოდი: 1964 წლის 2 აგვისტოს ამერიკული ხომალდის USS „Maddox“ (DD-731) ეკიპაჟმა აღმოაჩინა, რომ სამი ჩრდილოეთვიეტნამური სატორპედო კატარღა (ჩინური წარმოების „P4“) უახლოვდება. ამერიკული მხარის მტკიცებით, მათი მოქმედება აგრესიული ჩანდა. „Maddox“-მა გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინა. ამის პასუხად კატარღებმა ტორპედოები გაუშვეს და ამერიკულ ხომალდს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი გაუხსნეს. ტორპედოები მიზანს ასცდა. ბრძოლაში ჩაერთო რამდენიმე გამანადგურებელი „Vought F-8 Crusader“ ტონკინის ყურეში მყოფი ამერიკული ავიამზიდიდან USS „Ticonderoga“ (CV-14). ვიეტნამურმა კატარღებმა დაზიანებები მიიღეს; ამერიკელი მფრინავების მტკიცებით, ერთ-ერთი მათგანი ჩაიძირა, დანარჩენები კი ბრძოლის ველს გაეცალნენ. ვიეტნამელები, თავის მხრივ, ირწმუნებოდნენ, რომ კატარღებმა „გმირულად შეუტიეს „Maddox“-ს და ვიეტნამის ტერიტორიული წყლებიდან განდევნეს“.**

ნებისმიერ შემთხვევაში, ბრძოლის ფაქტს ორივე მხარე ადასტურებს, აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ იმაზეა, ის ვიეტნამის ტერიტორიულ თუ საერთაშორისო წყლებში მოხდა. ამერიკულმა სარდლობამ ხომალდის მეთაურს უბრძანა დაკისრებული მისია (რადიოტექნიკური დაზვერვა) გაეგრძელებინა და მის დასახმარებლად კიდევ ერთი ხომალდი USS „John R. Craig“ (DD-885) გაგზავნა. ყველაზე საინტერესო მოვლენები ამის შემდეგ განვითარდა.

**II ეპიზოდი: 4 აგვისტოს საღამოს ტონკინის ყურეში ტროპიკული შტორმი დაიწყო. ამ დროს ამერიკული ხომალდების რადარებმა თითქოს დააფიქსირეს ამოუცნობი გემების მოახლოება. აღსანიშნავია, რომ მეთაურებს იმ დღეს უკვე ჰქონდათ მიღებული დაზვერვის გაფრთხილება ვიეტნამელთა შესაძლო იერიშის შესახებ. მაგრამ ვერც ავიამზიდიდან გაგზავნილმა ორმა თვითმფრინავმა, ვერც ხომალდების ეკიპაჟებმა ვიეტნამური კატარღების აღმოჩენა ვერ შეძლეს. მიუხედავად ამისა, ვარაუდებისა და გაურკვეველი ინფორმაციის საფუძველზე პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა უბრძანა სამხედროებს, დაებომბათ ვიეტნამური კატარღების ბაზა და საწვავის საცავები. ოპერაცია „Pierce Arrow“ 5 აგვისტოს ჩატარდა. განხორციელდა 64 საბრძოლო გაფრენა, რომლის დროსაც ამერიკელებმა 2 თვითმფრინავი დაკარგეს (ერთ-ერთის პილოტი, ევერეტ ალვარესი ომის პირველი ამერიკელი ტყვე გახდა); განადგურდა ვიეტნამური კატარღების 2/3 და საწვავის მარაგის 90%.**

ამგვარად, ამერიკელების პირველი ნაბიჯი ომში გადაიდგა როგორც პასუხი 4 აგვისტოს არარსებულ შეტევაზე, რამაც თავად ამერიკულ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამო- ▶



გილს და ხელფასს ასეთ ვითარებაში? იგივე ეხება საქართველოში დასაქმებულებსაც, ბევრი დამქირავებელი (შეგვიძლია მათ „უსინდისოები" ვუწოდოთ, თუმცა ამით ვერაფერს შევცვლით), სავარაუდოდ, შეეცდება ასეთი ადამიანი მოიცილოს და ამისთვის, რაიმე საბაბი იპოვოს, რომელიც ფორმალურად, რეზერვთან დაკავშირებული არ იქნება. ამგვარად, მარტივ დასკვნამდე მივდივართ: **ასეთ ვითარებაში სამუშაო ადგილის უპრობლემო შენარჩუნება შესაძლებელი მხოლოდ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული ადამიანისთვის იქნება.** მივუმატოთ ამ გარემოებას პოსტულატი, რომლის წინააღმდეგაც ხათუნა გოგორიშვილი გამოვიდა: მათ ვინც რეზერვში იმსახურებს საჯარო სამსახურში დასაქმებისას მნიშვნელოვანი შეღავათები ექნებათ. თუ გასაწვევი კონტინგენტიდან, უმეტეს წილად შეირჩევიან ის ადამიანები, ვისაც ხელფასს სახელმწიფო უხდის, ან გარემოებათა გამო, სასურველია, მუშაობა სახელმწიფო სტრუქტურებში დაიწყონ, შეიძლება ძალიან სახიფათო ფორმულამდე მივიდეთ:

**ახალი რეზერვი, როგორც საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების სამხედრო მომზადების მანქანა და სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ახალი კადრების სამჭედლო (სელექცია, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური დამუშავება და ა.შ.). შედეგად, ჩვენ შეიძლება მივიღოთ ხელისუფლებაზე 100% დამოკიდებული რაზმელები, ირანული „ისლამური რევოლუციის გუშაგთა" ან ჰაიტელი „ტონტონ-მაკუტების" ადგილობრივი ვარიანტი, რომელთა გამოყენებას შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაში, არმიისგან განსხვავებით, არანაირი განსაკუთრებული წინაღობა არ ექნება.**

არის კიდევ ერთი ქვეტექსტი: **მსგავსი, ხელისუფლებაზე „მიბმული" რაზმების დიდი რაოდენობით შექმნა გააუქმებს შსს-ს მონოპოლიას შიდაპოლიტიკური დაპირისპირებისთვის გამოსადეგ ძალოვან რესურსზე, რაც ძალაუფლების შენარჩუნების სისტემაში მნიშვნელოვან ცვლილებებს მოასწავებს.** გოგორიშვილის კრიტიკული გამოსვლა შეიძლება მიანიშნებდეს, რომ გარკვეული ძალები ხელისუფლების შიგნით ამ ჰიპოტეტური სქემის წინააღმდეგ გამოდიან.

იმედია, ეს ვარაუდები არ გამართლდება. ჯერჯერობით კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, თანაბარი უფლება-მოვალეობები ყველა პოტენციურ რეზერვისტს უნდა ჰქონდეს: ან რეზერვში უკლებრივ ყველა წავა, ან კიდევ, თუ სახელმწიფოს ამხელა მასის გაწვრთნისა და უზრუნველყოფის შესაძლებლობა არ აქვს, კანონპროექტში, ალბათ, გარკვეული ნორმები და შეზღუდვები უნდა შევიდეს, რომლებიც გასაწვევთა კონტინგენტს რეალისტურ რაოდენობამდე ჩამოიყვანენ და ქვეყანას „შერჩევით გაწვევასთან" დაკავშირებულ პრობლემებს აარიდებენ.



იწვია. 2005 წელს ეროვნული უშიშროების სააგენტომ (NSA/CSS) მოხსნა გრიფი „საიდუმლო" მისი თანამშრომლის — რობერტ ჰენიოკის შიდაუწყებრივი მოხსენებას, რომელმაც ეს მოვლენები შეისწავლა და მივიდა დასკვნამდე, რომ „მზვერავებმა განგებ დაამახინჯეს ინფორმაცია 4 აგვისტოს შეტევის შესახებ"; მისი მტკიცებით, ხდებოდა მასალების პირდაპირი ფალსიფიკაცია იმისთვის, რომ ინციდენტი რეალურად წარმოჩენილიყო. საინტერესოა, ვინ იყო დამკვეთი?

**დოკუმენტები, რომლებიც გასულ ოთხშაბათს ვაშინგტონში გამოქვეყნდა, ცხადყოფენ, რომ 60-იან წლებში დახურულ სხდომებზე სენატორები თავს ორჭოფულ მდგომარეობაში გრძნობდნენ. ბევრი მათგანი მიუთითებდა იმაზე, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება საეჭვო ფაქტებს ეფუძნება, თუმცა, ამასთანავე, საკუთარ უძლურებასაც აფიქსირებდნენ.**

„ჩვენ ხელისუფლების სტრუქტურაში მხოლოდ უსარგებლო დანამატი ვართ", — თქვა მაშინ სენატორმა არკანზასიდან, უილიამ ფულბრაიტმა.

მართლაც, **7 აგვისტოს აშშ კონგრესმა (416 მომხრე) და სენატმა (88 მომხრე, 2 წინააღმდეგი) მიიღეს „ტონკინის რეზოლუცია", რომელმაც პრეზიდენტ ჯონსონს შესაძლებლობა მისცა, მიიღოს ყველა ზომა, შეიარაღებული ძალების გამოყენების ჩათვლით, „სამხრეთ-აღმოსავლეთის უსაფრთხოების ხელშეკრულებაში" შემავალი სახელმწიფოების (შესაბამისად, სამხრეთ ვიეტნამისაც) „თავისუფლების დაცვისთვის".** ამ რეზოლუციამ შექმნა სამართლებრივი საფუძველი ვიეტნამში ამერიკული ჯარების გაგზავნისთვის და ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის დაწყებისთვის, ომის ფორმალური გამოცხადების გარეშე.

**დაიწყო ვიეტნამის ომი, რომლის დროსაც მილიონობით ადამიანი დაიღუპა; შეერთებულმა შტატებმა ამ ომში თავის ისტორიაში ყველაზე დამამცირებელი მარცხი იწვნია.**

გაივლის კიდევ ნახევარი საუკუნე და, შესაძლოა, აშშ-ის სენატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტი და სადაზვერვო სტრუქტურები საიდუმლო არქივების კიდევ ერთ ნაწილს გახსნიან და ჩვენ, ალბათ, გავიგებთ, რა ხდებოდა სინამდვილეში ერაყისა და ავღანეთის ომების საწყის ეტაპზე; მაგრამ რაიმეს გამოსწორება დაგვიანებული იქნება.

# ადმირალ კანარისის საიდუმლო

**ადმირალი ვილჰელმ ფრანც კანარისი 1887 წელს დორტმუნტის მახლობლად მდებარე პროვინციულ ქალაქ ანლერბეკში დაიბადა. კადეტთა საზღვაო კურპუსის დამთავრებისა და პრაქტიკის გავლის შემდეგ მას ფლოტის ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს. ტანმორჩილი, მოკრძალებული ლეიტენანტი ძალიან ნიჭიერი იყო და რამდენიმე ენას ფლობდა: ინგლისურს, ფრანგულს, ესპანურსა და რუსულს.**



კანარისი
1945 წლის აპრილში



ვილჰელმ
კანარისი

1912 წელს ლეიტენანტი კანარისი კრეისერ „დრეზდენზე" გადაიყვანეს, რომელიც ხმელთაშუა ზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცურავდა, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებული დაძაბული ვითარების გამო. მზვერავის როლში თავის პირველ დავალებას მან ბრწყინვალედ გაართვა თავი.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისიდან „დრეზდენი" საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა, მაგრამ არცთუ წარმატებით, ხოლო ჩილეს სანაპიროზე გამართული ერთ-ერთი დუელი ინგლისურ კრეისერთან მისი ჩაძირვით დასრულდა. კანარისი გერმანიაში დაბრუნდა, სადაც 1915 წელს ესპანეთში გერმანიის საზღვაო ატაშეს აპარატის თანამშრომლად დანიშნულმა აგენტების გადაბირება დაიწყო. სწორედ მაშინ დაიწყო ჩამოყალიბება აბვერის მომავალი ხელმძღვანელის აგენტურულმა ქსელმა.

1923 წელს კანარისი კრეისერ „ბერლინის" მეთაურის უფროსი თანაშემწე გახდა. მის დაქვემდებარებაში მუშაობდა რეინარდ ჰეიდრიხი, იმპერიის უსაფრთხოების ნაცისტური სამმართველოს მომავალი ხელმძღვანელი და კანარისის ერთ-ერთი უძლიერესი მეტოქე.

1935 წელს კი კანარისს სთავაზობენ, სათავეში ჩაუდგეს აბვერს, რომელსაც მესამე რაიხის ენციკლოპედია შემდეგნაირად ახასიათებს: „აბვერი (Abwher თავდაცვა, წინააღმდეგობა) ნაცისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანო. 1919 წელს ის ვაიმარის ბურჟუაზიული რესპუბლიკის მთავრობამ შექმნა, როცა გენერალმა ფონ შლეიხერმა ყველა საიდუმლო სამსახური ერთად შეკრიბა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

**რაკი 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, გერმანიაში სადაზვერვო ორგანოების რეანიმაცია დაუშვებელი იყო, აბვერს ფორმალურად ეკისრებოდა სამხედრო კონტრდაზვერვის ფუნქცია შეიარაღებულ ძალებში.**

1933 წლიდან აბვერი გამუდმებულ კონფლიქტში იმყოფებოდა უშიშროების საიდუმლო სამსახურსა და გესტაპოსთან. 1935 წლის იანვრიდან 1944 წლამდე აბვერის სათავეში გამოცდილი მზვერავი ადმირალი ფრიდრიხ ვილჰელმ კანარისი იდგა, რომელმაც ის ჰიტლერული პოლიტიკის მნიშვნელოვან იარაღად აქცია.

სსრკ-ის წინააღმდეგ აგრესიის წინა დღეს აბვერმა „ბარბაროსას" გეგმის მიხედვით რიგი ღონისძიებები გაატარა. 1942 წელს შეიქმნა „ზონდერშტაბი რ", რომლის დანიშნულებასაც უმთავრესად პარტიზანულ მოძრაობასთან ბრძოლა და ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობაში პროპაგანდის წარმოება წარმოადგენდა. 1942 წლის 14 თებერვალს აბვერის წარუმატებლობისა და კანარისის მიმართ ნაცისტური ხელმძღვანელობის ნდობის დაკარგვის შედეგად, გამოიცა დეკრეტი აბვერის დაშლის შესახებ. ამ დეკრეტის მიხედვით, აბვერი სხვადასხვა უწყებისადმი დაქვემდებარებულ ნაწილებად უნდა დაშლილიყო".

**პირველ რიგში, კანარისმა აბვერის შეიგნით საკადრო წმენდა ჩაატარა, არმიის ოფიცრები ფლოტის ოფიცრებით შეცვალა. თავისი აგენტების, მათ შორის, უცხოელი დიპლომატების, სავაჭრო წარმომადგენლებისა და მისიონერების მეშვეობით კონტაქტები დაამყარა უცხო ქვეყნების გავლენიან პოლიტიკოსებთან.**

უსაფრთხოების სამსახურის, გესტაპოსა და აბვერის უფლებამოსილებათა გამიჯვნისათვის ბრძოლისას კანარისმა მიაღწია ხელის მოწერას დოკუმენტზე — „ათი მცნება", რომლის მიხედვითაც გესტაპო და უსაფრთხოების სამსახური ვალდებული იყვნენ, სამხედრო დაზვერვასთან, როგორც თანაბარუფლებიან პარტნიორთან ეთანამშრომლათ. **მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში კანარისი ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი იყო ნაცისტური ხელმძღვანელობის რეალისტთაგან, ვისაც ესმოდა, რომ ფართომასშტაბიანი ომი, რომელსაც ჰიტლერი ამზადებდა, გერმანიას გამარჯვებას არ მოუტანდა.** ჰიტლერულ კურსს იგი აშკარად არ აკრიტიკებდა, მაგრამ არც აღკვეთდა აბვერის ზოგიერთი ოფიცრის, შემდგომში ანტიჰიტლერული შეთქმულების მონაწილეთა, ოპოზიციურ განწყობილებას.



რეინჰარდ ჰეიდრიხი და კარლ ჰერმან ფრანკი

**კანარისი მეგობრობდა გენერლებთან: ბეკთან და ჰალდერთან, რომლებსაც ჰიტლერის თავიდან მოშორება განეზრახათ და საიდუმლო ინფორმაციებსაც კი უმჟღავნებდა ფიურერის გეგმების შესახებ.**

პოლონეთზე თავდასხმაში კანარისი საშინელი ავანტიურის დასაწყისს ხედავდა, რომელმაც ანტიჰიტლერული ბლოკის წარმოქმნა გამოიწვია (აშშ-ით სათავეში) და რაც საბოლოოდ რაიხის დაღუპვით დასრულდა. სიტუაციის გამოსასწორებლად კანარისმა ვატიკანთან კონტაქტის დამყარება სცადა, რათა პაპი დაერწმუნებინა, რომ ინგლისთან შუამავლის როლი შეესრულებინა. ამასთან, კანარისს, ცხადია, ესმოდა, რომ დაზავების პირობას ჰიტლერის თავიდან მოშორება წარმოადგენდა, მაგრამ გერმანული ჯარების მიერ ნორვეგიისა და საფრანგეთის ოკუპაციამ კანარისის გეგმები ჩაშალა.

1940 წელს კანარისს ადმირალის წოდება მიენიჭა, რამაც მისი მოწინააღმდეგე, უსაფრთხოების სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსი რეინარდ ჰეიდრიხი ადმირალის მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის შესაგროვებლად წააქეზა.

უწყებრივი მეტოქეობის გარდა, **ჰეიდრიხს კანარისის მიმართ სიძულვილიც ამოძრავებდა: თავის დროზე კანარისი ლინკორის ოფიცრების მიერ ჰეიდრიხისათვის მოწყობილი „სინდისის სასამართლოს" მოწმე იყო, როცა ჰეიდრიხს უსაყვედურეს, რომ თავისი არიული წარმოშობის დამამტკიცებელი საბუთები გააყალბა. აღმოჩნდა, რომ ჰეიდრიხის გვარში, დედის მხრიდან, ებრაელები იყვნენ.**

კანარისმა იმპერიის უსაფრთხოების შეფის „სუსტი ადგილი" იცოდა და, შესაძლოა, მიახვედრა, რომ ცუდი მშვიდობა კარგ ომს ჯობდა. საერთოდ, კანარისი ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობდა: როგორც სამხედროს, იმის დაშვებაც არ შეეძლო, რომ ბრძანება ან არ, ან ცუდად შეესრულებინა, მაგრამ როგორც ანალიტიკოსსა და ლუთერანული ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდილ კაცს, ჩინებულად ესმოდა, **რომ ტოტალური ძალადობა გერმანიისა და გერმანელების სულიერი იზოლაციით შემობრუნდებოდა და საბოლოოდ გერმანიასაც დაანგრევდა.**

**საეჭვოა, რომ კანარისს რაიმე პრაგმატული მოტივები ჰქონოდა, როცა აბვერის აგენტების სახით ნაცნობ ებრაელებს ნეიტრალურ ქვეყნებში აგზავნიდა ანდა გესტაპოს ხელიდან გლეჯდა თავის თანამშრომელს, რომელმაც ბელგიაზე, ჰოლანდიასა და საფრანგეთზე გერმანიის თავდასხმის ვადები გაამჟღავნა.** სწორედ კანარისი არწმუნებდა ჰიტლერს, არ განევრცო სამხედრო მოქმედებები პირენეის ნახევარკუნძულზე და არ ჩაეთრია ომში ესპანეთი.

სამხედრო მოქმედებათა გაფართოების პარალელურად აბვერი მომზადებული კადრების ნაკლებობას განიცდიდა. სამხედრო დაზვერვამ ვერ შეძლო დროულად მოეპოვებინა ცნობები სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების დისლოკაციის ადგილის შეცვლისა და ჩრდილოეთ აფრიკასა და იტალიაში მოკავშირეთა ჯარების გადასხდომის შესახებ. ამ მარცხს ისიც დაერთო, რომ ბრიტანულმა დაზვერვამ ინგლისში მყოფი გერმანელი აგენტები გადაიბირა და აბვერი დეზინფორმაციის ნაკადმა გაავსო. 1944 წელს, ჰიტლერის ბრძანებით, აბვერი ეს-ესის რაიხსფიურერის — ჰიმლერის დაქვემდებარებაში გადავიდა, ადმირალი კი საქმეებს ჩამოაშორეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს...

1944 წლის 20 ივლისს წარუმატებელმა თავდასხმამ ჰიტლერზე უმაღლეს ოფიცრობას შორის დაპატიმრების ტალღა გამოიწვია. კანარისი სამი დღის შემდეგ დააპატიმრეს, როგორც შეთქმულთა თანამოაზრე და სხვებთან ერთად იმპერიული უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ციხეში გაამწესეს. **ადმირალის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც აბვერის სამხედრო ბანაკის ერთ-ერთ ბუნკერში იმპერიის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს თანამშრომელმა საიდუმლო არქივი აღმოაჩინა, რომელიც ჰიტლერისთვის ფარული წინააღმდეგობის გაწევის ამსახველ დოკუმენტებს შეიცავდა. მათ შორის იყო კანარისის დღიურის 20 გვერდი, რომელიც ამბოხის მომზადების საუბართა ჩანაწერებს შეიცავდა.** გესტაპომ ადმირალს მაშინვე ჯვარედინი დაკითხვა მოუწყო.

1945 წლის აპრილში, როცა მოკავშირეები ნიურნბერგს უტევდნენ, კანარისსა და მის მოადგილეს ნაჩქარევად გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. **ჩამოხრჩობის წინ ადმირალის ბოლო სიტყვები იყო: „მოღალატე არ ვარ;' როგორც გერმანელი, მხოლოდ ჩემს ვალს ვიხდიდი..."**

კანარისის დღიური კალტერბრუნერის განკარგულებით გაანადგურეს.

მოამზადა
ნანა ჩარკვიანმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# დასავლეთის დაისი

**ამ დღეებში პოლონურმა ჟურნალმა „პოლიტიკამ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ზბიგნევ ბჟეზინსკისთან. ცნობილი პოლიტოლოგი სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით გამოთქვამს მოსაზრებას. ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება მისი თვალსაზრისი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით**


ზბიგნევ ბჟეზინსკი

**— დღევანდელი კრიზისი სამყაროს ცვლის?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ ვცხოვრობთ საუკუნეში, რომელშიც რაღაც პრინციპული იცვლება.

**— ამ საუკუნეში თუ ამ წელიწადში?**

— ერთ წელიწადში ეს ვერ მოხდება, მაგრამ ამ საუკუნეში — ნამდვილად. მნიშვნელოვანია, რომ სრულდება დასავლეთის 500-600-წლიანი დომინირება მსოფლიოში. ახლა სამყარომ, პოლიტიკური თვალსაზრისით, გაიღვიძა. ადამიანების უმრავლესობა არ ინტერესდებოდა და არ იყო დაკავებული პოლიტიკით საფრანგეთის რევოლუციამდე, რომელმაც პოლიტიკურ ფიგურებს და ნაციონალურ გრძნობებს ევროპაში ბიძგი მისცა. შემდეგ ეს მთელ მსოფლიოს მოედო, რომელმაც ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში პოლიტიკური ცნობიერება შეიძინა. ეს ცნობიერება ძალიან არაერთგვაროვანია და სულ უფრო აქტიური ხდება, მას სულ უფრო მეტად ბადებს იმედგაცრუება, დაუკმაყოფილებლობა, უსამართლობის განცდა. ეს ნეგატიური გრძნობები, ძირითადად, დასავლეთისკენაა მიმართული, განსაკუთრებით — ამერიკისკენ, რომელიც, უამრავი თვალსაზრისით, მსოფლიოს სინდისი იყო, ბოლო ათი წლის განმავლობაში კი მტრული დამოკიდებულების ობიექტად იქცა, რაც ძალიან სახიფათოა, რადგან, დღეს რომ ამერიკამ მსოფლიოში წამყვანი როლი დაკარგოს, მის ადგილს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ დაიკავებს.

როდესაც მე თეთრ სახლში ვმუშაობდი, ყველაზე დიდი საფრთხე ბირთვული ომის გაჩაღება იყო. ჩვენ ამას ყოველდღიურად ვითვალისწინებდით. კრიზისი შეიძლება 28 წუთის განმავლობაში განვითარებულიყო და 6 საათში მას 80-დან 120 მილიონამდე ადამიანის დაღუპვა მოჰყვებოდა.

**— დასაწყისისთვის?**

— ერთი დღეში! ახლა ასეთი საფრთხე არ არსებობს. მაგრამ არსებობს უნდობლობა პოლიტიკურ ძალთა ბალანსისა და დასავლეთის როლის სტაბილურობის მიმართ. ამ პოლიტიკურად გამოღვიძებული მსოფლიოს დიდი ნაწილი დასავლეთის როლს ნეგატიურად აფასებს. კოლონიალიზმი, იმპერიალიზმი, ექსპლუატაცია – ეს მსოფლიოში დიდწილად დამკვირდებული ისტორიული ხატებია.

**— ეს პროცესი 60–იანი წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს. დეკოლონიზაცია, ძირითადად, იგებოდა კიპლინგური პოზიციისგან გამიჯვნაზე, „თეთრკანიანი ადამიანისადმი“ ნეგატიურ დამოკიდებულებაზე. მაგრამ ამ ნეგატიური დამოკიდებულების გავრცელება შეზღუდული იყო, რადგან ძალთა ბალანსი დასავლეთის სასარგებლოდ იხრებოდა. ახლა ეს იცვლება. დასავლეთის წილი მსოფლიოს მშპ-ში რადიკალურად მცირდება. იცვლება კულტურული და სამხედრო ბალანსი. მოვესწრებით კი ჩვენ იმ დროს, როდესაც ეს როლები შეიცვლება?**

— ყველაზე ნელა სამხედრო ბალანსი იცვლება. ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი იმაზე მეტია, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენი ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი ერთად აღებული.

**— კიდევ რამდენ ხანს მისცემს ის თავს ამის უფლებას?**

— უპირატესობა უზარმაზარია, ეს კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ამერიკას არ ემუქრება არც ერთი სრულმასშტაბიანი შიდა ომი, თუმცა მას ემუქრება მცირე ომები, რომლებიც ძვირია, როგორც ფინანსურად, ასევე მორალურად. ეს ასუსტებს ამერიკას და სიტუაციას ცვლის. ეს ევოლუციაა, ისტორიული პროცესი.

**— და როგორ განვითარდება ის?**

— ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ობამა მსოფლიოში ამერიკის როლის შეცვლას და განაგრძობს თუ არა ევროკავშირი გაერთიანებას მომავალში თუ საპირისპირო მიმართულებით წავა. ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, იგივე დინამიკით გაგრძელდება თუ არა ბუნებრივი აღფრთოვანება ჩინეთის განვითარებით და შეძლებს თუ არა ინდოეთი, ინდონეზია და ბრაზილია ჩინური სასწაულის გამეორებას. ჩვენთვის ეს, რა თქმა უნდა, უცნობია. მაგრამ ყველაფერი შესაძლებელია. ჩვენ ახალი ეპოქის დასაწყისთან ვიმყოფებით.

**— როგორი ეპოქის?**

— მე წინასწარმეტყველი არ ვარ. ჩემი საქმეა, ვისაუბრო სავარაუდო სცენარებზე და ვუპასუხო შეკითხვებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ირეაგიროს ამ ყველაფერზე ამერიკამ.

**— როგორ?**

— მე მომწონს ობამას პოლიტიკის პრინციპები. თუკი იგი შეძლებს ამერიკას ოდნავ განსხვავებული მიმართულებით უბიძგოს, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში, მას ექნება პოტენციალი, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეს ქვეყანა მსოფლიოში საკვანძო მოთამაშედ დარჩეს. მაგრამ, თუკი ის ამას ვერ შეძლებს, ცვლილებები დაჩქარებული ტემპით განვითარდება და ისინი შესაძლოა მართლაც დრამატული აღმოჩნდეს.

**— ჩვენ, ბუნებრივია, ყველაზე მეტად ევროპის ბედი გვაინტერესებს. აქ გადამწყვეტია რუსეთის საკითხი. ახლახან, Rzeczpospolita-სთვის მიცემულ ინტერვიუში თქვენ ოპტიმისტურად გამოეხმაურეთ იქ მიმდინარე ცვლილებებს. ჩარლზ კუპჩანი ღიად გამოდის რუსეთის ნატოში მიღების ინიციატივით. ამის წარმოდგენა შესაძლებელია?**

— რუსეთთან დაკავშირებით მე ოპტიმისტი ვარ, რადგან პესიმისტი ვარ თავად რუსეთთან მიმართებაში.

**— ანუ?**

— მე პესიმისტი ვარ იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი შეძლებს ძველი იმპერიული მიზნების მიღწევას. რუსეთს ასეთი პოტენციალი აღარ გააჩნია. ეს ცხადი ხდება, როდესაც უცქერ ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, მეცნიერულ სტატისტიკას, რომ აღარაფერი ვთქვათ გეოპოლიტიკურ გარემოცვაზე: რუსეთის აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩნდება მძლავრი, ჭარბად დასახლებული აზიური სახელმწიფოები. რუსეთს არჩევანი არ აქვს. მან დასავლეთისკენ უნდა იაროს. და დასავლეთის ინტერესებში შედის, რომ მან ამ მიმართულებით დაიწყოს სვლა.


ზბიგნევ ბჟეზინსკი და ოსამა ბენ-ლადენი

**— იმისთვის, რომ ნატოში გაწევრდეს?**

— აქ საკითხი ასე დგას: რა უფრო მნიშვნელოვანია, რუსეთის ნატოში ყოფნა, რაც, ფაქტობრივად, ალიანსის განადგურებას ნიშნავს, თუ რუსეთი-ნატოს ურთიერთობების თანმიმდევრული გაძლიერება, რაც ამ უკანასკნელს დანაკარგების გარეშე გააძლიერებს.

**— რას გულისხმობთ ალიანსის განადგურებაში?**

— ნატო — ეს არის მასშტაბური სამხედრო თანამშრომლობის კავშირი. ყველა წევრ სახელმწიფოს თანაბრად მიუწვდება ხელი ერთმანეთის სამხედრო გეგმებზე. დათანხმდება კი რუსეთი იმას, რომ ამერიკელი ოფიცრები ისხდნენ მოსკოვში და მის გეგმებს ეცნობოდნენ? ან დათანხმდება კი ამერიკა ანალოგიურ სიტუაციას, რომ რუსები ბრიუსელში ან ვაშინგტონში ისხდნენ? ეს არარაციონალური იდეებია.

**— გერმანიის შემთხვევაში ეს გამოვიდა?**

— გერმანელები ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამაში ბრალი თავად მიუძღოდათ. რუსეთში კი სტალინიზმის მიმართ იგივე დამოკიდებულება არ არსებობს. მაგრამ ეს იცვლება. ახალგაზრდა თაობა ნელ-ნელა აცნობიერებს, რომ რუსეთმა არჩევანი უნდა გააკეთოს და რომ ეს არჩევანი დასავლეთის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს. ისტორიული პროცესი ასეთია. მაგრამ შედეგებს ჯერ უნდა დაველოდოთ.

**— და ჩვენგან ბევრი მოესწრება ამას?**

— ბევრნი. ვფიქრობ, 20–25 წლის განმავლობაში ეს პროცესი რუსეთის არსზე წარმოდგენებს შეცვლის.

**— Foreign Affairs-ის ბოლო ნომერში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ზღაპრების წიგნად იყო აღქმული, რიჩარდ როუზკრანსი აღწერს ევროპულ-ამერიკული ეკონომიკური ალიანსის პროექტს ევროკავშირის მოდელის მსგავსად. ეს რეალურია?**

— ამ ეტაპზე არა. მაგრამ, არსებითად როგორი იქნება დასავლეთის მომავალი, თუკი ეს არ მოხდება?

**— როგორი?**

— ჩვენი შესუსტებული უპირატესობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ევროპა-ამერიკის უფრო ღრმა, ფართო და დინამიური თანამშრომლობით. ეს ორივესთვის სასარგებლო იქნება.

**— შეიძლება გაჩნდეს ევროამერიკა?**

— ჩვენ ვსაუბრობთ საზოგადოებებზე, რომლებსაც ბევრი რამ აქვთ საერთო: დემოკრატია, ბაზარი, ქრისტიანობა. მათი დაახლოება შეიძლება გაღრმავდეს, თუკი პოლიტიკური ქმედებები აქეთ იქნება მიმართული. ის, რაც ევროპამ შეძლო, დიდი მიღწევაა, თუმცა არსებობს სინანულის საბაბიც, რომ ეს პროცესი აღარ განვითარდა, და რომ შესაძლოა ახლა უკუპროცესებსაც აქვს ადგილი.

**— ეს სადავო საკითხია. ერთნი მიიჩნევენ, რომ კრიზისი ჩვენს დეზინტეგრაციას იწვევს, მეორენი პირიქით ფიქრობენ.**

— მომდევნო 5-10 წელი, როგორც ჩანს, დეზინტეგრაციის პერიოდი იქნება. მაგრამ ჩვენ ეს გვესმის და ევროპა ამ ვექტორის შეცვლას შეეცდება. ეს მოითხოვს ძალისხმევასა და ხელმძღვანელობას. ამერიკაში ასეთი ხელმძღვანელობა არსებობს. პრეზიდენტის შესაძლებლობები შეზღუდულია, მაგრამ მას შეუძლია გარკვეულწილად საკუთარი იდეების განხორციელება. ევროპაში უფრო რთული სიტუაციაა, იქ არ არის გამოკვეთილი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. მაგრამ, როდესაც ევროპელები გაიგებენ, რომ დეზინტეგრაციისკენ მიდიან, ისინი მას შეეწინააღმდეგებიან.

**— ხედავთ თუ არა იმის საშიშროებას, რომ ევროპა დაიშლება, ევროს მარცხი ელის და ჩვენ დავბრუნდებით იმ ევროპაში, სადაც უამრავი დიდი და მცირე სახელმწიფოა?**

— ვფიქრობ, ეს არ მოხდება. მაგრამ კარგია, რომ ამ რისკის თაობაზე დღეს საუბრობენ, სხვა შემთხვევაში, მსგავსი რამ გამორიცხული არ იქნებოდა. ეს კი სახიფათოა. განსაკუთრებით მაშინ, თუკი ამერიკაც დასუსტდება, რადგან მომდევნო ისტორიული პერიოდის პერსპექტივაში, უფრო ზუსტად 20-40 წლის განმავლობაში, მე ვერ ვხედავ ქვეყანას, რომელიც შეძლებდა მსოფლიოს სტაბილიზაციას ისე, როგორც ამას ამერიკა აკეთებდა, ამერიკის კრიზისი მსოფლიოს კრიზისად გადაიქცევა.

**— ასეთი კრიზისი როგორი შეიძლება იყოს?**

— სრული ქაოსი, კონფლიქტები, ეკონომიკური კრიზისი, გაუთავებელი თამაშები პოლიტიკურ ან რელიგიურ ფონზე. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში ეს სხვადასხვა სახეს მიიღებდა.

**— თუკი, როგორც თქვენ ამბობთ, ახლო აღმოსავლეთის გასაღები ობამას ხელშია, მაშინ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორია მისი მანევრების ველი. ოდესღაც თქვენ Foreign Affairs-ში ამერიკაში ებრაული ლობის სიძლიერეზე წერდით.**

— საუბარი მხოლოდ ლობის ძალაზე არ არის, არამედ — მის სპეციფიკაზე. ამერიკაში ებრაული მოსახლეობის დიდი ნაწილი ლიბერალური და დემოკრატიულია. ბოლო არჩევნების დროს ამ ადამიანების 70%-მა ხმა ობამას მისცა. თან, პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით, გავლენიანი ებრაული ელიტა უფრო კონსერვატიულია და დიდწილად საკუთარ იდენტიფიკაციას ისრაელელ მემარჯვენეებთან ახდენს, ვიდრე მემარცხენეებთან. ეს არსებითია. ებრაულ ლობის კონგრესზე დიდი პოლიტიკური გავლენა აქვს, რადგან ამერიკის პოლიტიკური ცხოვრება დიდწილად კერძო შემოწირულობებს ეფუძნება. მაგალითად, უმნიშვნელო სომხურმა ჯგუფმა ამის გამო შეიძლება დიდი პოლიტიკური გავლენა მოიპოვოს...

**— რის გაკეთება შეუძლია ობამას ღაზას ბლოკადის კრიზისში?**

— ღაზას საკითხი ვერ მოგვარდება, თუკი არ გადაწყდა პალესტინის სახელმწიფოს საკითხი. აქ, უბრალოდ, აუცილებელია გარედან ჩარევა, უფრო ზუსტად კი — ამერიკიდან. ეს კი ნიშნავს ერთგვარი ფორმულის შეთავაზებას, რომელიც მოლაპარაკებების პროცესის ერთგვარი საფუძველი გახდება. პრინციპში, საუბარია ოთხ ძირითად პუნქტზე. ჯერ ერთი, პალესტინელება დაბრუნების უფლებაზე უარი უნდა თქვან ისევე, როგორც გერმანელები ვერ დაბრუნდნენ გდანსკში ან ვროცლავში.

**— ამ მიმართულებით ობამას რის გაკეთება შეუძლია?**

— მას შეუძლია ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება, შეუძლია გაეროს უშიშროების საბჭოზე იმ პირობების გამოცხადება, რომლებზეც მე ვსაუბრობდი. ეს პირობები ამერიკაში განიხილება. ევროკავშირი და მსოფლიოს ქვეყნების მინიმუმ 95% ამ პირობებს უპრობლემოდ დაუჭერს მხარს. ეს შერიგების პროცესის მიმართულებას განსაზღვრავდა. ორივე მხარეზე მოხდებოდა მორალური ზეწოლა, რომ მათ ეს პირობები გაიზიარონ.

**— და დღემდე რატომ არ გააკეთა ეს ობამამ?**

— იმიტომ, რომ ის ამერიკის სერიოზული შიდა კრიზისითაა დაკავებული. ეს არ არის მხოლოდ ნავთობის გაჟონვა მექსიკის ყურეში. ამერიკის მთელ ფინანსურ, ასევე საბიუჯეტო და განათლების სისტემებს რეფორმა სჭირდება. ობამა კარგად გრძნობს, რა უნდა გააკეთოს ამერიკამ მსოფლიოში და ამ კურსს განსაზღვრავს. მაგრამ, როგორც ჩანს, თორმეტსაათიანი მუშაობიდან მსოფლიოს საკითხებს ის ორ საათზე მეტს არ უთმობს.

ესაუბრა
**იაცეკ ჟაკოვსკი**

POLITYKA

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**მართალია, სამყაროში ყველაფერი იცვლება, მაგრამ არის მუდმივი ფასეულობები, რომელთაც დრო ვერაფერს აკლებს. მაგალითად, „გლობალური დომინირება“. უძველესი სარდლების მიუღწეველი იდეალი ამ დრომდეც მიუღწევლად რჩება. ისტორიის დასასრული არა და არ დგება. გლობალიზაციის ერაში სახელმწიფოთა ურთიერთსაპირისპირო ინტერესებმა ტრადიციული გეოპოლიტიკური მიჯაჭვულობები მოშალა. გლობალურმა სატრანსპორტო და ფინანსურმა ნაკადებმა ნებისმიერი სერიოზული ეკონომიკისათვის ინტერესის საგნად აქცია დედამიწის უკლებლივ ყველა კუთხე-კუნჭული და ახლომდებარე ორბიტაც კი. მოდი და ნუ იჩხუბებ.**

# ძვირი დომინირება და სპეცსამსახურების მძევალი პრეზიდენტი

ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც დომინირებას ცდილობს და დიდი თამაშის წესებს ადგენს, მთელ დანარჩენ პლანეტას ძალზე არამომგებიანად უპირისპირდება. თანაც სიტყვა „არამომგებიანი“ მისი ყველაზე ბანალური — ფინანსური შინაარსით უნდა გავიგოთ. მაგალითებად სავსებით საკმარისია საბჭოთა კავშირის 20 წლისწინანდელი სატანკო-სარაკეტო ეკონომიკისა და აშშ-ის ახლანდელი საბიუჯეტო დეფიციტის მოშველიება. **ომი ძვირია, ომი მთელ მსოფლიოსთან — ძალიან ძვირი. ერთია, როდესაც ომობ გარკვეული პერიოდის განმავლობაში და თან მოსახლეობას „ქამრების მოჭერას“ ან რაიმე ამგვარს ავალებ; მაგრამ, თუ მუდმივად და ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე ომობ, გარდა ამისა მთელ მსოფლიოში მიმობნეულ უამრავ სამხედრო ბაზას ინახავ, ამ ძვირადღირებული გართობიდან რაიმე ეკონომიკური უკუგება მაინც უნდა გქონდეს.** კოლონიალური იმპერიები გამოძალვასა და ძარცვას არ ერიდებოდნენ და ყველაფერი მშვენივრად გამოსდიოდათ, ვიდრე ცეცხლსასროლმა იარაღმა ფეხშიშველი ბრბო კოლონიზატორების ჯარებთან არ გაათანაბრა.

**საბჭოთა კავშირი თავისი დომინირებიდან რაიმე სარგებელს არ იღებდა და ამიტომაც გაკოტრდა ძალიან მალე. აშშ, როგორც ვხედავთ, ევროპასთან ერთად, მართალია, ძლივსძლიობით, მაგრამ საბჭოთა კავშირზე ორჯერ მეტ (ავღანეთი და ერაყი) სამუშაოს ასრულებს — ხუთჯერ მეტი მოსახლეობის (ავღანეთი და ერაყი ერთად) პირობებში. ბიუჯეტები უკვე ირღვევა, დოლარი კი უკანასკნელ დღეებს ითვლის. დიდი სიბრძნე არაა საჭირო იმისათვის, რომ დაასკვნა: ძალისმიერი დომინირება გაკოტრებისკენ მიმავალი გზაა.**

ამ დასკვნის გაკეთება ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგაც ადვილი საქმე იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ეს უკვე აქსიომად იქცა. **სინამდვილეში ნებისმიერი ერთპოლარული მსოფლიოს არსებობა შეუძლებელია. ისიც კი ძნელი დასაჯერებელია, რომ ვიღაც ცდილობს, ეს ერთპოლარული მსოფლიო რეალობაში „განახორციელოს“ — საეჭვოა, ვაშინგტონში ვინმემ რაიმე იცოდეს ისეთი, რაც სხვამ არავინ იცის და რაც არსებითად შეცვლიდა საქმის არსს. ამერიკულ იმპერიალიზმთან ყველა მებრძოლი ღია კარს ამტვრევს.**

მაგრამ რა ქნან ნეოიმპერიალისტებმა? უარი თქვან ოცნებაზე? არავითარ შემთხვევაში, ეს ის ხალხი არაა, ვინც მხრებს ჩამოყრის. **დასაწყისისათვის საკუთარი ფრთის ქვეშ ამშვიდებენ ვინმეს, ვინც ძალიანაა განაწყენებული მკაცრი ბედისა და ბოროტი მეზობლების გამო. შემდეგ „ახალ სტრატეგიულ მეგობრებს“ აძლევენ ცოტაოდენ ფულს ყოველდღიური ხარჯებისა და „რკინის სათამაშოების“ შესაძენად; შემდეგ — ბევრ ფულს და ბევრ „რკინის სათამაშოებს“. ამის შემდეგ კარგად მომზადებული „მეგობრები“ იწყებენ შურისძიებას მათზე, ვინც აწყენინა. დროთა განმავლობაში ასეთი „მეგობარი“ მრავალპოლარული მსოფლიოს კიდევ ერთ „პოლუსად“ ყალიბდება.**

რაც მეტი პოლუსი იქნება, მით უკეთესი. ერთ-ერთი ამგვარი პოლუსი სადამ ჰუსეინი იყო, ახლა კი იქნება სამი ერთმანეთთან მეომარი ეთნიკურ-რელიგიური დაჯგუფებისაგან შემდგარი თავისუფალი და დემოკრატიული ერაყი. ასეთი პოლუსი იყო და არის პაკისტანიც. ერთიანი ევროპა აშშ-ს ლამის 60 წლის მანძილზე „გამოჰყავდა“. უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე აშშ აქტიურად იყო დაკავებული ჩინეთის აღზრდით — სულაც არ იყო ძნელი იმის წინასწარ გათვლა, რომ დოლარებით ინვესტირებული ჩინეთი ოდესმე ნაციონალურად განწყობილ მონსტრად იქცეოდა და საკუთარ პერიმეტრზე უამრავი ტერიტორიული პრობლემა შეექმნებოდა (და ეს პრობლემები, ცხადია, არანაირად არ შეეხებოდა აშშ-ს).

არც ეს იკმარეს. პატარა და გალატაკებული საქართველოც კი გამოდგა „პოლუსად“. ამავე დროს, მოსუქებული და უშუალო მეზობლებს შორის ავტორიტეტმოხვეჭილი „მეგობარი“ ისრაელი მორიგი ომისათვის ემზადება, ამჯერად — ახლადგამომცხვარ „პოლუს“ ირანთან.

**როგორც ხედავთ, ამერიკულ „ერთპოლარულ“ იმპერიალიზმს საერთოდაც რომ არ ებრძოლო, ის მშვენივრად ართმევს თავს ამ ამოცანას დამოუკიდებლადაც. უფრო მეტიც, რაც უფრო მეტად ცდილობენ მთელი მსოფლიოს ანალიტიკოსები, რაიმე გონივრული ახსნა მოუძებნონ აშშ-ის საგარეო პოლიტიკას, მით უფრო ძნელდება მისი პოვნა. აშშ-ის ჯარების ერაყში, ავღანეთსა თუ სერბეთში შეჭრას ათობით მიზეზი აქვს, კიდევ ამდენივე მიზეზი არსებობს ისრაელის ან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „რევოლუციების“ მხარდასაჭერად. მაგრამ არ არსებობს არც ერთი ახსნა იმისათვის, რატომ ზუსტად იქ და ზუსტად იმ დროს და არა რომელიმე სხვა ადგილას. როგორც ჩანს, ასეთი მიზეზი სინამდვილეშიც არ არსებობს. უბრალოდ, „აშშ-ის ინტერესები“ იჭრება ყველგან, სადაც მოცემული მომენტისათვის არავის შეუძლია რეალურად აღუდგეს წინ ამ შეჭრას.**

ცხადია, გამარჯვება ყველგან გარანტირებულია, მაგრამ თავად ამ გამარჯვებას არანაირი აზრი არ აქვს. ის არ მოიტანს არავითარ შემოსავალს და საერთოდაც გაურკვეველია, რისთვისაა საჭირო. ისედაც ყველამ ვიცით, რომ ამერიკული ჯარი მსოფლიოში ყველაზე დიდი და ძლიერია და აშშ-ის ადმინისტრაცია კი საუკეთესო. მერე რა? მათი ერთობლივი ძალები მაინც არ კმარა იმისათვის, რომ აზიის თუნდაც ულატაკესი ქვეყანა აკონტროლონ. ბირთვული იარაღის გარდაუვალი გავრცელების გამო კი ამერიკული ჯარისა და ვაშინგტონელი ბრძენების რჩევათა გავრცელების არეალი გაფართოვდება და გაფართოვდება. მაშ, რაღა საჭიროა ეს ავიამზიდ-დიპლომატიური აბსურდი?




**საკმარისია, ტელევიზორი გამორთოთ, „კაცობრიობის მოახლოებული ტოტალური განადგურების კოშმარი“ სადღაც გაქრება და აღმოჩნდებით ჯადოსმურ სამყაროში, სადაც არც ომია, არც პოლიტიკა, პრეზიდენტი და ასე შემდეგ. და ჩნდება კითხვა: სად არის რეალობა? ტელეეკრანის მუდმივ „საშინელებებში“ თუ ჩვენს ირგვლივ გამეფებულ ერთფეროვან ყოველდღიურობაში? პასუხი ნებისმიერმა უტვინო ამერიკელმა იცის.**

ცოდნა იმაში გამოიხატება, რომ ამერიკელები ყველაზე აპოლიტიკური ერია მსოფლიოში, ერი, რომელმაც პათოლოგიურად არ იცის გეოგრაფია. რიგითი ამერიკელისათვის „ახალი ამბები“ სკოლის ბიუჯეტის, მშენებლობის, ვაჭრობის, ლოკალური დღესასწაულებისა და დანაშაულების სიახლეებით ამოიწურება. არის კიდევ საერთო ეროვნული ახალი ამბები, რომელსაც ლუდის ბოკალით ხელში ან ფინჯან ყავასთან განიხილავენ. საერთაშორისო პოლიტიკის ახალი ამბები ამერიკელთა 99%-ს საერთოდ არ აინტერესებს, თუნდაც მას ყოველდღიურად გადასცემდნენ პოპულარული ტელეარხები. თუ შეეცდებით, ამერიკელს საერთაშორისო პოლიტიკაზე ესაუბროთ, ამით მას უხერხულ მდგომარეობაში აგდებთ, მას მშვენივრად ესმის, რომ არ იცის, რა უნდა გიპასუხოთ.

ზოგიერთები კი უხერხულ მდგომარეობაში არ ვარდებიან, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკაზე ძალზე თავისებური შეხედულებები აქვთ. მაგალითად, ერაყში ომი პოლიტიზირებული ამერიკელებისათვის ერთმნიშვნელოვნად განიხილება როგორც „ჩვენი ჯარის მხარდაჭერა“. ამასთანავე, მათი აზრით, მხარდაჭერა ნიშნავს: „დაუყოვნებლივ დააბრუნეთ სახლში ჩვენი ჯარისკაცები“. ერაყი იქნება ეს თუ ზიმბაბვე, არავის ადარდებს, რატომ არის იქ ამერიკული ჯარი. ჯარი, სადაც გინდა, შეიყვანე, შემდეგ გამოიყვანე, შემდეგ ისევ შეიყვანე — ამერიკელთა უმეტესობა ამის არც მომხრეა და არც წინააღმდეგი, მათთვის სულერთია.

არც **კონგრესმენებზე ღირს დაყრდნობა. მათ მსოფლიო პოლიტიკაში ზუსტად იმდენი ესმით, რამდენიც ნახმარი მანქანების გამყიდველებს და დაახლოებით ამდენადვე აინტერესებთ. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი შტატისა და ჯიბისათვის რაც შეიძლება მეტი ფული და პროექტები დასტყუო ფედერალურ ბიუჯეტს. გარდა ამისა, მათ ბევრი სამუშაო აქვთ ლობისტებთან, რომ აღარაფერი ვთქვათ ამომრჩეველზე, მათ წერილებსა და ზარებზე. რაღა დრო რჩება ამ ყველაფრის შემდეგ იმისათვის, რომ ეროვნული უსაფრთხოებისა და ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ინტერესების საკითხებს ჩაუღრმავდნენ? ან რატომ უნდა ჩაუღრმავდნენ? რისთვის აქვთ ამხელა ბიუჯეტები პენტაგონსა და ცსს-ს? ნება იბოძონ და იმუშაონ, მოამზადონ საკითხები და მოახსენონ, კონგრესში კი მოისმენენ, იყვირებენ, იდავებენ და დაამტკიცებენ; მთავარია, საბიუჯეტო კომიტეტმა არ იძუნწოს და მათთან დაახლოებული ფონდების, ინსტიტუტისა და მუნიციპალიტეტებისთვის გაიღოს, რასაც სთხოვენ.**

ერთადერთი შანსი, შეაჩერო აშშ-ის ჯარის შეჭრა, თუ იგი პრეზიდენტის მიერაა რეკომენდებული, ეს ლობისტების საქმეში ჩართვაა.

მაგრამ **ბუნებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ლობისტი, რომელიც ომის წინააღმდეგია. გაცილებით ადვილი საპოვნელია ლობისტი, რომელიც აბსოლუტურად ყველა ომს მოიწონებს.**

**ამიტომ აშშ-ის ჯარი, აშშ-ის სპეცსამსახურების გარდა, არავის მიერ არსად არ იგზავნება და არავის მიერ, გარდა ამერიკის პრეზიდენტისა, არ კონტროლდება. პრეზიდენტი არის ერთადერთი დე ფაქტო ფილტრი ამერიკელი სამხედროების შეშლილი იდეებისათვის. ვინაიდან პრეზიდენტი ერთია და მასთან მთელი ინფორმაცია სპეცსამსახურებიდან მიდის, კონტროლზე საუბარიც ზედმეტია. ის, უბრალოდ, მძევალია, სპეცსამსახურებსა და სამხედროებს შეუძლიათ ორიოდე „ჩავარდნით“ მას ნეგატიური პიარის მთები დაუდგან და სამუდამოდ მოუჭრან გზა მეორე ვადით არჩევისათვის.**

**საჭიროა კონსტატირება, რომ აშშ-ის ჯარი და საგარეო პოლიტიკა დე ფაქტო არ ექვემდებარება არანაირ დემოკრატიულ კონტროლს და აბსოლუტურად დემოკრატიული ცხოვრებით ცხოვრობს შესაბამისი სამინისტროების რამდენიმე ათეული განყოფილების უფროსის კოლექტიური გადაწყვეტილებით, ანგარიშებიდან რომელი წავა ზემოთ და რომელი — არა.**

ამ უფროსების სახელები ჩვენ არ ვიცით და ტელევიზიით ვერც ვერასდროს მოვისმენთ. სამაგიეროდ, საშუალო კატეგორიის ნებისმიერმა მენეჯერმა იცის, როგორია მსგავსი სისტემის ერთიანი IQ. ამგვარ სისტემას არ შეუძლია არაფერი ხმაურის გენერაციასა და ფულის შთანთქმაზე რთული. ანგლოსაქსები მთელ მსოფლიოს ასყიდებენ ხმაურს, რომელსაც იმავე მსოფლიოს ხალხის გადასახადებიდან მიღებული ფულით ქმნიან. თანაც შეასყიდიან ბევრად უფრო ძვირად, ვიდრე ის სინამდვილეში ღირს. მსოფლიო სულგანაბული უყურებს CNN-სა და BBC–ს და არც კი ეჭვობს, რომ თავად ინგლისელები და ამერიკელები სპორტითა და სერიალებით ერთობიან.

ვიდრე მსოფლიო გართულია ამერიკულ შოუბიზნესთან საინფორმაციო ომში, უკანასკნელთა თანამემამულეებმა მშვენივრად იციან თავიანთი ტელევიზიებისა და მთავრობის „ბრძენთა“ ფასი. ამიტომაც ისინი საკუთარი ქვეყნის შიდა პრობლემებზე მუშაობენ და მსგავს სისულელეებზე დროს არ კარგავენ.

ეფექტი არც ისე დრამატულია, როგორიც მთელ მსოფლიოსთან პოტენციური ომისათვის მზადებისას საბჭოთა კავშირის ეკონომიკის კოლაფსი იყო. მაგრამ ნებისმიერი რეჟიმი, რომელიც თვლის, რომ შეიძლება რაღაცით არ მოეწონოს ვაშინგტონს, იძულებული ხდება დეფიციტური რესურსები მის მიმართ პანიკურ წინააღმდეგობაზე მიმართოს და ყველა წამოჭრილი პრობლემა ბრძოლის გამწვავებას დააბრალოს.

**და რაც უფრო აბსურდულია ვაშინგტონის ქცევები, რაც უფრო სულელურად ჟღერს CNN-ისა და BBC–ის ანალიტიკა, რაც უფრო დიდი ტყუილია ჰოლივუდელი ბოევიკების კლიშე, მით უფრო „ყოვლისშემძლედ“ ეჩვენებათ ეს „ურჩხული“ მეორე და მესამე მსოფლიოს ქვეყნებს. ეს დამოკიდებულება კი მათში ან მათივე ეკონომიკისათვის ცალსახად დამღუპველ თვითიზოლაციას განაპირობებს ან მოლაპარაკებებისა და გაერთიანებისაკენ უბიძგებს და აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, ვაშინგტონთან გაერთიანდებიან თუ ჩინეთთან.**

საეჭვოა, აშშ-ს ერთპოლარული მსოფლიო სჭირდებოდეს. ყველაზე ზემოთ დგომა ძნელია. გაცილებით იოლი და მომგებიანია, იყო „პირველი თანასწორთა შორის“. ვერტიკალურისაგან განსხვავებით, ჰორიზონტალური კავშირები არავისზე არ ახორციელებს ზეწოლას და დაცემა არავის ელის. ბუშის ხმამაღალი განცხადებების შემდეგ იმის თაობაზე, თუ ვინაა პირველი, ობამას ღიმილი და მსოფლიოსათვის „თანასწორობის“ შეხსენება სწორედ ისაა, რაც საჭიროა.

eastwest-review.com

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ტეოდორო ნგუემა მბასაგო — დიადი კუნძულების იღბლიანი ჯენტლმენი



ტეოდორო ნგუემა მბასაგო ობიანგი

**2004 წლის აგვისტოში კეიპტაუნში, საკუთარ ვილაში დააპატიმრეს სამხრეთაფრიკელი ბიზნესმენი, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის — მარგარეტ ტეტჩერის ვაჟი მარკ ტეტჩერი, რომელსაც ბრალი დასდეს ეკვატორულ გვინეაში წარუმატებელი გადატრიალების მომზადებასა და დაფინანსებაში.**



მბასაგო და ბრაზილიის პრეზიდენტი ლულა და სილვა



ნგუემა მბასაგო და კონდოლიზა რაისი



ნგუემა მბასაგო და ნიკოლა სარკოზი

მისი მეგობარი, ბრიტანეთის სპეცნაზის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე საიმონ მენი კი უცხოელ დაქირავებულ პირთა ჯგუფის ხელმძღვანელობასა და ეკვატორული გვინეის მეთაურის — ტეოდორო ობიანგ ნგუემა მბასაგოს დამხობის მცდელობაში დაადანაშაულეს. მარკ ტეტჩერს ფულადი ჯარიმა და პირობითი სასჯელი შეუფარდეს. საზოგადოებამ ირწმუნა, რომ სასამართლომ გულმოწყალება გამოიჩინა არშემდგარი პუტჩისტის დედის, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის — მარგარეტ ტეტჩერის თხოვნით.

**ეს სიუჟეტი თავდაპირველად უხეში ფარსივით გამოიყურებოდა. 2004 წლის 7 მარტს, ღამით, ჰარარეს საერთაშორისო აეროპორტში ზიმბაბვეს ხელისუფლებამ დააკავა „ბოინგ-727"-ის 64 მგზავრი და ეკიპაჟის 3 წევრი, რომლებიც ეკვატორული გვინეის დედაქალაქ მალიბუსკენ მიეშურებოდნენ. ყველა დაკავებულს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი ჰქონდა. მართალია, არც ერთ მათგანს თვითმფრინავი არ დაუტოვებია, მაგრამ მათ ზიმბაბვეს იმიგრაციული კანონმდებლობისა და იარაღის შეძენისა და შენახვის წესების დარღვევა წაუყენეს ბრალად. მალე კი ამ ბრალდებებს ეკვატორულ გვინეაში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა დაემატა.**

წინა დღეს ეკვატორიულ გვინეაში დააკავეს 19-კაციანი ჯგუფი, რომელიც პუტჩისტებს მანქანებითა და მოქმედების მზა გეგმით ელოდა. ამ ჯგუფს სამხრეთაფრიკული სპეცნაზის ვეტერანი ნიკ დიუ ტუა ხელმძღვანელობდა. დაკავებულ გვინეელებს შორის იყო ქვეყნის ეკონომიკური დაგეგმვის ყოფილი მინისტრი ანტონიო ჰავიერ ნგუემა ნკამა.

ეკვატორული გვინეა აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე, გაბონსა და კამერუნს შორის მდებარე პატარა სახელმწიფოა, რომელიც ჯერ პორტუგალიის, შემდეგ კი ესპანეთის კოლონია იყო. 1968 წელს მან დამოუკიდებლობა მიიღო. პრეზიდენტად ფრანსისკო მასიას ნგუემა აირჩიეს, რომელსაც მალე მოყირჭდა მმართველობის დემოკრატიული ფორმა, გააუქმა კონსტიტუცია, თავი სახელმწიფოს მუდმივ მეთაურად გამოაცხადა და ქვეყნის მართვა რკინის ხელით დაიწყო. 1979 წელს ეკვატორულ გვინეაში სამხედრო გადატრიალება მოხდა მუდმივი პრეზიდენტის ძმისშვილის — ტეოდორო ობიანგ ნგუემა მბასაგოს ხელმძღვანელობით. ფრანსისკო მასიასი გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს, ხოლო პრეზიდენტად პოლკოვნიკი მბასაგო იქცა, რომელიც სულ ბოლო არჩევნებში, 2002 წლის დეკემბერში, ხმათა 97 პროცენტით, ახალი ვადით (7 წლით) აირჩიეს.

**ობიანგი ერთპიროვნულად ნიშნავდა თავისი კაბინეტის წევრებს, მოსამართლეებს, სარდლებსა და გუბერნატორებს და ამასთან, არც მრავალრიცხოვან ნათესაობას ივიწყებდა. საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიცირებას კი კალმის ერთი მოსმით ახდენდა.**

90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში ნავთობი აღმოაჩინეს. შავი ოქროს მარაგის მიხედვით, ეკვატორული გვინეა, ანგოლასა და ნიგერიის შემდეგ, მესამე ადგილზე აღმოჩნდა. 1998 წელს გვინეის მთავრობამ ნავთობის ექსპორტიდან 130 მილიონი დოლარის შემოსავალი მიიღო, აქედან 96 მლნ დოლარი პრეზიდენტმა ობიანგმა მიითვისა. მისი ცოლ-შვილი უძრავ ქონებას ფლობდა მერილენდის, კალიფორნიისა და ნიუ იორკის შტატებში, თავად პრეზიდენტი კი ხშირად სტუმრობდა აშშ-ს კერძო ვიზიტებით. ჯანდაცვაზე ქვეყანაში ბიუჯეტის ერთი პროცენტი იხარჯებოდა, ხოლო ყოველი მესამე მოქალაქე შიმშილობდა. გვინეის ერთადერთი კერძო რადიოსადგური ობიანგის ვაჟის საკუთრება იყო, ხოლო პრესის თავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. **ნავთობის აღმოჩენის შემდგომ წლებში ნგუემას ანგარიშებზე ამერიკის ბანკებში 700 მლნ დოლარზე მეტი გადაირიცხა.**

მიუხედავად პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაციისა, **სახელმწიფოში ერთადერთ პარტიად ობიანგის მიერ შექმნილი დემოკრატიული პარტია რჩებოდა, რომელსაც პარლამენტში 100 ადგილიდან 98 ეკავა. ოპოზიციონერების უმეტესობა ან დევნილობაში იმყოფებოდა, ან ციხეში, ანდა მიწაში...**

პრეზიდენტს ერთობ ფართო უფლებამოსილებანი ჰქონდა მინიჭებული, ქვეყანაში მისი კულტი იყო გამოცხადებული, თავად ობიანგმა კი საკუთარ თავს „დიადი კუნძულების: ბიოკოს, ანობონისა და რიო-მუნის ჯენტლმენის" წოდება მიანიჭა. გავრცელებული ხმებით, იგი კაციჭამიაც იყო, მით უფრო, რომ მისი მმართველობის წლებში სამხედრო მოქმედებების წარმოებისას კანიბალიზმი სავსებით ნორმალურ მოვლენად მიიჩნეოდა.

ეკვატორული გვინეა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დახურული ქვეყანაა. იქ მომუშავე უცხოელ კორესპონდენტებს დედაქალაქიდან გასვლა ეკრძალებოდათ. რეჟიმის პოლიტიკურ ოპონენტებს სასტიკად უსწორდებოდნენ. პრეზიდენტის პირადი დაცვა, რომელიც იმავე დროს საიდუმლო პოლიციის ფუნქციასაც ასრულებდა, მაროკოელებით იყო დაკომპლექტებული. როგორც წესი, **რეჟიმის მოწინააღმდეგეებს ტერორიზმსა და სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში ადანაშაულებდნენ.**

ტეოდორო ობიანგი 1942 წლის 5 ივნისს დაიბადა აკოაკანში. ძალაუფლებაზე იგი ბავშვობიდან ოცნებობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სარაგოსას სამხედრო აკადემიის კურსანტი გახდა, ხოლო 1968 წელს უკვე ლეიტენანტის წოდება ჰქონდა.

პრეზიდენტის პოსტისკენ მიმავალ გზაზე მან ბევრი მაღალი თანამდებობა გამოიცვალა: **იყო ეკვატორული გვინეის უდიდესი კუნძულის — ბიოკოს გუბერნატორი; გარკვეულ ხანს ადგილობრივ ციხესაც ხელმძღვანელობდა და ნაციონალური გვარდიის მეთაურიც გახლდათ.**

1970-იან წლებში ქვეყანაში გამუდმებით ხდებოდა ამბოხებები და შეტაკებები. არასტაბილურობა კი პრეზიდენტ ფრანსისკო მასიას ნგემუ ბიიოგოს პოლიტიკით იყო გამოწვეული. ობიანგი მაშინ ოპოზიციას ედგა სათავეში და 1979 წელს მოაწყო კიდეც სახელმწიფო გადატრიალება, რის შედეგადაც თავად დაიკავა პრეზიდენტის პოსტი. **გადატრიალების დღე გვინეაში ნაციონალურ დღესასწაულად გამოცხადდა. ტეოდორო ტიპიური აფრიკელი დიქტატორი იყო, ხალხმა იგი „ღმერთად" შერაცხა, მისი პორტრეტები ყველგან ეკიდა, ხოლო არჩევნებში (1989; 1996; 2002 წ.წ.) ხმათა დიდი უმრავლესობით იმარჯვებდა. ამასთან, ობიანგი ინფრასტრუქტურის მინისტრიც იყო და რეპის სტილის მუსიკალური ჯგუფების ანტერპრენიორიც (?!).**

2009 წელს ექიმებმა ობიანგს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. ამჟამად იგი ავადაა და მის კანონიერ მემკვიდრედ მისავე ვაჟს — ტეოდორ (ტეოდორინო) ობიანგ უმცროსს განიხილავენ, რომელსაც აშშ-ს ხელისუფლება კორუფციაში ადანაშაულებს. მას მდიდრული ვილა აქვს მალიბუში, რომლის შეძენაც 35 მლნ დოლარი დაუჯდა. 2005-2006 წლებში ტეოდორინო ეკვატორული გვინეის სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო.



მარკ ტეტჩერის დაკავება



გადატრიალების მცდელობის მონაწილეები ციხეში



საიმონ მენი

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აბდულა ოჯალანი — თურქეთის №1 ტერორისტი



**ახლახან ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერმა აბდულა ოჯალანმა ქურთულ პარტიას „მშვიდობა და დემოკრატია“ მოუწოდა, ყურადღებით შეისწავლოს თურქეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის წინადადება ქვეყნის მოქმედი კონსტიტუციის შეცვლის შესახებ და „მონაწილეობა არ მიიღოს პოლიტიკურ თამაშებში“. კონსტიტუციის შეცვლის გარშემო ატეხილი ხმაური ოჯალანმა „ისლამისტებსა და ნაციონალისტებს შორის ჰეგემონიისთვის პოლიტიკურ ბრძოლად“ შეაფასა.**

თურქი საზოგადოების დემოკრატიზაციის გზაზე ყველაზე დიდ დაბრკოლებად მან სამართლიანობისა და განვითარების მმართველი პარტია და პრემიერ-მინისტრი რეჯებ თაიიპ ერდოღანი დაასახელა. ოჯალანმა თანამედროვე ეპოქა გასული საუკუნის დასაწყისს შეადარა: ხალხი მაშინ 1921 წელს მიღებული კონსტიტუციის დემოკრატიზაციას ელოდა, მაგრამ კიდევ უფრო „ოლიგარქიული და ბიუროკრატიული, 1924 წლის კონსტიტუცია მიიღო“. ოჯალანის აზრით, ახლაც, 1982 წლის „გენერლების კონსტიტუციის“ დემოკრატიზაციის ნაცვლად, ხალხი უფრო მეტად ავტორიტარულ კონსტიტუციას მიიღებს.

ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერს არ სჯერა მმართველი პარტიის გულწრფელობისა და მის მიერ ინიცირებული „დემოკრატიული ინიციატივისა“. ოჯალანი „მშვიდობისა და დემოკრატიის“ პარტიას ალტერნატიული, „დემოკრატიული კონსტიტუციის მქონე პარლამენტის“ შექმნას სთავაზობს, რომელიც, ქვეყნის მოქმედი პარლამენტის მსგავსად, 500 კაცისგან იქნება შემდგარი და ყველა რეგიონის დეპუტატსა და საზოაგდოების ყველა ფენას გააერთიანებს.

**შეგახსენებთ, რომ ამჟამად ოჯალანი იმრალის კუნძულზე მდებარე მკაცრი რეჟიმის საპყრობილის ტუსაღია და სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. იგი იქვე დაინიშნა თავის ადვოკატ ქალზე.**

**წყვილი ერთმანეთს ციხის ტერიტორიაზე ხვდება. ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის დეპუტატთა ჯგუფის ხელმძღვანელი ოქტაი ვურალი ძალზე უკმაყოფილოა იმით, რომ 40 ათასი ადამიანის სიკვდილში დამნაშავე კაცს ერთობ კომფორტულ პირობებს უქმნიან საპატიმროში, რაც, მისი აზრით, თურქული იუსტიციის დამარცხებაზე მიუთითებს.**

აბდულა ოჯალანი 1999 წლის 15 თებერვალს კენიაში დააკავეს. თურქი ჟურნალისტი თუნჯაი ოზკანი თავის წიგნ „ოპერაციაში“ ირწმუნება, რომ ოჯალანის ერთობლივად დაკავების წინადადება ცსს-ს წარმომადგენელმა ანკარაში თურქეთის ნაციონალური სადაზვერვო ორგანიზაციის ხელმძღვანელთან შეხვედრისას წამოაყენა. ამასთან, ამერიკელების მოთხოვნით, ქურთისტანის მუშათა პარტიის ხელმძღვანელი სამშობლოში ცოცხალი და საღსალამათი უნდა ჩაეყვანათ. ამერიკელი მზვერავის წინადადება თურქეთის პრემიერსა და პრეზიდენტს გადასცეს და თანხმობაც მიიღეს.

10 თებერვალს საგანგებოდ მომზადებული 7-კაციანი ჯგუფი 200.000 დოლარად დაქირავებული თვითმფრინავით უგანდაში გაფრინდა. 15 თებერვალს, 19.20 საათზე, მზვერავებმა სიგნალი მიიღეს ოპერაციის დაწყების თაობაზე. ერთი ჯგუფი თვითმფრინავში განთავსდა, მეორე კი — ტრაპთან. იქვე იმყოფებოდნენ კენიის სპეცსამსახურების წარმომადგენლები. მალე აეროპორტში მანქანით მივიდა საელჩოდან გამოტყუებული ოჯალანი, რომელმაც სწრაფად აირბინა ტრაპზე — იგი დარწმუნებული იყო, რომ ნიდერლანდებში მიფრინავდა, მაგრამ, როგორც კი კარი მიიხურა, მიხვდა, რომ მწარედ მოტყუვდა — ქურთისტანის ლიდერს ხელზე ბორკილები დაადეს.

**„მომკლავენ და ამას ვერავინ შეიტყობს, არა?!“ — ჰკითხა მან სპეცნაზელს.**

**„არა, ამის შანსს ვერ მოგცემთ,“ — მიუგო მან.**

**ოჯალანის დაკავების მეორე დღესვე ქურთისტანის მუშათა პარტიის ბოევიკებმა თითქმის მთელ ევროპაში (მარსელი, ლონდონი, ბონი, ფრანკფურტი, ჰააგა, მოსკოვი) დაიწყეს საბერძნეთის საელჩოების აღება.** საქმე ისაა, რომ დაკავებამდე ორი კვირის განმავლობაში იგი ნაირობიში, საბერძნეთის საელჩოს ტერიტორიაზე იმალებოდა.



აბდულა ოჯალანი



აბდულა ოჯალანის დაკავება

ბერძნები ირწმუნებოდნენ, რომ აბდულა ოჯალანი კენიის პოლიციამ დააკავა და თურქეთის ხელისუფლებას გადასცა მაშინ, როცა იგი საელჩოს ტერიტორიის მიღმა იმყოფებოდა. ქურთებმა კი თავიანთი ლიდერის დაპატიმრება ბერძნების მხრიდან ღალატად აღიქვეს. **ყველაზე თავხედურ ოპერაციად ჟენევაში გაეროს შტაბბინის აღება იქცა, სადაც 40-მდე ბოევიკი შეიჭრა. ქურთები თავიანთი ლიდერის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვდნენ და მხოლოდ მას შემდეგ დატოვეს შენობა, როცა დაკავებული ლიდერის მიმართ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვის დაპირება მიიღეს.**

აბდულა ოჯალანი 1949 წლის 4 აპრილს დაიბადა თურქეთის სოფელ ომერლიში (შანლიურფას პროვინცია). 1971-1974 წლებში პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა ანკარის უნივერსიტეტში, სადაც მაოისტური იდეოლოგიით განიმსჭვალა, მაგრამ უნივერისტეტი არ დაუმთავრებია. 1973 წელს დააარსა მაოისტური ჯგუფი, რომლეშიც ქურთებთან ერთად თურქებიც გაერთიანდნენ. ჯგუფის მიზანი თურქეთში სოციალისტური რევოლუციის მოხდენა იყო. 1978 წლის 7 ნოემბერს ჯგუფის ბაზაზე შეიქმნა ქურთისტანის მუშათა პარტია. 1979 წელს პარტიის იატაკქვეშა ჯგუფი ბექაას ველზე (ლიბანი) გადაბარგდა და პალესტინურ ბანაკებში სამხედრო მომზადება დაიწყო. 1983 წელს ქურთისტანის მუშათა პარტიის პირველი შეიარაღებული რაზმები თურქეთის ქურთისტანში მიავლინეს.

**1984 წლის 15 აგვისტოს კი თურქეთში ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები დაიწყო და ქურთისტანის ხალხთა გათავისუფლების არმია შეიქმნა. ქურთების შეიარაღებულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის სათავეში ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერი აბდულა ოჯალანი ჩაუდგა. მისი საბოლოო მიზანი მაოისტური ორიენტაციის დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნა იყო ამჟამინდელი თურქეთისა და ერაყის ტერიტორიებზე.** ქურთისტანის მუშათა პარტია თავისი იდეებითა და ბრძოლის წარმოების მეთოდებით პერუს „ბრწყინვალე გზას“ („სენდერო ლუმინოსო“) წააგავს.

ქურთისტანის მუშათა პარტიის თავდასხმის ობიექტები იყვნენ სამთავრობო სტრუქტურები, თურქეთის წარმომადგენლობები და მათი პერსონალი საზღვარგარეთ, ასევე, ქურთული მოძრაობის „მოღალატენი“. თურქეთის არმიის წინააღმდეგ ბოევიკებმა 1500-ზე მეტი ტერორისტული ოპერაცია ჩაატარეს, აფეთქებები განახორციელეს ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ქურთისტანის მუშათა პარტია „მსოფლიოს ყველაზე ტერორისტული ორგანიზაციების“ სიაშია შეტანილი.

1998 წლამდე ოჯალანი სირიის ხელისუფლების მფარველობით სარგებლობდა და დამასკოში ცხოვრობდა, აქედანვე ხელმძღვანელობდა ტერორისტულ ოპერაციებს. თუმცა 1998 წლის ოქტომბერში სირიის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა, ანკარის ზეწოლით ოჯალანს ქვეყნის დატოვება მოსთხოვა, რის შემდეგაც ქურთისტანის ლიდერმა წარუმატებლად სცადა თავის შეფარება რუსეთში, იტალიასა და საბერძნეთში. სამთვიანი ვოიაჟი კენიის ტერიტორიაზე დაასრულა 1999 წელს, სადაც იგი დააპატიმრეს.

სასამართლოს წინაშე იგი თურქეთში წარდგა, სადაც ღალატში, ტერორიზმსა და 37.000 კაცის დაღუპვაში დაადანაშაულეს. პროცესი 1999 წლის 29 ივნისს დასრულდა, როცა მოსამართლე ტურგუთ ოკიაიმ ოჯალანი სამშობლოს ღალატსა და ქვეყნის დანაწევრების მცდელობაში დამნაშავედ ცნო და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მართალია, მოსამართლემ განაცხადა, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა სამუდამო პატიმრობით ვერ შეიცვლება, მაგრამ 1984 წლიდან თურქეთში სიკვდილით დასჯა აღარ ხორციელდება.

**თურქეთის მხარის მონაცემებით, თავისი საქმიანობის დაწყების დღიდან ქურთისტანის მუშათა პარტია 30.000 კაცის დაღუპვის მიზეზი შეიქნა. ამ ბრალდების პასუხად ოჯალანმა განაცხადა, მუშათა პარტია უკან არ დაიხევს, გამარჯვებისთვის თუნდაც 100.000 კაცის სიკვდილიც რომ გახდეს საჭირო.**

დღეს აბდულა ოჯალანი თურქეთის №1 მტერი და ქურთების ლეგენდარული ნაციონალური გმირია. მისი სახელი ინტერპოლის სიებშია შეტანილი. თურქეთის სპეცსამსახურები მასა და მის პარტიას ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის მკვლელობაში ადანაშაულებენ. ჯალანი, იგივე აპო (პარტიული მეტსახელი) ქურთისტანის მუშათა პარტიის სიმბოლოა. მას სიმღერებსა და ლექსებს უძღვნიან, მის ფოტოს ხშირად პარტიის დროშაზეც აკრავენ. აბდულა ოჯალანზე ამბობენ, რომ იგი ახალმოვლენილი სალადინია (ეგვიპტისა და სირიის სულთანი, წარმოშობით თურქი, რომელმაც აღმოსავლეთში ჯვაროსნების ლაშქრობა შეაჩერა).

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**



აბდულა ოჯალანის დაკავება



ოჯალანი დაკითხვის წინ იმრალის ციხეში



მიტინგი ოჯალანის გათავისუფლების მოთხოვნით

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რაც მტერმა ვერ დააქცია...

## ზურტაკეტი და ქციის ხრამი

**ვერ დავამტკიცებ, ყოველთვის ასეა თუ ჩვენს იქ ყოფნას დაემთხვა, მაგრამ, რამდენჯერაც ერთ ხელისგაწვდენაზე არსებულ დბანის ხევსა და თავად დმანისში თავსხმა წვიმამ ყველაფერი დარეცხა, ზურტაკეტში მხოლოდ წამოჟინჟლა, ანუ ზუსტად იმდენი ნალექი მოვიდა, ნიადაგის გაფხვიერებასა და ბალახის ზრდას რომ სჭირდებოდა. უფრო მეტიც — სოფელ მამულაში, პატარა გომარეთს რომ აკრავს აღმოსავლეთიდან, ერთი ქალბატონი, ტიტები არ გამიხმესო, ბაღს გულდაგულ რწყავდა. ეს დეტალი შემთხვევით არ გამხსენებია — ზურტაკეტში მცხოვრები ქართველების, თითქმის, ყოველ მეორე ეზოში რატომღაც ტიტები გიზგიზებს.**



მამულას „ღვთისმშობელი“



რევაზაშენის სამნავიანი საყდარი

მამულა პატარა სოფელია, სადაც მაისურაძეების, თაყნიაშვილების, მიშელაძეების, ოქრუაშვილებისა და ნონიაშვილების 30 კომლი სახლობს. ისინი აქ, ქართველებისაგან დაცლილი სოფლის აღსადგენად, 1800 წელს ჩამოასახლეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

**სოფელი რომ ძალიან ძველია, ამას აქვე მდებარე VIII-IX საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია ადასტურებს. სოფლელებს მისი კამარა ძალიან ფრთხილად კი გაუმაგრებიათ ზევიდან, მაგრამ კრამიტით გადახურვა ველარ მოუხერხებიათ. ტაძარი ნაგებია პირმოსწორებული და მომრგვალებული კვადრებით, რაც კედლების ერთგვარი მხატვრული გაფორმების მცდელობაა. ძირითად ნაგებობას ოდესღაც სამხრეთის მინაშენიც ჰქონია, რასაც კარიდან აღმოსავლეთით, კედელში ჩარჩენილი ორი კრონშტეინი ადასტურებს.**

თავად კარი გარედან არქიტრავულია, ხოლო შიგნიდან თაღოვანი. საყდრის სამხრეთ კედელში დიდი ქვები ზედა რეგისტრებშია, შედარებით მცირე ზომის ქვები — ქვედა რეგისტრებში. მაგრამ ზედა რეგისტრთა სიმძიმეს აწონასწორებს ამავე კედლის ცენტრში, კარის არქიტრავად გამოყენებული უშველებელი, ნახევარწრიული ბალავარი. დასავლეთ სარკმლის თავზე, გარედან, არის ხუროთმოძღვრის მოკლე წარწერა: **„ქრისტე შეიწყალე ბაკურ“.** აღმოსავლეთ ფასადის სარკმელს თავსართად სამპირი წარბი და ორი ჯვარი აქვს. ამავე ფასადთან, მიწაზე დევს ვერძის დიდი ქანდაკება ზურგზე ოქტაგონური ფორმის ეკლესიის სიმბოლური მაკეტით. შესაძლოა, ეს იმავე ხუროთმოძღვრის საფლავის ქვაა...

**მამულადან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქციის ხრამისაკენ მივეშურებით, მაგრამ, სანამ თავქვეზე დავეშვებოდეთ, მთავარი გზიდან ხელმარჯვნივ ვუხვევთ და მინდორში გაჭრილი გზით გომარეთის პლატოს დასავლეთ ნაპირს მივუყვებით. სულ მალე დანგრეული ეკლესია გამოჩნდება. ირგვლივ ნასოფლარის კვალია. ამ ალაგს ორი სახელით იცნობენ: რევაზაშენი და სათათრო.**

დანგრეული ეკლესია „კვირაცხოველია“... იგი კარგად გათლილი რუხი ქვით ყოფილა ნაგები. მამულას ეკლესიისგან განსხვავებით, მის კედლებში ქვათა მოცულობა ზევით და ზევით მცირდება. ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი, ისევე როგორც მთლიანი შიდა სივრცე, ხეებს აქვს დაფარული. საყდრის კარი შიგნიდან თაღოვანი, გარედან კი არქიტრავული ყოფილა. ბალავრის ქვა იქვე გდია... ექვთიმე თაყაიშვილის დროს ეს ქვა გულდაღმა ყოფილა დამხობილი, მაგრამ ექვთიმეს ბიჭები მიუხმარებია, ლოდი ოდნავ აუწევია, ქვეშ შეუხედავს და მხოლოდ მე-2 სტრიქონი წაუკითხავს: **„ადიდენ ღმერთმან შიო კათალიკოზი“.** ახლა, მიუხედავად იმისა, რომ ბალავარი ვიღაცას გადმოუბრუნებია და გულაღმაა, წარწერის წაკითხვა კიდევ უფრო ჭირს, რადგან ქარს, მზესა და წვიმას დაუღნია. ძნელი სათქმელია, მოუხერხებელ მდგომარეობაში რამდენად ზუსტად ამოიკითხა წმინდა ექვთიმემ წარწერის ფრაგმენტი, მაგრამ თუ მასში მართლაც შიო კათალიკოსია ნახსენები, მაშინ ტაძარი XIV-XV საუკუნეების ძეგლი გამოდის, არადა, მშენებლობის სტილიდან გამომდინარე, ეკლესია უფრო ადრინდელ (XI ს.) ნაგებობას ჰგავს.



ქციის სამეკლესიანი ტაძარი

რევაზაშენის მეორე, უფრო ძველი, ტაძარი აქედან სამხრეთით, დაახლოებით 200 მეტრში დგას და ხეობას გადაჰყურებს. დმანისის რაიონში ეს ერთადერთი სამნავიანი საყდარია და ისტორიული ზურტაკეტის ერთგვარი აღმოსავლეთ სამანია. იგი გიგანტურ ლოდებში ჩამჯდარი გუშაგივით დადგომია თავს ქციის ხრამიდან პანტიანში შემოსულ გზას. ტაძარი სიგრძეში 9,4 სიგანეში კი 9 მეტრია და ნაგებობა პირმოსწორებული, მაგრამ არაწესიერი მართკუთხედის ფორმის კვადრებით.

**ზოგიერთი ქვა გიგანტურია, ზოგიც — ძალიან მცირე. ფასადებს არანაირი სამკაული არ ამშვენებს. ნაგებობის ხიბლი მძლავრ შტრიხებსა და დახვეწილ პროპორციებშია. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ნავი მხოლოდ ოდნავ აჭარბებს გვერდით ნავებს. ისინი ცენტრალურ სივრცეს გახსნილი თაღედებით უკავშირდებიან. აღსანიშნავია, რომ საყდრის კედლებს შიგნიდან, მთელ გაყოლებაზე, ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს. ტაძარი VIII-IX საუკუნეებით თარიღდება და კარგად არის აღდგენილი, ოღონდ, ექვთიმე თაყაიშვილს რომ უნახავს, მაშინ ლორფინით ყოფილა გადახურული, ახლა კი კრამიტი ფარავს.**

ზურტაკეტიდან ქციის ხრამისაკენ ვეშვებით. ჩვენ ამ მხარეში არაერთხელ გვიმოგზაურია, ერთი ესაა მხოლოდ — ქციისა და ყარაბულახის შესართავამდე ვერ მოვაღწიეთ მაშინ.





„ლამაზსაყდარი“ და მისი წარწერიანი ქვა

ხევის სიღრმემდე ჩასულები გზას ჩრდილოეთით, ბედიანისკენ ვაგრძელებთ და მალე ხელმარცხნივ, ტყეში შემავალ, გრუნტის გზაზე გადავდივართ. ასე ვხვდებით ქციის მონასტრის შემოგარენში.

კვირა დღეს მონასტერში მხოლოდ ერთი ადამიანი — მორჩილი მიქაელ არეშიძე დაგვხვდა, წინამძღვრიც და მღვდელიც გომარეთში იყვნენ ასული წირვის ჩასატარებლად. როგორც ირკვევა, გზაში ერთმანეთს მაშინ ავცდით, როცა ჩვენ რევაზაშენში გადავუხვიეთ.

მიქაელ არეშიძე დაწვრილებით გვაცნობს მონასტერს და მის ეზოს, რომელიც არც ისე დიდია. არქეოლოგიურმა გათხრებმა აქ, მთავარი ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მარნისა და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები გამოავლინა. მონასტერში ორი ეკლესიაა. ერთი, დარბაზული ყაიდის საყდარი, მცირე ხევის მეორე მხარესაა. იგი სუფთად გათლილი რუხი კვადრების პერანგში ზის და რაიმე საგანგებო ნიშნებით არ გამოირჩევა. მთავარი საყდარი მონასტრის ტერიტორიის ცენტრში, ამაღლებულ ადგილზე დგას. იგი სამეკლესიანი ნაგებობაა (10,5X11,7 მ) და აშენებულია ფლეთილი ყორექვით. სამხრეთ კარის ორივე წირთხლის თავში არის მხედრული წარწერა: **„ესე სოფელი ქცია მტერმა ვერ დააქცია“.** ძველი ბალავრის ფრაგმენტზე არსებული ასომთავრული წარწერიდან შინაარსის დადგენა ჭირს.

ქციის მონასტერი VIII საუკუნის ძეგლი უნდა იყოს...

მონასტრის ტერიტორიიდან გამოსულნი სამხრეთისაკენ მივეშურებით, ყოფილ ჩათახის პიონერთა ბანაკს დაბლა ვტოვებთ და ტყიან ფერდზე გაკაფულ გზას მივუყვებით. იქ, სადაც ვახუშტის ლიპარიტისუბანი აქვს მონიშნული რუკაზე, სინამდვილეში ქცია ვნახეთ, ხოლო, სადაც ქცია აქვს მონიშნული — ლიპარიტისუბნის მთავარი ტაძარი და სამონასტრო კომპლექსია. ამ მთავარ ტაძარს „ლამაზსაყდარი“ შეარქვა ხალხმა.

მონასტერს, ალბათ, ვერც მივაგნებდით, რომ ხრამჰესის სადგურზე მომუშავე ერთ-ერთი მუშაკის ვაჟიშვილი, უფროსკლასელი გოგიტა თოთლაძე არ დაგვხმარებოდა. ძეგლს აღმოსავლეთიდან, უზარმაზარი გალავნის კარიბჭიდან მივადექით. მივადექით და, მტრისას, რაც ჩვენ ვიხილეთ და განვიცადეთ. ასეთი ძვირფასი და ამგვარად განადგურებული ტაძარი იშვიათად თუ გვინახავს (ერთი ესა და მეორე ბოსლების „სამება“!). საყდარს სამხრეთი კედელი და საბურველი საერთოდ აღარ უჩანს, აღმოსავლეთ კედელში ორი იმხელა ბზარია, მკლავი გაეტევა, დასავლეთის ასევე დაბზარული კედელი მოზრდილ ნართექსს შეუკავებია, ჩრდილოეთის კედელს კი რა დაანგრევს — ეს კედელი ხომ ბუნებრივი კლდეა, რომელშიც მცირე სამლოცველოცაა შეჭრილი.

ტაძარი (14,3X7,8 მ.) ნაგები ყოფილა ძალიან სუფთად გათლილი მოვარდისფრო და ბაცი რუხი კვადრებით. აბსიდში, სარკმლის ქვეშ საეპისკოპოსო ნიში ყოფილა, რაც თავისთავად მიგვანიშნებს ტაძრის სიძლიერეზე. სარკმლები და კარიბჭე დახვეწილი ჩუქურთმებით ყოფილა შემკული. ამ სამკაულებიდან დღეს შემორჩენილია უზარმაზარი ბზარით შუაზე გაპობილი აღმოსავლეთ სარკმლის ულამაზესი საპირე და მის ზევით მდებარე ასევე ფაქიზი ჩუქურთმებით შემკული დიდი ჯვარი.

ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე აქა-იქ თვლემს სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები, თლილი ქვები, კაპიტელები, ავზები, ხაროები, გალავნის ფრაგმენტები და ა.შ.

ექვთიმე თაყაიშვილის დროს ტაძრის სამხრეთ პორტალი და მისი წარწერიანი ბალავარი ჯერ კიდევ ადგილზე ყოფილა. ახლა ჩუქურთმიანი წირთხლები წაქცეული და დამსხვრეულია. ზოგი ლოდი ხევშია ჩაგორებული, ზოგი უფრო შორს გატყორცნილი. წარწერიანი ბალავრის ქვიდან მხოლოდ ორი მესამედია გადარჩენილი, მისი მარჯვენა ნაწილი, ალბათ, ხევშია და მიწა ჭამს. კიდევ კარგი, რომ თავის დროზე ბოლომდე იქნა წაკითხული ეს წარწერა:

**„სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაითა და ყოველთა წმიდათა, მე თეოდორე იოდ(ოსი)ს ძე ღირს ვიქმენ აღშენებად საყდრისა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისასა, ადიდენ და (ამყარენ) ღმერთმან, მეფობასა (თამა)რ(და დავი)თისსალოცველად, ჩემთვის, მშობელთა და ძმათა ჩემთათვის.**

**ჰოი, ყოველთა, უმეტესო, უფროსად კურთხეულო დედოფალო, რომელმან შევ ქრისტე ღმერთი, შეიწირე ჩემგან, თეოდორეს მიერ აღშენებული ესე საყდარი და საწუთოსა ამას ძმითურთ მისაფარველე, ხოლო საუკუნოსა მას მეოხად შენ გვექმენ წინაშე ძისა შენისა, რათა ახოცნე ყოველნი ბრალნი ჩემნი და სუფევასა მას მიმ(ცნე მართალთ)ა წილ.**

**წმიდათა წინასწარმეტყველთა ქადაგებულო ჰოი, დედაო ღმრთისაო, ბჭედ დაკრძალულად, კიბედ, სასაკმევლედ, საყდრად, სასანთლედ კვერთხად აღყვავებულად თა(მა)რის(ათვის) ღ(მრთისა სწორის)ა შეიწირე“.**

მკითხველი უთუოდ იკითხავს, რამ დაანგრია ლამაზსაყდარი — თამარ მეფის, ღმრთისსწორის, სადიდებლად აშენებული ტაძარი:

მომხვდურმა?

— არა!

მიწისძვრამ?

— არა!

მოუვლელობამ?

— არა!

მაშ რამ?!

— ხრამჰესის მშენებლობის დროს, ანტიქრისტეს „მრევლიდან“ ერთ-ერთმა, ასაფეთქებელი ნივთიერება რომ შემორჩა, ბევრი იწვალა თუ ცოტა, ღვთის სახლს მიაგნო და ააფეთქა. ასე ექცეოდნენ XX საუკუნის დასაწყისში ძეგლებს. ასე ექცევიან ძეგლებს XXI საუკუნის დასაწყისშიც, რადგან ტროცკისტები იყვნენ მაშინ და ტროცკისტები ცოცხლობენ დღესაც.

**ბელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

# გენერალი პეტრე ბაგრატიონი

დასასრული. დასაწყისი იხ. №19-26

**მეორე ბრძანებაც დისციპლინის დარღვევის ფაქტებს ეხება, კერძოდ, დეზერტირობასა და სამსახურისათვის თავის არიდების შემთხვევებს. იგი ნათლად გვიჩვენებს სარდლის შეურიგებლობას სამხედრო დისციპლინის ნებისმიერი დარღვევისადმი და გვაძლევს საშუალებას, ვიმსჯელოთ იმ მეთოდებსა და ხერხებზე, რომელთაც იყენებდა ბაგრატიონი ხელქვეითთა აღსაზრდელად. იგი იყო არა მარტო ბრწყინვალე მხედართმთავარი, არამედ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდებული აღმზრდელიც. ბაგრატიონი არ ეთანხმებოდა იმათ, ვისაც დისციპლინის ამაღლების ერთადერთ და საუკეთესო საშუალებად როზგები და მკაცრი სასჯელი მიაჩნდა.**



პეტრე ბაგრატიონის ძეგლი მოსკოვში

**მისი აზრით, მკაცრი, ზოგჯერ სასტიკი ზომების მიღება საჭიროა, მაგრამ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში; მიაჩნდა, რომ სამხედრო პირი (დამოუკიდებლად მისი წოდებისა) პირველ რიგში უნდა დაარწმუნო, რომ მისი საქციელი ცუდია და სამხედრო ეთიკის ნორმებთან შეუსაბამო. ასეთი პირი უნდა დაუპირისპირო დისციპლინირებულ და სანიმუშო მებრძოლს და ამით მასში სირცხვილის გრძნობა გამოიწვიო და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც დარწმუნდები, რომ ყოველივე ამას არ მოჰყოლია სასურველი შედეგი, უნდა მიმართო უფრო მკაცრ ზომებს.**

იმის დასამტკიცებლად, რომ ბაგრატიონი ასე იქცეოდა, მოვიყვანთ მისი მეორე ბრძანების ტექსტს: „ჩემამდე აღწევს ხმები, რომ ბევრი ბატონი ოფიცერი ყოვლის მოწყალებით ჩემდამი მინდობილი არმიისა ცხოვრობს ბუქარესტში, ფოკშანიში, იასიში და სხვა ადგილებში ავადმყოფობისა და სხვა საბაბით, მხოლოდ სამსახურისაგან თავის არიდების მიზნით. მე არ შემიძლია, ვირწმუნო, რომ რუსეთის აზნაურნი, რომელნიც სამშობლოსათის არათუ ქონებას, სიცოცხლესაც არ იშურებენ, ასეთი სამარცხვინო ხერხებით ცდილობენ, აარიდონ თავი სამსახურს მაშინ, როდესაც ახლანდელ საბრძოლო ოპერაციებში აქვთ დიდი შესაძლებლობები, მოიხვეჭონ დიდება, გამოიჩინონ ვაჟკაცობა და მამაცობა და ამით დაამტკიცონ ერთგულება სამსახურისადმი... სამშობლოსადმი.

მაგრამ წინააღმდეგ ჩემი იმედისა, თუკი ასეთ ოფიცრები სადმე ცხოვრობენ, მე სრულად ვარ დარწმუნებული, რომ ამის მიღებისთანავე გამოცხადდებიან მეთაურებთან და თავიანთ საქციელს გამოისყიდიან ერთგული სამსახურით“.

**ამ ბრძანების გაცემისას ბაგრატიონმა იცოდა, რომ მასში აღნიშნული ფაქტი სრული სინამდვილე იყო, მაგრამ ყველაფერი ისე წარმოადგინა, თითქოს მას დაუჯერებლად მიაჩნია რუსი ოფიცრის ასეთი საქციელი სამშობლოს განსაცდელის ჟამს. ეს დისციპლინის განმტკიცების და ხელქვეითებზე ზემოქმედების საკმაოდ საინტერესო ხერხი იყო. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ მიდგომას შედეგი არ მოჰყვებოდა, იგი თვლიდა მიზანშეწონილად უფრო მკაცრი ზომების მიღებას, რის შესახებაც იმავე ბრძანებაში სწერია: „თუკი ამის შემდეგ რომელიმე ოფიცერი ავადმყოფობის ან სხვა საბაბით არ გამოცხადდება თავის ნაწილში და წინანდებურად აარიდებს თავს სამსახურს, მათ შესახებ პირადად მოვახსენებ ხელმწიფე იმპერატორს, რომ ღირსნი არ არიან, იყვნენ მის სამსახურში და ისინი არა მარტო გაგდებულნი იქნებიან ჯარიდან, არამედ — სამშობლოდანაც გაძევებულნი“.**


ა. ვეფხვაძე — სასიკვდილოდ დაჭრილი გენერალი ბაგრატიონი ბოროდინოს ველზე

მსგავსი ხერხებისა და მეთოდების საშუალებით პეტრე ბაგრატიონი ყოველთვის აღწევდა მიზანს. ამიტომაა, ყველა, ვინც მას ახლოს იცნობდა, ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ მასთან სამსახური საპატიო, მაგრამ რთული საქმე იყო.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბაგრატიონი თავის უპირველეს ამოცანად ჯარისკაცში მამულისადმი სიყვარულის გაღვივებას მიიჩნევდა. იგი სავსებით სამართლიანად თვლიდა, რომ არც სამხედრო ხელოვნებას, არც სიმამაცეს და შეუპოვრობას არ ძალუძთ რაიმე სარგებელი მოუტანონ ქვეყანას, თუკი მისი დამცველი მისადმი სიყვარულის წმინდა გრძნობით არ არის გამსჭვალული. უფრო მეტიც, ნამდვილი გმირი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის, ვისთვისაც სამშობლოს სიყვარული უმაღლესი იდეალია. ასე ფიქრობდა ბაგრატიონი, ასე ცხოვრობდა და მთელი მისი ცხოვრება სამშობლოსადმი უანგარო ერთგულების მაგალითია.

სუვოროვის მსგავსად, ბაგრატიონიც რუსეთის დიდი პატრიოტი იყო, გულწრფელად უყვარდა რუსი ხალხი და ამ სიყვარულს შესწირა თავისი შესანიშნავი ცხოვრება. წარმოშობით ქართველი, იგი რუსეთს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. ვეჭვობთ, დაიძებნოს მეორე ადამიანი, რომელმაც მასავით განიცადა მოსკოვის ბედი. 1812 წლის 7 აგვისტოს წერილში არაკჩეევისადმი იგი ამბობდა, რომ თუკი მტერი მოსკოვს მიუახლოვდება, „მთელი ხალხით უნდა შევუტიოთ მას ან გავანადგუროთ, ან სამშობლოს კელებთან დავეცეთ“. სიკვდილის წინ დაწერილი მისი წერილები გამსჭვალულია სიყვარულით რუსი ხალხისადმი, რუსეთის მიწისადმი, მოსკოვისადმი. სასიკვდილოდ დაჭრილი, უკანასკნელ დღეში მყოფი, იგი სწერდა გრაფ როსტოპჩინს: „მშვიდობით, პატივსცემულო მეგობარო, მეტს ველარ განხავ, ჭრილობა კი არა, მოსკოვი მკლავს“.

**ბაგრატიონის ამ თვისებას ყველა კარგად ამჩნევდა. „მასში ვიხილე კეთილშობილი და სამშობლოს სიყვარულის მაღალი გრძნობით გამსჭვალული ადამიანი“, — სწერდა ბარკლაი დე ტოლი იმპერატორ ალექსანდრე I-ს ბაგრატიონის შესახებ. გენერალი პეტრე ბაგრატიონი სულგრძელი იყო ყველას მიმართ, ვისაც კი გულწრფელად უყვარდა რუსეთი. იგი მათ უაღრესად დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. როდესაც ბოროდინოს ველზე ბარკლაის არაჩვეულებრივი გმირობის მოწმე გახდა და დარწმუნდა რუსეთისადმი მის ერთგულებაში, ბაგრატიონმა მკვეთრად შეიცვალა თავისი შეხედულება ამ გენერალზე. სასიკვდილოდ დაჭრილმა იხმო მისი ადიუტანტი და დაავალა მას გადაეცა ბარკლაი დე ტოლისათვის, რომ იგი კვდება მისადმი უდიდესი პატივისცემით გამსჭვალული.**

რომ გახდე დიდი სარდალი, დაიმსახურო ნამდვილი სიყვარული, უნდა გიყვარდეს სამშობლო წმინდა სიყვარულით, მზად უნდა იყო, უყოყმანოდ შესწირო ცოდნა, ენერგია, გამოცდილება, სიცოცხლე მის მიწასა და ხალხს. ეს პრინციპი თან სდევდა ბაგრატიონს მთელი სიცოცხლის მანძილზე.



გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მერვე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ყველაზე იდუმალი ტუსაღი

**როგორც აღმოჩნდა, ლეგენდარული „რკინის ნიღაბი“ თურმე დღესაც არსებობს — ისრაელის საპატიმრო „აიალონში“ სასჯელს იხდის ტუსაღი, რომლის ვინაობას არ ამჟღავნებენ.**


აიალონის ციხე

ახლახან ისრაელის გავლენიანი გაზეთის — Yedioth Ahronot-ის საიტზე სენსაციამ გაიელვა. გამოცემა იუწყებოდა, რომ ისრაელის ზედაცულ ციხეში — „აიალონი“ იმყოფება იდუმალი პატიმარი, რომლის საკანიც ცალკე ბლოკშია განთავსებული და სხვა პატიმრებს იგი არასდროს უნახავთ. მას არავინ სტუმრობს, მისი სახელი დაცვამაც არ იცის და ტუსაღთან გამოლაპარაკებაც ეკრძალება. მოკლედ, XXI საუკუნის „რკინის ნიღაბი“ არსებობს.

**რამდენიმე საათის შემდეგ აღნიშნული ცნობა საიტიდან გაქრა. როგორც აღმოჩნდა, ინფორმაციის გამოქვეყნება სამხედრო ცენზურამ იმთავითვე აკრძალა, მაგრამ ტექნიკური შეცდომის გამო ცნობა მაინც მოხვდა ინტერნეტში. სპეცსამსახურები დაფაცურდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო: ბრიტანულმა The Daily Telegraph-მა ინფორმაციის გადაბეჭდვა მოასწრო.**

იდუმალი პატიმარი საპყრობილის იმ იზოლირებულ სექტორშია მოთავსებული, რომელიც თავის დროზე იგალ ამირისთვის აიგო (1995 წელს მან ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი ჩაცხრილა), თუმცა ამჟამად „აიალონში“ იგალი ნამდვილად არ იმყოფება, რადგან 4 წლის წინათ სამუდამო პატიმრობამისჯილი მკვლელი სხვა ციხეში გადაიყვანეს, მისი ადგილი კი ვიღაც სხვამ დაიკავა. ამასთან, ეს კაცი ისრაელის უსაფრთხოებისთვის სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს. მაინც ვინაა იგი: დაკავებული ტერორისტი, გამომჟღავნებული სუპერჯაშუში თუ უკიდურესი დისიდენტი?

**ჟურნალისტებმა მარჩიელობა დაიწყეს და ისრაელის ყველაზე ცნობილი მტრები გაიხსენეს; მაგალითად, მარკუს აბრაამ კლინბერგი, „№1 ჯაშუში“, რომელიც საიდუმლო ცნობებს ისრაელის ბიოლოგიური კვლევების თაობაზე სსრკ-ს აწვდიდა. 1983 წელს დახურულ პროცესზე კლინბერგს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ მეცნიერის არსებობის შესახებ მსოფლიომ მხოლოდ 1991 წელს შეიტყო. თუმცა ეს ისტორია უკვე წარსულს ჩაბარდა. ახლა ყოფილი ჯაშუში კლინბერგი პარიზში ცხოვრობს და სენის სილამაზით ტკბება.**

ჟურნალისტებმა გაიხსენეს ისრაელის „ატომური დისიდენტი“ მორდეხაი ვანუნუ, რომელმაც 1986 წელს უცხოურ პრესაში ისრაელის ბირთვული პროგრამის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა. ისრაელის სპეცსამსახურებმა მორდეხაი რომში მოიტაცეს, სამშობლოში მალულად ჩამოიყვანეს და 18 წლით ციხეში გაამწესეს. მაგრამ „რკინის ნიღბის“ როლისთვის არც ვანუნუ გამოდგება: სასჯელის მოხდის შემდეგ მორდეხაის შინაპატიმრობაში ამყოფებდნენ და მკაცრი შეზღუდვები დაუწესეს — სიმართლის მოყვარულს ინტერნეტითა და მობილური ტელეფონით სარგებლობა და უცხოელ ჟურნალისტებთან ურთიერთობა აუკრძალეს. სწორედ ამ აკრძალვების დარღვევისათვის ამა წლის მაისში ვანუნუ თავისუფლებას სამი თვით გამოემშვიდობა. ოღონდ იგი არა „აიალონში,“ არამედ სამხედრო ციხე „ეშელში“ იმყოფება.

**შესაძლოა, იდუმალი ტუსაღი სულაც არ იყოს ებრაელი. თუკი იგი ადგილობრივი სპეცსამსახურების მიერ გატაცებული უცხოელია (ისრაელის დაზვერვა „მოსადი“ კი ამ საქმეების დიდი სპეციალისტია), მაშინ მსხვერპლის გამომწყვდევა საპყრობილეში, ყოველგვარი იურიდიული საფუძვლების გარეშე, საიდუმლოდ შეუძლიათ. ეს ციხე კი „აიალონივით“ სუპერსაიმედო უნდა იყოს...**

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების ანალიზის ცენტრის დირექტორის, ექსპერტ ალექსანდრე შუმილინის ვარაუდით, იდუმალი პატიმარი, შესაძლოა, ირანელი ბირთვული ფიზიკოსი შაჰრამ ამირი იყოს. თეირანის განცხადებით, მეცნიერი 2009 წელს მოიტაცეს საუდის არაბეთში, ხოლო აპრილის ბოლოს მედიამ გაავრცელა ცნობა, თითქოს აშშ-ში მყოფი ამირი ისრაელს პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვდა. გამორიცხული არ არის, რომ „აიალონის“ „რკინის ნიღაბი“ გატაცებული ირანელი მეცნიერი იყოს, ისრაელისთვის ხომ ირანი დღეს № 1 პრობლემაა, ხოლო ფიზიკოსი, რომლისთვისაც ცნობილია ისლამის რესპუბლიკის ბირთვული გეგმები, ისრაელის სპეცსამსახურებისთვის უაღრესად ფასეულია. თუმცა ეს მარტოდენ ვარაუდია, რადგან ამ თემაზე მსჯელობისთვის მცირეოდენი ინფორმაციის ფლობა მაინცაა საჭირო. ეს ინფორმაცია კი არ არსებობს...

# ყველაზე აუხსნელი ფენომენები

**მეცნიერება გარე სამყაროში გარკვევას ცდილობს, მაგრამ ყოველთვის როდი შეუძლია ამა თუ იმ მოვლენის გაგება და ახსნა. გთავაზობთ ასეთ ფენომენთა ჩამონათვალს.**



**სხეულისა და გონების კავშირი.** მედიცინა ახლა იწყებს სხეულზე გონების გავლენის მეთოდების შემეცნებას. მაგალითად, პლაცებოს ეფექტი თვალსაჩინოდ მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანებს ამა თუ იმ დაავადების სიმპტომებისგან გათავისუფლება მარტოდენ იმ რწმენითაც კი შეუძლიათ, რომ წამალი ეფექტურია, მიუხედავად იმისა, ეს ნამდვილად ასეა თუ არა. ადამიანის ორგანიზმის თვითგანკურნების შესაძლებლობანი ერთობ შთამბეჭდავია, მაგრამ არანაკლებ ამოუცნობი.

**პარანორმალური უნარი და ექსტასენსორული აღქმა.** პარანორმალური უნარებისა და ექსტრასენსორული აღქმის არსებობა სამეცნიერო კვლევების შედეგად ერთმნიშვნელოვნად დამტკიცებული ჯერ არ არის. ისინი ამ რეიტინგში იმიტომ მოხვდა, რომ ფართოდ გავრცელებულად მიიჩნევა.

**ამო.** საეჭვო აღარაა, რომ ამო (ამოუცნობი მფრინავი ობიექტები) არსებობს. ცაში ხშირად ხედავენ იმას, რისი ამოცნობაც არ ძალუძთ. და თუმცა ზოგიერთი შემთხვევა ახსნას სავსებით ექვემდებარება, გამოცანები მაინც მრავლადაა.

**სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ.** სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფი ადამიანები ხშირად ყვებიან უცნაური ხილვების შესახებ და სხეულს მიღმა არსებობის გამოცდილებასაც აღწერენ. მართალია, მათ მონათხრობს ბევრი აქვს საერთო, მაგრამ ამ ინფორმაციის სანდოობა ჯერჯერობით არ დამტკიცებულა. ამ ამოცანის გადასაჭრელად მეცნიერები ინტენსიურ კვლევებს ატარებენ.

**იდუმალი გაუჩინარება.** ადამიანები სხვადასხვა მიზეზით უჩინარდებიან. უმეტეს შემთხვევაში ისინი თავად გარბიან, ზოგჯერ გაუჩინარება უბედური შემთხვევის შედეგია, ხანდახან ადამიანებს იტაცებენ ან კლავენ. თუმცა ცნობილია სრულიად იდუმალი გაუჩინარების შემთხვევებიც: „მარის სელესტას“ ეკიპაჟის გაქრობით დაწყებული, ჯიმი ჰოფერისა და ნატალი ჰოლოვეის გაქრობით დამთვარებული. ეს ხალხი უკვალოდ გაუჩინარდა.



**მოჩვენებანი.** გარდაცვლილთა სულები კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე გამოჩნდებოდნენ. მათ ხედავდნენ ჩვენი წინაპრები და თანამედროვენიც. თუმცა გარდაცვლილებთან კონტაქტის შესაძლებლობის მეცნიერული დადასტურება ჯერჯერობით არ არსებობს.

**დეჟავიუ.** ფრანგულიდან ითარგმნება როგორც „უკვე ნანახი“ და აღწერს იმის მყარ შეგრძნებას, რომ მოვლენათა იდენტურ მიმდინარეობას ადგილი უკვე ჰქონდა. ფენომენის მიზეზები და ბუნება აქამდე დაუდგენელია.

**ინტუიცია.** მეექვსე გრძნობა ყველა ჩვენგანისთვის კარგადაა ცნობილი და თუმცა წინათგრძნობა ზოგჯერ გვატყუებს კიდეც, მაგრამ არცთუ იშვიათად მართალი აღმოჩნდება. ფსიქოლოგების აზრით, ადამიანს უნარი შესწევს, შეკრიბოს და გააანალიზოს უდიდესი მოცულობის ინფორმაცია და დასკვნები ისე გააკეთოს, რომ ვერც კი მიხვდეს, საიდან იცის ამდენი. თავად ინტუიციის არსებობა ძნელი დასამტკიცებელია, მისი შესწავლა კი — უაღრესად რთული.

**თოვლის კაცი.** ათწლეულების განმავლობაში ვრცელდება ხმები თოვლის კაცის შესახებ. სხვადასხვა კონტინენტზე მას სხვადასხვა სახელს უწოდებენ, მაგრამ გარეგნობა ყველგან ერთნაირი აქვს: უზარმაზარი და ბალნით დაფარულია. ეს ადამიანის მაგვარი არსება ბევრს უნახავს, მაგრამ მისი არსებობა აქამდე ვერ დამტკიცებულა.

**ტაოსის ხმა.** ნიუ-მექსიკოს შტატის პატარა ქალაქ ტაოსის ზოგიერთ მკვიდრსა და სტუმარს, უკვე წლებია, დაბნოდან დაბალი სიხშირის ხმაური ესმით. საგულისხმოა, რომ ის მხოლოდ ადამიანების 2 პროცენტს ესმის. ზოგიერთის აზრით, ეს ადგილი უჩვეულო აკუსტიკის ბრალია, სხვები კი ამ ფენომენში მასობრივი ჰალუცინაციის მაგალითს ხედავენ. ამავე დროს, ხმაურის წყაროს განსაზღვრა ვერავინ შეძლო.

# ყველაზე სულელური ამერიკული კანონები



**ალასკა.**

დათვების მოკვლა ნებადართულია, მაგრამ მათი გაღვიძება — აკრძალული;

დანაშაულად ითვლება ცოცხალი ლოსის თვითმფრინავიდან გადაგდება;

**არიზონა.**

აკრძალულია აქლემებზე ნადირობა;

ნებისმიერი შეცდომა ან დანაშაული, რომლის ჩადენისას ადამიანს წითელი ნიღაბი უკეთია, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება;

სახედრებს აკრძალული აქვთ სააბაზანოში დაძინება;

აკრძალულია უარის თქმა ჭიქა წყლის მიწოდებაზე;

ერთ სახლში ექვსზე მეტი ქალიშვილი ვერ იცხოვრებს;

**არკანზასი.**

მდინარე არკანზასს უფლება არ აქვს, დონით ლითლ როკის ხიდზე მაღლა აიწიოს;

სიტყვა „არკანზასი“ უნდა წარმოითქვას როგორც „არკანსო;“

მამაკაცს ცოლის ცემის უფლება აქვს, მაგრამ — მხოლოდ თვეში ერთხელ;

სააბაზანოში ნიანგების ყოლა აკრძალულია;

**კალიფორნია.**

სასამართლოზე მოწმედ გამოსვლისას ტირილი აკრძალულია;

აკრძალულია გომბეშოების ლოკვა;

მთავარ ქუჩებზე არ შეიძლება სპილოების ტარება საბელის გარეშე;

არ შეიძლება მანქანის წმენდა ძველი საცვლით;

არ შეიძლება ქინქლების დახოცვა ქუჩის ფარნებთან...



**ყველაზე გრძელი ქუჩა** კანადაში, ტორონტოში მდებარეობს. მისი მშენებლობა მე-18 საუკუნეში დაიწყო და დღესაც გრძელდება.

# ყველაზე საზარელი მუზეუმები



**მუზეუმი-ძვალთშესალაგი** ჩეხეთის ქალაქ სედლეცში მდებარეობს. აქ ინტერიერის ყველა დეტალი ადამიანთა ძვლებისგანაა ნაგები და ნაკვეთი. ზუსტად ცნობილი არაა, თუ რამდენი ჩონჩხი დასჭირდა ამას; ზოგიერთი მონაცემით, — 40 ათასამდე.



**წამების მუზეუმი,** იგივე „პატიმართა კარიბჭე" ჰააგაში, ნიდერლანდებში მდებარეობს და მნახველებს შიშის ზარს სცემს.



**წამების მუზეუმი მალტაში.** ყველაზე საზარელ მუზეუმად ქალაქ მდინის წამების მუზეუმი ითვლება, სადაც გილიოტინების, ფრჩხილების საგლეჯი მარწუხებისა და წამების სხვა იარაღების უზარმაზარი კოლექციაა წარმოდგენილი.



**ელმინის ციხესიმაგრე.** განაში, კეიპ კოსტში მდებარე ეს ევროპული ციხესიმაგრე XV საუკუნისაა. დახუთული საკნები, პაწაწინა სარკმელები, ბორკილები და ქვის ჭა, სადაც ადამიანები თვეობით ელოდნენ თავიანთ ხვედრს, მართლაც რომ საზარელი სანახავია.



**სიკვდილით დასჯის მუზეუმი** პარიზში, ფონტენ დე ვოკლუზეში მდებარეობს. მისი დამაარსებელი 10 წელზე მეტხანს აქ ჯალათად თავად მუშაობდა. მუზეუმში ყველა დროისა და ხალხების სიკვდილით დასჯის ინსტრუმენტების კოლექციებია.



**ჰიგიენის მუზეუმი.** ყველამ როდი იცის, რომ სანკტ-პეტერბურგში, იტალიის ქუჩაზე „ჰიგიენის მუზეუმი" მდებარეობს, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, მაგალითად, პავლოვის ძაღლის ფიტულის ხილვა.



**ეშმაკების მუზეუმი.** კაუნასში მდებარე ეს მუზეუმი ერთადერთია, სადაც წამოძახილი: „ეშმაკმა დაგლახვროს" და „ეშმაკსაც წაუღიხარ" სწორედაც რომ უადგილო არ არის.



**შეშლილთა კოშკი,** ანუ პათოლოგანატომიის მუზეუმი. ეს პათოლოგიების, სიმახინჯეების, გენური მუტაციისა და შუა საუკუნეების მედიცინის ნამდვილი ძეგლია. მას მეორე სახელწოდებაც აქვს — შეშლილთა კოშკი.

# ყველაზე გავრცელებული მცდარი მოსაზრებები



**აინშტაინს სკოლაში ცუდი ნიშნები ჰქონდა.** რამდენიმე თაობას უყვებოდნენ მითს იმის შესახებ, რომ ცნობილი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ალბერტ აინშტაინი სკოლაში ცუდად სწავლობდა. თუმცა სინამდვილეში მას ჩინებული მოსწრება ჰქონდა, განსაკუთრებით კარგად ითვისებდა მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებას.



**თომას ედისონმა ნათურა გამოიგონა.** ედისონმა უამრავი მშვენიერი ნივთი გამოიგონა, მაგრამ ნათურას მასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ელექტრონათურა ინგლისელმა ჯოზეფ სუენმა გამოიგონა.



**ნაპოლეონი ჩია იყო.** დაბალი კაცის აგრესიულსა და ამბიციურ საქციელს ხშირად ე. წ. ნაპოლეონის კომპლექსით ხსნიან. ამასთან, ტანმორჩილ მამაკაცებს ძალიანაც მოსწონთ საფრანგეთის იმპერატორთან შედარება. არადა, სინამდვილეში ნაპოლეონი 170 სმ სიმაღლისა იყო, რაც XVIII-XIX საუკუნეების საფრანგეთში მამაკაცისთვის საშუალო სიმაღლედ ითვლებოდა.



**თაგვებს ყველი უყვართ.** ყველა მულტფილმში თაგვებს ყველზე ნერწყვი ადგებათ, ის კი არა, გამოთქმაც არსებობს, რომ მუქთა ყველი მხოლოდ სათაგურშიაო. სინამდვილეშ კი თაგვებს ტკბილეული, არაქისის კარაქი და მარცვლეული უფრო იზიდავთ.



**ლემინგები თავის მოსაკლავად ქარაფებიდან ხტებიან.** ეს მცდარი მოსაზრება ველური ბუნების შესახებ დისნეის ფილმის ჩვენების შემდეგ გავრცელდა. სინამდვილეში ეს მითია, რომელსაც რეალობასთან არაფერი აკავშირებს და ლემინგები მასობრივ თვითმკვლელობას არ სჩადიან.



**ვიკინგებს რქებიანი ჩაფხუტი ეხურათ.** ეს წმინდა წყლის გამონაგონია. მეცნიერები ამ მოსაზრებას იმით ხსნიან, რომ ვიკინგებს ჩაფხუტებიანად მარხავდნენ, საფლავებში კი ცხოველთა რქებს სასმისებად ჩაატანდნენ. ვიკინგების პირველი საფლავების გათხრისას ზოგიერთმა არქეოლოგმა ივარაუდა, რომ რქები ჩაფხუტებზე იყო მიმაგრებული და, უბრალოდ, მოტყდა.



**ენის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა გემოზე რეაგირებს.** ადამიანს ენაზე მართლაც ნაირგვარი რეცეპტორი აქვს, რომელთაგან ზოგიერთი უფრო მგრძნობიარეა ტკბილის ან მწარის მიმართ, ვიდრე დანარჩენები. თუმცა ისინი სრულებითაც არ არის ენაზე სექციებად დაყოფილი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## 108 წლის ვუკს 38 წლის ქმარი დაუბრუნდა



**მალაიზიელი 108 წლის ვუკ კანდორის 38 წლის ქმარი ერთი წლის განმავლობაში ნარკოლოგიურ კლინიკაში მკურნალობის შემდეგ, როგორც იქნა, შინ დაბრუნდა.**

მუჰამედ ნორ ჩე-მუსა 12 თვის განმავლობაში ნებაყოფლობით მკურნალობდა ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულების გამო და მეუღლესთან ამ ხნის მანძილზე, პრაქტიკულად, არ ჰქონია ურთიერთობა. ვუკს ქმართან ვიზიტის ნება სულ ხუთჯერ დართეს. ახლა წყვილი ისევ ერთადაა და ამის გამო სიხარულს არ მალავს.

კანდორი და ჩე-მუსა 2006 წელს ტრენგანუს შტატში დაქორწინდნენ და, ცხადია, უმალ აღმოჩნდნენ ადგილობრივი გაზეთების გარეკანებზე. შემდეგ კი მათი ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო. ვუკისთვის ეს რიგით 23-ე ქორწინებაა და, როგორც ამბობს, ჩე-მუსას იმის გამო მისთხოვდა, რომ ეს უკანასკნელი უფრო ახალგაზრდა ქალებისათვის არ დაეთმო.

## ნიძლავზე შხამიანი გველიც იჭმევა



**35 წლის ინდოელი ზავერ რათხოდის მეგობარს შხამიანმა გველმა უკბინა. რათხოდმა და მისმა მეორე მეგობარმა ბხუპენდრამ გველს ქვებით გაუჩეჩქვეს თავი, მაგრამ, როგორც კი ცხოველი მოკვდა, ბხუპენდრამ გადაწყვიტა, მეგობართან ნიძლავი დაედო და შესთავაზა, თუ მკვდარ გველს გადაყლაპავ, 100 რუპის (დაახლოებით 2 დოლარი) მოგცემო. რათხოდი დათანხმდა და მკვდარი ქვეწარმავალი გადაყლაპა.**

რამდენიმე წუთში ის უკვე საავადმყოფოში მიჰყავდათ და, როგორც ექიმებმა განაცხადეს, შხამმა მთელს სხეულში გავრცელება ვერ მოასწრო, რამაც რათხოდი სიკვდილისგან იხსნა. მეორე დღეს ის უკვე უკეთ გრძნობდა თავს, მაგრამ საავადმყოფოდან გაპარვა მოუხდა, რათა ცნობისმოყვარე ჟურნალისტებისაგან თავი დაეძვრინა.

## ლამაზების პარტია



**რუმინელმა მოდელმა, რომლის საქმიანობის მთავარი მიმართულება ქვედა საცვლების რეკლამირებაა, ლამაზი ადამიანებისათვის პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბა.**

23 წლის სანზიანა ბურუიანას აზრით, „ლამაზი“ პარტია მისი ქვეყნის იმიჯს გააუმჯობესებს და უამრავ ტურისტს მოიზიდავს. მოდელის აზრით, ქვეყანაში უნდა მიიღონ კანონი, რომლის მიხედვითაც ტურისტების გიდებად მხოლოდ საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი მოდელები იმუშავებენ. პარტიის პოლიტიკური პროგრამის ძირითადი პუნქტები კი ტურიზმს არ მოიცავს. მათში საუბარია რუმინელების ცხოვრების წესსა და მათ ქცევებზე. მოდელის აზრით, ყველა ჭარბწონიანმა მოქალაქემ ჯარიმა უნდა გადაიხადოს — დაახლოებით 12 ევრო ერთ ზედმეტ კილოგრამზე. გარდა ამისა, 120 ევროთი დაჯარიმდებიან მოღალატე მეუღლეებიც.

# დიდი ავღანური თამაში

**2001 წელს ავღანეთის მიმართ განხორციელებულ აგრესიასა და ამის შემდგომ ქვეყნის სამხედრო ოკუპაციაზე წლების მანძილზე უამრავი სისულელე და საზიზღრობა ვისმინეთ, მათ შორის იმის შესახებაც, თუ რა ეკონომიკურ და სტრატეგიულ უპირატესობას მიიღებს აშშ და ინტერნაციონალური ლობი საერთაშორისო მეკობრეობის ამ ეპიზოდის წყალობით.**
**თვით ამ დეზინფორმაციულ გარემოშიც კი ყველამ გავიგეთ, რომ „ალ-ქაიდას“ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არაფერ შუაშია, რომ ჰამიდ ყარზაის კოლაბორაციონისტური მთავრობა, რომელსაც ქვეყანაში სერიოზულად არავინ აღიქვამს, მხოლოდ ქაბულსა და მის შემოგარენს მართავს და ხელისუფლებას ცალსახად უცხოური საოკუპაციო ჯარის წყალობით ინარჩუნებს.**



**ზოგიერთ რაიონში თალიბები ახლა უფრო მეტად აკონტროლებენ სიტუაციას, ვიდრე ოდესმე, სხვა რაიონებში ხელისუფლება რომელიღაც კლანების საველე მეთაურების ხელთაა.** ერთთანაც და მეორესთანაც ოკუპანტებს ისეთი დამოკიდებულება აქვთ, რომ ამის ორაზროვნად გაგება ძალზე ოპტიმისტური იქნებოდა. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ძნელია ავადსახსენებელი ბუშის ხელისუფლების საბოლოო მიზნების განსაზღვრა ავღანეთისა და ერაყის ოკუპაციასთან დაკავშირებით. გაურკვეველი რჩება ისიც, სურდა თუ არა მას ამ ორი ქვეყნის ქრონიკულ სამოქალაქო ომში ჩაძირვა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — აშშ-ის ადმინისტრაცია (ჯერ ბუშის, შემდეგ კი ობამასიც) მომხდარს სულაც არ მიიჩნევს აბსოლუტურ ჩავარდნად.

**ზემოხსენებული ორი საომარი კამპანიის მიმდინარეობა და გართულებები ხანდახან ნამდვილად სამარცხვინო პოლიტიკურ და დიპლომატიურ წარუმატებლობებს განაპირობებს, სამაგიეროდ, აბსოლუტურად კმაყოფილი არიან იარაღის მწარმოებელი კორპორაციები და პენტაგონი, რომელიც გარკვეულწილად არა მხოლოდ სტრატეგიულ, არამედ პოლიტიკურ მოთამაშედაც რჩება და ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე სცენარების შესწავლას განაგრძობს.**

კმაყოფილნი არიან „რეკონსტრუქციით“, ხარჯების გადანაწილებით, მიწისქვეშა სიმდიდრეების სხვადასხვა სახის ექსპლოატაციით დაკავებული მოღვაწეებიც. აბსოლუტურად კმაყოფილნი არიან უმუშევრებიც, რომლებიც დაქირავებულ ჯარისკაცებზე გაზრდილი მოთხოვნის წყალობით კონტრაქტით მიდიან ჯარში.

**რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამტკიცო, რომ ყველაფერი კარგადაა. პირიქით. პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, პრეზიდენტ ობამას პრესტიჟი და მასზე დამოკიდებული საზოგადოებრივი კეთილგანწყობა მკვეთრად ეცემა, ადამიანებს აბსოლუტურად კანონზომიერად უჩნდებათ ახალი ვიეტნამის შიში.**

**ვიეტნამში რბილი ხასიათის, მშვიდობისმოყვარე გლეხები ცხოვრობდნენ. ამერიკელთა შეცდომებმა და თავნებობამ ეს ხალხი გმირულ ჯარად აქცია. მაგრამ, როგორც ჩანს, მსოფლიოში პირველი დემოკრატიის მმართველებმა ამ მაგალითიდან ვერაფერი ისწავლეს. 2001 წელს ისინი საკუთარ მახეში გაებნენ, როდესაც მსოფლიოში ყველაზე ძლიერ, მოხერხებულ და დაუნდობელ მებრძოლებს დაესხნენ თავს.** უკანასკნელი ორნახევარი ათასწლეულის მანძილზე ავღანელებთან ომი არავის მოუგია — არც სპარსეთს, არც ალექსანდრე დიდს, არც ჩინგის-ხანს, არც ბრიტანეთს, არც წითელ არმიას. ვერც ამერიკელები და მათი თანამზრახველები მოიგებენ, მიუხედავად თავიანთი დამანგრეველი იარაღისა და უდიდესი ფულისა, რომელსაც მოსახლეობას უხდიან.

ავღანეთი ცენტრალურ აზიაზე კონტროლის ხელში ჩაგდების მიზნით მეცხრამეტე საუკუნიდანაა საერთაშორისო მიზიდულობის ცენტრი, მაგრამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ღრმა ცვლილებები მოხდა.

**ყარზაის დისკრედიტირებული ხელისუფლების პოზიცია გაუსაძლისი ხდება, გენერალმა მაკკრისტალმა იგრძნო, რომ მიწა ფეხქვეშ ეცლებოდა. ამიტომაც გადაწყვიტა ხელისუფლებისა და პენტაგონის დისკრედიტირება და ღიად დაესხა თავს ობამას, მთელი თავისი გარემოცვიანად. ამასობაში ავღანეთში „ახლახან“ აღმოჩენილი სასარგებლო წიაღისეულის უდიდესი მარაგის შესახებაც გამოჟონა ინფორმაციამ. არადა, ამაზე ჯერ კიდევ 2001 წლის აგრესიამდე საუბრობდნენ. თალიბებმა ამ სიმდიდრეზე ჯერ კიდევ კლინტონის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისას გაავრცელეს ხმა.**

კლინტონი მაშინ ჭკუას ეკითხებოდა თავის ფასდაუდებელ თანაშემწეებს, ისეთებს, როგორებიც ჰენრი კისინჯერი და ზბიგნევ ბჟეზინსკი არიან. გეოპოლიტიკური და დიპლომატიური ნაგებობების დაუღალავმა კონსტრუქტორებმა კი მშვენივრად იცოდნენ, რომ მსოფლიომ უკვე დაკარგა კონტროლი და თანამგზავრებისა და მოკავშირეების გულდასმით შერჩევით მომენტის შესაბამისი მოქმედება იყო საჭირო. მაგრამ **2000 წელს დიდი და ფრთხილი პოლიტიკოსები ნეოკონსერვატორებმა და ახალი ამერიკული საუკუნის მათეულმა პროექტებმა ჩაანაცვლა. მათ ტროცკისეული შემართებით განაცხადეს: „კმარა მსოფლიო პოლიტიკურ რეალობაზე გვერდიდან ფრთხილი და პედანტური დაკვირვება, ჩვენ არ გვსურს, უბრალო მაყურებლები ვიყოთ, ჩვენ უნდა შევცვალოთ მსოფლიო, ამერიკის ინტერესების შესაბამისად, ცხადია“. გაგრძელება ყველასათვის ცნობილია.**

და აი, ამდენი წლის განუსჯელი თავნებობის შემდეგ, სცენაზე კვლავ გამოჩნდა გონიერი სიფრთხილე და წინდახედულობა — გაზეთ „Il Sole-24 Ore“-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა სტატია „ვიეტნამის ჩრდილი ავღანეთის თავზე“, რომელსაც თავად ჰენრი კისინჯერი აწერს ხელს.

**კისინჯერი არ მალავს, რომ მთავარი ამოცანა ყველა რეგიონის ადგილობრივ ძალებთან — თალიბებთან, საველე მეთაურებთან და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან მოლაპარაკებაა, მთავარი მიზანი — მიწისქვეშა სიმდიდრეებით სარგებლობა, ცენტრალური აზიიდან პაკისტანისკენ მიმავალ გაზსადენსა და ნავთობსადენებზე კონტროლის შენარჩუნება და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარება.**

კისინჯერის რეცეპტის მიხედვით, ავღანეთიდან ჯარების ნაჩქარევად გამოყვანა კი არა, ქვეყანაში მყარი სახელმწიფო და სამხედრო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ადგილობრივ მთავრობებთან დაკავშირება, მათი საჭირო მიმართულებით მიმართვა და მართვაა საჭირო.

კისინჯერი არ ერიდება ბელგიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული „ევროპული პრეცენდენტის“ ციტირებას. 1930 წელს ის ძველი მსოფლიოს ზესახელმწიფოებმა „ევროპის კარიბჭედ და ჩრდილო ატლანტიკაში საზღვაო გზებზე სადამკვირვებლო პუნქტად“ აქციეს. ინგლისმა და საფრანგეთმა ჰოლანდიას ბელგია კათოლიკური რწმენის მიზეზით წაართვეს და საკუთარი მიზნებისთვის მოსახერხებლად მოაწყვეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ცხადია, მაშინ ახალი სახელმწიფოს მუდმივ ნეიტრალიტეტზე ფიქრობდნენ. კისინჯერის რჩევით, მსგავსი მოლაპარაკება უნდა განხორციელდეს რუსეთთან, ჩინეთთან და ინდოეთთან.

**ახალი ცენტრალურაზიური „დიდი თამაში“ იმით სრულდება, რომ ყველა კონკურენტ ზესახელმწიფოს ერთი ზესახელმწიფოსთვის ისედაც ძალიან დიდი ავღანური ტორტიდან თითო ნაჭერს ჰპირდებიან. მერე რა, თუ ხალხთა უფლებები კიდევ ერთხელ გაითელება ფეხქვეშ. სამაგიეროდ, ავღანური სიმდიდრეების მიტაცება თავისი გზით წავა, თავიანთი მონაგარით დაინტერესებული მეზობელი ქვეყნები ამერიკულ გეგმებს აღარ შეეწინააღმდეგებიან.**

**ბუშის შეუნიღბავი თავაშვებულობის შემდეგ სიხარულით ვესალმებით გეოპოლიტიკასა და დიპლომატიაში რბილი თავაშვებულობის დაბრუნებას. მიზანი უცვლელი რჩება — ძალადობა და ძარცვა, სამაგიეროდ, ეს უფრო მეტად ჰგავს პოლიტიკას.**

*inosmi.ru*





საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აშშ ფაშისტური პოლიციური სახელმწიფოა

**როდესაც ამგვარ პროვოკაციულ განცხადებას აკეთებ, პირველ რიგში ის უნდა განმარტო, თუ რას ნიშნავს პოლიციური ტიპის ფაშისტური სახელმწიფო. პოლიციური სახელმწიფო კანონს იყენებს მოქალაქეების მხრიდან მის მიმართ შექმნილი საფრთხეების კონტროლირებისათვის და არა — მოქალაქის, როგორც საზოგადოების წევრის დაცვისათვის. ამგვარი სახელმწიფო ქმნის კანონებს, არის ერთპიროვნული მოსამართლე და შეუძლია შერჩევით გადაწყვიტოს, — გაამკაცროს თუ შეარბილოს ესა თუ ის საკანონმდებლო მდგომარეობა ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფისათვის. პოლიციურ სახელმწიფოში მოქალაქეები „თავისუფალნი" არიან ზუსტად იმ დოზით, რა დოზითაცაა შეზღუდული მათი ყველა ქმედება სახელმწიფო კანონით.**



**თუ ცალკეული პირის მიერ საკუთარი თავისუფლებისა და უფლებების მოთხოვნა სახელმწიფოსთან კონფლიქტში მოდის, ინდივიდის ცალკეულ ქმედებებს სახელმწიფო თავისთვის საზიანოდ მიიჩნევს. ამ შემთხვევაში კი სახელმწიფო თავისი ხალხის პროტესტს ჩაახშობს, თუ საჭირო გახდა (და, როგორც წესი, ასეც ხდება ხოლმე), ძალის გამოყენებითაც.**

თუ არ არსებობს სამართლებრივი სისტემა, რომელიც აიძულებს სახელმწიფოს, მოსახლეობასთან დათმობებზე წავიდეს, ეს სახელმწიფო პოლიციურად ითვლება. თუ ამგვარი სამართლებრივი ბაზა არსებობს მხოლოდ დე-იურე და სისტემის მხრიდან წინააღმდეგობების გამო მოქალაქეს მასზე ხელი არ მიუწვდება, თუ ლოგიკისა და ნებისმიერი სხვა მიზეზის გვერდის ავლით სამართლებრივი ბაზა ყოველთვის ამართლებს სახელმწიფოს თვით ყველაზე წინააღმდეგობრივი შემთხვევების ჩათვლითაც კი, მაშინ ეს სამართლებრივი სისტემა სხვა არაფერია, თუ არა ტყუილი და წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან საკუთარ მოქალაქეებზე ზეწოლის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. საბჭოთა კავშირის სასამართლო სისტემა ამის კლასიკური მაგალითი იყო.

**აუცილებელი არაა, პოლიციური სახელმწიფო დიქტატურული იყოს, პირიქით, მას, შესაძლოა, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმაც კი ჰქონდეს. სახელმწიფოს პოლიციურობა განისაზღვრება არა მისი პოლიტიკური სისტემით, არამედ რიგითი მოქალაქისგან მისი დაცულობის ხარისხით.**

გაცილებით რთულია განსაზღვრო, რას ნიშნავს მცნება ფაშიზმი. ჩვენი მიზნებისთვის მუსოლინისეული განსაზღვრება უნდა გამოვიყენოთ: საზოგადოება არის კორპორატიული ინტერესებისა და კავშირების ინტერესების ნაკრები. სახელმწიფო ერთ-ერთი კონკურენტია სხვებთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ სხვებთან შედარებით ძალისა და მოცულობის მხრივ დიდი უპირატესობა აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცალკეულ ადამიანს ძალა აქვს მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ ამა თუ იმ ჯგუფს განეკუთვნება. უამისოდ ადამიანს, უფრო ფართო მასშტაბში კი ჯგუფს, არანაირი ძალაუფლება და გავლენა არ გააჩნია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით განვიხილოთ, რა ხდება ამერიკაში.

საქმეში „ჰოლდერი Humanitarian Law Project–ის წინააღმდეგ" აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია „ტერორისტულად" მხოლოდ იმის გამო გამოცხადდა, რომ შეეძლო არაძალადობრივი გზით ეწარმოებინა მოლაპარაკებები სხვადასხვა პოლიტიკურ ინსტიტუტთან გაეროს ჩათვლით. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს მოლაპარაკებები ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ხელის შეწყობა და მათი წაქეზება იყო და საკონსულტაციო ჯგუფს „ტერორიზმის მხარდაჭერა" დაუდგინეს.

**თუ ამ საქმეს კარგად განიხილავთ, დარწმუნდებით, რომ ის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის კი არა, რეპრესიებზე სახელმწიფოს უფლებების ზრდას წარმოადგენს.** სასამართლოს გადაწყვეტილება ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ ზრდის სახელმწიფოს უფლებასაც, ნებისმიერი პირის მიმართ განახორციელოს რეპრესიები, თუ მას ტერორისტის სტატუსს მიანიჭებს.

**სასამართლომ დაადგინა, რომ „კონგრესი და აღმასრულებელი ხელისუფლება საფუძველშივე განსაზღვრავენ სხვაობას იმ ქმედებებს შორის, რომელთაც ტერორისტები მომავალში გამოიყენებენ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დასანგრევად და იმ ქმედებებს შორის, რომელთაც ამ მხრივ არ გამოიყენებენ". სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლომ განმარტა, რომ კონგრესსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლიათ ცალმხრივად და აბსოლუტურად დამოუკიდებლად განსაზღვრონ, ვინ წარმოადგენს „ტერორისტულ საფრთხეს" და ვინ — არა. ამისათვის სულაც არაა საჭირო სასამართლოსთვის მიმართვა და გადაწყვეტილების გამოტანა.**

და თუ აღმასრულებელი ხელისუფლება ან კონგრესი, ან ორივე ერთად გადაწყვეტს, რომ ესა თუ ის ჯგუფი „ტერორისტულია", მისი და მასთან დაკავშირებულ ჯგუფთა სიტყვის თავისუფლება იზღუდება იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამდენად მშვიდობიანია მათი საქმიანობა და საუბარი.

მაგალითად, თუ აღმასრულებელი ხელისუფლება სახელმწიფო მდივნის სახით გადაწყვეტს, რომ WikiLeaks (ვებ-გვერდი, რომელზეც მამხილებელი მასალები და კონფიდენციალური ინფორმაცია ქვეყნდება) ან Amnesty International-ი (უფლებადამცავი ორგანიზაცია) ტერორისტულია, ისინი სწორედ ასეთებად იქცევიან. ცხადია, მათ აღარ ექნებათ სიტყვის თავისუფლება, ვინმესთან ურთიერთობის ან მოლაპარაკების წარმოების უფლება; არც არავინ დაიჭერს საქმეს მათთან, ვინაიდან ამ შემთხვევაში ძალზე დიდი იქნება რისკი, „ტერორიზმის მხარდაჭერა" დაბრალდეთ.

გარდა ამისა, სასამართლოს ზემოხსენებული დადგენილების მიხედვით, WikiLeaks-ის ტერორისტულად შერაცხვის შემდეგ ყველა, ვინც რაიმე სახით მასთანაა დაკავშირებული, მათ შორის მკითხველებიც და, რა თქმა უნდა, მასალების მიმწოდებლებიც ტერორიზმის ხელშემწყობებად ჩაითვლებიან.

**რეპრესიების ეს ფორმა სავსებით შეესაბამება პოლიციური სახელმწიფოს სტანდარტს. სახელმწიფო ცალმხრივად წყვეტს, ვინ და რა წარმოადგენს მისი ინტერესებისათვის საფრთხეს და ყოველგვარი სასამართლო დადგენილების გარეშე ახორციელებს მის მიმართ რეპრესიებს.**

**აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ხმათა უმრავლესობით უკვე დაადგინა, რომ კონგრესი და აღმასრულებელი ხელისუფლება უფლებამოსილია, განსაზღვროს, ვინ არის ტერორისტი და ვინ — არა. ამგვარი „ტერორისტების" სურვილი, ჩინოვნიკების მიერ მიწებებული იარლიყის ნამდვილობა სასამართლომ დაამტკიცოს, აბსოლუტურად არ მიიღება მხედველობაში.**

სასამართლომ რომც დაადგინოს, რომ ადამიანს აბსოლუტურად არანაირი კავშირი არ აქვს ტერორიზმთან, ის მაინც ვერ მიიღებს რეაბილიტაციას სახელმწიფოს მიერ დაშვებული შეცდომის გამო.

**ამრიგად, აშშ-ის ხელისუფლება ცალმხრივად ადგენს, ვინ არის ტერორისტი და ვინ — არა. ნებისმიერი, ვისაც რაიმე სახის კავშირი აქვს ხელისუფლების მიერ ტერორისტად შერაცხულთან, ამ ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებისა და დევნის ობიექტი ხდება. და თუ საბოლოოდ დადგინდა, რომ ტერორისტად წოდებულს არასდროს არანაირი კავშირი არ ჰქონია მსგავსი სახის საქმიანობასთან, ის ვერასდროს მიიღებს სახელმწიფო რეაბილიტაციას.**

**ეს ყველაფერი კი ცალსახად ადასტურებს, რომ აშშ ფაშისტური ტიპის პოლიციური სახელმწიფოა.**

*perevodika.ru*



## ცეკვის სკოლა ძაღლებისათვის



**ავსტრალიის შტატ ტასმანიაში ძაღლებისათვის ცეკვის სკოლა გახსნეს. ამ სკოლის მოსწავლეები კი უახლოეს მომავალში მონაწილეობას მიიღებენ ძაღლების ცეკვის კონკურსში.**

ავსტრალიაში ძაღლების ცეკვის კონკურსი პირველად შარშან ჩატარდა, მაგრამ აქამდე ტასმანიაში ცხოვლებს ცეკვას სკოლებში არ ასწავლიდნენ. ახლა მათ რიტმის, სხვებთან ერთად მუშაობისა და სხვა დისციპლინების ათვისება მოუწევთ, ცხადია, სათანადო მუსიკის თანხლებით.

ძაღლების საცეკვაო პროგრამაში შედის ისეთი ელემენტები, როგორიცაა საათის ისრის მიმართულებით ბრუნვა, საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნვა და ასე შემდეგ.

ძაღლების ცეკვის კონკურსი, სავარაუდოდ, ნოემბერში გაიმართება, მანამდე ტასმანიელმა ძაღლებმა ცეკვა უნდა ისწავლონ.

## პანო 200 ათასი ჭიანჭველისგან



**კალიფორნიელმა მხატვარმა კრის ტრუმენმა 200 ათასი მკვდარი ჭიანჭველისაგან ხელოვნების ნიმუში შექმნა.**

ორიგინალური იდეით შეპყრობილი ხელოვანი თავიდან ფიქრობდა, რომ ნახატისათვის საჭირო „მასალას" თავად მოაგროვებდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამისათვის რამდენიმე წელი დასჭირდებოდა. ამიტომ გადაწყვიტა, ის ჭიანჭველები ეყიდა, რომლებსაც ცხოველების საკვებად ინტერნეტით ყიდიან. 40-ათასიან პარტიებად დაფასოებული ჭიანჭველები 500 დოლარი ღირდა, ასე რომ, პანოს საერთო თვითღირებულებამ 2500 დოლარი შეადგინა. ტრუმენი მკვდარ ჭიანჭველებს პინცეტის საშუალებით პანოზე ისე ალაგებდა, რომ საბოლოოდ მასზე ავტორის ბავშვობის ფოტო გამოსახულიყო. მუშაობას მაინც რამდენიმე წელი მოანდომა, აქედან ერთი წელი გარდაცვლილი ჭიანჭველების სიბრალულსა და მათ გამო სინდისის ქენჯნას შეალია, მაგრამ ერთწლიანი განცდის შემდეგ მიხვდა, რომ მკვდარ ჭიანჭველებს ვეღარ გააცოცხლებდა და მუშაობა განაგრძო. ნამუშევარი ავტორმა 35 ათას დოლარად გაყიდა.

## პატიმრობა საკუთარი თავის მიმართ მუქარისთვის




**კალიფორნიის ერთ-ერთი ოლქის მკვიდრმა ერთწლიანი პატიმრობა დაიმსახურა იმის გამო, რომ მუქარით აღსავსე მესიჯებს უგზავნიდა საკუთარ თავს.**

ქალაქ სანტა-ანას უზენაესი სასამართლოს მასალების მიხედვით, ჟანა მუნდანგო მანუნგა მუქარის მესიჯებს საკუთარ თავს 2008 წელს შეყვარებულთან დაცილების შემდეგ უგზავნიდა. სულ რამდენიმე ასეული მესიჯის გაგზავნა და მიღება მოასწრო. ამავე დროის განმავლობაში მან ორჯერ განაცხადა პოლიციაში, რომ ამ მესიჯებს ყოფილი შეყვარებულისგან იღებდა. საბოლოოდ სწორედ ცრუ ჩვენების მიცემისა და თაღლითობისათვის დააკავეს. ქალს უსამართლოდ დადანაშაულებული ექს-შეყვარებულისათვის 50 ათასი დოლარის გადახდა დაეკისრა და თავად კი ერთი წლით ციხეში ჩაჯდა.



# უნივერსალური წყალი „ისიდა“

## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

# აქ ყველაზე დაბალი ფასებია!




## «ტექნო ბუმში» ნამდვილი ბუმი დაიწყო

დღეიდან ტექნიკის მაღაზიათა ქსელი **„ტექნო ბუმი“** ნამდვილ ბუმს იწყებს და პირველად საქართველოში ბუმის საბითუმო ცენტრს საზეიმოდ ხსნის, სადაც მსოფლიო ბრენდების უახლესი ტექნიკის შეძენას საბითუმო ფასად შეძლებთ.

მენეჯმენტის ინფორმაციით, **საბითუმო ცენტრი განსხვავებული სისტემით იმუშავებს და სრულიად განსხვავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა ექნება.**

გარდა იმისა, რომ **ტექნო ბუმში** საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე: კონდიციონერებზე, ტელევიზორებზე, ფოტოაპარატებზე, კომპიუტერებზე, მობილურ ტელეფონებსა და ნებისმიერ ტექნიკაზე — **ყველაზე დაბალი ფასებია**, „ბუმის ცენტრში“ ნებისმიერ მომხმარებელს ტექნიკის შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

ამისთვის მომხმარებელი „ბუმის ცენტრში“ უნდა მობრძანდეს, გააკეთოს შენაძენი თავად ან მეგობრებთან ერთად. ნივთების რაოდენობა დაჯამდება და, ორი ან მეტი ნივთის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას №21, წერეთლის №1, ალმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ (საბითუმო ცენტრი)**



# ოპერის ორკესტრი იტალიაში მიიწვიეს

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 28 ივლისიდან 6 აგვისტომდე მიწვეულია იტალიის ქალაქ გუბიოში საერთაშორისო საოპერო ფესტივალში მონაწილეობისთვის. თეატრის სიმფონიური ორკესტრი მონაწილეობას მიიღებს ვერდის „რიგოლეტოსა“ და გალაკონცერტებში. ფესტივალის ორგანიზატორია ცნობილი იტალიელი საზოგადო მოღვაწე, სენატორი ალდო სარტორი. ფესტივალს მუსიკალური ხელმძღვანელის სტატუსით სათავეში უდგას ცნობილი ახალგაზრდა იტალიელი მუსიკოსი, ჩვენი თეატრის მოწვეული დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო.

სენატორის წამოწყება ბიზნესსექტორსაც ეხება: ფესტივალის პარალელურად, იტალიის სავაჭრო პალატის მხარდაჭერით გაიმართება დიდი საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი.

სარტორისა და, უწინარესად, იტალიის დეპუტატთა პალატის პრეზიდენტის — ჯანფრანკო ფინის ინიციატივით, ამ ფესტივალსა და ფორუმზე მიწვეული არიან საქართველოს პარლამენტის წევრები, სხვა ოფიციალური პირები, ქართველ ბიზნესმენთა ჯგუფი.

არსებული ინფორმაციით, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრს იტალიური კულტურის, კერძოდ, საოპერო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის იტალიის სახელმწიფო ჯილდო გადაეცემა.

www.opera.ge

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



ირაკლი თოდუა
თანაუგრძნობს
თორნიკე და
მალხაზ ნარსიებს
მამის
ედემ ნარსიას
გარდაცვალების გამო.




საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net